სულიერების წალიდან

უკანასკნელი ამოსუნთქვა

სითკენ მიდიხარ?...

საქართველოს ახალგაზრდა ქალთა ასოციაცია
AGY
ASSOCIATION OF AID FOR GEORGIAN YOUTH

ო, ღმერთო ჩემო!

დაგვიფარე იმათი ხვედრისგან, ვინც ამქვეყნიურობაში ჩაეფლო, დაიღუპა, ან ჭიქა წყალში ჩაიძირა!

ო, მწყალობელთაგან ყველაზე მწყალობელო, ღმერთო ჩემო!

გვაჩუქე სიცოცხლე და სიკვდილი იმ სიკეთით და სილამაზით, რომელიც შენს ღვთისმოსავ მონამსახურებს გვიწყალობე!...

ო, ღმერთო ჩემო!

წყალობა ჰყავი, რომ ვიყოთ მათ რიცხვში, ვისაც შეუძლია მთელი ხმელეთი ღვთაებრივი სიყვარულით განჭვრიტოს, ყოველი მისი კუთხე გრძნობით, შინაგანი თრთოლვითა და აღტაცებით აღიქვას, მონანიების ნიჭი იტვირთოს, რათა შენ წინაშე ნათელი სახით და მშვიდი სულით წარსდგეს!

თარგმნა:
მიხეილ გელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ზურაბ მიქელაძე
ბადრი შანთაძე
მიხეილ გელაძე
ნანა პაპიძე
დანიელ ბოლქვაძე

თეოლოგიური რედაქტორი:
თემურ გორგაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
როინ კოჩალიძე
უშანგი ბოლქვაძე

თარგმნილია:
Osman Nuri Topbaş
Gönül Bahçesinden Son Nefes

წიგნი გამოცემულია საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის მიერ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს რეკომენდაციით

გამომცემლობა ერქამი: 2020 - წელი

ISBN 978-9941-0-2487-0

სულიერების ბაღიდან

უკანასკნელი ამოსუნთქვა

ოსმან ნური თოფბაშ

ბათუმი

2020

მთარგმნელისაგან

ოსმან ნური თოფბაში გაბრწყინებული სახით დიდი ხანია სულიერების ბაღში დააბიჯებს. წინაპრების — პაპისა და მამის დარგულ ვარდებს ყურანის და ჰადისების სიბრძნით მუხტავს, ღვთისმოსავ ადამიანებს ალლაჰის სიყვარულით მოძღვრავს, საზოგადოებაში წმინდა ადამიანურ გრძნობებს და სულიერ ფასეულობებს თესავს. სიკეთე, სიყვარული, მტკიცე რწმენა, მეგობრობა, ჰუმანიზმი, ერთგულება — მისი იდეებია. მისი წიგნები ნებისმიერ მკითხველს ხიბლავს და სულიერად აღაფრთოვანებს. ისინი ალლაჰის სადიდებელს ისე გალობენ, ვით სამოთხის ბულბულები, მისი სიტყვების მადლი, ისე მოჩქეფს, ვით ზემზემის ანკარა წყარო და მორწმუნეთა გულებს ისე ანათებს, როგორც მზის სარკე. მის ყოველ სტრიქონს ისლამის მილიონობით მიმდევარია დაწაფებული. მისი სულიერი საუნჯის გაცნობა ისლამის უძვირფასესი განძის და არსენალის აღმოჩენაა. ეს მართლაც ღვთის ნაბოძები ნიჭის მადლიანი ამოფრქვევაა სიბრძნის იმ კიდობნიდან, რომელიც წმინდა ყურანის უიშვიათესი მარგალიტებითაა მოოჭვილი და მცველებად ანგელოზები დასტრიალებენ. ეს ბრძენკაცის ჭეშმარიტი სიმფონია და სულიერების უბადლო ჰიმნია, რისი მოსმენაც გულზე ხელის დაუდებლად და ცრემლის გარეშე შეუძლებელია.

სულიერების ეს ძვირფასი საუნჯე ღვთისმოსავ ადამიანთა გულებში მარად ჩაუქრობელ შუქურად დარჩება და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მათ, როგორც უკვდავი ღირებულება მოემსახურება.

გირჩევ, ძმობილო, წაიკითხო აი, ეს წიგნი,
ყოველი სიტყვა ისლამის მზის სამკაულია,
სულის სარკეში ჩაახედო კიდევ ათასი,
უთხრა ,,ყურანი“, თუ რა დიდი სასწაულია.

მიხეილ გელაძე

ცოტა რამ ავტორზე

ოსმან ნური თოფბაში დაიბადა 1942 წელს, ქალაქ სტამბოლში. ლიცეუმის (იმამ-ჰათიბის) დასრულების შემდეგ ის კერძო, რელიგიურ განათლებას თავისი დროის აღიარებული ღვთისმოსავებისაგან იღებდა. მაგრამ მისი პიროვნების ჩამოყალიბებასა და სულიერ აღრზდაში ძირითადი წვლილი მამამ - მუსა თოფბაშმა შეიტანა. ის მუსლიმანებს შორის სულიერი მოძღვრის შეუცვლელი ავტორიტეტით სარგებლობდა თავისი მაღალი ზნეობრივი ნორმებისა და ღრმა რელიგიური ცოდნის გამო. ოსმან ნური თოფბაში სწორედ ამ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანის სუფთა, სულიერად ამაღლებულ ატმოსფეროში გაიზარდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ამ გზის გამგრძელებლად იქცა. პირველი პუბლიკაციების შემდეგ ოსმან ნური თოფბაში სერიოზულ სამწერლო მოღვაწეობას იწყებს.

მისი წიგნები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. ნებისმიერი მისი წიგნი: ,,ისლამი, რწმენა, ღვთისმსახურება," ,,თასავვუფი-რწმენიდან სიკეთისაკენ," ,,მოწყალება, ქველმოქმედება, მსახურება," ,,უკანასკნელი ამოსუნთქვა," ,,დოქით წყალი" ,,სიყვარულის საიდუმლო," ,,კაცობრიობის უბადლო მაგალითი მუჰამმედ შუამავალი", თუ ხუთტომეული-,,შუამავლთა ისტორია" მკითხველისათვის ანკარა წყარო და შემეცნებითი აღტაცების მიმნიჭებელია. ეს არაჩვეულებრივი წიგნები იმ ბედნიერი ეპოქის (ასრ-საადათი) სულითა და ატმოსფეროთი სულდგმულობს,სადაც ავტორი დროისა და სივრცის იგნორირებით ხელმძღვანელობს და ისე აგრძელებს თხრობას, თითქოს თვითონ ხედავს ალლაჰის შუამავალს, მის

მიმდევრებს და იმჟამინდელ მოვლენებს.ოსმან ნური თოფბაში ცნობილია სულიერების თემაზე თავისი გამოსვლებით, ქადაგებებით, ლექციებით და საუბრებით, რომლებიც ხალხს მოუწოდებენ რწმენისა და სიკეთისაკენ, ასევე ბედნიერებისა და კეთილშობილების ამქვეყნიურსა და მარადიულ ცხოვრებაში დამკვიდრებისაკენ. მისი ცხოვრების საფუძველს შეადგენს ყურანისა და შუამავალ მუჰამედის ﷺ ჰადისების გამოკვლევები. სიკეთე, ცოდნის სიღრმე, სიფხიზლე, მომხიბვლელობა, მისი პიროვნული მიმზიდველობა გახდა მიზეზი, იმისა რომ ოსმან ეფენდისთან (როგორც მისი მოსწავლეები მიმართავენ) ადამიანები სასაუბროდ მთელი მსოფლიოდან ჩადიან.

წინასიტყვაობა

ქება-დიდება უზენაეს ალლაჰს, რომელმაც ჩვენ, თავისი უძლური მონა-მსახურები, შუამავლის მიერ მონიჭებული სიხარულითა და რწმენის სიმშვიდით დაგვაჯილდოვა.

ნუ მოაკლდება სამყაროს ალლაჰის შუამავლის ლოცვა-დიდება, რომელმაც კაცობრიობა წყვდიადიდან იხსნა და თავისი ნათელით გააცისკროვნა!

ღმერთის წყალობით ჩვენ ამ წიგნში შევკრიბეთ ჟურნალ ,,ალთინოლუქში" (ოქროს წყარო) დაბეჭდილი სტატიები. წიგნის მოკლე შინაარსი შეიძლება ასე გადმოიცეს: ადამიანი ამ ქვეყანას გამოცდისათვის მოევლინა. გარდაცვალების შემდეგ ის მარადიულში მიდის. მას კი ორი კარი აქვს, რომელთაგან ერთს ადამიანი დაღუპვისაკენ მიჰყავს, მეორეს კი-ბედნიერებისაკენ. პიროვნებას ამ ორთაგან რომელი ერგება ამას ის გაიგებს, რომელიც უკანასკნელი ამოსუნთქვისას მთელ თავის ცხოვრებას შეაჯამებს. ამიტომ, ჩვენი არსებობის მანძილზე უნდა ვწუხდეთ და ვთრთოდეთ უკანასკნელი ამოსუნთქვის გამო, რომელსაც შეუძლია წარმავალი ცხოვრებიდან მარადიულ, ბედნიერების სამყაროში გადამყვანი კარის გახსნა. ამიტომ, აუცილებელია გვეღვიძოს და ვიყოთ ფხიზლად უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ჩვენი ბედისწერის პირველი განმსაზღვრელი უცხო სამყაროში უეჭველად იქნება უკანასკნელი ამოსუნთქვა. იმისათვის, რათა ღირსეულად გამოვეთხოვოთ წარმავალ სამყაროს, აუცილებელია საკუთარი თავი უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის მოვამზადოთ. ე.ი. მარადიული ცხოვრებისა და ბედნიერებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანური ცხოვრება იყოს აღნიშნული კეთილი ქმედებებით, კეთილშობილებით, სულიერი სიბრძნით, ჭეშმარიტი გზით. სიცოცხლე ხომ მართლაც ჰგავს წყლის იმ წვეთს, რომელიც ჭიქაში ეცემა.ჭიქაში არსებული წყლის სისუფთავე და გამჭვირვალება კი დამოკიდებულია მასში არსებული ყოველი წვეთის სისუფთავესა და გამჭვირვალებაზე. ჭიქის შემავსებელი უკანასკნელი წვეთი უკანასკნელი ამოსუნთქვის იდენტურია. ჰადისში ნათქვამია:

,,ადამიანი კვდება იმ მდგომარეობით, რომელშიც ცხოვრობდა და გაცოცხლდება იმავე მდგომარეობით, რომელშიც მოკვდა.“

უკანასკნელი ამოსუნთქვა, როგორც ცხოვრება-სპექტაკლის დასკვნითი სცენა, თავის სუფთა სარკეში განასახიერებს თითოეული ადამიანის ბედს. ყოველი მოკვდავი განსაკუთრებით ნათლად აცნობიერებს თავის განვლილ ცხოვრებას უკანასკნელი ამოსუნთქვის მომენტში, როგორც იტყოდა ამაზე ნეჯიფ ფაზილი:

,,იმ წამს შეიცვლება ფარდები, ზოგნი წამოდგებიან, ზოგნი დაეცემიან, მორჩა, როგორმე უნდა შევძლოთ ვუთხრათ აზრაილს: ,,კეთილი იყოს შენი მობრძანება!...“

ამ მომენტში მთელი განვლილი ცხოვრება ადამიანის თვალწინ გადაიშლება და მის გულში გაივლის. კაცთ-

მოდგომისათვის დღემდე არ არსებობს უფრო დიდი ჭკუის სასწავლებელი სანახაობა.

თუ თითოეული ამოსუნთქვით ვემსახურეთ ამ ქვეყანას, ვაკეთეთ საქმე, გამოვიჩინეთ კეთილშობილება, ასევე იქნება იმ ვერდიქტის შინაარსი, რომელიც ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვის მომენტში გამოგვიცხადდება. ამავდროულად, ის განსაზღვრავს ჩვენს ხვედრს უცხო სამყაროში.

ალლაჰის ჭეშმარიტი მონა-მსახურები ღამის გაელვებებს ლოცვა-დიდებისთვის იყენებენ, რადგან იციან ცისკრის ჟამს ალლაჰის ხსენების ფასი. ისინი თავიანთი სიფხიზლით მთელ სამყაროს ერწყმიან. განთიადის წინარე ჟამს მინიატურაში ასახულ ელვარე დღის მოდელად თუ აღვიქვამთ, ამ დროს მძინარეები ისევე აკლებენ საკუთარ თავს მოწყალებასა და მადლს,როგორც ის უდაბნო, ზღვა ან ფრიალო კლდე, რომელმაც უარი თქვა გაზაფხულის წვიმით მორწყვაზე. ალლაჰის მსახურები, რომლებიც ფრთხილობენ არ ჩავარდნენ მსგავს მდგომარეობაში, არასოდეს ივიწყებენ ყურანზე ფიქრს. მის სიბრძნესთან ზიარებით ისინი სწავლობენ გამჩენის ღვთიურ სახეთა გამოვლენის სამ სფეროს. ესენია: ადამიანი, ყურანი და სამყარო... ამ სამი სფეროდან-სამყარო თავისი საიდუმლოებებით მსგავსია სავსე წიგნის; მდუმარე ყურანი კი ღვთაებრივი დედააზრის გამოვლინებაა, რომელიც სიტყვაში გახვეული სამყაროა... ადამიანი კი, როგორც ცოდნის მატარებელი და ალლაჰის მონა-მსახური ამ ორი სფეროს კვეთაშია. ღვთისმოშიშებმა, ყურანისა და ფიქრის ატმოსფეროთი დამძიმებულებმა, იციან, რომ ყველაფრის საწყისი ყურანია, ხოლო მეცნიე-

რება მას უკან მიყვება. ყურანი ხომ არ არის ერთი სუსტი ადამიანის ცოდნის შინაარსი, არამედ მთელი სამყაროს ცოდნის გამაერთიანებელია, სწორედ ის ანიჭებს ხალხს ახალი აღმოჩენებისათვის საჭირო გონებას. ყურანის შესახებ ფიქრის გამო შეიძლება ითქვას შემდეგი: საკმარისია მიწის საკმაოდ მცირე ნაგლეჯი და ერთი მარცვალი თესლი, რათა გაიზარდოს უზარმაზარი ხე. ჩვენც ასევე შეგვიძლია მივაღწიოთ ზნეობრივ სრულყოფას და ჭეშმარიტებას, ყურანის სწავლითა და მისგან გადმოცემული ზემოქმედების ძალით. ყურანი უსაზღვრო სულიერ სიბრძნეს რომ არ ფლობდეს და ჭეშმარიტი გზის მოსაპოვებელ რჩევა-დარიგებებს რომ არ გვაძლევდეს, ჩვენი გააზრებისა და აღქმის ნიჭი იქნებოდა ფშუტე მარცვლის მსგავსი, რომელმაც ნიადაგში ვერ გაიხარა. აი, ზუსტად ამიტომ ჩვენთვის მონა-მსახურებისათვის, ყურანის სიბრძნის უსაზღვროებისა და ძლევამოსილების ჩაწვდომაზე დიდი წყალობა არ არსებობს.

ჭეშმარიტებასთან ნაზიარები სულები, ამ სამყაროში ჩადენილ ცოდვებისგან აღსარებითა და ცრემლით განიწმინდებიან. აი, რა ლამაზად აღწერა პოეტმა ალლაჰის ეს რჩეული მონა-მსახურები:

,,არიან ქმრები მოკრძალებულნი,

როგორც ნიადაგი ფეხქვეშ.

შორს, ჰორიზონტებს მიღწეულნი

ლოცვას აღავლენენ ცისქვეშ.

მათთვის წამია უკანასკნელი,

სწყურიათ სიცოცხლე მარად

გამჩენის ერთხელ დანახვისათვის

ცრემლით იტირებენ წყნარად...“

ჭეშმარიტ ღვთისმოსავებზე კი უზენაესი ალლაჰი ამ-ბობს:

[illegible]

„უთხარი: „თუ არ იქნება თქვენი ვედრებანი, რატომ მოგანიჭებთ ღირსებას ღმერთი ჩემი...“ *(ფურყან 25/77)*

აი, ღვთის სიდიადით გამსჭვალულები მთელ თავიანთ მისწრაფებებს გამჩენის განდიდებასა და სიკეთისაკენ მოწოდებაში ხარჯავენ. მთელი ყოფიერების კურთხეული გზაც მასზე გადის. წმინდა აიათში ნაბრძანებია..

[illegible]

„თქვენა ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის, ბრძანებთ სასურველს და კრძალავთ საძულველს...“ *(ალი იმრანი 3/110)*

ისინი, ვინც გულწრფელად უძღვნიან თავს ამ მიზნის განხორციელებას, სულიერ სამყაროს სიწმინდით, ისლამის კეთილშობილებითა და მისი სიღრმით იმშვენებენ. აგრეთვე, თავიანთი სულიერი მდგომარეობით, სიტყვითა და ყოფაქცევით არიან სიკეთისა და ჭეშმარიტების ნიმუშები. ისინი ახორციელებენ გამჩენის მიერ დაკისრებულ (სიკეთისაკენ მოწოდების) მისიას. წმინდა აიათში დაცული საიდუმლოს ფარგლებში:

[illegible]

„მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე მათ საუკეთესო მეთოდით.“
(სურა ნაჰლი, 16/125)

როცა ეს ცოდნა მორწმუნის გულში აისახება და გამოვლინდება მისი სულიერი მდგომარეობა, შესაბამისად, მისი საქციელი იძენს ჭეშმარიტ სილამაზეს და ის იქცევა „ჭეშმარიტ ღვთისმოსავად.“ მსხვერპლად გაღება იმისა, რაც შენთვის საყვარელი და ძვირფასია გაპოვნინებს უსაზღვრო სულიერ სიმდიდრეს. ვაჭრობის ეთიკური ნორმები, რომლებსაც ის ეყრდნობა, ისეთივეა, რაც ალლაჰის შუამავლისთვის იყო დამახასიათებელი. თუკი მორწმუნე არ იყენებს შემოსავლის მიღების ნებადართულ გზებს, უკეთური გზით მიღებული მოგება ავთვისებიანი სიმსივნის იდენტური იქნება. ქონებაესაა ალლაჰის მიერ მონა-მსახურზე მიცემული კეთილი სესხი. ამის გამო, მორწმუნე ზომიერად მომთხოვნი და თანმიმდევრულია ღვთაებრივი კანონების დაცვაში. რაც შეეხება საზოგადოებრივ ცხოვრებაში სესხის აღებასა და გაცემას, ასეთ დროს ჭეშმარიტი მორწმუნე ხელმძღვანელობს ღვთიური კანონებით, რადგან მას უკვე დამყარებული აქვს მეგობრობა ალლაჰის შუამავალთან. ამგვარად, ჭეშმარიტი მორწმუნეები არასდროს გატეხენ მიცემულ სიტყვას, რადგან თავიანთი სულიერებისა და ხასიათის მიხედვით, მათ ერგოთ პატივი ყოფილიყვნენ სანიმუშო მორწმუნენი. ამ სიმაღლის გამო მათ ღვთიურ საიდუმლოებებში ჩაწვდომის ნიჭი ებოძათ.

ძვირფასო მკითხველო!

ნაწარმოებში ,,უკანასკნელი ამოსუნთქვა“ გვსურს, თქვენი ყურადღება შემდეგ თემებს მივაქციოთ. ცალკეული თავი კი ჩვენ მივუძღვენით იმ ადამიანს, რომელიც დიდი მზადყოფნით შეხვდა უკანასკნელი ამოსუნთქვის დამაბრმავებელ ბრწყინვალებას და გამჩენის საუფლოში სუფთა სულით შევიდა. ალლაჰისკენ მისწრაფებითა და მონა-მსახურებით გამოჩენილმა ადამიანებმა დაგვიტოვეს სიყვარულით აღსავსე ნიმუში, რომელიც ჩვენ გადმოვეცით ქვესათაურში ,,მუსა ეფენდი-რწმენიდან ჭვრეტისაკენ. ამასთანავე წიგნში ,,თასავვუფი-რწმენიდან ჭვრეტისაკენ“ მოთხრობილია მისტიცისზმის შესახებ, რომლითაც ისეთივე კეთილი ადამიანები სარგებლობდნენ, როგორებზეც წიგნშია საუბარი. ხოლო ინტერვიუ და სტატიები ამ თემაზე ჟურნალ ,,ალთინოლუქში“ იბეჭდებოდა. თასავუფი-ესაა ცხოვრება ყურანისა და სუნნეთის სიბრძნის მიხედვით. ნებისმიერი სიტყვა, შინაგანი მდგომარეობა და საქციელი, რომელიც ყურანისა და სუნნეთის მიღმაა, მცდარია. გამოთქმის მიხედვით, ,,შარიათი — ფარგლის საყრდენი ფეხია“, შეიძლება ასეც ითქვას: მუსლიმობა თასავვუფის გარეშეც შეიძლება, მაგრამ მათი გამოცდილებით, მორწმუნეს მონა-მსახურების იმ საფეხურამდე მისვლა გაუჭირდება, რომელშიც არსებობს განცდა, რომ — „ალლაჰი მუდმივად ჩვენ გვიყურებს“.

ვინც სიმწიფის ამ დონეს ვერ მიაღწია, უკანასკნელი ამოსუნთქვისას ზეწოლასა და სიმძიმეს განიცდის. ე.ი.

აღმსარებლის რწმენის სიღრმე, რომელიც უკანასკნელი ამოსუნთქვით მოგვცემს მარადიულ სამყაროში ბედნიერების კარის გავლით გადასვლის საშუალებას, მდგომარეობს ჩვენს თაყვანისცემაში, რომელიც გამოიხატება განცდით, რომ -,,ალლაჰი მუდმივად ჩვენ გვიყურებს".

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ადამიანის შვილი (ხვდება ის ამას თუ ვერა) დღისა და ღამის მანძილზე მრავალგზის გადაეყრება ისეთ ფაქტორებს, რომლებიც შეიძლება მისი სიკვდილის მიზეზი გახდეს. სიკვდილი თან სდევს ადამიანს განუწყვეტლივ, ყოველ ნაბიჯზე. მევლანა ჯალალედინ რუმი თავის „მასნავში" ასე ამბობს:

„თავისი არსით, ყოველი წამი არის მომაკვდავ მდგომარეობაში მყოფი სულის ნაწილაკი. ყოველი წამი არის სულის დალევის ჟამი და სიცოცხლის შემამცირებელი".

განა, ვართ ჩვენ წარმავალი ცხოვრების ისედაც ხანმოკლე დღის ჩაქრობის მსურველები? ხომ არ მივიწევთ ყოველი ნაბიჯით საფლავისაკენ? ხომ არ ხევს ყოველი განვლილი დღე ჩვენი ცხოვრების კალენდრიდან კიდევ ერთ ფურცელს?

ნებისმიერი ქვა, რომელიც საფლავზეა აღმართული, სიკვდილის მდუმარებითაა დატვირთული და მჭერმეტყველებს მხურვალე დარიგებებით. ისინი, საფლავებზე, გზის კიდეებსა, თუ მეჩეთების გვერდით მდგომნი, ემსახურებიან სიკვდილის შეხსენებასა და ყოველი მიწიერის წარმავლობას აღნიშნავენ. სიკვდილის შემზარავი არსის ტვირთვა არ შეუძლიათ სიტყვების სუსტ მხრებს! ყველაფერი, რასაც სიკვდილის წინ ძალა ჰქონდა, მის შემდეგ არარაობად იქცევა.

სიკვდილი, ნებისმიერი ადამიანისათვის, ქვეყნიერების აღსასრულია. ამიტომ, უნდა გამოვიღვიძოთ ქვეყნიერების აღსასრულამდე, რომ არ მოვხვდეთ საბრალოთა რიცხვში. ისე ხომ, არც ერთმა მომაკვდავმა არ იცის, თუ სად და როდის შეხვდება აზრაილს. არსად არის ადგილი, სადაც სიკვდილს დაემალები. ამიტომ, ადამიანმა არ უნდა დაკარგოს ძვირფასი დრო და ალლაჰის ბრძანებებით უნდა იხელმძღვანელოს!

Ĉ! ä ɤ6Ŭ äȘĄÂÂȾ

,,მაშ, იჩქარეთ (შეპირებული სასჯელისაგან) **ალლაჰისკენ** (რწმენისაკენ). *(სურა ზარიათი, 51/50)*

ალლაჰის მონა-მსახურთაგან, შუამავლების გარდა, რწმენის საკითხებში უსაფრთხოების გარანტია არავის არ აქვს. ამის გამო (მოწყალების სახით ნაჩუქარ სიცოცხლეში) ყოველი მორწმუნე უნდა იქცეოდეს ღირსეულად. სიკვდილის საშინელი სიცივისაგან ის ერთადერთი ხერხით დაიცავს თავს საკუთარ ცხოვრებას სიმართლით თუ გაატარებს. ისინი ხომ, ვინც მზადაა სიკვდილთან შესახვედრად, არ განიცდიან მის შიშს, და პირიქით, მას მარადისობაში მოსახვედრად საჭირო მიზეზად აღიქვამენ. ასეთ მიმდევრებს, ,,შეუძლიათ თვით სიკვდილიც გაალამაზონ“ და სულიერი სიმშვიდეს მიაღწიონ. მაგრამ ისინი, ვინც თავიანთ სიცოცხლეს უდარდელობაში ატარებენ, საკუთარ თავს ახირეთში (მარადიული სიცოცხლე) დასაღუპად იმეტებენ. ისინი სიკვდილის წინ მფარველს ვერ გამონახავენ. რა ლამაზად თქვა მევლანა ჯალალედინი რუმიმ:

,,შვილო ჩემო, თითოეულის სიკვდილს აქვს თავისი ელფერი: ისინი, ვისაც სიკვდილი სძაგდა, არ ფიქრობდა იმაზე, რომ სწორედ ის აახლოებს ადამიანს ალლაჰთან, და მათ, ვინც იყო მის მიმართ მტრულად განწყობილი, სიკვდილი საშინელი სისასტიკით ეწვია. ხოლო მათ, ვინც სიკვდილის მიმართ მეგობრულად იყო განწყობილი ის მეგობრულადვე ეწვევა.“

ჭეშმარიტად, უკანასკნელი ამოსუნთქვა მსგავსია სუფთა, ნათელი და დაუორთქლავი სარკისა. მასში ყოველი ადამიანი დაინახავს თავის განვლილ ცხოვრებას ყველა სიკეთითა და ბოროტებით. იმ წუთის გამყოლ მზერასა და ფრთხილ სმენას ვერ აღუდგება მუქარისა და უდარდელობის ვერც ერთი ფარდა. პირიქით, ჩამოეშვება ყველა ფარდა და ჩამოინგრევა წინააღმდეგობები, გონება და სხეული მოექცევა სინანულში. ამიტომ, დაე, ნუ იქცევა ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვა იმ სარკედ, რომელშიც არეკლილ ჩვენს მიერ განვლილ ცხოვრებას მწარე სინანულით შევხედავთ. დაე, ეს სარკე წმინდა ყურანითა და კეთილშობილი სუნნეთით იყოს განწმედილი. ჭეშმარიტად ბედნიერნი ხომ ისინი არიან, ვინც შეძლო საკუთარი თავის გარდაცვალებამდე შეცნობა.

ჩვენ მადლობელი ვართ მ. ალი ეშმელის და მ. მ. აქიფ გუნაისა, ამ ნაწარმოებზე მუშაობისათვის და შევთხოვთ გამჩენს მათ მიერ გაწეული სამსახური უზადო მოწყალებად მიიღოს.

ჩვენო ალლაჰო, ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვა იმ სარკმლად გარდაგვისახე, რომლითაც მარადიულ სამყაროში ჩვენთვის გამზადებულ ჯილდოებს დავინახავთ.

ამინ!

ოსმან ნური თოფბაში

სტამბოლი-2003

უკანასკნელი ამოსუნთქვა

1

ადამიანი სიცოცხლის მანძილზე მრავალჯერ გადაეყრება სიკვდილს პირისპირ. ნუთუ ის სნეულებები, უეცარი შემთხვევები, უბედურებები და ხიფათები, რომლებიც ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული ადამიანითვის მისავე უდარდელობით, შეუმჩნეველი რჩება? ნუთუ ეს არ მიუთითეს იმაზე, თუ რამდენად თხელია ფარდა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის?!

უკანასკნელი ამოსუნთქვა – 1

უზენაესმა ალლაჰმა სიფათი (თვისება) ალ-ბაყა (მარადიული) ამქვეყნად მხოლოდ საკუთარი თავისთვის შექმნა. წმინდა აიათში ნათქვამია:

[illegible]

„ყოველივე ვინც მასზეა წარმავალია...“[1]

[illegible]

,,ყველა სული იგემებს სიკვდილს...“[2]

ეს აიათი გვიმტკიცებს, რომ ყოფიერების წარმავლობის მიზეზი სიკვდილია.

ამიტომ, ცოცხალმა ადამიანმა მუდმივად უნდა იფიქროს ამ ჭეშმარიტებაზე. წმინდა აიათი ხომ გვაფრთხილებს:

[illegible]

1. რაჰმანი 55/26.

2. ენბია, 21/35.

,,ჭეშმარიტებით მოვა სიკვდილის სიმთვრალე და ეთქმება: აჰა, ეს არის ის, რასაც შენ მუდამ გაურბოდი!“[3]

ადამიანი ამ წარმავალ სამყაროში გამოსაცდელადაა მოვლენილი. ამიტომ მისი მთავარი ამოცანაა, გამჩენის მიმართ მადლიერების წყალობით მოიპოვოს ,,დარუს-სელამი“, ანუ სამოთხე, რომელიც არის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სასახლე. მისკენ მიმავალი გზა კი ჭეშმარიტების შეცნობაში. აიათში გამოხატულია, რომ:

[illegible]

,,იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე, არც ძენი არავის წაადგება, გარდა იმისა, ვინც წარსდგება ალლაჰის წინაშე უბიწო გულით!“[4]

ეს კი მხოლოდ ნაფსის (ცდუნება) აღზრდის საშუალებითაა შესაძლებელი. ნაფსის აღზრდის არსი მდგომარეობს ალლაჰის შუამავლისადმი სრულ მორჩილებაში, მასზე მიჯაჭვასა და მის აღიარებაში. ეს ნიშნავს შუამავლობის 23 წლის ხანგრძლივობის გზის მღელვარე ჰაერის შესრუტვას, შუამავლის სულიერების ატმოსფეროში შესვლას. დიდებულმა ალლაჰმა ხომ შუამავალს ჯებრაილ ანგელოზის მეშვეობით წმ.ყურანი გარდმოუვლინა, ამიტომ შუამავლის ყველა სიტყვა და საქციელი უნდა აღვიქვათ როგორც ყურანის ახსნა (თეფსირი). შუამავლის სულიერებიდან საკუთარი წილი რომ მივიღოთ, აუცილებელია, საკუთარი თავის, ქონებისა და შვილების სიყვარულზე უფრო აღმატებული მისი სიყვარული გვქონდეს.

3. ყაფი, 50/19.

4. შუღერა, 26/88-89.

ეს სიყვარული მონა-მსახურს ყოვლად ძლიერი გამჩენისადმი დიდი განცდით ავსებს. ე.ი. შუამავლის სიყვარული-ალლაჰის სიყვარულია, ხოლო ალლაჰის სიყვარული-შუამავლისა. ამრიგად, უზენაეს ალლაჰთან დაახლოების პირობა სულის სიმწიფის ამ დონემდე მიღწევაა.

ეს ყველაზე საუკეთესო სამზადისია უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის. იმის მსგავსად, თუ რა განსაკუთრებული როლი აკისრია უკანასკნელ წვეთს, რომელიც პირთამდე წყლით სავსე ჭიქაში ეცემა და ხდება წყლის გადმოღვრის მიზეზი. საკუთარი სუნთქვა შეგვიძლია. შევადაროთ წყლის წვეთებს. ე.ი. ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვა მთელ ჩვენს არსებობას აჯამებს. ამიტომ, უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის მზადება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამოვიყენებთ ჩვენ შესაძლებლობას ვისუნთქოთ მოცემულ მომენტში. ის მონა-მსახურები, ვინც განვლო ცხოვრება ალლაჰისა და მისი შუამავლის სიყვარულით, უმწიკვლო საქმეებით, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს შეხვდებიან მშვიდად, ბაგეებზე ქელიმეი შეჰადეთით (ალლაჰისა და მისი შუამავლის, მუჰამმედის რწმენის დამადასტურებელი სიტყვები); ე.ი. იმ სასიხარულო ამბის შეტყობის ღირსნი გახდებიან, რომელიც ამცნო ფრიად პატივცემულმა შუამავალმა.

,,ვინც უკანასკნელი ამოსუნთქვისას (სუფთა გულით) წარმოთქვამს ქელიმეი თევჰიდს (სიტყვიერი დამოწმობა ერთღმერთიანობაზე), ის სამოთხეში შევა...“[5]

ე.ი. ისინი, ვისმა ცხოვრებამაც ერთღმერთიანობის ატმოსფეროში ჩაიარა, თავიანთ უკანასკნელ წამს ჭეშმარიტ შემქმნელთან ქელიმეი თევჰიდით წავლენ. რად-

5. ჰაქიმი, მუსთედრაქი, 1,503.

განაც მათ, *„ŕ“-თი (არ არსებობს ღვთაება)* გაისუფთავეს და გაითავისუფლეს თავიანთი გულები წარმავალი და ამქვეყნიური კერპებისგან, ხოლო *„ŕŀ“-—თი (გარდა ალლაჰისა) კი, ისინი მხოლოდ უზენაესი ალლაჰის სიყვარულით აივსეს.*

უნდა ვიცოდეთ, რომ ძლევამოსილი გამჩენის მიერ შექმნილი, ათასგვარი სილამაზით გამორჩეული სამყარო, მხოლოდ დროებითი თავშესაფარია. სამყაროში უმიზნოდ არაფერია შექმნილი. ადამიანის მიზანი ამქვეყნად, თუ იმქვეყნად მარადიული ბედნიერების მოპოვებაა.

ამის შესახებ ალლაჰი გვაფრთხილებს:

**ŕ ŕ ŕ

,,სინამდვილეში ყოველი წუთი კლავს სულის ნაწილს. ყოველ წუთს ჩვენ გავცემთ სიცოცხლეს და ყოველი წუთი არის არსებობის შემამცირებელი: ნუთუ არაა ჭეშმარიტება, რომ ყოველდღიურად, მინიერ სიცოცხლეს განვეშორებით და ერთი ნაბიჯით ვუახლოვდებით საფლავს? ნუთუ ყოველი განვლილი დღე ჩვენი ცხოვრების კალენდარს კიდევ ერთ ფურცელს არ აკლებს?“

ადამიანის ცხოვრების მდინარესთან შედარებისას ფრიად პატივცემული მევლანა გვაფრთხილებს:

,,ეი, ადამიანო! დააკვირდი სარკეში უკანასკნელ გამოსახულებას! წარმოიდგინე, როგორი იქნება ახალგაზრდა ჭაბუკი მოხუცებულობისას, ან როგორ იქცევა შენობა ნანგრევებად და ნუ დაგაბნევს ილუზიური გამოსახულებები სარკეში!...“

ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვა ათასი სიბრძნის შემცველი ღვთაებრივი საიდუმლოა და ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, გარდაუვალი-სიკვდილია. ის ღვთის მიერ წინასწარაა განსაზღვრული. მართლაც, ადამიანი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მრავალგზის ხვდება სიკვდილს პირისპირ. ნუთუ ის სნეულებები, უეცარი შემთხვევები, უბედურებები და ხიფათები, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზეა ჩასაფრებული ადამიანთაგან უყურადღებოდ რჩება და არ მიუთითებს მას იმაზე, თუ რამდენად თხელია ფარდა ადამიანსა და სიკვდილს შორის? ე.ი. ადამიანი მთელი დღის განმავლობაში მრავალჯერ ექცევა აიათების გავლენის ქვეშ, რაც ნიშნავს, რომ მას ისევ და ისევ ამ სამყაროში ეძლევა უკან დახევის შანსი. ამას ის მოკლებული იქნება მარადიულ სამყაროში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანი, რომლისთვისაც საჭიროა უზარმაზარი სიფრთხილე, უპირატესობას

ანიჭებს, გულგრილად მოეკიდოს იმ ფაქტს, თუ როგორ ცვივა მისი სიცოცხლის კალენდარს ფურცლები მსგავსად კლდისა, რომელსაც არ ძალუძს მასზე დაცემული წვიმის წვეთების შესრუტვა.

მართლაც, ჩვენ დაბადებიდან ყოველდღიურად ვკვდებით და მივაბიჯებთ სიკვდილთან შესახვედრად. რა მშვენივრად გვიხსნის წმინდა აიათი, რომ ყოველი წუთი, ჩვენთვის განსზღვრული დროიდან, გვაახლოებს ჭეშმარიტი გამოღვიძების განთიადთან:

[illegible]

„და ვისაც ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუბოძებთ, საწინააღმდეგო იერს ვაძლევთ (მოხუცებულობაში შევიყვანთ)**, განა გონს არ მოეგებიან?!“**[7]

ალლაჰის უმწიკვლო მონა-მსახური ყუს ბინ საიდა, რომელიც შუამავლამდე ცხოვრობდა და მისი მოსვლის მახარობელი იყო, თავის ერთ-ერთ სიტყვაში (უქაზის ბაზარში), ცდილობდა ამ აიათის არსის ახსნას. მან მშვენივრად აღწერა ის მოვლენები, რომლებიც ადამიანს თავისი ცხოვრების მანძილზე ხვდება.

„ეი, თქვენ, ხალხო!

მოდით, მოისმინეთ, იცოდეთ და გაითვალისწინეთ! ცოცხალი მოკვდება, მკვდარი გაქრება. წამოვა წვიმა, ამოვა ბალახი, დაიბადებიან შვილები და თავიანთი მშობლების ადგილებს დაიჭერენ. ხოლო შემდეგ ყველა და

7. იასინი 36/68.

ყველაფერი გაქრება. მოვლენათა ჯაჭვი კი არ შეწყდება და ყოველთვის ერთს მეორე შეცვლის...“

როცა ჩვენ ამოსუნთქვათა განსაზღვრული რაოდენობა გამოგველევა, იმ დღეს უკანასკნელად ამოვისუნთქავთ. მოვასწრებთ თუ ვერა ყველაფერთან გამომშვიდობებას, რაც ამ სამყაროსთან გვაკავშირებს, სიკვდილს მაინც შევხვდებით. უმწიკვლო მონა-მსახურთათვის კი ეს შეხვედრა იქნება არა სიკვდილთან ზიარება, არამედ ბედნიერი აღდგომა, გაცოცხლება. საყვარელ ადამიანთან შეხვედრის სიხარული. გასაგებად უნდა ჩავწვდეთ სიტყვების საიდუმლოებას:

„აღესრულეთ სიკვდილამდე.“

ეს საიდუმლო ფრიად პატივცემულმა მევლანამ შემდეგი ფრაზით გადმოგვცა:

„მოკვდით, რათა იცოცხლოთ!...“

ზუსტად ისევე, როგორც ხალიფა ალი ამტკიცებდა:

„ადამიანებს სძინავთ, მათ სიკვდილი გამოაფხიზლებთ...“

ამიტომ, საჭიროა არ ავყვეთ „ცდუნებას“ და ცხოვრების ამაო მოთხოვნებს, არამედ უნდა ვიცოდეთ, რომ ნამდვილი ცხოვრება ცხოველური ინსტინქტებით შეუძლებელი და შესაძლებელია, მხოლოდ გამჩენის მიერ ჩანერგილი წმინდა სულით. აქედან გამომდინარე, ყველაზე ტრაგიკული სიკვდილი — ესაა სიკვდილი ალლაჰის ცნობისა და მისი კმაყოფილების მოპოვების გარეშე... ყოველი მორწმუნე ვალდებულია, ახსოვდეს, რომ მისი სიკვდილის საათი მისი განვლილი ცხოვრების შესაბა-

მისი იქნება. ამიტომ ის ვალდებულია, ისეთი აღზრდა გაიაროს, რომელსაც რწმენიდან ჭვრეტისაკენ მიჰყავს. ადამიანთაგან ხომ, შუამავლის გარდა, არავინაა დარწმუნებული იმაში, თუ ვინ როგორ მოკვდება და რა სახით გაცოცხლდება. ამიტომ მოვუსმინოთ იუსუფის ალლაჰისადმი ვედრებას:

ćkĤůĀĢŏĀĝ ŬĀŎĤůĀŰş ĀţŬĒą ŬĀźž

„...(ღმერთო ჩემო!) **მიმიბარე შენ მუსლიმად და დამამკვიდრე კეთილისმქმნელთა შორის!“**[8] ამ სიტყვებს ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ თვალსაზრისით, ყოველი მორწმუნე უნდა შეეცადოს თავისი რწმენა იმ დონემდე მიიყვანოს, როცა ის შიშისა და იმედის გრძნობებს შუა მოექცევა. გამოფხიზლებულმა სიწმინდე უნდა შეინარჩუნოს და ცხოვრება იმ განცდით უნდა გაატაროს, რომ უკანასკნელად რწმენით ამოისუნთქავს.

უპირველესი ნიშანი, რომელიც გვიკარნახებს, თუ როგორი იქნება ჩვენი ყოფა მარადისობაში, ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვისას გამოჩნდება. წმინდა ყურანი, ჩვენი მეგზური ჭეშმარიტების გზაზე, მოგვითხრობს, თუ როგორ იბრძოდნენ მეგობრები რწმენის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შენარჩუნებისთვის, რათა მოეპოვებინათ უფლება მარადიული კეთილდღეობისათვის.

როდესაც ფარაონის მისნებმა ის საოცრებები დაინახეს, რომელიც მათ მუსა შუამავალმა აჩვენა, წამოიყვირეს:

8. იუსუფ 12/101.

„ჩვენ ვირწმუნეთ სამყაროს ღმერთი, მუსას და ჰარუნის ღმერთი!“ და რწმენით განმსჭვალულებმა მუხლი მოიყარეს.

მაგრამ საკუთარ ძალაუფლებაში დარწმუნებული, მრისხანე ფარაონი უგუნურად დაემუქრა მათ: „თქვენ ირწმუნეთ ის ჩემი ნებართვის გარეშე, უეჭველად, თქვენს ხელ-ფეხს ჯვარედინად დავაჭრევინებ, ხოლო შემდეგ ჩამოგახრჩობთ...“

ხოლო რწმენით ძალმოსილმა მისნებმა მიუგეს: „შენი უხამსობა ჩვენ ვერავითარ ზიანს ვერ მოგვიტანს! შენი ბოროტება მხოლოდ ამქვეყნადაა ძალმოსილი. ხოლო მომავალი ცხოვრების ბედნიერება-მარადიულობაშია!“ აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი ასეთი სასტიკი და მტანჯველი სიკვდილის წინ უდიდეს ალლაჰს ტირანისგან ხსნას კი არ სთხოვდნენ, არამედ მუსლიმანად აღსრულებას.

ćkŧŬĒŋ ÌÁāźčŝ ãĀĢŌ ÌĄĒĆĢ ĥĀźŬ ÌĄāź

„...ღმერთო ჩვენო! მოგვმადლე ჩვენდა მოთმინება და მუსლიმებად მიგვიბარე ჩვენ!“[9] ამრიგად, ჭეშმარიტი გზისათვის, რომელიც ებოძათ მათ, საკუთარი ხელ-ფეხი დათმეს და გამჩენის წინაშე შეჰიდებისა და უმწიკვლოების დიდი ღირსებით წარსდგნენ.

ალლაჰის რწმენისათვის, რომელიც ტირანებმა ასევე დანაშაულად მიიჩნიეს, გაუსწორდნენ სხვებსაც და ისინი ცეცხლმოდებულ თხრილებში ჩაყარეს.. ეს უმწიკვლო მორწმუნეები არ შეუშინდნენ მკაცრ სასჯელს და შეინარჩუნეს სიმტკიცე რწმენაში. ისინი სიკვდილს უშიშრად

9. არაფი 7/126.

შეხვდნენ და უზარმაზარი სულიერი სიმშვიდის მოპოვებით ყოვლად ძლიერ ალლაჰს ნაჩუქარი რწმენისათვის მადლობა გადაუხადეს. იმ ადამიანისთვის, ვისაც მართლაც ეშინია ალლაჰის, ხომ აღარაფერია საშიში.

წუთისოფლის მკვიდრი ჰაბიბ ნაჯარი რწმენისა და ღვთისმსახურების გამო სასიკვდილოდ განწირული და ჩაქოლილი იქნა. მაგრამ უკანასკნელ წუთს, როცა იხურებოდა ყოფიერების კარები, მან მარადიული სამყაროს ღია ფანჯრიდან დაინახა ღვთის ძღვენი რომელიც ელოდა მას და თავისი უმეცარი ხალხის მიმართ თანაგრძნობით წარმოთქვა:

„...ნეტავ, ჩემს ხალხს სცოდნოდა...“[10] ეს ხომ იმიტომ თქვა, რომ მიეტოვებინა ქვის კერპებისადმი თაყვანისცემა და პირობის თანახმად იმქვეყნად, მისცემოდა უსაზღვრო ბედნიერება მარადისობაში საცხოვრებლად.

ასევე მოიქცნენ რომაელები, ბერძნები და სხვა მრავალღმერთიანები ქრისტიანობის ახლად ჩასახვის პერიოდში, (როცა ჭეშმარიტი რწმენის მიმდევრები ლომებს მიუყარეს დასაგლეჯად). მაშინ მორწმუნეები, უფრო მეტად წუხდნენ არა იმისთვის, თუ როგორ გადარჩენილიყვნენ გამძვინვარებული მხეცების კბილებისა და ბრჭყალებისაგან, არამედ იმის გამო, თუ როგორ შეენარჩუნებინათ თავიანთი რწმენა. ისინი ირჩევდნენ მოთმინებისა და წამების გზით ალლაჰის დანაპირების მიღებას.

უეჭველად, სულის ყველა ეს მშვენიერი გამოვლინება მოწყალებად აღიქმება, მონა-მსახურის ცხოვრება დაკავშირებულია ალლაჰთან. ამ თვალსაზრისით ალლაჰთან

10. იასინი, 36/26.

კავშირი მისადმი მსახურების უმაღლესი ხარისხის გამოვლინება.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით მეჩეთში ვიღაც განკითხვის დღის შესახებ ქადაგებდა. შეკრებილთა შორის იყო შეიხ შიბლიც. ქადაგების ბოლოს მოქადაგემ დაიწყო საფლავში დაკითხვის შესახებ ლაპარაკი.

„შეგვეკითებიან: ცოდნა სად გამოვიყენეთ? ქონება სად დავხარჯეთ? სიცოცხლე როგორ გავატარეთ? ღვთისმსახურებები როგორ შევასრულეთ? ყურადღება მივაქციეთ თუ არა ჰარამსა და ჰალალს? და ა.შ გააგრძელა...“.

ასეთი დაწვრილებითი საუბრის მიუხედავად საკითხის არსს მაინც არ შეხებია. შიბლიმ მოქადაგეს დაუძახა:

„ბატონო! შეკითხვათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი დაგავიწყდათ! უდიდესი ალლაჰი გვკითხავს: ჩემო მონამსახურო! მე შენთან ერთად ვიყავი, შენ...?“

ყველაზე მთავარია, შეეცადო, არცერთი შენი ამოსუნთქვა ფუჭად არ დახარჯო. ეს სიბრძნე რა მშვენივრადაა აღწერილი ამ სიტყვებში:

დაკარგულია, გავიგეთ ჩვენ,

დრო, რაც უშენოდ გვიტარებია...

ალლაჰის შუამავალმა იბნ ომარს მხრებზე ხელი დაადო და ასე მოუწოდა:

„იყავი ამქვეყნად, როგორც უცხო და მგზავრი!“[11]

ამ ჭეშმარიტებით გამსჭვალული იბნ ომარი თავისი საუბრებით გვასწავლიდა:

„იცოცხლებ საღამომდე, არ დაელოდო დილას, იცოცხლებ დილამდე, ნუ ჩათვლი, რომ მოესწრები საღამოს. სანამ ჯანმრთელი ხარ, იფიქრე ავადმყოფობაზე, სანამ ცოცხალი ხარ, იფიქრე — სიკვდილზე.“[12]

ცხოვრების განვლა-გაელვება მსგავსია გაზაფხულის წვიმისა, რომელსაც მივყავართ ჭეშმარიტ არსებობამდე. ალლაჰის შუამავალი ასე მოუწოდებდა:

„ო, ჩემო ღმერთო, ჭეშმარიტი ცხოვრება მხოლოდ იმქვეყნადაა.“[13]

ამ ღვთაებრივი საიდუმლოს კეთილშობილი მიმდევრების მიერ ღრმად წვდომაზე მოწმობს მრავალი მაგალითი მათი ცხოვრებიდან.

როცა ჰუბაიბი წარმართებს ტყვედ ჩაუვარდა, მისი საბოლოო ამქვეყნიური სურვილი იყო, სიყვარულით სავსე „სალამი“ გადაეცათ ალლაჰის შუამავლისათვის. მწუხარე თვალები ცად აღაპყრო ჰუბაიბმა და წარმოთქვა:

„ო, ალლაჰ! აქ არავინაა, ვინც შეძლებდა ჩემი უკანასკნელი „სალამის“ შუამავლისთვის გადაცემას. ის მას შენ მიუტანე!“

---

11. ბუჰარი რიყაყი 3.

12. ბუჰარი რიყაყი 3.

13. ბუჰარი რიყაყი 1.

ზუსტად იმ დროს, ალლაჰის შუამავალი მედინაში თავის მიმდევრებს შორის იჯდა, მიიღო რა გზავნილი ასე ბრძანა:

— ალლაჰის „სალამი“ მასზეც იყოს

მიმდევრებმა ჰკითხეს:

— ალლაჰის შუამავალო! ვის მისალმებას უპასუხე?

— ჩვენი ძმის – ჰუბაიბის „სალამს!“

შემდგომ, ალლაჰის შუამავალი იხსენებდა ფრიად პატივცემულ ჰუბაიბს, როგორც „შეჰიდების ბელადს“ და ასკვნიდა, რომ:

„ის იქნება ჩემი მეზობელი სამოთხეში!“

აი, მაღალი სიყვარულისა და თავგანწირვის კიდევ ერთი მაგალითი:

უჰუდის ბრძოლის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა, დაედგინათ ყველა დაღუპულისა და დაჭრილის ვინაობა. მას განსაკუთრებით აინტერესებდა სად ბინ რაბის ბედი.

მის მოსაძებნად ალლაჰის შუამავალმა ბრძოლის ველზე ერთ-ერთი საჰაბე გააგზავნა. მაგრამ ის ვერ იპოვა და მაშინ, გვამებით მოფენილი მინდვრისაკენ მიბრუნებულმა, უკანასკნელი იმედით შესძახა:

„ეი, სად! მე ალლაჰის შუამავალმა გამომაგზავნა. მან მიბრძანა მოვახსენო, შენ მკვდართა შორის ხარ, თუ ცოცხალთა შორის.“

თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთების ამთვლელმა სადმა როცა გაიგონა, რომ მისი ბედით ალლაჰის შუამავალი დაინტერესებულა უკანასკნელი ღონე მოიკრიფა და წარმოთქვა:

„მე უკვე მკვდართა შორის ვარ!“; რადგან ის ნეტარებდა უკვე სხვა სამყაროთი.

მასთან მიირბინა რა მიმდევარმა, ნახა ის ხმლით აჩეხილი და სისხლისაგან დაცლილი. მან მისი უკანასკნელი სიტყვებიც გაიგონა:

„ვფიცავ! სანამ თვალში შუქი გიდგათ, თუკი მანამდე შუამავალს არ დაიცავთ და მას რაიმე უბედურება შეემთხვევა, ალლაჰის წინაშე თავს ვერაფრით გაიმართლებთ “

სად ბინ რაბის ეს უკანასკნელი სიტყვები მთელი ჯამაათისათვის ანდერძად და ამავე დროს წუთისოფელთან გამოსათხოვარ სიტყვებად იქცა.

პატივცემული ჰუზიფეს მიერ გადმოცემული შემთხვევა გვიჩვენებს, რომ საჰაბეებს სიკვდილის ზღურბლზეც კი შეეძლოთ შეენარჩუნებინათ მაღალი სულიერი ძალა.

„ეს იყო იერმუქის ბრძოლის დროს. ცხარე ბრძოლა უკან დარჩა, ხოლო მახვილით და შუბით დაჭრილი მუსლიმანები, გახურებულ ქვიშაზე მწოლიარენი, კვდებოდნენ. მოვიკრიბე უკანასკნელი ძალა და გავემართე ჩემი ბიძაშვილის მოსაძებნად, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილი, სიკვდილის აგონიაში ჩავარდნილი ვიპოვე. სისხლისაგან დაცლილს უკვე ლაპარაკი აღარ შეეძლო და მხოლოდ მოჭუტული თვალები მოწმობდა იმაზე, რომ

ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მე წყლიანი ტიკი ვაჩვენე და ვკითხე:

— წყალი გინდა?

რა თქმა უნდა, მას სურდა დალევა, მას ხომ ტუჩებიც დაჰხეთქოდა წყურვილისაგან. მაგრამ საპასუხო ძალა აღარ ჰქონდა.

მე ჭურჭელი პირთან მივუტანე, მაგრამ სწორედ ამ დროს მოისმა იქრიმეს ხმა:

— წყალი, წყალი!... ღვთის გულისთვის წყალი!... ამ სიტყვების გაგონებისას, ჩემმა ბიძაშვილმა წყლის მიღებაზე უარი თქვა და თვალებისა და წარბების მოძრაობით მანიშნა იქრიმესაკენ. შეჰიდებს შორის გარბენის შემდეგ (რომლებიც იწვნენ გახურებულ ქვიშაზე) მივუახლოვდი იქრიმეს და მას ტიკი გავუწოდე, მაგრამ იქრიმემ ყლუპის გაკეთებაც ვერ მოასწრო, როცა ეხლა იაშის კვნესა მოისმა: -მომეცით, ვინმემ წყალი! ალლაჰის გულისათვის, წყალი!...

იქრიმემ ხელები ჭურჭელს მოაშორა და იაშესთან გამგზავნა; ჰარისის მსგავსად, წყალი თავადაც არ დალია.

როცა შეჰიდების სხეულებს გავეცალე და იაშთან მივირბინე, მისი უკანასკნელი სიტყვები გავიგონე:

— ღმერთო ჩემო! ჩვენ არ ვიშურებდით არაფერს რწმენის გზაზე. დაგვიმოწმე ეს ყოველივე ზემოდან, ო, ღმერთო, გვაპატიე ჩვენი ცოდვები!

უკვე ცხადი იყო, რომ იაში შეჰიდის შარბათს (შაქარწყალი) იგემებდა. მან დაინახა წყალი, რომლითაც

მე მივირბინე, მაგრამ წყურვილის მოკვლის დრო აღარ რჩებოდა... მხოლოდ ქელიმეი შეჰადეთის წარმოთქმა მოასწრო.

მაშინ მთელი ძალით უკან გავიქეცი, მოვნახე იქრიმა და გავუწოდე ტიკი. მაგრამ აი, რას ვხედავ, ისიც შეჰიდი გამხდარა! ერთადერთი ჩემი სურვილი იყო, მომესწრო წყლის მიტანა ბიძაშვილთან. მივირბინე რა მასთან, ვნახე, რომ ისიც გახურებულ ქვიშაზე გამომშვიდობებოდა სიცოცხლეს... რა სავალალოა, რომ სამი შეჰიდის სხეულის გვერდით ხელშეუხებელი წყლის ტიკი იდგა."

მოგვიანებით, თავისი სულიერი განცდების შესახებ ჰუზეიფა წერდა:

„მე ბევრი რამ მინახავს ცხოვრებაში, მაგრამ არაფერს ისე არ გავუკვირვებივარ, როგორც ამ შემთხვევას. მათ მსხვერპლად გაიღეს საკუთარი თავი, რადგან იმდენად კეთილგანწყობილნი იყვნენ ერთმანეთისადმი, რომ საკუთარი საქციელით აიათის იდეა „... **არ მოკვდეთ სხვად, მხოლოდ მუსლიმად აღესრულეთ...**"(ალი-იმრან/102). განახორციელეს და ეს ჰუზაიფასთვის რწმენის დიდ მაგალითად იქცა, მეხსიერებაში კი წარუშლელი კვალი დატოვა.

დაე, უზენაესმა ალლაჰმა გვიქციოს თითოეულ ჩვენგანს უკანასკნელი ამოსუნთქვა სიცოცხლის მშვენიერ დასასრულად. დაე, ამ ცხოვრების უკანასკნელი ამოსუნთქვა მარადიული ბედნიერების პირველწყაროდ იქცეს!

ამინ!

უკანასკნელი ამოსუნთქვა

2

ცხოვრების არსია იყო ალლაჰის ჭეშმარიტი მონა-მსახური და ამქვეყნიდან წასვლისას სული მხოლოდ მუსლიმად განუტევო. უზენაესი ალლაჰის სურვილია, ღრმა განცდითა და სულიერებით აიღო ცოდნის საკუთარი წილი გამოჩენილთა ყოფიდან, რომლითაც სავსეა ალლაჰის შუამავლის ცხოვრება.

უკანასკნელი ამოსუნთქვა – 2

ცხოვრების ისე გატარებისათვის, როგორიც ალლაჰის მონა-მსახურს შეჰფერის, აუცილებელია, ყოველი შენი ამოსუნთქვით მზად იყო უკანასკნელი ამოსუნთქვისა და ამქვეყნიდან წასვლისათვის. სხვაგვარად თუ ვიტყვით, რომ დაიმსახურო ბედნიერება მომავალ ცხოვრებაში, საჭიროა, შენი ამქვეყნიური ცხოვრება გაილამაზო კეთილშობილური ქმედებებით, სიკეთით, სიბრძნით, მშვიდობისმყოფელობითა და ალლაჰის მიმართ მსახურებით. კეთილშობილ ჰადისში ხომ ნათქვამია:

,,ადამიანი კვდება იმ მდგომარეობით, რომელშიც ცხოვრობდა და გაცოცხლდება იმავე მდგომარეობით, რომელშიც მოკვდა.“[14]

ამის დამადასტურებელი ურიცხვი მაგალითი არსებობს. აი, ერთი დამრიგებლური და გასათვალისწინებელი ისტორია:

ადაფაზარის ერთ-ერთი მეჩეთის მუეზზინი, დაამთავრა რა შუადღის ნამაზის ლოცვა, ველოსიპედით გაემგზავრა სოჰბეთზე (საუბარი სულიერების თემაზე), აწ განსვენებულ შეიხ-მუსა ეფენდისთან. ის გზაჯვარედინზე მწვანე შუქზე გადადიოდა, როდესაც წითელზე გაუჩერებელმა ავტომობილმა გაიტანა. მუეზზინი დარტყმისგან

14. მუნავი, ფაიზულ-ყადირი შერხულ-ჯამისი-საღირი, V, 663.

გადაფრინდა და გზის სავალ ნაწილზე დაეცა. ხალხმა, რომლებმაც მასთან მიირბინა, გაიგონა მისი უკანასკნელი სიტყვები:

„ღმერთო ჩემო! მე შენთან მოვდივარ!...“

ჩვენი ცხოვრების არსიც იმაშია, რომ ის ალლაჰისაკენ სიხარულით სწრაფვაში გავატაროთ და უკანასკნელ წუთს შევძლოთ წარმოთქმა: „ჩემო ალლაჰო, მე შენთან მოვდივარ!...“ დაე, ყოვლისშემძლე ალლაჰმა თითოეულ ჩვენგანს გვარგუნოს ეს ბედნიერება, ამინ!

უძველესი სიბრძნე მოგვითხრობს:

„წყლის დოქი ტყდება გზად, მის მოსატანად მიმავალის ხელში...“ და ეს ანდაზა არაერთმნიშნელოვანია. ე.ი. ადამიანის სული ცხოვრებაში რითაც საზრდოობდა, იმითვე ისაზრდოვებს სიკვდილის მომენტშიც.

რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისიც. ე.ი. არც ერთი მონა-მსახური (როგორც არ უნდა ეცადოს თავისი ცხოვრების კეთილი ქმედებებით შევსებას) არ უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ ის შეწყალებული იქნება ალლაჰის მიერ. ასევე, არც ერთმა მონა-მსახურმა, ვინც ცოდვითა და საეჭვო ცხოვრებით იარსება, არ უნდა დაკარგოს ალლაჰის შეწყალების იმედი. თუ როგორი იქნება ადამიანის უკანასკნელი ამოსუნთქვა, ეს მხოლოდ ალლაჰმა იცის.

ყურანში, გამოჩენილ პიროვნებათა დახასიათებასთან ერთად, მოთხრობილია იმათზეც, ვინც თავდაპირველად ჭეშმარიტების გზას დაადგა, შემდგომ კი ურწმუნოებაში ჩავარდა და ამავე მდგომარეობაში აღესრულა. ვინც ვერ მოახერხა ცოდნა მართებულად გამოეყენებინა იმან

იბლისის (სატანა), ყარუნის, ბალამ ბინ ბაურას და თვით ალლაჰის შუამავლის ზოგიერთი მიმდევრების ბედი გაიზიარა.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად იბლისს ყოვლადძლიერის სამფლობელოში მაღალი ადგილი ეჭირა. მაგრამ სიამაყის გამო ის არ დაემორჩილა უზენაესს და არ დაფიქრდა მის ძლიერებასა და აღმატებულებაზე. მან საკუთარი თავი ადამზე მაღლა დააყენა. ამრიგად მან არ შეისმინა თავისი ღვთის ბრძანება და საკუთარი სიამაყითა და სიჯიუტის წყალობით მუდმივ დევნილად იქცა.

ყარუნი კი თავდაპირველად ღარიბი და ღვთისმოშიში ადამიანი იყო. შუამავალ მუსას შემდეგ არავის შეეძლო ისე კარგად თევრათის (თორა) ახსნა, როგორც მას. სწორედ შუამავალ მუსას ლოცვა-ვედრებით ებოძა მას ალქიმიის ცოდნა. მაგრამ მისი გული ეშმაკის ძალაუფლებითა და საკუთარი სისუსტით დაიპყრო ამქვეყნიურ საუნჯეთა შეძენის წყურვილმა. მან იმდენი სიმდიდრე დააგროვა, რომ საგანძურთა გასაღებები ძალოსანთა მთელ რაზმს ძლივს გადაჰქონდა. რაკი ყარუნი საკუთარი პატივმოყვარეობისა და ამქვეყნის სიყვარულის დათმობას არ აპირებდა, ის თანდათანობით მაღალორგანიზებულ ტირანად გადაიქცა. როცა მუსამ მას ზექათის გადახდის შესახებ შეახსენა, მან მკვახედ და ბრაზით უპასუხა:

„ნუთუ შენ ჩემი სიმდიდრე შეგშურდა? ეს ყველაფერი მე თვითონ გამოვიმუშავე!...“ სინამდვილეში სწორედ ქონება გახდა მისი დაღუპვის მიზეზი.

ყარუნი იქამდე გადიდგულდა, რომ პრეტენზიები ჰქონდა სულიერი დამრიგებლის ადგილზე, რაც მუსა და ჰარუნ შუამავლებს ეკუთვნოდათ. და როცა ის ცრუ

ბრალდებებით გადასცდა განსაზღვრულ ზღვარს, თავისი საუნჯეებითურთ დედამიწის მიერ ჩაიყლაპა.

ის, ვინც დაივიწყებს იმას, რომ ყველა სიკეთის მომცემი უზენაესი ალლაჰია, ნებას აძლევს საკუთარ გულს, რომ ქონების სიყვარულს დაემონოს და უმკაცრეს უმეცრებაში ჩაეფლოს.

ის ადამიანი, ვისაც უზენაესმა ალლაჰმა ასწავლა თავისი დიდებული სახელი, იყო ბალამ ბინ ბაურა. ის უზენაესისვე მადლით საოცრებებს აკეთებდა. ისრაელში მან მეცნიერისა და ღმერთთან დაახლოებული ადამიანის სახელით იმსახურა, მაგრამ ვერ მოახერხა რა საკუთარი ვნებების დაძლევა, თანდათანობით, დაკარგა სულიერება და მოკვდა როგორც ურწმუნო. ეს ისტორია ყურანში ასეა აღწერილი:

ﭐﭑﭒﭓﭔﭕﭖﭗﭘﭙﭚﭛﭜﭝﭞﭟﭠﭡﭢﭣﭤﭥﭦﭧﭨﭩﭪﭫﭬﭭﭮﭯﭰﭱﭲﭳﭴﭵﭶﭷﭸﭹﭺﭻﭼﭽﭾﭿﮀﮁﮂﮃﮄﮅﮆﮇﮈﮉﮊﮋﮌﮍﮎﮏﮐﮑﮒﮓﮔﮕﮖﮗﮘﮙﮚﮛﮜﮝﮞﮟﮠﮡﮢﮣﮤﮥﮦﮧﮨﮩﮪﮫﮬﮭﮮﮯﮰﮱﯓﯔﯕﯖﯗﯘﯙﯚﯛﯜﯝﯞﯟﯠﯡﯢﯣﯤﯥﯦﯧﯨﯩﯪﯫﯬﯭﯮﯯﯰﯱﯲﯳﯴﯵﯶﯷﯸﯹﯺﯻﯼﯽﯾﯿﰀﰁﰂﰃﰄﰅﰆﰇﰈﰉﰊﰋﰌﰍﰎﰏﰐﰑﰒﰓﰔﰕﰖﰗﰘﰙﰚﰛﰜﰝﰞﰟﰠﰡﰢﰣﰤﰥﰦﰧﰨﰩﰪﰫﰬﰭﰮﰯﰰﰱﰲﰳﰴﰵﰶﰷﰸﰹﰺﰻﰼﰽﰾﰿﱀﱁﱂﱃﱄﱅﱆﱇﱈﱉﱊﱋﱌﱍﱎﱏﱐﱑﱒﱓﱔﱕﱖﱗﱘﱙﱚﱛﱜﱝﱞﱟﱠﱡﱢﱣﱤﱥﱦﱧﱨﱩﱪﱫﱬﱭﱮﱯﱰﱱﱲﱳﱴﱵﱶﱷﱸﱹﱺﱻﱼﱽﱾﱿﲀﲁﲂﲃﲄﲅﲆﲇﲈﲉﲊﲋﲌﲍﲎﲏﲐﲑﲒﲓﲔﲕﲖﲗﲘﲙﲚﲛﲜﲝﲞﲟﲠﲡﲢﲣﲤﲥﲦﲧﲨﲩﲪﲫﲬﲭﲮﲯﲰﲱﲲﲳﲴﲵﲶﲷﲸﲹﲺﲻﲼﲽﲾﲿﳀﳁﳂﳃﳄﳅﳆﳇﳈﳉﳊﳋﳌﳍﳎﳏﳐﳑﳒﳓﳔﳕﳖﳗﳘﳙﳚﳛﳜﳝﳞﳟﳠﳡﳢﳣﳤﳥﳦﳧﳨﳩﳪﳫﳬﳭﳮﳯﳰﳱﳲﳳﳴﳵﳶﳷﳸﳹﳺﳻﳼﳽﳾﳿﴀﴁﴂﴃﴄﴅﴆﴇﴈﴉﴊﴋﴌﴍﴎﴏﴐﴑﴒﴓﴔﴕﴖﴗﴘﴙﴚﴛﴜﴝﴞﴟﴠﴡﴢﴣﴤﴥﴦﴧﴨﴩﴪﴫﴬﴭﴮﴯﴰﴱﴲﴳﴴﴵﴶﴷﴸﴹﴺﴻﴼﴽﵐﵑﵒﵓﵔﵕﵖﵗﵘﵙﵚﵛﵜﵝﵞﵟﵠﵡﵢﵣﵤﵥﵦﵧﵨﵩﵪﵫﵬﵭﵮﵯﵰﵱﵲﵳﵴﵵﵶﵷﵸﵹﵺﵻﵼﵽﵾﵿﶀﶁﶂﶃﶄﶅﶆﶇﶈﶉﶊﶋﶌﶍﶎﶏ﶐﶑ﶒﶓﶔﶕﶖﶗﶘﶙﶚﶛﶜﶝﶞﶟﶠﶡﶢﶣﶤﶥﶦﶧﶨﶩﶪﶫﶬﶭﶮﶯﶰﶱﶲﶳﶴﶵﶶﶷﶸﶹﶺﶻﶼﶽﶾﶿﷀﷁﷂﷃﷄﷅﷆﷇ﷈﷉﷊﷋﷌﷍﷎﷏﷐﷑﷒﷓﷔﷕﷖﷗﷘﷙﷚﷛﷜﷝﷞﷟﷠﷡﷢﷣﷤﷥﷦﷧﷨﷩﷪﷫﷬﷭﷮﷯ﷰﷱﷲﷳﷴﷵﷶﷷﷸﷹﷺﷻ

„(მუჰამმედ) და მათ წაუკითხე ამბავი იმის შესახებ, რომელსაც ვუბოძეთ ჩვენი აიათები, მერე გაემიჯნა იგი მას, და მიიყოლა ეშმაკმა, ამრიგად იქცა გაუგონართაგან. და რომ გვენება, ჩვენ ამით ავამაღლებდით მას, მაგრამ იგი გატაცებული იყო დედამიწით და აჰყვა თავის

ვნებებს. ხოლო მდგომარეობა მისი ძაღლის მდგომარეობას ჰგავს, რომელსაც თუ დაესხმები, ენას გამოყოფს და როცა გაეცლები, მაშინაც ენას გამოყოფს. ესაა მაგალითი ხალხისა, რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები. დროა უკვე უამბო ეს ამბავი, ეგების დაფიქრდნენ ეგენი!"[15]

სალებე რომელიც ცხოვრობდა ასრ-საადათის (წმინდა შუამავლის პერიოდი) ეპოქაში, მაგალითია იმის თუ როგორ ცდუნდა ნეტარი რწმენის მფლობელი წარმავალი ცხოვრების ბრწყინვალეებით და მარადიული ბედნიერება მუდმივ უბედურებაზე გაცვალა. თავდაპირველად, ის მუდმივად მეჩეთში იყო და არ ტოვებდა ალლაჰის შუამავლის არცერთ ქადაგებას. როცა გამდიდრდა, მეჩეთში იშვიათად დადიოდა, ხოლო შემდეგ სრულებით გაქრა. როცა ზექათის ამკრებები მასთან მივიდნენ, გადახდაზე უარი უთხრა. სალებემ არ შეასრულა ის პირობა, რომელიც ალლაჰის შუამავალს მისცა და სიკვდილის ჟამს მწუხარებითა და სინანულით ისმენდა მის გონებაში გაცოცხლებულ შუამავლის სიტყვებს.

„ო, სალებე, მცირე ქონება, რომლისთვისაც ღმერთს მადლობას გადაუხდი, უკეთესია იმ უხვ ქონებაზე, რომლისთვისაც ალლაჰს მადლობას ვეღარ უხდი."[16]

თასავვუფის გამოჩენილ მიმდევარ სუფიან სევრიზე კი ასეთ დამრიგებლურ ისტორიას ყვებოდნენ:

15. არაფი 7/175-176.

16. იხ. ტაბარი, თეფსირი, XIV, 370-372; იბნ ქესირი, თეფსირი, II, 388.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ფრიად პატივცემული სუფიან სევრი წელში მოიხარა. მას, ვინც ამის მიზეზს ეკითხებოდა, სუფიან სევრი ასე მიუგებდა:

„მე მყავდა მასწავლებელი, ვისგანაც ვიღებდი ცოდნას. ჩემი ყოველგვარი ცდის მიუხედავად, მან სიკვდილისას ვერ შეძლო წარმოეთქვა ქელიმეი თევჰიდი, რაც ჩემი დიდი მწუხარებისა და წელში მოხრის საბაბი გახდა.“

საჭიროებისამებრ, არავინ იცის, როგორი იქნება მისი დასასრული. არიან ცხოვრებაში, ფარაონის მსგავსად, ცრურწმენით შეპყრობილები და გზააბნეულები; არიან ყარუნისა და ბალამ ბინ ბაურის მსგავსნიც, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების წიგნები დიდად დაზარალებულებმა დახურეს. როგორც ირკვევა, მონა-მსახური რაც უნდა დიდი სულიერების მატარებელი იყოს, ცდუნება და ეშმაკი ყველგან ჩასაფრებულია, რათა ყოველი ხელსაყრელი შემთხვევა გამოიყენოს მორწმუნის ჭეშმარიტი გზიდან გადასაყვანად. წმინდა ყურანში ნათქვამია, რომ ეშმაკი უზენაეს ალლაჰს შეჰპირდა:

„(იბლისმა) **მიუგო: რაკი ჩემი გზიდან გადაცდენა ინებე, უთუოდ, ჩავუსაფრდები მე მათ შენს სწორ გზაზედ;**“[17] და სთხოვა ვადის გახანგრძლივება განკითხვის დღემდე. რადგანაც ადამიანი ღვთის მიერ ამ ხერხით გამოიცდება, სატანამ სასურველი მიიღო.

მისი ზეგავლენისგან გათავისუფლებას მხოლოდ ალლაჰის ჭეშმარიტი მონა-მსახურები შეძლებენ რასაც თვითონვე აღიარებს :

17. არაფი 7/16

„გარდა შენს მსახურთა, რომელნიც გულწრფელნი არიან მათგან.“[18]

შუამავლების გარდა, არც ერთი ადამიანი არაა დაცული ჭეშმარიტების გზიდან გადახვევისაგან. ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს მისთვის ნაჩუქარი სიცოცხლის ფასი. სიკვდილის გამყინავი საშინელებისაგან განთავისუფლება მხოლოდ უმწიკვლო ცხოვრებით შეიძლება. ამიტომ ვინც მზადაა სიკვდილთან შესახვედრად, ის არ განიცდის შიშს მის წინაშე, არამედ მასში მარადისობისაკენ გადადგმულ ნაბიჯს ხედავს. ეს ის ბედნიერი, სიმშვიდე მოპოვებული მსახურები არიან, ვისაც სიკვდილის გალამაზებაც ხელეწიფებათ. მაგრამ ისინი, ვინც ამქვეყნიური ცხოვრება უდარდელობაში გაატარეს და მარადიულ სიცოცხლე ვერ დაიმსახურეს, ვერასდროს ჩამოიშორებენ ცივი, ბნელი და საშინელი სიკვდილის აჩრდილს. რა ლამაზად თქვა მევლანა ჯალალედინი რუმიმ:

„შვილო, ყოველი ადამიანის სიკვდილი თავისებურად კოლორიტულია. მათ, ვინც არ იციან, რომ სიკვდილი ადამიანს ალლაჰთან აკავშირებს, ეშინიათ მისი და სძულთ. სიკვდილის მიმართ მტრულად განწყობილს ის წყეულ მტრად მოეჩვენება, ხოლო სიყვარულით განწყობილს — მეგობრად.“

„ო, სულო, სიკვდილისაგან შეშინებულო! თუკი გსურს იცოდე სიმართლე, შენ არა სიკვდილის, არამედ საკუთარი თავის გეშინია.“

18. სადი 38/83.

„რადგან, ის რასაც შენ სიკვდილის სარკეში ხედავ და ასე მწარედ გეშინია, ეს სიკვდილის გამოსახულება კი არა, შენი საზიზღარი სახეა. შენი სული მსგავსია ხისა, ხოლო სიკვდილი-ფოთლებისა. ყოველი ფოთოლი იმ ხეს შეესაბამება, რომელზეც ის იზრდება...“

ასევე, ის მონა-მსახურები, რომლებმაც შეიცნეს საკუთარი „მე“ და სულის სისუფთავით ანგელოზების თვისებებს მიაღწიეს, მიხვდებიან, რომ სიკვდილი არის პირველი ნაბიჯი ალლაჰთან მისაღწევად. ასე, რომ სიკვდილის შიში ამ ხალხს „ყველაზე საუკეთესო მეგობართან შეხვედრის“ ბედნიერებად გადაექცევათ.

ალლაჰის შუამავალმა სწორედ სიკვდილთან მომავალი შეხვედრის სიხარულით გაატარა თავისი უკანასკნელი საათები. მან მთელი თავისი სიცოცხლე ალლაჰისადმი მოწიწებულ სამსახურში გაატარა და სიკვდილის წინ წამი „ქორწინების პირველი ღამის ბედნიერებად“ გადაიქცია.

აიშე და ალი (რ.ა.) გადმოგვცემენ, რომ გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, ჯებრაილ ანგელოზმა ალლაჰის შუამავალი მოინახულა და მისი მდგომარეობა შეიტყო. სიკვდილის დღეს მასთან სიკვდილის ანგელოზი აზრაილიც ჩამოვიდა.

შუამავალმა ბრძანა:

— *ალლაჰს ხომ საუკეთესო მუდმივად თან ჰყავს. ო, სიკვდილის ანგელოზო! შეასრულე ის, რისთვისაც დედამიწაზე ჩამოხვედი! განმაშორე ჩემი სული!*

შუამავალმა ორივე ხელი წყლიან ჭურჭელში ჩააწყო, სახე მოიწმინდა და წარმოთქვა:

— *ლა ილაჰე ილლელლაჰ! ჭეშმარიტად, სიკვდილი ახშობს და აბნელებს გონებას!* შემდეგ მან ხელები აღაპყრო და მზერა ჭერს მიაპყრო:

— *ო, ჩემო ალლაჰო! რაფიყი-ალია, რაფიყი-ალია (უდიდებულესი მეგობარი)!...* — ამ სიტყვებით დაასრულა მან ალლაჰისაკენ სწრაფვით და სიყვარულით აღსავსე ცხოვრება და წარმავალი ქვეყნიდან მარადიულ სამყაროში გადაბარგდა.[19]

ალლაჰის მონა-მსახურს, ფრიად პატივცემულ მევლენას (რომელმაც ცხოვრება ღრმა სულიერებით გაატარა) მომავალი შეხვედრის სასიხარულო განცდაზე გვიყვება მისი მოწაფე ჰუსამედდინ ჩელები:

„ერთხელ, შეიხი სადრედდინი რამდენიმე მოწაფესთან ერთად ავადმყოფი მევლანას მოსანახულებლად წავიდა. მისი მდგომარეობის მხილველები დაღონდნენ. შეიხმა სადრედდინმა მას უსურვა:

— დაე, ალლაჰმა უახლოეს მომავალში გამოგაჯანმრთელოს! ამ სურვილზე მევლანამ უპასუხა:

— დაე, ჯანმრთელი კეთილდღეობა თქვენ მოგეცეთ! ჩემს სასურველ ადგილზე გადაბარგებამდე ცოტაღა დარჩა.“[20]

---

19. იხ. იბნ სადი, თაბაყათი, II, 229, 259, ; ბელაზური, ანსაბუ ლ-ეშრაფი, I, 565; აჰმადი ბინ ჰანბალი, VI, 89.

20. იხ. აბუ ლჰასან ენ-ნადავი, ისლამის წინამძროლთა ისტორია, I, 449.

მევლანა სიკვდილის შიშს არ განიცდიდა, ამიტომ მასში ამაზრზენსა და საშინელს ვერ ხედავდა (რაც დამახასიათებელია ადამიანების უმრავლესობისათვის). პირიქით, მისთვის საშიში უზენაეს ალლაჰთან შორს ყოფნა იყო. თავის რობაიებში ის ამბობდა:

„როცა მე მოვკვდები, ნუ იტყვით, რომ მე მოვკვდი. მე ხომ მკვდარი ვიყავი და სიკვდილით აღვდექი. აქედან მხოლოდ მეგობარმა წამიყვანა...“

ამიტომ ფრიად პატივცემული მევლანა სიცოცხლესთან გამომშვიდობების ღამეს, „შები არუზს“ ანუ „ქორწინების პირველ ღამეს“ უწოდებდა.

უეჭველია, მევლანა, იუნუს ემრე, აზიზ მაჰმუდ ჰუდაი და მრავალი მათი მსგავსი ალლაჰის საყვარელი მსახურები სულიერი ცოდნითა და სიყვარულით აგრძელებენ იმქვეყნურ ცხოვრებას. ქვემოთ მოცემულ ლექსებში ჟღერს სულიერი სიმშვიდის ეს წყნარი მელოდია:

სიკვდილი — მდუმარე გაზაფხულის ქვეყანა,

უხრწნელი სული დანავარდობს და გუნდრუკს

აკმევს მასში...

კიპარისების მდუმარე ჩრდილში მყოფ საფლავებზე

განთიადისას იშლება ვარდი,

დაღამებისას მღერის ბულბული...

იაჰია ქემალი

ასევე, მშვიდად რომ შევხვდეთ სიკვდილს, უნდა განვერიდოთ სიამაყესა და სიავეს, ცხოვრებაში ღვთაებრივი გზით უნდა ვიაროთ და უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის მოვემზადოთ. ალლაჰი წმინდა აიათში გვიბრძანებს:

ćkÖęöá Öęćüą ąęǵ Öąę ÆęßąęŞ

„თაყვანი ეცი შენს ღმერთს, ვიდრე არ აღესრულები!“[21]

ეს სწორედ ის წესია, რომელიც ყოვლადძლიერ გამჩენთან მიახლოებული თითოეული მონა-მსახურის ცხოვრების არსს გამოხატავს!

საიდუმლო საგანძურებთან და ამაღლებულ სიყვარულთან მიახლოვებული ყოველი სული ცდილობს, ცხოვრება ალლაჰის მიერ ნაბოძები ამანათის სახით მიიღოს, ხოლო შემდეგ წარსდგეს თავისი ალლაჰის წინაშე სუფთა, უმანკო გულით.

ე.ი. ალლაჰის შუამავლის სწრაფვა უკანასკნელი წამისაკენ, გამოხატული სიტყვებით: *„რეფიყი-ალა,“ „რეფიყი-ალა“ (უდიდებულეს მეგობართან, უდიდებულეს მეგობართან!)...* ღვთაებრივ საიდუმლოს ნაზიარებმა მისმა მეგობრებმაც, წარმავალ ცხოვრებაზე გამომშვიდობებისას, ეს სიტყვები გაიმეორეს.

ის, თუ როგორ შეხვდა თავის უკანასკნელ ამოსუნთქვას ღრმად პატივცემული მაჰმუდ სამი ეფენდი, რომელიც ყველაფერში ალლაჰის შუამავლის მაგალითით მოქმედებდა შეიძლება ჩვენთვის მშვენიერ გაკვეთი-

21. ჰიჯრი 15/99.

ლად გამოდგეს. სამი ეფენდი იყო უზენაეს ალლაჰთან დაახლოებული მონა-მსახური. მისი გულიც სავსე იყო შუამავლის სიყვარულით. ისევე, როგორც თოვლზე დატოვებული კვალის მიხედვით შეიძლება მივიდეთ კვალის დამტოვებელთან, სამი ეფენდიც ალლაჰის შუამავლისადმი მიმდევრობით თვით ალლაჰს მიუახლოვდა. მან, შუამავლის სიყვარულითა და ღვთისმოშიშობით გატარებული ცხოვრება თეჰეჯჯუდ ნამაზის ეზნის დროს დაასრულა. მის გვერდით მყოფებმა გაიგონეს მისი უკანასკნელი სიტყვები:

„ალლაჰ, ალლაჰ, ალლაჰ!...“

თუმცა სინამდვილეში ალლაჰს წარმოთქვამდა არა მარტო მისი ენა, არამედ სხეულის ყოველი ნაწილი და სულიც კი. ამრიგად, მთელი ცხოვრება ალლაჰს უნდა ემსახურო და იმქვეყნად პირნათლად წარსდგე. უზენაეს ალლაჰს ხომ სურს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ალლაჰის შუამავლის ცხოვრებიდან მაგალითი აიღოს და იქცეს მის დახვეწილ, ფიქრიან, დელიკატურ, ფხიზელ მონა-მსახურად. მხოლოდ ისინი მიიჩნევიან, ალლაჰის მიხედვით, მოწიწების ღირსად ვინც მთელი სულით, მხურვალედ იღვაწა გამჩენისადმი: „რა მშვენიერია ეს მონა-მსახური ამბობს ალლაჰი!“ იმისათვის, რომ ღვთაებრივმა სიყვარულმა გაიმარჯვოს, სული უნდა გაიწმინდოს ჭუჭყისაგან და მასში აენთოს ჭეშმარიტების შუქი... და ამგვარი მდგომარეობა ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვის წინაპირობა იქნება. მეორე მხრივ, სულიერების ნებისმიერი გამოვლინების დაკარგვაც ალლაჰის დავიწყებითაა განპირობებული. წმინდა აიათში ნაბრძანებია:

﴿وَلَا تَكُونُوا كَالَّذِينَ نَسُوا اللَّهَ فَأَنسَاهُمْ أَنفُسَهُمْ﴾

„და არ იყოთ იმათი მსგავსი, რომელთაც დაივიწყეს ალლაჰი, და დაავიწყა (ალლაჰმა) **თავიანთი თავი. სწორედ, რომ ისინი არიან გზასაცდენილნი.“**[22]

ყველა ცოდვა იმ მომენტიდან იწყება, როცა ჩვენ ალლაჰს ვივიწყებთ. „ალლაჰის“ წარმომთქმელი და სიკვდილის გარდაუვლობაზე დაფიქრებული ხომ მისაბაძი ყოფაქცევისა და ფაქიზი სულის მქონეა. ე.ი. ის არავის მიაყენებს მცირე ზიანსაც კი, არც თავისი სიტყვითა და არც საქმით.

ყოვლადძლიერი ალლაჰი არაერთხელ ამბობს წმინდა ყურანში, თუ რა არის იმისათვის საჭირო, რომ ჩვენი ცხოვრება მარცხით არ დამთავრდეს და რა ძალით უნდა აღეგზნოს ჩვენი გული და სული, ამიტომ, ვეცადოთ ვიცხოვროთ ისე, როგორც წმინდა აიათი მიგვითითებს:

﴿يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا اتَّقُوا اللَّهَ وَلْتَنظُرْ نَفْسٌ مَّا قَدَّمَتْ لِغَدٍ﴾

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭეშმარიტი ღვთისმოშიშებით გეშინოდეთ ალლაჰისა, და ისე არ ჩაababaროთ სული, მუსლიმად არ აღესრულოთ!“[23]

წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ხანგრძლივ და არც ხანმოკლე ცხოვრებას ფასი არ ექნება. ნებისმიერი სი-

22. ჰაშრი 59/19.

23. ალი-იმრანი 3/102.

ცოცხლის დაბადების გამო არსებობს ღვთაებრივი განმარტება:

[illegible]

„როცა იხილავენ იმ (წარღვნის) დღეს, მოეჩვენებათ თითქოსდა ერთი საღამო ან ერთი დილა დაჰყვეს!“[24]

ამასთან დაკავშირებით, რამდენად მნიშვნელოვანია ჯუნაიდი ელ-ბაღდადის დარიგება:

„ამქვეყნად გატარებული ერთი საათი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განკითხვის დღის ათასი წელიწადი, რადგან განკითხვის დღის შემდეგ ადამიანი ისეთს ვეღარაფერს მოიმოქმედებს, რაც მას ჯოჯოხეთისგან გადაარჩენს.“

დრო, რომელიც მოცემული გვაქვს, ბედნიერი შესაძლებლობაა იმ ქმედებების შესასრულებლად, როგორიცაა: მონა-მსახურება, თაყვანისცემა და მორჩილება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰაჯობა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა უკანასკნელი ამოსუნთქვისთვის მზადება; ჰაჯობის ყველა ეტაპი სიკვდილისა და აღდგომის ანალოგიურია. იჰრამი, რითაც იმოსება ყველა ჰაჯი, მსგავსია ქეფინესა (თეთრი მატერია, რომელშიც ახვევენ გარდაცვალებულს) ...არაფატი, ესაა ადგილი მონანიებისა და სასოებისათვის... ეშმაკზე ქვების დაშენა, ესაა განთავისუფლება ამქვეყნიური მისწრაფებებისა და ვნებებისგან. დიდი ძალა და ენერგიაა საჭირო, ჩვენი ცდუ-

24. ნაზიათი 79/46.

ნებისა და დამღუპველი სურვილების აღსაკვეთად, და თუკი ყოველ ამ გამოცდას წარმატებით გავივლით, ახალშობილი ბავშვის სისუფთავით წარვდგებით ალლაჰთან... ეს სიცოცხლესთან ჩვენი გამომშვიდობების ხანმოკლე რეპეტიციაა. დაე, უზენაესმა ალლაჰმა გვარგუნოს ჩვენ ჰაჯობის ზედმიწევნით შესრულების შესაძლებლობა.

„ო, ღმერთო! გვარგუნე ყველას ხვედრი, რათა სიცოცხლე სულიერი ცოდნით ავსილებმა გავატაროთ, და ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვა გახდეს მიზეზი სასურველი და აღმაფრთოვანებელი შეხვედრისა!

ამინ!

უკანასკნელი ამოსუნთქვა

3

ჭეშმარიტად, უკანასკნელი ამოსუნთქვა მსგავსია სუფთა სარკისა. ყოველი ადამიანი ამ სარკეში თავის განვლილ ცხოვრებას მთელი თავისი სიცხადით იხილავს. იმ წამს მის თვალებსა და ყურებს გულგრილობისა და უდარდელობის ფარდა ჩამოეხსნება. გონება და სინდისი კი სხვადასხვა სახის აღიარებისა და სინანულის ატმოსფეროში გადაინაცვლებს. დაე, ჩვენი უკანსკნელი ამოსუნთქვა ნუ იქცევა იმ სარკედ, რომელშიც ჩვენს მიერ განვლილ ცხოვრებას სინანულით ვიხილავთ!

უკანასკნელი ამოსუნთქვა – 3

უკანასკნელი ამოსუნთქვა მსგავსია ნათელი, აუმღვრეველი სარკისა. წინდახედული ადამიანი უკანასკნელი ამოსუნთქვისას გაიაზრებს ყოველივეს. მთელი განვლილი ცხოვრება შინაგანი ხედვით განიჭვრიტება. ამიტომ ადამის შვილთათვის საჭიროა იმის ცოდნა, თუ რას დაინახავენ (მათი ქმედებებიდან გამომდინარე) ისინი სიკვდილის წინ.

წმინდა ყურანის მიხედვით, ალლაჰისადმი დაუმორჩილებული ფარაონი მხოლოდ მაშინ მიხვდა თავის შეცდომას, როცა ღვთაებრივი მრისხანებით წითელი ზღვის მორევში იქნა ჩაგდებული. მან მხოლოდ უკანასკნელ წამს შეიგრძნო მისი ამქვეყნიური ძალაუფლების სიდუხჭირე და უმნიშვნელობა. ის სასოწარკვეთილებასა და დანაკარგის სიმწარეს განიცდიდა. წმინდა აიათში *ნათქვამია:*

„...როცა ფარაონი იხრჩობოდა, თქვა: „ვირწმუნე, უეჭველად, იგი. არ არის ღვთაება, გარდა მისი, რომელიც ირწმუნეს ისრაილის შვილთა. და მეც ერთ-ერთი მუსლიმთაგანი ვარ!“[25]

25. იუნუსი 10/90.

მაგრამ ყველაფერი დასრულდა... წითელი ზღვის წყალში დასახრჩობად განწირულმა ფარაონმა იგრძნო, რომ უნდა ჩასჭიდებოდა რწმენის რგოლს, მაგრამ უზენაესმა ალლაჰმა უთხრა:

„ახლა (ირწმუნე)? მაგრამ ადრე ურწმუნოთაგან ერთ-ერთი იყავი“[26]

ასეთია იმის ხვედრი, ვინც თავს უსაფრთხოდ გრძნობს, როცა მათი საქციელი დაუსჯელი რჩება და ვინც იღვიძებს მხოლოდ მაშინ, როცა მისი წარსული მთელი სიცხადით წარმოუდგება. ესაა დაგვიანებული მონანიება როგორც ირკვევა, მონანიების საბოლოო წამისთვის დატოვება არის უზარმაზარი შეცდომა. ამქვეყნიური ამაოებისადმი მორჩილება, სიკვდილის არსზე დაუფიქრებლობა ნიშნავს მწარე გაურკვევლობაში ყოფნას.

ყოვლისშემძლე ალლაჰი სხვადასხვა წმინდა აიათში ამბობს, რომ ამქვეყნიური ყოფა გამოსაცდელად გვიბოძა ამით მან უდარდელობისა და ჩვენი ჭეშმარიტი მიზნის ღალატისაგან დაგვიფარა:

„ყველა სული იგემებს სიკვდილს. და ჩვენ გცდით თქვენ სიავითა და სიკეთით, თუ როგორ მოიქცევით. და ჩვენთან იქნებით მობრუნებულნი!“[27]

26. ენბია 21/35.

27. ენბია 21/35.

„...რომელმაც გააჩინა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადეთ, რომელი თქვენგანია ქმედებით საუკეთესო.“[28]

მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საქციელი, თაყვანისცემა, ყოველივე ეს ჩვენი იმქვეყნიური ცხოვრების კომპასია. ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება ხომ ჩვენი იმქვეყნიური მდგომარეობის განმსაზღვრელი იქნება.

იმამი გაზალი ასე ამბობდა:

„ვინც წუთისოფელში რწმენის შემეცნების სიტკბო ვერ დააგემოვნა, ის არ სიამოვნებს ჭვრეტას მარადიულ სასუფეველში. ადამიანს არ შეუძლია მარადიულ სამყაროში გახდეს იმის მფლობელი, რაშიც არ გადაუხდია ამქვეყნად. **იქ, ყველა იმას მოიმკის, რაც აქ დათესა. ადამიანი კვდება იმ მდგომარეობაში, როგორშიც ცხოვრობდა და გაცოცხლდება იმ სახით რომელშიც აღესრულა.** ე.ი. აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა გააკეთა ადამიანმა სიცოცხლეში, ანუ რამდენად სრულად ცნო მან ჭეშმარიტება და მოიქცა მის შესაბამისად. ამის გამო, ის იმქვეყნად წარდგენილი იქნება ჯილდოზე-ხარისხის მიხედვით.“

როგორც ირკვევა ჩვენ ყოველი ამოსუნთქვით საკუთარ თავს ალლაჰის სასჯელს, ან ალლაჰის საჩუქარს ვუმზადებთ. ყოვლადძლიერი ალლაჰი წმინდა აიათში გვაფრთხილებს:

28. მულქი 67/2.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაიცავით თქვენი სულნი და თქვენი ოჯახი ცეცხლისგან, რომლის საწვავი ადამიანები და ქვებია...“[29]

„...როცა (ჯოჯოხეთის) ცეცხლი აგიზგიზდება და სამოთხე მოახლოვდება, მაშინ გაიგებს ყოველი სული თუ რა მოიტანა თავისთვის.“[30]

„საითკენ მიისწრაფვით?“[31]

აი, რატომ უნდა იყოს ყოველი ადამიანი ყურადღებით და რატომ უნდა გააცნობიეროს, თუ რას უმზადებს საკუთარ თავს. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მუდმივად უნდა ვზრუნავდეთ ამაზე. მოგება და წაგება, შეძენა და დაკარგვა ხომ მხოლოდ ამქვეყნიურ ყოფისთვისაა დამახასიათებელი. საიქიო ცხოვრებაში კი მოგება-წაგებაზე ლაპარაკიც არ იქნება.

ის, ვინც თავი ამქვეყნიურ სიკეთეებზე დამონებით გაურკვევლობაში ჩაიგდო, დაექვემდებარა ცდუნებას და მოტყუვდა ამ ცხოვრების ბრწყინვალებით, ჩავარდა სულიერ სიღარიბეში, უეჭველია, საიქიოში დაზარალდება. ხომ უცნობია, როგორი იქნება ჩვენი იმქვეყნიური ცხოვრება, ამქვეყნიურთან შედარებით. აქედან გამომდინარე, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანის ვალია, მოამზადოს საკუთარი თავი იმქვეყნიური ცხოვრებისა და მარადიული სიცოცხლისათვის. მეორე მხრივ, ყოველი მორწმუნის სულში სიკვდილი გაცისკროვნებულია

29. თაჰრიმი 66/6.

30. თაქვირი 81/12-14.

31. თაქვირი 81/26.

რწმენის შუქით, ის არ ეჩვენება მას ბოროტად და საშინელებად, პირიქით, მარადიულ ცხოვრებასთან დამაკავშირებლად აღიქვამს. სასაფლაო, სადაც ბევრი საფლავის ქვაა (მეგობრებისა და ახლობლების აღბეჭდილი სახელებით) მორწმუნეთათვის განსასვენებელ, ბნელ ადგილად არ გამოიყურება. არამედ სულიერებისათვის მაგალითს და ამქვეყნიურობისაგან განრიდების მდუმარე სამეფოს წარმოადგენს. მოაზროვნე მორწმუნისათვის სიცოცხლე და სიკვდილი განუყოფელი რეალობებია. ამ თვალსაზრისით, ჭეშმარიტი მორწმუნე ისაა, ვინც დადო მშვიდობიანი ზავი სიკვდილთან. თუ ის ამქვეყნადვე მოემზადა მისთვის, მაშინ სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებს მარადისობაში. თუკი მოკლედ ვიტყვით, უკანასკნელი ამოსუნთქვა ჭეშმარიტ მშვენიერებად შეიძლება იქცეს. მხოლოდ, ყოვლისშემძლე გამჩენისადმი სიყვარულით აღვსილებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ამქვეყნის სიყვარულითა და სიკვდილის შიშით აღბეჭდილი," სიცოცხლე განწირულია სამწუხარო დასასრულისთვის.

წმ. ყურანის მიხედვით საიქიოსთვის სრულფასოვანი მომზადება შესაძლებელია მხოლოდ ალლაჰისთვის „საყვარელი თვისებების" მიღებით, როგორიცაა ღვთისმოშიშობა, თავშეკავებულობა, გულწრფელობა და, როგორც მათი სრულყოფის შედეგი: თანაგრძნობა, მოწყალება, მსახურება, თავმდაბლობა, თვითაღიარება, მოთმინება. ყოველივე ეს უეჭველია, ძვირფასი, ალლაჰისათვის და მისი საყვარელი მონა-მსახურის სახით ამ ცხოვრების დასრულების იმედს გვიმატებს. ამიტომ, ყოველი მორწმუნე მიიღებს რა თავის წილს ყოვლადძლიერი ალლაჰის წყალობისაგან, უნდა იქცეს გულკეთილ და მადლიერ ადამიანად. ღვთისმოშიშობა და რწმენა მისი განმასხ-

ვავებელი ნიშანი უნდა იყოს. მეორე მხრივ, მორწმუნის უკანასკნელი ამოსუნთქვისთვის მოსამზადებლად საჭიროა განთავისუფლება ალლაჰისთვის მიუღებელი თვისებებისაგან, რომლითაც მოსვრილია ჯოჯოხეთის გზა. ესაა: სიამაყე, ქედმაღლობა, მფლანგველობა, უსამართლობა, აგრესიულობა, ბილწსიტყვაობა, წყევლა, სიცრუე და სხვა.

იმისათვის, რომ მონა-მსახურის ამქვეყნიდან წასვლა იყოს ამაღლებული, მისთვის, პირველ რიგში, საჭიროა განიწმინდოს გული, ე.ი. განთავისუფლდეს ამქვეყნიური მისწრაფებებისაგან და გაივსოს იგი მშვენიერი თვისებებით. გულით ღვთისმოშიშობის მიღწევა ხომ ყველაზე ძვირფასი რამაა მთელი ამ ცხოვრების მანძილზე. მევლანა ჯალალედინ რუმი ასე ხსნის ამ სისუფთავის არსს:

„საფლავი იფინება არა ქვებსა და ფიცრებში, არამედ ულაქო სულში, საკუთარი შინაგანი სამყაროს სისუფთავეში; შენ თვითონ უნდა მოიმზადო საფლავი, რისთვისაც მოგინევს პირადი ინტერესებისა და თავმოყვარეობის ხელყოფა ალლაჰის ძლევამოსილების წინაშე.“

გულის სრული განწმენდისათვის ის აუცილებლად უნდა ვასაზრდოოთ ალლაჰის უდიდებულესობისა და მისი შუამავლის ამაღლებული სიყვარულით. სიყვარულის ყველაზე ძლიერი გამოვლინება არის ალლაჰისადმი მორჩილება. ალლაჰის ბრძანების შეუსრულებლობა და იმავდროულად მისი სიყვარულის მტკიცება ილუზია და თვითმოტყუებაა.

წმინდა აიათში ყოვლისშემძლე ალლაჰი ბრძანებს:

„უთხარი: თუ მამები თქვენი, და შვილნი თქვენი, და ძმები თქვენი, და მეუღლენი თქვენი, და წრენი თქვენი, და ქონება, რომელიც მოაგროვეთ, და ვაჭრობა, რომლის შეფერხებაც გაშინებთ, და საცხოვრებელი სახლები, რომელიც კმაყოფილებას გგვრით, უფრო საყვარელია თქვენთვის, უფრო ძვირფასია ალლაჰზე და მის შუამავალზე და მის გზაზე ბრძოლაზე, მაშ, დაელოდეთ, სანამ ალლაჰის ბრძანება მოევლინებოდეს . ხოლო ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე უკეთურ ხალხს!“[32]

ამიტომ ალლაჰისა და შუამავლისადმი სიყვარული ჩვენ ყველაფერზე მაღლა უნდა დავაყენოთ და მთელი ცხოვრების მანძილზე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ასე ვატაროთ. ალლაჰისა და მისი შუამავლისადმი ჩვენს სიყვარულზე მეტყველებს ჩვენივე მონა-მსახურების გულმოდგინება და კეთილი საქმეები. ამქვეყნიურ სიყვარულსა და ღვთაებრივ სიყვარულს შორის ხომ დიდი განსხვავებაა?!

მორწმუნის შინაგანი მდგომარეობა და საქციელი, ხალხთან ურთიერთობა, თაყვანისცემა და მსახურება საგრძნობლად განსხვავებულია, როცა ის იკვებება ალლაჰისა და მისი შუამავლისადმი ღრმა სიყვარულით. იმისათვის, რომ მზად იყოს უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის, მორწმუნე დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ყოველი მონა-მსახურება შესრულებული იყოს მორჩილებით. წმინდა აიათში ყოვლადძლიერი ალლაჰი ბრძანებს.

[illegible]

32. თევბე 9/24.

„უეჭველად, ნეტარ არიან მორწმუნენი! ისინი, რომელნიც თავიანთ ლოცვაში მოკრძალებულნი არიან!“[33]

და პირიქით, ლოცვის დაუდევრად შემსრულებლებზე ნათქვამია:

[illegible]

„ვაი, იმ მლოცველებს,

ისინი, რომელნიც უგულისყუროდ ასრულებენ ლოცვას! “[34]

როგორც აქედან ჩანს, ძლევამოსილ ალლაჰს სურს, რომ თავისი მონა-მსახურის სხეულსა და სულს შორის ალლაჰისადმი თაყვანისცემის საკითხში დამყარდეს მტკიცე კავშირი და ეს ღვთაებრივი სურვილი ვრცელდება არა მარტო ნამაზთან დაკავშირებულ მონა-მსახურებებზე, არამედ მარხვაზე, ჰაჯობაზე, მოწყალებაზე და სხვა მონა-მსახურებებზეც.

მარხვა უნდა დაგვეხმაროს ჩვენ წყალობის დაფასებაში. ვეცადოთ, რომ ჩვენს გულებს ნაღველი განვაშოროთ, გაჭირვებულს თანავუგრძნოთ. მეორე მხრივ, ზოგიერთ ნებადართულ საკითხზე ჩვენი მარხვისას შეზღუდვა ნათელყოფს, თუ რამდენად საჭიროა საკუთარი თავი ყოველივე იმას განვარიდოთ, რაც აკრძალულია. ჰაჯობის ატმოსფერო, სუდარის მორგებულად ჩაცმა მონა-მსახურს შეახსენებს მის არარაობაზე ღვთაებრივი უდიდებულე-

33. მუმინუნი 23/1-2.

34. მაუნი 107/4-5.

სობის წინაშე, რაც აიხსნება საკუთარი თავის მკვდრად შერაცხვით. მორწმუნემ, რომელიც გასცემს მოწყალებასა და მსხვერპლს სწირავს, იცის რომ ყველა სიკეთე ალლაჰის კუთვნილებაა. ხოლო მისი კეთილდღეობა ესაა საპასუხისმგებლო მოვალეობა, რომელიც მან საუკეთესოდ უნდა შეასრულოს. მსხვერპლშეწირვის არსში ჩამწვდარ მორწმუნეს არ შეუძლია შურით უყუროს სხვის ქონებას! მონა-მსახურების სიწმინდის გამომხატველი მორჩილება სულიერი სიღრმისაკენ მიდრეკილების შესაბამისია.

შეგუებითა და მორჩილებით შესრულებულ ყველაზე ლამაზ მონა-მსახურების ნიმუშს ჩვენ ვნახავთ შუამავლისა და კეთილშობილი საჰაბეერბის ცხოვრებაში. საიქიოს არსებობის დაუვიწყებლობით და ალლაჰის შუამავლის მოსმენით, ისინი ყოველ თავიანთ მონა-მსახურებას სულიერების უმაღლესი აურით გამოხატავდნენ.

ერთმა მიმდევარმა ალლაჰის შუამავალს ასე მიმართა:

— მოკლედ მირჩიე მე რამე, ალლაჰის შუამავალო!

პასუხად კი შემდეგი მიიღო:

— შეასრულე ყოველი შენი ნამაზი ისე, თითქოს ის უკანასკნელია შენს ცხოვრებაში! ისეთი არაფერი თქვა რის გამოც შემდეგში მობოდიშება მოგიწევს! და ნუ იმედოვნებ მასზე, რაც სხვა ადამიანის ხელშია![35]

35. იბნ მაჯა, ზუხდი, 15;ახმედ ბინ ჰანბალი, მუსნადი, V, 412.

ამიტომ, თუ გვსურს ვიყოთ მზად უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის, უნდა გავილამაზოთ მაღალი სულიერი სიბრძნით არა მარტო ჩვენი ღვთისმსახურებები, არამედ საქციელიცა და ხალხთან ურთიერთობაც. იმისათვის, რომ საქმითა და სიტყვით ვიყოთ ხალხისთვის სასარგებლო, უნდა ვუსურვოთ ძმებს ის, რასაც თვითონ ვისურვებთ. ეს გრძნობა თანდათანობით ალლაჰისა და მისი შუამავლის ამაღლებელ სიყვარულში გადაიზრდება, რაც მთელ გულს დაიკავებს და დაგვეხმარება სამყაროს სიბრძნისეულ მზერით აღქმაში.

მეორე მნიშვნელოვანი გარემოება უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის არის გულში ღვთიური სიყვარულის დანერგვა. ეს ნიშნავს, ყოველ წამს გულით ვიყოთ ალლაჰთან ერთად, მუდმივად ვგრძნობდეთ მის ღვთაებრივ თანდასწრებას. მონა-მსახურისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება ალლაჰთან ყოფნაა. მაგრამ გონებას, რომელსაც არ აქვს კავშირი გულთან, რადგან ცდუნებას ემორჩილება არ ძალუძს ამის მიღწევა. ეს დიდი ბედნიერების შეუცნობლობის გამოვლინებაა.

ასევე, მორწმუნე უნდა იყოს მოკრძალებული და მომთმენი. არც ერთ სიტუაციაში მან არ უნდა დაკარგოს სიმშვიდე და გონებამახვილობა. უნდა ახსოვდეს ის მძიმე განსაცდელები, რომლებმაც ალლაჰის შუამავლის სულიერი მდგომარეობა ვერ შეარყია; ის რჩებოდა მომთმენად და შეუპოვრად მაშინაც კი, როდესაც დაიღუპა მისი ბიძა ჰამზა და ძალიან ახლობელი თანამოღვაწე მუსაბი.

ის, ვინც ჭეშმარიტების გზით მიდის, დავიწყებაგახსენებით, უმადურობა-მადლიერებით, დაუმორჩი-

ლებლობა-მორჩილებით, ეჭვი-რწმენით, ფარისევლობა-გულწრფელობით, წინააღმდეგობა-მონანიებით, უდარდელობა-აზროვნებით უნდა შეცვალოს, რაც ხელს შეუწყობს მისი სულიერების დონის ამაღლებას.

ძვირფასი დღეებისა და ღამეების გარდა, ალლაჰის ხსენებისათვის განსაკუთრებით ძვირფასი დრო არის განთიადის წინა ჟამი. ალლაჰის საყვარელი ყველა მონამსახური, ვისთვისაც სიკვდილ-სიცოცხლე განუყრელი ცნებაა, სიყვარულის გრძნობითა და ალლაჰის შიშით (ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებისათვის,) ატარებს ღამეს მის ხსენებასა და მასზე ფიქრში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიჭი ალლაჰის გზაზე მსხვერპლშეწირვაა. აიათში ნაბრძანებია:

„გაიღეთ ალლაჰის გზაზე, და თავი არ ჩაიგდოთ საფთხეში თქვენივე ხელით, და სიკეთე აკეთეთ...“[36]

ყურანის მკვლევართა აზრით ეს წმინდა აიათი „რელიგიისა და მსახურების გზით ჭეშმარიტების დასაცავად, თავგანწირვისა და მსხვერპლშეწირვისაკენ მოგვიწოდებს და გვიკლავს სიღარიბის შიშს ამიტომ მორწმუნე უნდა ცდილობდეს ყოველი ხელსაყრელი მომენტი, თავისი ქონებითა და თავისი სულით, ალლაჰისათვის მსხვერპლის შესაწირად გამოიყენოს. თვით ცხოვრებაც ხომ, ჩვენთვის გამჩენის მიერ პასუხისმგებლობის სახით დაკისრებული ამანათია. ისევე როგორც ქონების, ფინანსების მართე-

36. ალ-ბაყარა, 2/195.

ბულად გამომყენებელი ჯილდოვდება მარადისობაში, ძუნწი და სიმდიდრისაკენ მიდრეკილი (რომელიც ხელს უწყობს მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობას) მარადიულ ცხოვრებაში დიდ დანაკარგს განიცდის. მსხვერპლის გაღება დიდი მადლია. ყოველმა მორწმუნემ უნდა იცოდეს, რომ, როგორც კი გარდაცვლილის სხეულს მიწას მიაბარებენ, მისი ნათესავები იწყებენ თანაგრძნობის მიღებას იმათგან, ვინც იცნობდა მას. მოგვიანებით, კი, როცა მემკვიდრეები შეუდგებიან მისი ქონების განაწილებას, ნიადაგში გვამი იწყებს გახრწნას. ეს ორივე მოვლენა პარალელურად მიმდინარეობს და თითქმის ერთდროულად მთავრდება. ე.ი. ერთის მხრივ, ხდება ქონების განაწილება, მეორე მხრივ-სხეულის გახრწნა. ამის შემყურე სული ტკივილისგან შეიკუმშება (ტყუილად დახარჯული ენერგიის გამო) და წყენისაგან ხელები თავზე უნდა შემოირტყას, მაგრამ იქ უკვე არც ხელები და აღარც თავი მას არ ემორჩილება. დარჩა მხოლოდ სურვილი, მცდელობა. ჩვენ საკუთარი ღვთისმოშიშობა და წუთისოფელში ქმნილი მადლი სასიკეთოდ შემოგვიბრუნდება და უზარმაზარ მიღწევად ჩაგვეთვლება. ფრიად პატივცემულმა ალლაჰის შუამავალმა თქვა:

„საფლავი (ქმედებათა შესაბამისად) შეიძლება იქცეს სამოთხის თვალწარმტაც ბაღად, ან ჯოჯოხეთის ერთ უფსკრულად.“[37]

ე.ი. გარდაცვლილის განაჩენი ამქვეყნიური ცხოვრებისა და საქმეების შესაბამისი იქნება.

37. თირმიზი, ყიამეთი, 26.

ამიტომ, სიკვდილის აღქმა ხდება არა დანაკარგად, არამედ ხსნად, არა ტრაგედიად, არამედ „ქორწინების პირველი ღამის სიხარულად“ ეს მათი ხვედრია, ვინც ყოველთვის მზადაა ალლაჰთან შესახვედრად. ბედნიერნი არიან ცხოვრების ამ სიბრძნით წარმმართველნი, რომლებმაც სიკვდილის გზით წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენს ისტორიაში.

ასევე მონა-მსახური, თავისი პროფესიისა და საქმიანობისაგან დამოუკიდებლად, რომელსაც მან სიცოცხლე მიუძღვნა, თუ არ დაკარგა თავისი ყიბლე, მაშინ სიკვდილის წინ ყოვლისშემძლე ალლაჰი გამოუგზავნის მიზეზს, რათა მან ისევ მიიღოს ის. მათ, ვინც თავის ცხოვრებაში ერთღმერთიანობის პრინციპი დაიცვა და სამსახურში, ოჯახსა და საზოგადოებაში ცდილობდა ყოფილიყო ერთღმერთიანობის მშვიდ ატმოსფეროში, მონახა თავისი ყიბლა და მოემზადა უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის. ბუნებრივია, „ყიბლე“ გულისხმობს ყურანისა და სუნნეთის გზით სვლას, ერთღმერთიანობის შესაბამისი პრინციპებით ცხოვრებას. ყველაზე მნიშვნელოვანია იცხოვრო „ჭეშმარიტ გზაზე“ სვლით:

აიათში შემდეგნაირად ბრძანებს:



„გვატარე სწორი გზით...“ (ფათიჰა 1/5)

ვინც სხვაგვარად მოიქცევა, ისე იოლად აღმოჩნდება დაზარალებულ მდგომარეობაში, როგორც ფლოტს ჩამორჩენილი ხომალდი, რომელიც ნებისმიერ უბეში რის-

კის ქვეშაა. უდიდესმა ალლაჰმა დაგვიფაროს ჩვენ ამისგან.

სიცოცხლე, რომელიც სიკვდილის მშვენიერებასა და სიტყვების „მოკვდით სიკვდილზე ადრე“ —ჭეშმარიტებას აღიარებს, იმ მონა-მსახურების პრივილეგიაა, რომლებიც არიან ცოდნის საუნჯის მფლობელნი. განკითხვის დღეს ისინი განთავისუფლდებიან ყოველგვარი შიშისა და მწუხარებისაგან და ეს ალლაჰისაგან მოცემული პირობაა. სიკვდილი, როგორც მარადიული ცხოვრების მიზეზი, მასთან შეხვედრისთვის მზადმყოფნებისათვის არის ბედნიერება. ცოდნის ჭეშმარიტება იმაშია, რომ სული ისევე სუფთად და უმანკოდ დავუბრუნოთ მომნიჭებელს, როგორც ის ჩვენ გვებოძა. როგორც თქვა პოეტმა:

იმ წამს როდესაც ფარდა აიხდება,

უმალ მეორე იქვე დაეშვება,

და მთავარია, ვუთხრათ აზრაილს...

„კეთილი იყოს შენი მობრძანება!“

ნ. ფაზილი ქისაქურექი

ჭეშმარიტად, უკანასკნელი ამოსუნთქვა მსგავსია გლუვი და სუფთა სარკისა. ყოველი ადამიანი ამ სარკეში თავის განვლილ ცხოვრებას დაინახავს. შესაბამისად, ლამაზს ან უშნოს. მაშინ ის განშორდება უზრუნველობასა და უდარდელობას და, როცა ყველა მამხილებელი ფარდა აიხდება, გონება და სინდისი სხვადასხვა სახის აღიარებისა და აღსარების ატმოსფეროში ჩაეშვება. ასე,

რომ, დაე, ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვა ნუ იქცევა იმ სარკედ, რომელშიც ჩვენ სინანულით დავინახავთ გარდასულ ცხოვრებას! დაე, ჩვენს სარკედ, ჩვენსავე ცხოვრებაში, ყურანი და სუნნეთი იქცეს. ჭეშმარიტად ბედნიერი ხომ ისაა, ვინც თავი სიკვდილამდე შეიცნო.

დაე, ალლაჰმა ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვა იმ ფანჯარად გვიქციოს, რომლიდან ჭვრეტითაც მარადიული ცხოვრების ჯილდოებს მოვიპოვებთ...

ამინ!...

სამყაროსეული ალლაჰის ხსენება და განთიადისწინა დრო

ზიქრისათვის (ალლაჰის ხსენებისათვის) ყველაზე მადლიანი დრო-განთიადის წინა საათებია. ყოვლისშემძლე ალლაჰი ამ დროს ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სიფხიზლე აისამდე ნიშნავს მონამსახურის ღრმა სიყვარულისა და პატივისცემის გამოვლენას თავისი ღმერთისადმი. ნამაზი და თესბიჰი (ქებათაქება) თავისი არსით უძლიერეს ახლობელთან შეხვედრაა, სოჰბეთი (შეკრება და რელიგიურ თემებზე საუბარი)-კი მეგობრული საუბარი მასთან. განთიადისწინა დრო ისე უნდა გავატაროთ, რომ მისგან მიღებული ცოდნა და სულიერება მომავალ დღემდე გაგვყვეს.

სამყაროსეული ალლაჰის ხსენება და განთიადის წინა დრო

ჩვენმა ღმერთმა, რომელიც „ალ-ჰაიი“ (მარად ცოცხალია), თავის ყველა ქმნილებას მისცა სიცოცხლე. სამყაროში არაფერია ისეთი, რასაც შეიძლება უწოდო „უსულო.“ ჩვენ სულიერად ანუ ცოცხლად ვთვლით ცხოველებს, ადამიანებსა და მცენარეებს, მიგვაჩნია, რომ სიცოცხლე მხოლოდ მათ ებოძათ, მაგრამ მატერიის მოლეკულური აღნაგობის შესწავლის შემდეგ ვიგებთ ნაწილაკების ნებისმიერი ნივთიერების შიგნით მუდმივი მოძრაობის შესახებ და ვრწმუნდებით, რომ აქაც არის წესრიგი და სიცოცხლე. ეს წესრიგი ვრცელდება როგორც მაკრო ისე მიკრო ობიექტებზე. ყოვლადძლიერმა ალლაჰმა გაგვაცნო ყველა ქმნილება, მთელი მათი თავისებურებით და მათ საკუთარი ხერხით ზიქრის წარმოების უნარი მიანიჭა, ამიტომ ითვლება, რომ ყველა ქმნილება აღიარებს ღმერთს და თავისებურად მოიხსენიებს მას.

საგნებმა, მცენარეებმა და ცხოველებმა ალლაჰის შუამავლისა და სხვა მოციქულების შესახებ იციან. ამაზე ბჭობა შუამავლების საოცრებებისა და ზეციური სასწაულების მიხედვით შეიძლება. მუსა შუამავლის გველად გარდასახულმა კვერთხმა შეაშინა ფარაონი. წითელი ზღვაც ღვთაებრივ მოწოდებას დაემორჩილა და გზა გაუხსნა შუამავალ მუსასა და მის ხალხს დადევნებულ ფარაონს კი ჯარი ტალღებით შთაუნთქა. იმაზე, თუ რამ-

დენად დახვეწილად ასრულებენ უსულო საგნები ღვთაებრივ ბრძანებებს, მევლანა ჯალალედინი რუმიმ თქვა:

„ნუთუ ვერ ხედავ: ღრუბლები, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, თითოეული მათგანი წესრიგის მიხედვით მოძრაობს; ყოველი ვარსკვლავთკრებული ზუსტად თავის დროს ამოდის. და არც ერთი წუთით არც იგვიანებს და არც წინ უსწრებს თავისი ამოსვლის დროს“

არა მარტო ხალხი, არამედ ჯინები, ცხოველები და საგნებიც კი ცნობდნენ ალლაჰის შუამავალს, რადგანაც თვით ალლაჰმა უბოძა მათ ამის ნიჭი. ისინი უდრტვინველად და სიყვარულით ემორჩილებიან მას. მაგრამ იმის გამო, რომ ადამიანი გატაცებულია წარმავალი ცხოვრების ამაოებით, რომელიც მას გამოსაცდელად აქვს ნაბოძები, მისი თვალები ფარდითაა ახვეული და ის, უფრო ხშირად, ვერ ხედავს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ალლაჰის შუამავლის ჰადისი, რომელიც უდარდელობიდან გამოფხიზლებისაკენ მოგვიწოდებს.

„ცისა და დედამიწის ყოველმა მკვიდრმა, გარდა დაუმორჩილებელი ჯინებისა და ადამიანებისა, იცის, რომ — მე ალლაჰის შუამავალი ვარ.“[38]

ეს გვიჩვენებს, რომ არა მარტო ადამიანი ცნობს და ემორჩილება ალლაჰის შუამავალს, არამედ სხვა ქმნილებებიც, რომელთაც არ აქვთ არჩევანის უფლება. ისინი აღემატებიან კიდეც კაცის ძეს მორჩილებით.

ამასვე ამტკიცებს წმინდა აიათი:

38. აჰმად ბინ ჰანბალი მუსნადი, III, 310.

„...და ჩვენ დავუმორჩილეთ მთები და ჩიტები, რათა დავუდთან ერთად განედიდებიათ ღმერთი. და ეს ყველაფერი ჩვენ ვჰქმენით!“[39]

თავისი მონა-მსახურების უდარდელობისაგან გამოსაღვიძებლად, ალლაჰი ამ აიათში ლაპარაკობს, რომ ყველაფერი რაც მის მიერაა გაჩენილი, თავის გამჩენს იმ ენით ახსენებს, რომელიც ჩვენ არ გვესმის. სამყაროსეულ, ალლაჰის ხსენებაში ჩაწვდომა შესაძლებელია მონა-მსახურებით გასუფთავებული სულითა და გულწრფელი მსახურებით, როცა გულგრილობისა და უყურადღებობის ფარდას ჩამოვიხსნით, როცა სამყარო თავისი ჭეშმარიტი სახით წარმოგვიდგება.

მევლანა ჯალალედინ რუმმა თქვა:

„ჩიტების მეფე — თეთრი ყარყატია. იცი, რას ნიშნავს მისი სტვენა „ლექ, ლექ“? (არაბ. შენ, შენ) — ის ნიშნავს:

— ჰამდუ ლლექ, შექრუ ლლექ, მულქუ ლექ, ია მუსტაან! (ქება-დიდება შენ, მადლობა შენ, ძალაუფლება შენია! ო, უზენაესო ალლაჰო).“

ხოლო მუჰითდინ არაბი ამ ჭეშმარიტებას ასე ხსნის:

„ყოველი ცოცხალი არსება ალლაჰს მისთვის ჩვეული წესით ახსენებს. ხსენების მეთოდით ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან.

კონკრეტულ საგანთა სამყაროში შემავალი არსებები შორს არიან უდარდელობისაგან და მუდმივად ახსენებენ

39. ენბია 21/79.

ალლაჰს. რამეთუ ისინი საჭმელს, სასმელსა და ჰაერს არ საჭიროებენ.

მათ მოსდევს ის მცენარეები, რომლებსაც უჩნდებათ ზოგიერთი მოთხოვნა.

მაგ: ნიადაგის ტენიანობა და მზის სინათლე მათთვის აუცილებელია ყვავილებისა და ფოთლების, ნაყოფის გასავითარებლად.

შემდეგ მოდიან ცხოველები. მათი საცხოვრებელი გარემო უფრო რთულია, ვიდრე მცენარეებისა. ამიტომ მათ აქვთ უფრო მეტი სულიერი მოთხოვნა და სურვილი.

ადამიანის მოთხოვნებს კი ბოლო არა აქვს. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ქონას, გადაჭარბებულ ოცნებასა და უსაზღვრო სურვილებს ის უდარდელობამდე მიჰყავს.

წმინდა აიათში ნაბრძანებია:

[illegible]

[illegible]

„ჰეი, ადამიანო! რაა შენი შემცდენი შენისა ღმერთისა გულუხვისა წინაშე, რომელმაც გაგაჩინა შენ, მერე გიბოძა სხეული გამართული და თანაზომიერი..“[40]

40. ინფიტარი 82/6-8.

იმისათვის, რომ სწორად აღიქვა სამყაროში ჩადებული საიდუმლო და სიბრძნე, აუცილებელია, შენი სულიერი სამყარო იყოს ხარისხობრივად ღრმა. მორწმუნე, რომელიც სამყაროსა და ზეცას გულის თვალით უყურებს, მათ სრულიად სხვაგვარად აღიქვამს. წმინდა ყურანი გვიხსნის, რომ ცისა და დედამიწის მტვრის ნებისმიერი ნაწილაკი თავის გამჩენს გვახსენებს. მასში საუბარია იმაზე, რომ ცა, დედამიწა, მთები, ხეები, ბალახი, მზე, მთვარე, ვარსკვლავები და ელვა, ცხოველები, ქვები და დედამიწაზე დაშვებული ჩრდილიც კი დილასაღამოს სეჯდეს ასრულებენ.

„და სეჯდეს აღასრულებენ ალლაჰისთვის, რაცაა ცათა შინა და დედამიწასა ზედა, ნებით თუ უნებლიეთ , და ჩრდილნი თვისნი დილით და საღამოს“[41]

„ნუთუ ვერ დაინახეს მათ ალლაჰის გაჩენილები და მათი ჩრდილნი, რომელნიც იხრება მარჯვნივ და მარცხნივ ალლაჰისადმი თაყვანისცემით, სეჯდეს აღმსრულე, მოკრძალებულად?“[42]

წმინდა აიათები გვიჩვენებენ ჩვენ იმ საკვირველ სურათს, თუ როგორ იჩოქებენ სეჯდეს დროს ჩრდილებიც კი. ე.ი. სხეული და მისი ჩრდილი ერთმანეთისაგან ცალ-ცალკე იმყოფებიან და ორივე სეჯდეს უძღვნის უზენაეს ალლაჰს. სამყაროს ყველა უმცირესი ნაწილაკიც კი, ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე, იმისგან დამოუკიდებლად, შეუძლიათ თუ არა მათ რწმენა, დაემორჩილნენ ალლაჰის ნებას, პირქვე დაემხნენ მის წინაშე და

41. რადი 13/15.

42. ნაჰლი 16/48.

ყურადღებით ასრულებენ ალლაჰის მიერ წინასწარ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ვაი, მათ უდარდელ გულებს, ვინც უარყო ის, ჩაცვივდნენ დაუმორჩილებლობასა და გაურკვევლობაში, მაშინ როცა მთელი ხმელეთი ნებსით თუ უნებლიედ ყოვლისშემძლე ალლაჰს ემორჩილება!

წმინდა აიათები სხვა სურათებსაც გვიცოცხლებენ, სადაც ფიგურირებენ ჩრდილები, საგნები, ცოცხალი ქმნილებები და ანგელოზები. ყოველი მათგანი ღელვითა და მორჩილებით ასრულებს მისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს. ალლაჰისადმი მორჩილებისა და თაყვანისცემის ნაცვლად, უმადურობა დამახასიათებელია უბედური, მოხეტიალე და უცოდინარი ადამიანებისათვის. წმინდა აიათები მათ რწმენისაკენ იმით მოუწოდებენ, რომ ყველა ქმნილება და მათი ჩრდილებიც კი ქედს იხრიან ალლაჰის წინაშე.

მართლაც, თუ ჩვენ ყურადღებით შევხედავთ მას, რაც გარს გვახვევია, დავინახავთ ცაში ჰორიზონტამდე გაჭიმულ (სადაც ისინი უერთდებიან დედამიწას) მთიან ქედებს, მათ მუხლმოყრას, მათ თაყვანისცემას. რა მშვენიერია ხეების ღელვითა და თრთოლვით მიწაზე დაშვებული ჩრდილების, ყვავილებისა და ბალახის, ცხოველებისა და ადამიანების მუხლმოყრა. თითქოს დედამიწა-მთელი ხმელეთის ჩრდილთა მუხლმოსადრეკი უზარმაზარი ხალიჩაა. ჭექა-ქუხილი კი-თითქოს ზეციური გმინვისა და სინანულის გამოხატულება.

ცისა და ხმელეთის ბინადართა მგრძნობიარე გულებში ჩადებულია დიდი რამ. ნამცეცა მწერის სხეულში

გულის ფეთქვის ხმა, თუ უზარმაზარი მხეცის ღრიალი ალლაჰის ძლევამოსილებაში გვარწმუნებს.

ბულბულის წვეთისოდენა გულიდან მომდინარე საოცარი სტვენა, გვრიტის ღუღუნი: „ჰუ“ „ჰუ“ (არაბ “ის“, „ის“), ყარყატის გნიასი „ლექ“ „ლექ“ (არაბ. „შენ“, „შენ“) გულის შემძვრელია...

უზენაესი ალლაჰი წმინდა აიათში ამბობს:

„ნუთუ ვერ ხედავ, რომ ალლაჰის წინაშე სეჯდეს აღასრულებენ ისინი, ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მთები, ხეები, ცხოველები, ხალხი. ხოლო მრავალი მათგანი სასჯელის ღირსია. არავინ მიაგებს პატივს იმას, ვისაც ალლაჰი დაამცირებს. უეჭველად, ალლაჰი იქმს იმას, ინებებს რასაც!“[43]

როგორც ჩვენ ვხედავთ, თვით უსულო საგნებიც დაკავებულია თაყვანისცემითა და ქება-დიდებით. მაგრამ, რა სავალალოა, რომ კაცობრიობის განსაზღვრული ნაწილი ალლაჰს არ ახსენებს და ამისათვის ისინი დაისჯებიან.

ჭეშმარიტებაა, რომ სამყაროში ფრინველებმა, მთებმა და მდინარეებმაც კი იციან თავიანთი გამჩენის შესახებ და არ წყვეტენ მის ხსენებასა და დიდებას. მხოლოდ ადამიანი სცილდება სრულყოფილების იმ სისტემასა და წესრიგს, რომელსაც ყველა და ყველაფერი ექვემდებარება. როცა ის ამ ცოდნიდან სულ მცირეოდენსაც კი არ გაიზიარებს, ალლაჰის კანონებს ეწინააღმდეგება და დიდ დანაკარგამდე მიდის.

43. ჰაჯი, 22/18.

მონა-მსახურის მორჩილება უზენაეს ალლაჰისადმი იმით გამოიხატება, რომ ის არ ივიწყებს თავის გამჩენს. მოკრძალებულ მორწმუნეს საითკენაც არ უნდა გაექცეს მზერა, დაინახავს მისი მადლის შუქს, რასაც არ უნდა მოუსმინოს, მის საქებარ მელოდიას გაიგონებს და ჩვენ, იმის მიხედვით, თუ რამდენად გულწრფელნი ვართ ალლაჰის ხსენებაში ამქვეყნად, ხვალ მარადიულ სამყაროშიც იმდენად ავმაღლდებით და დავუახლოვდებით მას.

ცხოვრება სუფთა სინდისით რომ განვვლოთ, აღვსრულდეთ რწმენითა და დავიმსახუროთ მარადიული ბედნიერება, ალლაჰი არ უნდა დავივიწყოთ. გამჩენის უარმყოფი ხომ ნებაყოფლობით მიექანება მარადიული არარაობისა და უბედურებისაკენ. ადამიანი თავისი უდარდელობისაგან მხოლოდ სიკვდილის პირისპირ გამოფხიზლდება. მაგრამ უკვე ძალიან გვიან იქნება. მას არაფერი ელოდება, გარდა წუხილისა და სასოწარკვეთილებისა.

წმინდა აიათი გვიბრძანებს:

„და არ იყოთ იმათი მსგავსი, რომელთაც დაივიწყეს ალლაჰი, და დაავიწყა თავიანთი თავი. სწორედ, რომ ისინი არიან გზასაცდენილნი.“[44]

ერთმა საჰაბემ შუამავალს მიმართა.

— ო, ალლაჰის შუამავალო! მასწავლე, მე რა ვქნა იმისათვის, რომ მოვიპოვო ალლაჰის კმაყოფილება და ბედ-

44. ჰარში,59/19.

ნიერება მომავალ ცხოვრებაში. ალლაჰის შუამავალმა მას უპასუხა:

— დაე, შენი ენა ყოველთვის მოქნილი იყოს ალლაჰის ხსენებისათვის.[45]

ალლაჰის ხსენება არ ნიშნავს მარტო მისი სახელის წარმოთქმას. მხოლოდ მას მოაქვს სარგებლობა, რაც ადამიანის გულიდან მოდის. ამგვარი ხსენება მსგავსია მარადიული ცხოვრების დასაბამისას, ყოველი სულის მიერ თავისი გამჩენისადმი რწმენაზე დაფიცებისა. „დიახ! შენ ჩვენი ღმერთი ხარ!“ ხსენების მხოლოდ ამ ხერხით შეიძლება გულწრფელობისა და სიმტკიცის შეტანა საკუთარ რწმენაში.

ალლაჰის ხსენების ხშირი უგულებელყოფის გამო იგი მრავალგზის გვაფრთხილებს. ალლაჰი შუამავლებს მუსასა და ჰარუნს ფარაონთან გაგზავნისას ასე არიგებდა:

„წადით შენ და შენი ძმა ჩემი სასწაულებით და ნუ იქნებით უძლურნი ჩემს გახსენებაში !“[46] ე.ი მან არ დაუშვა გამონაკლისი მათთვისაც კი, ვინც ჩვენთვის გაკვეთილი და ნიმუშია.

მორწმუნეთა სულების უვიცობისაგან განთავისუფლებისათვის ალლაჰის ხსენება უნდა იყოს მუდმივი. მასში იგულისხმება არა ერთი დღე ან სეანსი, არამედ ყოველ ამოსუნთქვასთან დაკავშირებული ალლაჰის ხსე-

45. თირმიზი დავათი, 4;იბნი მაჯა, 53.

46. ტაჰა 20/42.

ნება. მხოლოდ ამის წყალობით მოხერხდება ადამიანის სულიერი გამოფხიზლება.

წმინდა ყურანში ალლაჰი ბრძანებს:

[illegible]

„განა არ დამდგარა დრო იმათთვის, რომელთაც ირწმუნეს, რომ ძრწოდნენ გულნი მათნი ალლაჰის შეხსენებისთვის ...“[47] ეს აიათი უზენაესმა მედინაში გარდმოავლინა ზოგიერთი მიმდევრის გასაფრთხილებლად (ვინც მექაში განცდილი შევიწროების გამო, ჰიჯრის გაკეთების შემდეგ მიაღწია რა საწადელს, თავს ჰკადრა მოდუნებულიყო). ამიტომ ჩვენ, ალლაჰის უსაზღვრო სიყვარულის გარემოში, კი არ უნდა დავექვემდებაროთ ამქვეყნიურ წყალობებს და ანგარებიან მიზნებს, არამედ უნდა ვისწრაფოთ სულიერი აქტიურობისა და სიმტკიცისაკენ.

მოყვარულები ხომ ყოველთვის იცავენ თავიანთ გულებში მათ ხსოვნას, ვინც უყვართ. უსიყვარულო გული მსგავსია დაუმუშავებელი მიწისა. სიყვარულში შემეცნებაა, რადგანაც ის მთელი სამყაროს გაჩენის მიზეზია. უდიდებულესმა ალლაჰმა ისურვა, რომ ადამიანს იგი სიყვარულით შეემეცნებინა და ამის გამო შექმნა სამყარო. სიყვარულის ძალა და დიდებულება დამოკიდებულია მისი მსხვერპლისათვის დაკისრებული თვითაღკვეთის ზომებზე. ამიტომ, განთიადამდე საათებში სიფხიზლე და

47. ჰადიდი 57/16.

ალლაჰის ხსენება არის მისდამი სწრაფვის განხორციელება და სიყვარული.

❖

ამასთან ერთად, მორწმუნეებისათვის აუცილებელია ალლაჰის მუდმივი ხსენება. მათ უნდა იცოდნენ, რომ ალლაჰის ხსენებისთვის ყველაზე მადლიანი დრო განთიადის წინა ჟამია. უზენაესი ალლაჰი ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ცისკრის დადგომამდე ალლაჰის ხსენებისა და თაყვანისცემის აღსრულება უფრო ძნელია, ვიდრე სხვა ნებისმიერ დროს. ამიტომ ამ საათებში მონა-მსახურების მიერ გულმოდგინების გამოვლინება მოწმობს ალლაჰისადმი ამაღლებულ სიყვარულსა და პატივისცემას.

მათზე, ვინც წარმავალი ცხოვრება უზენაესის კანონების მიხედვით გაატარა ალლაჰი ბრძანებს:

ღვთისმოშიშნი კი, უეჭველად, ბაღებში და წყაროებში იქნებიან; მიმღებელნი იმისა, რაც უბოძა მათ თავიანთმა ღმერთმა. უეჭველად, ისინი კეთილისმქმნელნი იყვნენ წინათ. ცოტას თუ წაიძინებდნენ ღამით. და ალიონზე მიტევებას ეაჯებოდნენ ისინი.“[48]

და კვლავ უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„და სასოებდე ძლევამოსილს, მწყალობელს, რომელიც გხედავს, როცა (ლოცვად) დგები“[49]

48. ზარიათი 51/15-18.

49. შუარა 26/217-218.

როცა ეს აიათები გარდმოევლინა, შუამავალმა ქუ-ჩებში გაიარა და ღამის სიბნელეში თავისი მიმდევრების სახლებიდან გამომავალი ყურანის კითხვის, უდიდებუ-ლესი ალლაჰის ხსენების და ქება-დიდების ისეთი გულში ჩამწვდომი, ღულუნა ხმები გაიგონა, თითქოს ფუტკრის ნაყარი ზუზუნებდა.

იმაზე, თუ რამდენად ძლიერია ალლაჰისადმი სიყვა-რული სულებში, მეტყველებს ის მიზანსწრაფვა და სურ-ვილი, რომელსაც ისინი ღამის ნამაზისა და ალლაჰის დი-დების დროს ავლენენ. ამიტომ, თავისი შინაარსით, ღამის ნამაზი და ალლაჰის ქებათაქება არის შეხვედრა ძალმო-სილ ახლობელთან და მეგობრული საუბარი მასთან.

წმინდა აიათში ნათქვამია:

„და ღამით, სეჯდე აღასრულე მისთვის და ადიდე ღა-მით ხანგრძლივად. უეჭველად, მათ უყვართ წარმავალი სიცოცხლე და არად აგდებენ მძიმე დღეს.“[50]

„ისინი საწოლებს განშორდებიან თავიანთ ღმერთზე შესავედრებლად ძრწოლვით და სასოებით, და რა სარ-ჩოც ვუბოძეთ, გაიღებენ იქიდან!“[51]

ღამის საათები, თავისი სიჩუმითა და სიმშვიდით სრულყოფილებას მიღწეული მორწმუნეებისთვის ჭეშ-მარიტად უკიდურესი შენაძენია. მან, ვინც შეიცნო ჭეშ-მარიტების ფასი, ზუსტად ღამის მეორე ნაწილში, (როცა მთელი სამყარო სრულ მდუმარებაშია) აღავლენს ვედრე-

50. ინსანი 76/26-27.

51. სეჯდე 32/16.

ბას, თაყვანისცემას, ლოცვას ალლაჰისადმი და როგორც ისინი შრომობენ სხეულის გამოკვებისათვის დღისით, ასე იყენებენ ღამის საათებს სულიერი საზრდოს მოსაპოვებლად, რომელიც მათ გულებს ღვთაებრივი ცოდნით ავსებს.

ცხადია, რომ ისინი, ვისაც განთიადისწინა დროს სძინავთ, ისევე აღუკვეთენ საკუთარ თავს წყალობის მადლს, როგორც ის უდაბნო, ზღვა ან ფრიალო კლდე, რომელმაც არ ისურვა შეესრუტა გაზაფხულის წვიმის წყალი.

„ო, ღმერთო! ჰქმენი ისე, რომ ჩვენ, შენმა მონამსახურებმა, არც ერთი ამოსუნთქვისას არ დაგივიწყოთ! აავსე ალლაჰის ხსენების მადლით თითოეული ჩვენი დღე და ღამე! გააცოცხლე ჩვენი სულები ალლაჰის ხსენებით! მიეცი თითოეულ ჩვენგანს საშუალება ჩაწვდეს ალლაჰის ჭეშმარიტების არსში! ჭეშმარიტების გზაზე დააყენე ისინიც, ვინც მოკლებულნი არიან შენ შეცნობის უნარს, დაიცავი არაკეთილმოსურნეთა ბოროტებისაგან ჩვენი სამშობლო და ჩვენი ხალხი!

ამინ!

ყურანი და თეფექქური

1

როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იქნება სამყაროს აღსასრულამდე მისი მფლობელის ძლევამოსილებისა და დიდების ნიშანი, ასევე კაცობრიობის აწმყოდ და მომავლად ქცეული ყურანი ჩვენს თავზე გადაჭიმული ზეცის ანალოგია, რომელიც ვარსკვლავების მსგავსი აიათებით სამარადჟამოდ იბრწყინებს. ამიტომაც, ისინი არიან ყველაზე უმწიკვლო და ბედნიერი ადამიანები, ვინც ყურანის საბურველის ქვეშ მისივე მადლის შუქით გაცისკროვნებულნი ცხოვრობენ.

ყურანი და თაფაძური – 1

უზენაესი ალლაჰის ღვთაებრივობა სამ ობიექტში გამოვლინდა:

ადამიანი, ყურანი და სამყარო.

ადამიანი, რომელიც დაჯილდოებულია ალლაჰის სახელის ყველა მშვენიერი ანარეკლით, არის სამყაროს შექმნის საფუძველი. ალლაჰის სიტყვათა მშვენიერების განმასახიერებელი არის ყურანი. ადამიანის სტრუქტურასთან შედარებით ყურანი უფრო დეტალურია. მის სიდიადეზე ნათქვამია:

„ადამიანი და ყურანი — ტყუპებია...“

ალლაჰის მშვენიერ ნიჭთა მესამე გამოვლინება **სამყაროა** — ეს ყურანის ახსნის ნაირსახეობაა. სამყარო — ეს მდუმარე ყურანია, ხოლო ყურანი სიტყვად ქცეული სამყარო. ადამიანმა კი, თავისი არსის სიღრმით, ყურანის შუქით სრულყოფილებას მიღწეულმა, დაიჭირა მმართველის მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, **„ადამიანი, ყურანი და სამყარო“** მონოთეისტური ოჯახის შემადგენლები არიან.

როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა სამყაროს აღსასრულამდე მისი მფლობელის ძლევამოსილებისა და დიდების დასტურია, ასევე კაცობრიობის აწმყოდ და მომავლად ქცეული ყურანი მსგავსია ჩვენს თავზე გადაჭიმული ზეცისა, რომელიც ვარსკვლავების მსგავსი აიათებით იბრწყინებს სამყაროს აღსასრულამდე. ამიტომაც,

ყველაზე უმწიკვლო და ბედნიერი ადამიანები ისინი არიან, ვინც ყურანის შუქის ქვეშ არსებობენ.

რაკი ყოველგვარი საიდუმლო, სიბრძნე და ჭეშმარიტება ყურანშია დამალული, სრული ბედნიერება დამოკიდებულია რწმენაზე. მთელი ეს უზარმაზარი სამყარო ადასტურებს, რომ თუ ალლაჰის უდიდებულესობა მოისურვებს, ის წვეთში დამალავს ოკეანეს და ოკეანეში-წვეთს, ანდა პირიქით. ამას კი ის ცხადად გააკეთებს.

აქედან გამომდინარე, მევლანა ჯალალედინ რუმმა თქვა:

„ერთხელ შემიპყრო სურვილმა უზენაესი ალლაჰის შუქი ხალხში დამენახა. ე.ი. მსურდა წვეთში მეხილა ზღვა, ხოლო მტვერში — მზე...“

აქედან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება. რაც შეეხება ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვას, მისით დაღლას, მისი სიღრმით დატვირთვას, აუცილებელია მივმართოთ — **ჭეშმარიტებაზე დაფიქრების ხერხს.** რადგანაც ამის განხორციელების გზა არის ზუსტად თეფექქური (დაფიქრება) და თაჯასუსსი (დაკვირვება).

ფიქრში იხსნება ჩანაფიქრის სიფაქიზე, ბრძნული სამყაროს სინატიფე. სამყარო, როგორც გამოსაცდელი ადგილი, არის რწმენის სკოლა. მას, ვინც ეცდება ღვთაებრივ აღზრდას შეეწინააღმდეგოს, ან ხელმძღვანელობს ნეგატიური თვისებებით და ცხოვრობს ფასეულობების საკუთარი გაგებით, არა მარტო საკუთარი თავისათვის მოაქვს გამოუსწორებელი ზიანი მარადისობაში საცხოვრებლად, არამედ წუთისოფელშიც ხშირად ვარდება სტრესისა და სულიერი დახშულობის მდგომარეობაში.

ადამიანის შვილმა, რომელიც უზენაესი გამჩენის მორჩილებაში ღირსებითა და პატივით ცხოვრობს, უნდა დაარღვიოს მომავალი კვანძები, სახელდობრ კი, ამოიცნოს სიკვდილის საიდუმლო ღვთაებრივი აღმოჩენებითა და იმაზე დაფიქრებით, რაც მას ჭეშმარიტებამდე მიიყვანს. რადგანაც ყველა, გამონაკლისის გარდა, სიცოცხლის უკანასკნელ წამს წარსდგება ცეცხლიანი მორევის წინაშე. სჯობს, ადრიანად დაფიქრდეს ამაზე და სწორად მოაწყოს ცხოვრება, რათა იყოს დარწმუნებული თავის მომავალში, რაც ყოველი მოკვდავისთვის სიცოცხლის აზრია.

ამასთან დაკავშირებით, ადამიანის შვილი სამყაროს, ღვთაებრივი საიდუმლოსა და სიბრძნის შესამეცნებლად საჭიროებს თავისი ფიქრებისა და დაკვირვების სწორი კალაპოტისაკენ მიმართვას წმინდა ყურანის ხელმძღვანელობით.

ადამიანს წმინდა ყურანის გარეშე, მხოლოდ საკუთარ გონებაზე დაყრდნობით რომ შეძლებოდა სრულყოფილებისთვის მიღწევა, დიდებული ალლაჰი დასახმარებლად თავის მონა-მსახურებს არ გამოუგზავნიდა შუამავლებისა და წმინდა წიგნების სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი საჭიროებს ღვთაებრივ დახმარებას იმისათვის, რათა თავისი ბუნებრივი მონაცემები ღირსეულად გამოიყენოს დაკვირვებისათვის. თუ ადამიანი ყურანს არ მიმართავს რა ხერხით შეიმეცნებს ის ისეთ ჭეშმარიტებებს, როგორიცაა **„ერთადერთობა“ და „მარადიულობა“?**

ყურანი გვიხსნის რა მთელ ოკეანეს ჭეშმარიტების შესამეცნებლად, ის ყველაზე საუკეთესო გზით მართავს, ასწორებს და ავითარებს ადამიანში (მისი არსის სიღრ-

მეში) ჩადებულ მოვლენათა წვდომისა და დაფიქსირების შესაძლებლობას.

ყურანის დახმარების გარეშე მრავალ ჭეშმარიტებას ჩვენ არა მარტო ვერ გავიგებდით, არამედ მათზე წარმოდგენაც კი არ გვექნებოდა. ყურანის შინაარსის განუსაზღვრელობა ჭკუას სააზროვნოდ მართავს. მაგრამ ბუნებრივია, ჩვენი შემეცნება აღნიშნულ საზღვრებში დევს და განსაზღვრულ კრიტერიუმებს ექვემდებარება. ყურანი გვეუბნება, რომ ის მოიცავს ყველაფეს „რაც არსებობს ცოცხალი ან გამხმარი," შესაბამისად დიდებული ალლაჰი ამბობს, რომ ყურანის სიბრძნეს ამოუწურავია. ამიტომ ადამიანისთვის შეუძლებელია მისი სრულად შესწავლა.

ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ გამოვიყენოთ თეფექქურისა (დაფიქრება) და თაჯასუსსის (დაკვირვება) მეთოდები. ყურანი სამოღვაწეო მინდორს ჭეშმარიტების გზისკენ მრავალჯერი დარიგებით აღებს და კაცობრიობას გზააბნეულობისგან იცავს. აუცილებელია ვიცოდეთ რა შესაძლებლობებს უნდა ვფლობდეთ ჩვენ. იმიტომ, რომ გონებას, რომელიც გვებოძა მსგავსია მექანიკური სასწორისა, ხოლო ჭეშმარიტებას, რომლის სიდიადე ლეგენდარული კავკასიონის მსგავსია ამ მეთოდით ვერ მივუდგებით. ამიტომ გონება ზეშთაგონებას უნდა დავუმორჩილოთ.

ზუსტად ამიტომ, თავიანთი გონებრივი შესაძლებლობების შემფასებელი ყურანის კომენტატორები წმინდა აიათის შინაარსის ახსნის შემდეგ ყოველთვის ამატებდნენ:

„სრულყოფილად და ზუსტად მხოლოდ ალლაჰმა იცი-სო...“

იმის გათვალისწინებით, რომ ჭეშმარიტება გარდმოვლენილია უზენაესი ალლაჰისაგან, ის უნდა მივიღოთ პირველქმნილი სახით.

წყალი, რომელიც სამზარეულოში მდგარ დოქშია, თავისი თვისებებით არ განსხვავდება ოკეანის შემადგენლობაში არსებული წყლისაგან, მაგრამ არსებობს უსაზღვრო განსხვავება მათ რაოდენობასა და სიღრმეში.

მეორე მხრივ, თუ შევეცდებით დაბადებიდან ბრმას ავუხსნათ, თუ როგორ გამოიყურება ესა თუ ის ფერი, ის, უეჭველად, მოძებნის თავის გონებაში მის შესატყვისს. მაგრამ რამდენად განსხვავებული იქნება მის წარმოდგენაში დაფიქსირებული ფერი რეალურისაგან? რადგან წმინდა ყურანის ყოველი სიტყვა და ფრაზა ადამიანური გონების პრიზმის გავლით აღიქმება, მათი სრული ახსნისათვის არ საჭიროებს გაგრძელებას.

ე.ი. ადამიანისათვის დადგენილია დაფიქრებისა და დაკვირვებისათვის საჭირო საზღვრები ჭეშმარიტების შემეცნებისა და მიღწევისათვის. ყურანი ჩვენს გულებს გაფრთხილებისა და დარიგების მთელ ნაკრებს აწვდის, რათა ის ჭეშმარიტების გზას მიჰყვეს.

როგორც შეუდარებელი ხელმძღვანელი და ბედნიერების წყარო, წმინდა ყურანი მრავალ აიათში ლაპარაკობს ადამიანზე, როგორც ბრძენ ქმნილებაზე, სამყაროს განსაცვიფრებელ წესრიგზე. მას, ვისაც სურს იცხოვროს ღირსეული ადამიანის სახელით, უნდა შევი-

დეს იმ აზრობრივ სამყაროში, რომელსაც ხსნის წმინდა ყურანი.

აკვირდება რა ადამიანი სამყაროს, ის სვამს შემდეგ კითხვებს: „რა არის სამყარო? რისთვის გავჩნდი მე? რაში მდგომარეობს დღეთა სწრაფი დინების ჭეშმარიტება და არსი? რომელი გზა მიდის ბედნიერებისაკენ? და კიდევ: ვინ ვარ მე? რისთვის ვცოცხლობ მე?... როგორ ვიფიქრო მე? რისთვის უნდა ვიყო მე მზად ამქვეყნიდან წასვლისას? და ეძებს ამ და მსგავს კითხვებზე პასუხებს.

მაშინ, როცა სამყაროში ყველაფერი უხილავი კანონისა და ზუსტი ანგარიშის მიხედვით მიედინება, ადამიანს, რომელსაც ყველაზე მაღალი (მეფური) მდგომარეობა უჭირავს შექმნილთა შორის, ნუთუ შეუძლია უპასუხისმგებლოდ მოქცევა ? როგორ წაიწევს ის ცხოვრებაში, საკუთარ ცდუნებას დამორჩილებული?

წმინდა აიათებში ნათქვანია:

„ნუთუ ჩათვალეთ, რომ ჩვენ გაგაჩინეთ ტყუილუბრალოდ და რომ თქვენ ჩვენთან არ იქნებით მობრუნებულნი?“[52]

„ნუთუ ადამიანს ჰგონია, რომ უპასუხისმგებლოდაა მიტოვებული?!“[53]

52. მუმინუნი 23/15.

53. ყიამეთი 75/36.

სრულწლოვანების მიღწევისას ადამიანი პასუხისმგებელი ხდება. მორწმუნისათვის ამ მომენტიდან იწყება ცხოვრების ახალი და მთავარი ეტაპი. ის ცდილობს გახდეს ალლაჰის ღირსეულ მონა-მსახური. ამ ეტაპზე მან უნდა შეისწავლოს და უყუროს სამყაროს არა მარტო გონების თვალებით, არამედ გულისყურით, რათა ამოიცნოს სამყაროს ღვთაებრივი საიდუმლოებები, მაღალი სიბრძნე, შეიგრძნოს მისი ჭეშმარიტი კოლორიტი. წმინდა აიათში ნათქვამია:

„განა არ შეხედავენ, როგორ ავაგეთ ზეცა მათ ზემოდან, როგორ მოვკაზმეთ იგი და მასში არანაირი ღიობი არ მოინახება! როგორ გავფინეთ დედამიწა და მასზე როგორ მოვათავსეთ ურყევი მთები. იქ ულამაზესი ყველა სახეობის მცენარეები წყვილებად აღმოვაცენეთ! ეს ყველაფერი ჭეშმარიტებისაკენ მსწრაფველი ყველა მორწმუნისათვის ერთგვარი გაკვეთილი და ერთგვარი დარიგებაა!“[54]

ყოველდღიურად ამოდის და ჩადის მზე, რომელიც გვჩუქნის ჩვენ სითბოს; დედამიწაზე ბინადრობს მრავალრიცხოვანი ცხოველი, აღმოცენდება ყოველგვარი ნაყოფის მომცემი, განსხვავებული ფერისა და გემოს მცენარე, ცის კაბადონზე, ღამით უთვალავი ვარსკვლავი კაშკაშებს, მთვარე თავის ფაზებს იცვლის. ადამიანი, რომელიც ამ ცის ქვეშ ცხოვრობს, ტკბება შექმნილით, მაგრამ არ გამოხატავს მადლიერებას და იმყოფება სიბრმავეში, ყველა ამ წყალობას ჭეშმარიტი პატრონი არიგებს:

54. ყაფი 50/6-8.

„და ჩვენ არ გაგვიჩენია ცა და მიწა და რაც მათ შორისაა ამაოდ... “[55]

„და ჩვენ არ გაგვიჩენია ცანი და მიწა და რაც მათ შორისაა გართობის მიზნით. არ გაგვიჩენია ჩვენ ისინი, თუ არა ჭეშმარიტებისთვის, მაგრამ მათი უმრავლესობა არ უწყიან.“[56]

სამყარო-ეს ის საოცრებაა, რომელშიც ღვთაებრივი ძლევამოსილება მჟღავნდება. აღმსარებლისთვის დამახასიათებელი დიდსულოვნება არის მუდმივი განსჯის საგანი, გონების გამწაფავი და გაცისკროვნებით აღტაცების მომნიჭებელი.

წმინდა აიათში ნათქვამია:

„განა არ გინახავს, რომ ალლაჰმა ზეგარდმოავლინა ზეციდან წყალი და მოჰფინა წყაროებად მიწაზე? მერე აღმოაცენებს მისი მეშვეობით ნათესებს სხვადასხვა ფერის. მერე დაჭკნება, ამგვარად დაინახავ მას გაყვითლებულად. მერე მას გადააქცევს ხმელ ნაყარ-ნუყარად. უეჭველად, ყოველივე ამაში შეხსენებაა ბრძენკაცთ, ჭკუასაკითხთათვის.“[57]

„უეჭველად, ცათა და დადამიწის გაჩენაში, დღეღამის ცვლაში, და გემებში, ზღვით რომ მიმოაქვთ რაც ადამიანებს სჭირდებათ; და წყალში, რომელიც ალლაჰმა ცით მოავლინა და გააცოცხლა მიწა მისით სიკვდილის მერე და ყველანაირი ცხოველი მიმოფანტა მასზე; ქარე-

55.სადი 38/27.

56. დუჰანი 44/38-39.

57. ზუმარი 39/21.

ბის მონაცვლეობაში და მორჩილ ღრუბლებში, ცასა და მიწას შორის სასწაულებია იმ ხალხისთვის, რომელნიც გონებას მოუხმობენ.“[58]

მართლაც, მახვილი თვალი შენიშნავს, რომ ციდან ჩამოდის ღვთაებრივი წყალობის შუქი, ხოლო მიწის წიაღიდან სიყვარულის ზურმუხტები აღმოცენდება. ამგვარი, ცითა და ხმელეთით გარშემორტყმულ, ღვთაებრივი სიყვარულით მოაზროვნე ადამიანს ნუთუ არ შეუძლია სულიერი სრულყოფილება და თავისი გარეგანი თუ შინაგანი შეგრძნებების ჰარმონიაში მოყვანა?!

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:ﷺ

„და იგია, რომელმაც განავრცო მიწა, მასზე დაადგინა მთები და მდინარეები. ყოველი სახეობის ნაყოფი გააჩინა წყვილებად, იგი მოსავს დღეს ღამით. უეჭველად, ამაში სასწაულებია გულისხმიერ ხალხთათვის. ნ.“[59]

ისინი, ვისაც ებოძათ ალლაჰის მონა-მსახურებად და შუამავლის მორჩილ ხალხად ყოფნის პატივი, დგანან ერთ მწყობრად. მათი კეთილშობილების განმაპირობებელი იარაღის სახელწოდება-მადლია. ძლევამოსილი გამჩენის შუქის ელვარებითა და ღვთაებრივი სიყვარულით აღსავსე სული თავის თავში მადლს შეიცავს. მათ, ვინც ამ სამყაროს სულიერი თვალით უყურებს, მიღებული აქვთ შინაგანი ცოდნა. ისინი შეძლებენ დაინახონ სანათების მსგავსი, ღრმა ღვთაებრივი საიდუმლოებით მორთული უფსკერო ცა, ან ყოველი ფოთლით, როგორც ხელისგულებით, ალლაჰისაკენ ტოტებგაწვდილი ხე...

58. ბაყარა 2/164.

59. რადი 13/3.

ან, ბალახი, როგორც ხალიჩა მუჰამედის ხალხისათვის და ყვავილები, სიოსაგან ათრთოლებული, მსგავსი ხალხისა... აი, მთის უძლიერესი ჯაჭვები გაუნძრევლად გაქვავებული; აი, ღრუბლები- ნაყოფიერებითა და ბარაქით, ზღვიდან ცისკენ უსაზღვრო მოგზაურობაში მყოფნი... აი, ქარი, მაუწყებელი ღვთაებრივი გზავნილებისა... ელვა-ჩამსახავი შიშისა და იმედისა. სეტყვა-როგორც გაფრთხილება და დარიგება ძალაუფლების ჭეშმარიტი მფლობელისაგან მათთვის, ვინც დროს ატარებს უდარდელობაში... დღე-მისი სინათლის ანარეკლი; ღამე-მისი საიდუმლოებებისა და სიბრძნის ზეიმი... სამყარო-წიგნი, საკვირველი ნიშნებითა და იდუმალებით აღსავსე, ალლაჰის მშვენიერი სახელების გამოვლენით მდუმარე ყურანი... ხოლო ყურანი-სიტყვაში ასახული სამყარო ადამიანი კი იმყოფება იმ ორი სამყაროს შესაყარზე, როგორც ბურჯი და შემეცნების ცენტრალური წერტილი.

შუამავლის შესახებ ერთ საინტერესო ამბავს აიშე მოგვითხრობს. მონათხრობი მის სულიერ სიფაქიზესა და სრულყოფილებაზე მეტყველებს.

„ერთ საღამოს ალლაჰის შუამავალმა მითხრა:

— ო, აიშე! თუ შენ წინააღმდეგი არ იქნები, მე ამ საღამოს ღვთისმსახურებაში გავატარებ.

— ვფიცავ ალლაჰს, - ვუპასუხე მე, მე მომწონს შენთან ერთად ყოფნა. მაგრამ კიდევ უფრო გამახარებს ის, რაც შენ სიხარულს მოგანიჭებს.

ის წამოდგა, აბდესისთვის საჭირო პროცედურები შეასრულა და ნამაზზე დადგა. ტიროდა იმდენად, რომ მისი ტანსაცმელი, დალოცვილი წვერი, ადგილი სა-

დაც სეჯდეს ასრულებდა ცრემლებისაგან დასველდა. ამ მდგომარეობაში მას ბილალმა მიუსწრო, რომელსაც მისი დილის ნამაზის სალოცავად გაღვიძება სურდა. შუამავლის ცრემლების დამნახავმა ბილალიმ გაკვირვებით იკითხა:

— ო, ალლაჰის შუამავალო! დიდებულმა ალლაჰმა, ხომ ყოველი წარსული და მომავალი ცოდვები შეგინდოთ, რა გატირებთ?

ჩვენმა ბატონმა მას უპასუხა:

— განა, მე არ უნდა ვიყო ისეთი მონა-მსახური, რომელიც ალლაჰის მადლიერია? ვფიცავ ალლაჰს, ამ ღამით ჩემზე გადმოვიდა ისეთი აიათები, რომ მათი წამკითხავი, მაგრამ დაუფიქრებელი ღირსია მხოლოდ შეცოდებისა! და მან წაიკითხა ის აიათები:

„უეჭველად, გაჩენა ცათა და ქვეყნის და მონაცვლეობა ღამისა და დღისა სასწაულებია ბრძენკაცთ, ჭკუასაკითხთათვის. რომელნიც ალლაჰს ახსენებენ ფეხზე მდგომარე, მჯდომარე თუ მწოლიარე, და ფიქრობენ ცათა და ქვეყნის გაჩენაზე, (ამბობენ): „ღმერთო ჩვენო! შენ ეს ამაოდ (ტყუილად) არ გაგიჩენია! დიდება შენდა! დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან.“[60]

ამ აიათების გარდმოვლენის შემდეგ ალლაჰის შუამავალი დილამდე ტიროდა. ალლაჰის წყალობით, ხომ მორწმუნეთა ცრემლი იქნება მათი ღამის მოსართავები, საფლავის სიბნელის შუქი და სამოთხის ბაღების ცვრის წვეთები.

60. ალი-იმრანი 3/190-191

ალლაჰისაგან დიდი წყალობაა წლის განსაკუთრებული თვეების, დღეებისა და ღამეების არსებობა, რომლებიც ალლაჰთან მიახლოების ბედნიერ შესაძლებლობას იძლევა. ალლაჰის მიერ ჩვენთვის ბოძებულ თორმეტ თვეში ზოგიერთს სხვებზე მეტი უპირატესობა აქვს. ერთ-ერთია — რეჯების მთვარე, რომელსაც ასევე „შეჰრულლაჰს“ უწოდებენ (ალლაჰის მთვარე).

უვიცობის ხანაშიც კი ამ მთვარეში ხმალს ქარქაშში აგებდნენ, სისხლიანი შეტაკებები წყდებოდა. ისლამის დამკვიდრებით რეჯების თვის პატივისცემა შენახულ იქნა. ამ დალოცვილი თვეში აღინიშნება რაღაიბის ღამე, (პირველი პარასკევს), და 27 რიცხვში, მირაჯის (ცად ამაღლების) ღამეს.

ერთ-ერთი ჩვენი მთავარი მოვალეობაა, ამ ღამეების ღვთისმსხურებითა და ალლაჰის შუამავლის სიყვარულით გატარება, ალლაჰის შუამავლის სიყვარული ხომ იმ, კაპიტალს შეადგენს, რომლის საშუალებითაც ჩვენს გულებს ბედნიერების მიღწევა შეუძლია. ეს ბედნიერება (ვინც სიყვარულით მისდევდნენ უკან და თავიანთი სულები უძღვნეს მას,) — ღვთაებრივ ჯილდოებს ნაზიარები შუამავლების საუკუნო მეგზური, უმწიკვლო, შეჰიდები (სარწმუნოებისთვის ბრძოლაში გმირულად დაცემულები) და ღვთისმოსავები არიან.

დაე, უზენაესმა ალლაჰმა შეავსოს ჩვენი გულები ამ დალოცვილი დღეების, ღამეებისა და თვეების ხვავითა და ბარაქით. გაანათოს ჩვენი სულები ალლაჰის შუამავლის შუქმა და შეგვმოსოს მისმა სიყვარულმა. დაე, უზენაესმა განკითხვის დღეს შეგვკრიბოს ალლაჰის შუამავლის დროშის ქვეშ და გვარგუნოს მისი ქომაგობა!

დაე, გააცხადოს ჩვენს ქვეყანასა და მთელ ისლამურ სამყაროში თავისი წყალობა, გამარჯვება და წარმატება!

ო, ღმერთო! ჩვენ მივექანებით იმ სამყოფელისაკენ, სადაც მეფობს ხანგრძლივი ხეტიალი და აბსოლუტური სიმარტოვე. დაე, გვერგოს იქ მზიდად-მადლი, მეგობრებად-შუამავლები და წმინდანები, სიხარულის ბაღებად-უმწიკვლო ქცევები!

ო, დიდო ალლაჰო! შეგვიყვანე იმ მონა-მსახურთა რიცხვში, რომლებიც ჭეშმარიტ შემეცნებას ფლობენ და შესწევთ უნარი უყურონ სამყაროსა და მასში მიმდინარე მოვლენებს სულიერი ხედვით! ჩვენს გულებს მიეცი შესაძლებლობა შენი დარიგების შესასრულებლად:

ამინ!

ყურანი და თეფექქური
2

ჩვენი სული ყურანის ჭეშმარიტებითა და შუამავლის სუნნეთისაკენ სწრაფვით უნდა აივსოს. წმინდა ყურანი და პატივდებული შუამავალი ხომ უსაზღვრო ბედნიერებისა და ჭეშმარიტებისაკენ მოგვიწოდებენ. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ყურანი და სუნნეთი-შუამავლის მიერ ჩვენთვის გადმოცემული ის ამანათია, რომლის სიწმინდეც უნდა დავიცვათ.

ყურანი და თაფაქქური – 2

კაცის ძე არა მარტო კუნთებისა და ძვლებისაგან შემდგარ არსებას განასახიერებს, არამედ ის ქმნილებათა გვირგვინია, სრულყოფილების საოცრებაა. ყველა დანარჩენთაგან მხოლოდ ის არის შემკული უზენაესი გამჩენის შემეცნების ნიჭით. ადამიანი, რომელმაც სრულყოფილებას მიაღწია და შეინარჩუნა ბუნებისაგან ბოძებული საპატიო მდგომარეობა და ღირსება, უზარმაზარ საგანძურს წარმოადგენს, რომელშიც ღვთაებრივი სიბრძნე, ყოფიერებისა და სამყაროს საიდუმლოებები და ღვთაებრივი ბედისწერა ვლინდება. ალლაჰმა ხომ ის საუკეთესო ქმნილებად - **„ეჰსენი თეყვიმ“** (გაჩენილთაგან უმშვენიერესი)—შექმნა.

ადამიანს, რომელიც ასეთ შესაძლებლობებსა და გაქანების უნარს ფლობს, ნუთუ შეუძლია დრო ფუჭად ფლანგოს და მისთვის ბოძებული წყალობა უვიცობით დაღუპვამდე მიიყვანოს?

ხალხი მაცდუნებელი ისრებისათვის სამიზნეა. ამიტომ, საჭიროა ყოველთვის ფხიზლად ვიყოთ და დავიმახსოვროთ, რომ სიკვდილი შეიძლება ნებისმიერ მომენტში გვეწვიოს. ცხოვრება ხომ ადამიანის მიერ განვლილი დღეების ამსახველი კალენდრის მსგავსია. ყოვე-

ლი განვლილი დღის ფურცლის მოხევით, უჩინარი ხელი მას სიკვდილთან აახლოვებს.

განვლილი დღეები-ჩვენი მოწმეებია, მომავალი დღეები კი-ჩვენი სტუმრები. დღეებისთვის, რომლებიც ჩვენთან სტუმრად მოდიან გულმოდგინედ უნდა მოვემზადოთ. სიცოცხლე-ესაა მუდმივი დოსიე. ქირამენ ქათიბინის ანგელოზები ყოველ ჩვენს ქმედებას ყოველგვარი გადახვევისა და გამოტოვების გარეშე იწერენ. ეს დრო ერთხელაც წარმოგვიდგება ჩვენ და გავიგონებთ ბრძანებას:



„წაიკითხე შენი წიგნი! დღეს ანგარიშგებად შენს წინააღმდეგ კმარა შენი სული! “[61]

იმ წიგნებს გარდა, რომელშიც ჩვენი ქმედებები იქნება ჩაწერილი, ჩვენი საქმეების მოწმე დედამიწაც იქნება. წმინდა აიათში ნათქვამია:



„...იმ დღეს მოყვება იგი (დედამიწა) თავის ამბავს...“[62]

თუ მასზე ალლაჰის წყალობა გადმოვა, მორწმუნეების სახეები იქნება გასხივოსნებული. ამის გამო წმინდა ყურანი ჩვენ ხსნის გზისაკენ მოგვიწოდებს:

---

61. ისრა 17/14.

62. ზილზალი 99/4.

„ისინი საწოლებს განშორდებიან თავიანთ ღმერთზე შესავედრებლად ძრწოლვით და სასოებით, და რა სარჩოც ვუბოძეთ, გაიღებენ იქიდან!“[63]

„უეჭველად, გვეშინია ჩვენი ღმერთისგან იმ მოქუფრული სახიფათო დღისა!“[64]

„და რომელნიც თავიანთი ღმერთის სასჯელით თრთიან, რამეთუ თავიანთი ღმერთის სასჯელისგან არავინაა დაცული.“[65]

ვინც დარწმუნებულია იმაში, რომ შეუძლია ალლაჰის სასჯელი აიცდინოს, წმინდა ყურანი აფრთხილებს:

„ნუთუ დაზღვეული ეგონათ თავი ალლაჰის მახისგან ? ვერ იქნება დაზღვეული ალლაჰის მახისგან, გარდა წაწყმედილნი ხალხისა!“[66]

ხოლო ისინი, ვინც თავს ალლაჰის წყალობასა და შეწევნისაგან მოკლებულად მიიჩნევს, ურწმუნო ქაფირთანაა შედარებული:

„ჰეი, შვილნო ჩემნო! წადით, იუსუფი და მისი ძმა კარგად მოძებნეთ. და ალლაჰის წყალობის იმედს ნუ გადაიწურავთ. უეჭველად, არ ეწურებათ იმედი ალლაჰის მოწყალებიდან, გარდა ურწმუნო ხალხისა“[67]

---

63. სეჯდე 32/16.

64. ინსანი 76/10.

65. მეარიჯი 70/27-28.

66. არაფა 7/99.

67. იუსუფი 12/87.

შიშსა და იმედს შორის მყოფი მორწმუნე თრთის ალლაჰის მორჩილებით მიღებული აღტაცებით. ალლაჰით დაიმედებულმა მორწმუნემ წონასწორობა, შიშსა და იმედს შორის არსებული გრძნობები უნდა დაიცვას მუდმივად უნდა შეასრულოს ვედრება და მთელი თავისი ცხოვრება სიკვდილამდე ლოცვით უნდა გაატაროს. წმინდა აიათში ნაბრძანებია:

„...და არ არიოთ ქვეყანა მისი კეთილმოწესრიგების შემდგომ . და შეევედრეთ მას შიშითა და სასოებით . უეჭველად, ალლაჰის წყალობა ახლოსაა კეთილისმთესველთან.“[68]

ამიტომ მორწმუნეები

„...იმედი აქვთ მისი წყალობის და ეშინიათ მისი სასჯელის....“[69] და ცხოვრობენ ამ აიათით გამოხატული ფიქრებით.

შუამავლებისა და მიმდევრების გარდა არავინაა მუდმივი გადარჩენის მოპოვებაში დარწმუნებული. ამის გამო უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

[illegible]

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭეშმარიტი ღვთისმოშიშებით გეშინოდეთ ალლაჰისა, და ისე არ ჩაბაროთ სული, მუსლიმად არ აღესრულოთ!“[70]

68. არაფი 7/56.

69. ისრა 17/57.

70. ალი-იმრანი 3/102.

ღვთისმოშიშობა გულს ბედნიერებით აცისკროვნებს. წმინდა ყურანი ცნობილია ცოდვილთა ჯოჯოხეთში ტანჯვის აღმწერი მრავალი აიათით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მრავალი ადამიანი უგნურად მსჯელობს და ამბობს:

„ალლაჰი-მპატიებელია. ის უნდა გვიყვარდეს და მისი არ უნდა გვეშინოდესო.“ ასეთებს წმინდა ყურანი აფრთხილებს:

„ჰეი ხალხო! მოკრძალებულ იყავით თქვენი ღმერთის წინაშე და გეშინოდეთ იმ დღის, როცა მშობელი ვერ შეეწევა თავის შვილს, შვილი კი მშობელს. უეჭველად, ალლაჰის აღთქმა ჭეშმარიტია.“[71]

ხოლო ზოგიერთი გზააბნეული უმეცარი ამგვარ არგუმენტს მოიშველიებს:

— „შენი ცოდვა ჩემზე იქნება!“ და ჰარი-ჰარალოდ ატარებს დღეებს, დაუფიქრებლად ეშვება მძიმე ცოდვებში, რაც ძალიან სამწუხაროა.

ხალხი, რომელიც უდარდელად იღებს წყალობას კმაყოფილებით ცხოვრობს და თავს კომფორტულად გრძნობს. ღვთისმოსავი და დაფიქრებული ადამიანი კი თავის ამქვეყნიურ ცხოვრებას იყენებს, როგორც კეთილშობილურ შესაძლებლობას, მარადიული ცხოვრების ჯილდოების დასამსახურებლად. ისწრაფვის სულიერების დონის ასამაღლებლად და ამით სიამოვნებას განიცდის. უდარდელი ადამიანი თავის ნებას ეწინააღმდეგება და იქცევა მეამბოხედ. მას არ შეუძლია, განთავისუფლდეს

71. ლოყმანი 31/33.

მტანჯველი კითხვებისგან: „რატომ“? და „რისთვის?“ ღვთისმოსავი და ფიქრიანი ადამიანი კი ყველაფერში სიბრძნეს ეძებს, ჭეშმარიტებაში იძირება, ცდილობს ჭეშმარიტი ბედნიერება სიმშვიდით შეინარჩუნოს.

სულიერების სამყაროში განსაკუთრებული ადგილის დამკვიდრებისათვის ხალხის კიდევ ერთი ნაწილი აცხადებს პრეტენზიას. ისინი ისე იქცევიან, თითქოს თავიანთი გულითა და სულიერი მდგომარეობით უკვე მიაღწიეს უმწიკვლოების მაღალ დონეს. ისინი, ვინც მევლანას, იუნუსისა და მათ მსგავსთა სულიერებიდან შორს იმყოფებიან:

„მე არ მსურს სამოთხე, რადგან არ მეშინია ჯოჯოხეთის. მე მიყვარს უზენაესი გამჩენი, მიყვარს მხოლოდ ის...“ მსგავსი მაღალფარდოვანი ფრაზებით რელიგიური ექსტაზის ხელოვნურ დემონსტრირებას ახდენენ, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ის ვინც ალლაჰის წინაშე თავის უძლურებას აღიარებს ნებით კეტავს ყველა იმ გზას, რომელიც უზენაესთან არ მიიყვანს მას. აბდულყადირ გეილანის მიხედვით, ასეთი სიყვარული ათავისუფლებს გულს ისეთი კვანძებისაგან, რომლებიც მხოლოდ სივრცეში არსებობენ. ალლაჰისადმი ასეთი გრძნობით შეპყრობილი მონა-მსახური არ ფიქრობს არც ამქვეყნიურ და არც მარადიულ ცხოვრებაზე. ის უფრთხის საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენასაც კი, სურს რა საუბარი და სიახლოვე მხოლოდ ალლაჰთან. ეს ძალიან ჰგავს ლეილასა და მეჯნუნის ისტორიას.

ოდესღაც ლეილას სიყვარულით გონებააშლილმა ჭაბუკმა ხალხთან კავშირი გაწყვიტა და განცალკევდა

მათგან. ის უდაბნოში, ველურ მხეცებს შორის დასახლდა. მისთვის უმნიშვნელო იყო ხალხისგან გადმოსული ქებაცა და წყრომაც. ის ვერ გრძნობდა განსხვავებას სიჩუმესა და ხმაურს შორის. და ერთხელ მას ჰკითხეს:

— შენ ვინა ხარ?

— ლეილა! – უპასუხა მან.

— საიდან ხარ შენ?

— ლეილასაგან...

— სად მიდიხარ?

— ლეილასთან...

ლეილას ძლიერი სიყვარულის გამო მეჯნუნს თვალებთან ერთად გულიც დაუბრმავდა, ველარ ხედავდა რა გარშემო სამყაროს. ის გადაეჩვია იმ სიტყვის მოსმენას, რაც ლეილას არ ეხებოდა.

ალლაჰის შემცნობი მორწმუნის გულში იხსნება ჭეშმარიტი ძლევამოსილება და არ რჩება სხვა რაიმესთან დამაკავშირებელი ძაფები. ის მხოლოდ ალლაჰითაა სავსე. ამქვეყნიური, წუთისოფლის სურვილები ქრება.

ის მარტოობისა და ხალხმრავლობის დროსაც რჩება ალლაჰთან ერთად და ბედნიერებას ჭეშმარიტების გზაზე, ალლაჰის უდიდებულესობის ბრძანების შესრულებაში პოულობს — **„მაშ დაადექ ჭეშმარიტ გზას** (იყავი მართალი) **ისე როგორც გებრძანა...“** ასეთ მონა-მსახურებს ალლაჰი ღრმა ჭეშმარიტებებს უხსნის.

უზენაესმა გამჩენმა კაცობრიობას „სამაგალითო ნიმუშად“ შუამავალი მუჰამმედი ﷺ გამოუგზავნა. ყველა საუკეთესო თვისება ხომ შუამავლის კეთილშობილურ პიროვნებაში გამოვლინდა.

ჭარბი ადამიანური სიყვარული მიუღებელია ალლაჰის მიერ. შუამავალის რომ არ მიეღო გაფრთხილება უზენაესი ალლაჰისგან, ვერ აიცილებდა შეცდომებს. აქედან, აუცილებელია გავიგოთ, რა სახით უნდა ვაკონტროლოთ ჩვენი გრძნობები, განსაკუთრებით სიყვარულისა და შეთვისების, შეჩვევის განცდები. გადამეტებული სიყვარული და ვინმეს ან რაიმეს მიმართ ზედმეტი ლტოლვა წარმოშობს კერპებს. და ჩვენ არ ვართ დაცული ამისაგან, შუამავლების მსგავსად.

უსაზღვრო სიყვარული, გამართლებულია მხოლოდ ალლაჰის უდიდებულესობასთან მიმართებაში. როცა შიში და სასოება ალლაჰისადმი აღწევს ჰარმონიას, მისი სული ემსგავსება წყალობის ღრუბელს რწმენის ცის თაღზე. შეყვარებული ხომ ფრთხილობს, არ აწყენინოს მას, ვინც უყვარს და ცხოვრობს მისი დაკარგვის შიშით.

წმინდა ყურანში ნათქვამია:



„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუკი ალლაჰისთვის შეეწევით, ალლაჰიც შეგეწევათ და ფეხთა თქვენსა განამტკიცებს.“ (მუჰამმედ 47/7)

ამიტომ, ყოველი მოცემული შესაძლებლობა ჩვენი რწმენის ყველაზე მშვენიერ გამოვლინებათა გასალამა-

ზებლად და უმწიკვლო ქმედებათა განსახორციელებლად უნდა გამოვიყენოთ. ეს ჩვენ საქმეთა წიგნებს გაამდიდრებს. მორწმუნეებმა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვართ ადამის შთამომავლები, ვისაც ალლაჰის სიყვარულით, თვით ანგელოზებმა გაუკეთეს სეჯდე და ასევე, შუამავალ მუჰამედ ﷺ მუსატაფას მოწაფეები—ალლაჰის მშვენიერი სახელებისა და ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი მოძღვრების სკოლაში. ყურანი ჩვენს ცხოვრებას ჭეშმარიტი გზით წარმართავს.

ამიტომ ჩვენი სულები მარადისობასთან ზიარებას სიყვარულით, ყურანის ჭეშმარიტებითა და ფრიად პატივცემული შუამავლის სუნნეთით უნდა დაელოდონ. წმინდა ყურანი და ღრმად პატივცემული შუამავალი ხომ უსაზღვრო ბედნიერებისა და ჭეშმარიტების გზისაკენ მოგვიწოდებენ. ალლაჰი გვაუწყებს, რომ ამის მიღწევა მხოლოდ უმანკო გულით შეიძლება. ამის უგულებელყოფა და გულგრილად დარჩენა დახშული გულების უდარდელობაზე მიუთითებს.

ᲐᲤᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲔᲜ ᲧᲣᲠᲐᲜᲡ

„ნუთუ ისინი ყოველმხრივად არ გაიაზრებენ ყურანს? ან იქნებ გულთა ზედა აბია საკეტნი თვისი?“[72]

წმინდა ყურანი, თავისი უბადლო დიდებულებითა და შეუდარებლობით, განსჯისკენ მოუწოდებს.

72. მუჰამმედი 47/24.

„ნუთუ ისინი ყოველმხრივად არ გაიაზრებენ ყურანს? და რომ ყოფილიყო ალლაჰის გარდა სხვა წიაღიდან მოვლენილი, მასში, უეჭველად, უამრავ გაუგებრობას იპოვიდნენ.“[73]

მეცნიერების 14 საუკუნოვან ცდებს წინ აღდგომოდნენ წმინდა ყურანს, არ მიეცა თუნდაც ერთი აიათის უარყოფის შესაძლებლობა. ყოველი მეცნიერული აღმოჩენა ხომ მასში წარმოდგენილ მონაცემთა ჭეშმარიტების მტკიცებაა. ყურანს, ჯერ კიდევ 14 საუკუნის უკან, სულიერი კმაყოფილების მინიჭებით თვით უბრალო ბედუინთა ცხოვრება მოჰყავდა წესრიგში. დღეს კი მას, თავისთავში უხრწნელი ჭეშმარიტებების გაერთიანებით, განცვიფრებაში მოჰყავს თანამედროვეობის ყველაზე დიდი სწავლულები. ის შეიცავს ყველაზე ზუსტ მეცნიერულ მონაცემებს, რომლებიც თავიანთ ფასს თვით განკითხვის დღემდე არ დაკარგავენ.

ის უზენაესი გამჩენი, მეცნიერული ძიების წახალისებით, რომელიც ამტკიცებს ჭეშმარიტებას, წარმოადგენს ყურანის შემდეგ საოცრებებს. მისი საოცრება იმაშია, რომ არც ერთი აღმოჩენა მისთვის განკუთვნილ ვადაზე ადრე არ ხდება ე.ი. უმაღლესი ჭეშმარიტების დამდგენი ალლაჰის მიერ განსაზღვრული დროის გარეშე. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„სულ მალე ვუჩვენებთ მათ ჩვენს სასწაულებს ცის კაბადონზე და მათ სულებში, რათა განცხადდეს მათთვის,

73. ნისა 4/82.

რომ იგი ჭეშმარიტებაა. განა არ კმარა, რომ იგი უწყის ყველაფერს?!“[74]

ჭეშმარიტების გზის ღვთაებრივი ახსნის ასეთი მაგალითი მრავალია. აი, მეცნიერულ ფაქტებად აღიარებული ზოგიერთი აიათი:

„ჰეი, ხალხო! თუ ეჭვი გეპარებათ აღდგომის თაობაზე, უეჭველად, ჩვენ ხომ გაგაჩინეთ მიწისგან, შემდეგ წვეთისგან, შემდეგ სისხლის კოლტისგან, ხორცისგან ჩამოუყალიბებელი თუ ჩამოყალიბებულისგან. რათა განვმარტოთ თქვენთვის(ჭეშმარიტება): ჩვენ ვათავსებთ საშვილოსნოში იმას, რასაც ვინებებთ, დათქმულ ვადამდე. მერე გამოგვყავხართ იქიდან ჩვილებად, რომ მიაღწიოთ მოწიფულ ასაკს. ზოგი თქვენგანი კვდება, ზოგი კი ღრმა სიბერეს აღწევს და ავიწყდება ყველაფერი ის, რაც იცოდა. შენ ხედავ უსიცოცხლო მიწას. მაგრამ საკმარისია ჩვენ მასზე ზეგარდმოვავლინოთ წყალი , რომ ამოძრავდეს, გაფუვდეს და აღმოაცენოს ყოველგვარი მშვენიერი მცენარე!“[75]

„და ვფიცავ, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი ტალახის არსისგან ! მერე იგი დავადგინეთ წვეთად საიმედო ადგილას ! მერე ვჰქმენით წვეთისგან სისხლის კოლტი , მერე სისხლის კოლტიდან ვქმენით ხორცის ნაჭერი, ამის შემდეგ ხორცის ნაჭრიდან ვქმენით ძვლები, მერე ძვლებს

74. ფუსსილათი 41/53.

75. ჰაჯი 22/5.

შევასხით ხორცი, მერე გამოვსახეთ იგი სხვა ქმნილებად. რაოდენ დიადია ალლაჰი, საუკეთესო გამჩენია!“[76]

ცნობილ კანადელ ემბრიოლოგს, პროფესორს, დოქტორ კიეტ მურს თავის ნაშრომში დედის საშვილოსნოში ადამიანის ემბრიონის განვითარების სტადიების ახსნის შემდეგ მოჰყავს წმინდა აიათები და აკეთებს დასკვნას, რომ მეცნიერული ფაქტორები და წმინდა ყურანი არ გამორიცხავს ერთმანეთს და მართლაც წმინდა აიათებს გამოაქვს უდავო სამედიცინო დასკვნები, თანაც უფრო ზუსტად და გარკვევით.

კეიტი ამტკიცებს, რომ მინიშნება ემბრიონის სამი სტადიით: ნუტფე, ალაყა, მუდღა განვითარების შესახებ შესაბამისია მეცნიერული კვლევებისა და განაპირობებს მედიცინის ამ დარგის რამდენიმე წლით წინ წაწევას. ნუტფე ე.ი. წვეთი, ემბრიონის განვითარების საწყის სტადიას წარმოადგენს, რომელიც ბოლომდე ჯერ კიდევ შეუსწავლელია მეცნიერების მიერ. ალაყა კი – ესაა უძრავი სისხლის დედო, რომელიც მიბმულ და დაკიდულ მდგომარეობაშია. ამ შესქელებულ სისხლში ადამიანის მთელი სიცოცხლის პროგრამაა ჩადებული მუდღას სტადიაში, ე.ი. „დაღეჭილი ხორცის ნაჭერი“, ჩანასახი მართლაც მოგვაგონებს დაღეჭილ ხორცს. ვიზუალურად ის ნაკბილარ ხორცის ნაჭერს ჰგავს. თავისი გამოკვლევების ჭეშმარიტების დამადასტურებელი 1400 წლის უკანდელი საოცარი აიათების გამო, კეიტი ქედს იხრის წმინდა ყურანის ჭეშმარიტი სიდიადისა და ფრიად პატივცემული შუამავლის წინაშე. საბოოლოოდ იგი გამუსლიმანდა.

76. მუმინუნი 23/12-14.

ამ და სხვა მსგასი მტკიცებულებების შესახებ წმინდა ყურანში ნათქვამია:

„და ხედავენ, რომელთაც ებოძათ ცოდნა, რომელიც შენ მოგეავლინა შენი ღმერთისგან, ჭეშმარიტებაა, რამეთუ იგი ადგენს ძლევამოსილის, ყოვლადქებულის გზას!“[77]

კრიმინალისტიკის განყოფილებაში, რომელიც ადამიანის თითების ანაბეჭდს სწავლობს, დადგენილია, რომ ყოველი ადამიანის თითის ანაბეჭდი ინდივიდუალურია და არ იცვლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამ მიზეზის გამო გამოძიებასა და მართლმსაჯულებაში ყველაზე სარწმუნო ხერხად ანაბეჭდების შედარება გამოიყენება. ეს აღმოჩენა მე-19 საუკუნეში გაკეთდა და ფართო გამოყენება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ყურანში ნათქვამია:

„განა თვლის ადამიანი, რომ ვერ შევყრით მის ძვლებს? დიახ! მძლენი ვართ იმაზე, რომ თავიდანვე მოვაწყოთ თითთა წვერნი მისი.“[78]

ე.ი. ყურანი თითებზე, როგორც კვლევის საგანზე ამახვილებს ყურადღებას და იგი მეცნიერებას წინ უსწრებს. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:**„უთხარი: „რომც გაერთიანდნენ კაცნი და ჯინნი, რათა შექმნან მსგავსი ამ ყურანისა, ვერ შექმნიან მის მსგავსს, თუნდაც ერთიმეორეს დაეხმარონ!“**[79]

---

77. სებე 34/6.

78. ყიამეთი 75/3-4.

79. ისრა 17/88.

ყურანი ხომ ეს მოკვდავის, სუსტი ადამიანის ცოდნა არაა, არამედ ალლაჰის ცოდნაა, რომელსაც ძალუძს ყველაფერი, რომელიც ყველაფრის მცოდნეა. ამავე დროს, ალლაჰის უდიდებულესობა ადამიანს სამყაროს დასაპყრობად მეცნიერული აღმოჩენების გზას სთავაზობს.

ყველა შუამავალი და ევლია (წმინდანი) საკუთარ ცოდნას ყურანის ჭეშმარიტებით ამდიდრებს. ყველა სიბრძნე ყურანშია გამოხატული. ისე, როგორც ადამიანი სამყაროს მინიატურულ მოდელად აღიქმება, ასევე ყურანიც იმ ღვთაებრივ წიგნს წარმოადგენს, რომელიც თავისთავში მთელ სამყაროს აერთიანებს. ამიტომ მასში დაცული სიბრძნე ხელშეუხებელია. ის ყველა დროს მოიცავს.

ალლაჰთან დაახლოებული მონა-მსახურები სწორედ ასეთი გაგებით ეკიდებიან ყურანს. მისი ყოველი სიტყვითა და ასოთი შეიგრძნობენ უხილავი საიდუმლოებების ცვალებად გამოვლინებებს. ალლაჰთან დაახლოებული რჩეული მონა-მსახურები ამტკიცებენ, რომ ნებისმიერი ცოდნა და მათ მიერ შედგენილი ნაწარმოებები წარმოიქმნენ და აკიაფდნენ ყურანის შუქით.

ჰიჯრეთამდე (ალლაჰის შუამავალის გადასახლება მექადან მედინაში) ნახევარი წლით ადრე რეჯების თვის 27-ე ღამეს, ალლაჰის შუამავლის მექადან (მასჯიდი-ალ-ჰარამიდან) იერუსალიმში (მასჯიდი ალ-აყსაში) გადაყვანა და ამაღლება შვიდი ცის ზემოთ (ე.წ. „მირაჯი“) არის ღვთაებრივი ძლევამოსილების გამოვლენა, რომელიც დროსა და სივრცეს არ ექვემდებარება.

შუამავლის მიერ განვლილი ეს წმინდა გზა ასეა აღწერილი აიათში:

„დიდება იმას, რომელმაც ღამით გადაიყვანა თავისი მსახური მესჯიდი ჰარამიდან მესჯიდი აყსაში, რომლის შემოგარენიც ჩვენ დავლოცეთ, რათა გვეჩვენებინა მისთვის ნაწილნი ჩვენი სასწაულნისა. უეჭველად, იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი!“[80]

სხვა აიათში ამ გზის განვლისას გამოვლენილ ღვთაებრივ სიბრძნეზეა ლაპარაკი:

„აკი, გადაეკვრა სიდრას იგი, რაც ეკვროდა. არ შემკრთალა მზერა და არ გათავხედებულა. ვფიცავ, დაინახა თავისი ღმერთის უდიდეს სასწაულთაგან ნაწილი.“[81]

ალლაჰის მიერ ნაჩვენები მირაჯის ამბავი (როცა ერთი ღამით, შუამავალმა რეალური სივრცე გადაიარა და საოცარი წარმოდგენის ერთადერთ მხილველად იქცა) არსით მაჰბუბის ჰაბიბთან (შეყვარებულის შეყვარებულთან) შეხვედრას წარმოადგენს. ამ ღვთაებრივი მოწვევის მიღება, მისი დახვეწილობა და სილამაზე მიუღწეველია ადამიანის გონებისათვის. ამიტომ, ამ ამაღლების მთელი სიღრმე საიდუმლოდ დარჩა შეყვარებულებს შორის.

ნუ დავივიწყებთ, რომ ცად აღმართული მინარეთებიდან ამ ღამით გამონაშუქი სინათლე იქნება მოწმე ჩვენი ერთღმერთიანობისა.

---

80. ისრა 17/1.

81. ნეჯმი 53/16-18.

კაცობრიობისთვის მირაჯის ღამე დიდებული ნამაზის აღსრულების პირობაა. ნამაზი-ესაა რელიგიის საყრდენი, თვალის ჩინი, გულის სიხარული, შეხვედრა ალლაჰთან, მორწმუნის სულის მირაჯი. ალლაჰის მონა-მსახური ან შუამავლის მიმდევარი ცდილობს პირადად განიცადოს საკუთარი მირაჯი. შესაძლებელია მრავალი მაგალითი მოვიტანოთ იმისა, რომ მონა-მსახურის ცხოვრებაში მირაჯი ნამაზით ხორციელდება. ამასთანავე, ჩვენი ნამაზის ხარისხს მირაჯის დონე განსაზღვრავს. მირაჯზე მიწვეული ალლაჰთან ერთად მოგზაურობს ე.ი. ყოველდღე მიწვევას ვიღებთ, ხუთჯერ დღეში.

დაე, დიდებულმა ალლაჰმა ეს ღამე ხალხისთვის ბედნიერების წყაროდ აქციოს.

ო, ალლაჰო! გვაჩუქე ჩვენ შენი წყალობით მოფენილი ჭეშმარიტების გზა და დაგვიფარე ამქვეყნიური მისწრაფებების მორევში დახრჩობისაგან. ო, მოწყალე ალლაჰო! მოგვმადლე ჩვენ ფიქრი და ძალა შენი ჭეშმარიტების მისაღწევად! შეგვივსე გულები შენი სიყვარულით!

ო, ალლაჰო! დაგვიმშვენე ჩვენ სული ყურანის ცოდნით. გვაცოცხლე ჩვენ მასზე ფიქრის უსაზღვრო ატმოსფეროში და შენი შუამავლისადმი ისეთი სიყვარული ჩაგვისახე, რომ თქვენს წინაშე ცოცხალი და უმანკო გულით წარვსდგეთ...

ამინ!...

ყურანი და თეფექქური
3

ისევე როგორც საოცარია მიწაში ჩარგული ნამცეცა მზესუმზირიდან უზარმაზარი ხის აღმოცენება, ასევე განსაცვიფრებელია ჩვენი ფიქრებისა და გრძნობების სიმაღლე, რომლებიც იზრდებოდნენ და ყალიბდებოდნენ ყურანის ჭეშმარიტებით.

როგორც ჩანს, ყურანი ჭეშმარიტების გზაზე დასადგომად აუცილებელ უშრეტ ცოდნას რომ არ ფლობდეს მაშინ ჩვენი ფიქრები და გრძნობები მიწაში ჩაურგავი მზესუმზირის მსგავსად განუვითარებლად ჩაკვდებოდა.

ყურანი და თეფშეჭური – 3

უზენაესმა ალლაჰმა ადამიანს აუცილებელ პირობად მისდამი ღვთისმსახურება დაუსახა და დაუმორჩილა მას ყველაფერი, რაც ცასა და დედამიწაზე არსებობს.[82] ხოლო იმისათვის, რომ ადამიანს საკუთარი ქმედებების შეფასება და შეგრძნება შეძლებოდა მან ის აზროვნებისა და ანალიზის ნიჭით შეამკო. რწმენის სრულყოფისათვის კი ალლაჰმა კაცობრიობას თავისი შუამავლები, „უსვა ჰასანა“ (სანიმუშო პიროვნებები) და ჭეშმარიტების გზის მეგზურები გამოუგზავნა.

შუამავლების მიერ განხორციელებული ღვთაებრივი დახმარება, მიაღწია რა სრულყოფილების მწვერვალს, დასრულდა უკანასკნელი შუამავლით. უკანასკნელი შუამავალი განკითხვის დღის შუამავალია და ასევე ალლაჰის მიერ გარდმოვლენილი საბოლოო წმინდა წიგნის, ყურანის დამცველი.

რაკი ჩვენ გვერგო შუამავალ მუჰამედის ﷺ ყველაზე დიდი წყალობა — ხალხში გაერთიანებისა და ყურანის ჭეშმარიტების შეგრძნებისა, ვალდებული ვართ პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ, უსაზღვროდ ვუმადლოდეთ ალლაჰის უდიდებულესობას. ისევე, როგორც მიწაში ჩარ-

82. იხ. ყურანი, სურა ჯასიე, აიათი 13.

გული ნამცეცა მზესუმზირიდან აღმოცენებული მცენარე გვხიბლავს თავისი სიმაღლით, ასევე ჩვენი ფიქრებისა და გრძნობების სიმაღლე შეიძლება იქცეს განმაცვიფრებლად, თუკი ისინი ყურანის ჭეშმარიტი ძალის შემწეობით იკვებებოდა, საზრდოობდა.

ე.ი. ყურანი უშრეტი ცოდნის წყარო და ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელი რომ არ იყოს, მაშინ ჩვენი ფიქრები და გრძნობები განუვითარებლად ჩაკვდებოდა (როგორც მიწაში ჩაურგავი მზესუმზირა.) ამრიგად, ალლაჰის მონა-მსახურებისათვის ყურანში, რომელიც უდიდესი ღვთაებრივი საჩუქარია, განსახიერდა ღვთაებრივი ძლევამოსილების გულუხვობა და უსაზღვრო შემეცნების სიდიადე. და ეს, XXI საუკუნეში, კოსმოსური კვლევის ეპოქაში, მტკიცდება იმ ხალხთა ურთიერთობის სტილიდან, რომლებამდეც ღვთაებრივ მოწოდებას არ მიუღწევია, ამიტომ მოქმედებენ ისინი საკუთარი გაგებისა და ამქვეყნიური ინტერესების შესაბამისად. ამჟამად მილიონობით ადამიანი აღიარებს დამახინჯებულ რელიგიებს. მაგალითად: ბუდისტები, რომლებიც ეთაყვანებიან ბუდას ქვის ქანდაკებებს, ან ინდუსები, ვინც წმინდად უმწეო ცხოველს – ძროხას მიიჩნევენ, ან კიდევ ისინი, ვინც ჩვეულებრივ მოკვდავს აღმერთებენ ჩვენ ალლაჰისადმი კუთვნილების სიდიადეს, შუამავალ მუჰამედის ხალხთან ერთად რომ მივაღწიოთ, გათვალისწინებული გვაქვს ეს მაგალითის მომცემი შემთხვევები. ვინც გაიგო ჭეშმარიტების შესახებ, მაგრამ ცდუნებას ვერ სძლია და ამქვეყნიურ სიკეთებზე დამორჩილებით იქცნენ გზააბნეულებად. მათ შესახებ წმინდა ყურანში ნათქვამია:

„ყრუნი, მუნჯნი, ბრმანი...“[83]

ამიტომ, უზენაესი გამჩენი მორწმუნეთაგან მისი აიათების მიმართ სიფხიზლეს, გამჭრიახობასა და ღრმა აღქმის უნარს მოითხოვს. წმინდა აიათში ვკითხულობთ:

[illegible]

„ხოლო როცა მათ შეაგონებენ მათი უფლის აიათებით, არ რჩებიან ყრუნი და ბრმანი! “[84]

ჩვენს დროში მორწმუნეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი რამ. პირველი-მთელი საკუთარი არსებით ვიგრძნოთ ალლაჰისადმი მადლიერება, (იმის გამო, რომ ჩვენ გვაჩუქა უძვირფასესი რწმენა, რომელიც კლდეებზე აღმოცენებული იმ იშვიათი ყვავილების მსგავსია, რომლებიც ცდილობენ აყვავებას). მეორე-ეს ღვთაებრივი წყალობის ბუნებრივი გამოვლენის აუცილებლობა და მათდამი გულუხვობაა, ვინც არაფერი იცის ჭეშმარიტების, რწმენის შესახებ.

წმინდა აიათში ნათქვამია:

„მორწმუნენო!) და იყოს ხალხი თქვენგან სიკეთისკენ მომწოდებელი, მბრძანები მოსაწონისა და უკეთურების აღმკვეთი, და სწორედ, ეგენი არიან ნეტარნი.“[85]

---

83. ალ-ბაყარა, 2/18.

84. ფურყანი 25/73.

85. ალი-იმრანი 3/104.

„ვინც ალლაჰისკენ მოუხმო, ჰქმნა სიკეთე და თქვა: უეჭველად, მე მუსლიმთაგანი ვარ, განა არის მასზე უკეთესი ვინმე სიტყვით?“[86]

იმისათვის, რომ თებლიღმა (მოწოდება ჭეშმარიტების გზაზე) თავის მიზანს მიაღწიოს და შედეგი გამოიღოს, საჭიროა, თავისუფალი დროის მანძილზე აღვზარდოთ საკუთარი სული და გონება ყურანის დარიგებებითა და ზნეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია აზროვნების უფრო მეტი სიღრმე და გულმოდგინება გამოვავლინოთ უსაზღვრო სულიერების მიღწევისა და წმინდა ყურანის გააზრებისათვის. ამას ის სწავლულები ამჟღავნებენ, რომლებიც მისდევენ ბუნებრივ მეცნიერებებს.

ჩვენ ვხედავთ, რომ მატერიალისტურ მსოფლმხედველობას დამცირებისა და აღკვეთის გარდა ადამიანის სხვა რაიმესთვის მომზადება არ შეუძლია. ეს იმით აიხსნება რომ ადამიანისთვის დამახასიათებელია სინამდვილის საკუთარი გონებამახვილობის კუთხიდან შეფასება. წმინდა ყურანი მრავალგზის შთაგვაგონებს: „ო, საღადმოაზროვნენო.“ ან გვეკითხება: „ნუთუ თქვენ არ ფიქრობთ; არ დაფიქრებულხართ; ვერ ხვდებით?“ რაც ადამიანის ნიჭს კიდევაც აფასებს და სხვა კუთხით დაფიქრებისკენაც მოუწოდებს.

ყურანი ყველა მეცნიერების წინამორბედია. ამაში თანამედროვე მეცნიერული აღმოჩენები და ცდები თითქმის ყოველდღიურად გვარწმუნებენ. ის შემეცნების

86. ფუსსილათი 41/33.

იმ დიდებულ წყაროს წარმოადგენს, რომელიც ადამიანს დაკვირვებისა და გააზრების წყურვილს უკლავს.

ჩვენ, მუსლიმებმა, პასუხისმგებლობაზე უნდა ვიფიქროთ და გვეშინოდეს იმისა, რომ ვერ შევძლებთ კაცობრიობამდე ყურანის მთელი მისი დიდებულებითა და სრულყოფილებით მიტანას, ვერ შევძლებთ მისი ზნეობისა და საღვთო მოძღვრების ნიმუშად ყოფნას. უფრო მეტიც, რაკი ყურანის ჭეშმარიტება მრავალი საუკუნის განმავლობაში მეცნიერულად დასტურდება და რწმენის სისწორეში გვარწმუნებს, რაკი არსებობს ყველა შესაძლებლობა, რათა მოვუთხროთ მასზე დედამიწის ნებისმიერ წერტილში, ჩვენ უნდა მივხდეთ, რომ ისინი, ვინც არ მისდევენ ჭეშმარიტ გზას, განკითხვის დღეს ჩვენს საწინააღმდეგოდ აღდგებიან. ეს ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას. რელიგიის მისტიკური ნაწილის უმეტესობა მეცნიერული დასკვნებით არის, ახსნილი და არგუმენტირებული, რაც სადღეისო ამოცანას მნიშვნელოვნად აადვილებს.

ყურანში ლაპარაკია იმაზეც, რომ სამყაროში არსებული ზოგიერთი საიდუმლოს შესახებ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გავიგოთ, როცა მეცნიერული მიღწევების დონე და ადამიანის გონება მას გაუთანაბრდება. ე.ი. ყველა აღმოჩენა, რომელიც უკვე განხორციელდა და ქვეყნიერების დასასრულამდე კიდევ ბევრი რამ იქნება აღმოჩენილი, ინახება ყურანში და სრულდება ზუსტად მაშინ, როცა დადგება მათი ჟამი; როცა ცოდნა მიაღწევს საჭირო დონეს, შეიცვლება ადამიანის აღქმა. ეჭვგარეშეა-ეს ალლაჰის წყალობის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ცოდნა ხომ, ფიზიოლოგიისა და ემბრიოლოგიის დარგიდან, ადამიანის უდიდესი აღმოჩენაა მედიცინაში. ვარსკვლავებიანი ცისა და დედამიწის რუკები, წესრიგით მართვით დატყვევებული გონება, სამყაროს პროგრამა და მრავალი მათი მსგავსი ზუსტი ჭეშმარიტება რომ არ ყოფილიყო ყურანში ქარაგმული ფორმით გადმოცემული, მაშინ რაც მეცნიერულად ჯერ კიდევ არ აღმოჩენილა, უსათუოა, რომ ვინმეს გაეგო და მიეღო მხოლოდ რწმენის თვალსაზრისით. ამ კუთხით, ყურანი მსგავსია იმ არქაული მიწისა, რომელიც სადაც არ უნდა მოთხარო მასში განძს იპოვი. ამიტომ საჭიროა, მხოლოდ გულმოდგინება მისი ჭეშმარიტების უსასრულო სიღრმეთა სულიერი თვალით შესასწავლად.

ამ წიგნის დახმარებით გონიერ ადამიანებს შეუძლიათ სამყაროს სიღრმისეული შეცნობა, სამყაროს იდუმალებათა ფარული აზრების განჭვრეტა. ამიტომ, ჩვენს მიერ მაგალითებად მოყვანილ წმინდა აიათებში ალლაჰი მთელ კაცობრიობას დაფიქრებისაკენ მოუწოდებს:

„განა არ უმოგზაურიათ დედამიწაზე, მათ გულს განა არ შესწევდა გაგება, ხოლო ყურებს შესმენა? უეჭველად, თვალი კი არ ბრმავდება, არამედ გული მკერდში!“[87]

„დედამიწაზე ნაკვეთებია ერთმანეთის მეზობლად განლაგებული: ზვრები, ნათესები, ხურმის ხეები, ტოტებიანი და უტოტო. ყოველივე ერთი წყლით ირწყვება. მაგრამ ჩვენ მათ ერთიმეორეზედ უკეთეს გემოს ვუდგენთ. უეჭველად, ამაში სასწაულებია გონიერ ხალხთათვის. “[88]

87. ჰაჯი 22/46.

88. რაღდი 13/4.

ჭეშმარიტი მორწმუნე რომ იყო, საჭიროა, საკუთარ გულს სთხოვოთ, იყოს მოძრავი, აქტიური, გააღვიძოთ მასში ფიქრისა და ამაღლებული სიყვარულის წყურვილი.

ადამიანს კაცად თავისი ფუნქცია, სწორად მოაზროვნე ტვინი და სპეტაკი სული აქცევს. თუ ყურადღებას მხოლოდ ინტელექტის განვითარებას მივაქცევთ, სულიერი აღზრდის უგულებელყოფით, ადამიანმა ამქვეყნად შესაძლებელია დაიჭიროს კარგი ადგილი, მაგრამ თუკი სურს ფხიზელ, ფაქიზ მორწმუნედ იქცეს, საჭიროა, რომ გული მოდრიკოს, აქციოს პლასტიკურად (როგორც ცომი), მიიღოს აღქმის სიმსუბუქე და სიღრმე. მსგავს დონეს მიღწეული ადამიანის გარეგნული სახეც მის შინაგან არსს — „ენობრივ მდგომარეობას გამოხატავს“. ყველაფერი, რაც ადამიანისთვისაა ნიშანდობლივი: სახის, თვალებისა და მანერების ინდივიდუალურობა.უფრო ადრე იწყებს მასზე ლაპარაკს, ვიდრე სხვა დანარჩენი და ამას „ენობრივი მდგომარეობა“ ეწოდება.

თუკი დაბადებიდან ბრმამ დაინახა — ის გაოცდება. მას გააკვირვებს ყველაფერი: ზღვა, ხე თუ მფრინავი ჩიტი. მას ხომ ისინი არასოდეს უნახავს... „რა მშვენივრად შეუქმნია ყოველივე ეს ჩემს ალლაჰს!“ - აღტაცებით აღმოხდება მას. ხოლო ადამიანს, რომელიც ამ სილამაზეს განუწყვეტლივ ხედავს, არ აფიქრებს ეს და გრძნობათა სიღრმეში არ იძირება. ის ემსგავსება იმ ცივ კლდეს, რომელიც, აპრილის პირველი მადლიანი წვიმის მიუხედავად, გულგრილი და უდარდელი რჩება.

რა მშვენიერია წმინდა ყურანის აიათები, რომლებიც გამოფხიზლებისაკენ მოგვიწოდებს:

„ღამისა და დღის ცვლაში და მასში, რაც გარდმოავლინა ალლაჰმა ზეციდან სარჩოდ, რისი მეშვეობითაც გააცოცხლა მიწა სიკვდილის მერე, ასევე ქართა მონაცვლეობაში სასწაულებია იმ ხალხისთვის, რომელნიც გონებას მოუხმობენ.“[89]

„სასწაულია მათთვის ღამე; ავაცლით მას დღეს, უმალ ჩაიძირებიან წყვდიადში! და მზე დაცურავს თავის სამოძრაო გზაზე . სწორედ ესაა ძლევამოსილის, ბრძენის განგება! და დავუდგინეთ მთვარეს ფაზები. სანამ იგი არ გახდება მოხრილი, პალმის ხის ტოტსავით! ვერც მზე დაეწევა მთვარეს და ვერც ღამე გაასწრებს დღეს. ყველა თავის სამოძრაო გაზაზე დაცურავს.“[90]

„ეს იგავები მოგვაქვს ხალხთათვის, მაგრამ არ შეიმეცნებენ, გარდა მცოდნეთა! “[91]

ამ ცხოვრებაში ფიქრისა და გრძნობის სიღრმის გაზრდის შესაბამისად, იზრდება წყალობებიც, რომელსაც ის ღვთაებრივი სიყვარულის ატმოსფეროში ყოფნით იღებს და ბედნიერების მისი წილიც იმქვეყნიურ ცხოვრებაში განისაზღვრება. მთელი ისტორიის განმავლობაში წმინდანები და სწავლულები სასულიერო გზებს იმქვეყნიური ჯილდოს მოსაპოვებლად იყენებდნენ. ადამიანის ბუნებაში, მისი შეგნების სიღრმეში ჩადებულია ცოდნა ალლაჰის

89. ჯასიე 45/5.

90. იასინი 36/37-40.

91. ანქაბუთი 29/43.

რწმენისათვის მზადყოფნა, ჭეშმარიტების განცდა, დიდი სიყვარული და სულიერი საზრდოს მოთხოვნილებაა.

ცხოვრების გამოცდის პირისპირ დაუცველად დარჩენილები, ბუნებრივად მინიჭებული ხარისხის რეალიზაციისას, გაუაზრებლად უბრუნდებიან ალლაჰს, პირადი საჭიროებისამებრ ეძებენ მის დახმარებასა და მხარდაჭერას. მაგრამ ისინი ვინც ამ თვისების მიუხედავად, ცხოვრების იმ მთავარი ნაკადისგან გადაუხვევენ, რომელსაც მართავს ღვთაებრივი ძალა, (პირქუშად და გაუცნობიერებლად უყურებენ ამ სამყაროში ალლაჰის ნიშნებს,) იძულებული იქნებიან გააგრძელონ ეს „კუკუმალობანას“ თამაში მომავალ. წმინდა აიათებში ნათქვამია:

„...უეჭველად, თვალი კი არ ბრმავდება, არამედ გული მკერდში!“[92]

„ა აქ , ვინც იყო ბრმა იგი იმქვეყანაშიც ბრმა იქნება და კიდევ უფრო გზააბნეული!“[93]

წმინდა ყურანი ღვთისმოსავ მასწავლებლებთან უნდა შევისწავლოთ, ვისი გულებიც სავსეა ალლაჰის სიყვარულით, რათა მათი მადლმოსილება მსმენელთა გრძნობებისათვის სიღრმის მინიჭებითა და გამოფხიზლებით აისახოს.

ალლაჰის შუამავალს ერთხელ კითხვა დაუსვეს:

92. ჰაჯი 22/46.

93. ისრა 17/72.

— როგორი ხმითა და სტილითაა უკეთესი ყურანის კითხვა?

— ყურანის კითხვისას უკეთესი ხმა და სტილი იმას აქვს, ვინც მოსმენისას განიცდის შიშს ალლაჰის წინაშე.[94]

ყურანის ისეთ წაკითხვას, რომლის დროსაც სიტყვები მხოლოდ ცარიელ სიტყვებად აღიქმება, არ შეუძლია ღრმა გრძნობებისა და აზრების გამოწვევა. მოვუსმინოთ ალლაჰის შუამავლის შემდეგ სიტყვებს:

„თქვენ შორის გამოჩნდება ხალხის ისეთი ჯგუფი, რომელთა ნამაზის გვერდით თქვენი ნამაზი, მარხვის გვერდით თქვენი მარხვა, მონა-მსახურების გვერდით თქვენი მონა-მსახურება არაფერია. ისინი წაიკითხავენ ყურანს, მაგრამ წაკითხული არ გასცდება მათ პირს. ისინი რელიგიიდან ისე გამოვლენ, როგორც მშვილდიდან გასროლილი ისარი...“[95]

რომ არ ჩავცვივდეთ მსგავს უბედურებაში, საჭიროა ყურანის კითხვისას მთელი ჩვენი გრძნობები გავააქტიუროთ და მიმდინარე მოვლენებისას მივმართოთ აიათებს. ასევე ყურანის ღრმა აზრებით გული ვასაზრდოოთ და მისი მაღალი ზნეობა გავიზიაროთ. წმინდა ყურანი ხომ მორწმუნეებს ყოველგვარი ხერხით მოუწოდებს მუდმივი დაფიქრებისა და თავიანთი გრძნობების კონცენტრირებისაკენ. წმინდა აიათში ნათქვამია:

---

94. დარიმი, ფადაილ-ულ-ყურანი, 34.

95. ბუჰარი, ფადაილ-ულ-ყურანი,36.

„ცხადი სასწაულები და წიგნები. და მოვავლინეთ შენ-ზე შეხსენება , რათა განუმარტო ხალხს, რაც ზეგარდმო-ვუვლინეთ მათ, ეგების დაფიქრდნენ!“[96]

ჭეშმარიტად, ალლაჰის უდიდებულესობა წმინდა ყურანით თავის მონა-მსახურებს ღრმა დაფიქრებისკენ მოგვიწოდებს. ის ჩვენს ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ მსოფლიოში არიან ხალხები, რომლებიც სრულებით განსხვავებულ ენებზე ლაპარაკობენ და აქვთ სხვადასხ-ვა ფერის კანი. წმინდა აიათში ნათქვამია:

„და მისი სასწაულებიდანაა ცათა და მიწის გაჩენა, თქვენი ენების და ფერის სხვადასხვაობაც. უეჭველად, ამაში სასწაულებია მცოდნეთათვის !“[97]

მართლაც, იმ ენათაგან, რომლებზეც კაცობრიობა ლაპარაკობს, არც ერთი წარმოქმნილა რომელიღაც კო-მისიის მუშაობის შედეგად. არც გრამატიკა, არც ლექ-სიკა არის კაცობრიობის შრომის ნაყოფი. მაგ, როცა ზო-გიერთ ენაში ზმნა წინადადების თავში დგას, ზოგში კი პირიქით — ბოლოში; ყოველივე ეს, რაიმე გრამატიკული წესის გათვალისწინებით არ დაფუძნებულა. ესაა ჯილდო თვით უზენაესი გამჩენისგან. ამავდროულად, სხვადასხ-ვა რასის ხალხების შექმნა განსხვავებული კანის ფერით, ფარულ ღვთაებრივ სიბრძნეს შეიცავს. რასები-ესაა გეოგრაფიული პირობების ზემოქმედების შედეგი, ხოლო სხვადასხვა ერი და ეროვნება-ესაა უზენაესის სიბრძნის გამოვლინება. ყოველივე ეს იმ მიზეზითაა განპირობებუ-ლი, რომ ხალხმა უფრო ადვილად შეძლოს ურთიერთობა

96. ნაჰლი 16/44.

97. რუმი 30/22.

და გაუგოს ერთმანეთს. ამიტომ, არ არსებობს მაღალი და დაბალი ერი. ნებისმიერი ერიდან შეიძლება გამოვიდეს როგორც ჭკვიანი, ასევე სულელი ადამიანი. ყველაზე მთავარი, ესაა-ღვთისმოშიშობა. ამ ჭეშმარიტბაზე ძლევამოსილი ალლაჰი ამბობს:

„ჰეი, ადამიანნო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!“[98]

სხვა მხრივ, ალლაჰის უდიდებულესობამ „ერთადერთობა“ აქცია იმ ხარისხად, რომელიც მხოლოდ მას, -ყველაფრის წყვილად გამჩენს ეკუთვნის. ცოლქმრული ურთიერთობა, რომელსაც დასაბამი სამოთხეში, ადამისა და ევას თანაცხოვრებით ჩაეყარა გადაიზარდა ღვთაებრივ კანონად ადამის ყველა ძისათვის და სრულყოფილებას ისლამის წესებში მიაღწია.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ თქვენგანვე გააჩინა თქვენი მეწყვილე, რათა იპოვოთ მასში სიმშვიდე, დაგიდგინათ ერთმანეთში სიყვარული და მოწყალება. უეჭველად, ამაში სასწაულებია მოაზროვნე ხალხთათვის!“[99]

---

98. ჰუჯრათ 49/13.

99. რუმი 30/21.

უზენაესმა გამჩენმა ქორწინება მუჰამმედის მთელი თემისათვის ბედნიერების მოპოვების საბაბად ჰქმნა. ყურანისა და სუნნეთის მფარველობით მიმდინარე ცოლ-ქმრული ცხოვრება აავსო სამოთხის ბედნიერებით ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

ცოლ-ქმრობისას ორი უცნობი ადამიანის შემაერთებელ ძლიერ კვანძებში გამოხატულია გონების ამაღელვებელი სიღრმე და სიბრძნე. ყურადღებასა და დაფიქრებას იმსახურებს ის, რომ ახალგაზრდა წყვილი ალლაჰის ნებით უკავშირებს ერთმანეთს გულს. ამავე გრძნობით ახერხებენ მშობლების თავშესაფრიდან გამოსვლას და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას.

რადგან ადამიანის შვილი თავისი ბუნებით ეჭვიანია და ახასიათებს ჭეშმარიტების უარყოფა, წმინდა ყურანი სხვადასხვა ჭკუისა და პროფესიის ადამიანებს სხვადასხვანაირად მიმართავს, რათა ყველამ კუთვნილი წილი თავისი მდგომარეობის შესაბამისად მიიღოს. წმინდა აიათში ამის შესახებ ნათქვამია:

„და ვფიცავ, ამ ყურანში ადამიანთათვის ჩვენ ყველანაირი მაგალითი განვმარტეთ. მაგრამ ადამიანს ყველაზე მეტად სჩვევია კამათი.“[100]

ადამიანის ყურადღების საკუთარი შექმნის საიდუმლოზე მიქცევით, წმინდა ყურანი მას დაფიქრებისკენ მოუწოდებს. ბრძანებით, დავფიქრდეთ ჩვენი ყოფის გამო, წმინდა აიათი აცხადებს:

100. ქეჰფი, 18/54.

[illegible]

„და ვისაც ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუბოძებთ, საწინააღმდეგო იერს ვაძლევთ, განა გონს არ მოეგებიან?“[101]

სხვა აიათები, რომლებიც ხსნიან, რომ ადამიანის მოქმედება მოტივირებულია ცოდვის ან ღვთისმოშიშობისაკენ მისწრაფებით, გვაფრთხილებს:

[illegible]

[illegible]

„სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას! და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა! უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), ვინც განწმინდა იგი! უეჭველად, წარწყმედილ იქმნა (სული), ვინც შეეცადა მისი(ნაკლოვანებების) დაფარვას!“[102]

ყურანში მკვდრეთით აღგომა ადამიანის ხელახალი დაბადება ალლაჰის ძლევამოსილებად აღიქმება, რათა კაცს თავისი განსაზღვრული შესაძლებლობებისა და იმის შესახებ შეახსენოს, რაც მას მომავალში მოელის:

„განა ადამიანი ვერ ხედავს, რომ ჩვენ გავაჩინეთ ერთი წვეთი წყლისგან? შემდეგ იგი გამოგვეცხადა ცხად მოწინააღმდეგედ! განიზრახა ჩვენთვის იგავის მოტანა, დაივიწყა თავის გაჩენა. თქვა: „ვინ გააცოცხლებს ძვლე-

101. იასინი 36/68.

102. შემსი 91/7-10.

ბს, რომელიც გაიხრწნა?“ უთხარი: „გააცოცხლებს მას, რომელმაც გააჩინა თავდაპირველად, რამეთუ იგი ყველა გაჩენილს უწყის.“[103]

ადამიანს, რომელიც არ არის დროის თანამდევი, განემარტება:



„როცა იხილავენ იმ (წარღვნის) დღეს, მოეჩვენებათ თითქოსდა ერთი საღამო ან ერთი დილა დაჰყვეს !“[104]

ადამიანის შვილს ალლაჰი დაჟინებულად მოუწოდებს დაფიქრებისკენ და ჭკუისა და გულის ასამოძრავებლად. ფრიად პატივცემული შუამავალი ჯერ კიდევ ათას ოთხასი წლის წინ ამბობდა:

„ვერცერთი მონა-მსახურება თეფექქურს (ალლაჰზე ფიქრს) ვერ შეედრება.“[105]

ამ ჰადისში თეფექქური და მის შედეგად მიღებული სიღრმისეული ცოდნა მონა-მსახურების ტოლფასია. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ეს ჰადისი თაფაქქურს მონა-მსახურებაზე უფრო მნიშვნელოვან რამედ განიხილავს. ამა თუ იმ მონა-მსახურების დანიშნულებასა და ხარისხში ჩაწვდომა შეიძლება მხოლოდ დაფიქრების საშუალებით.

---

103. იასინი 36/77/79.

104. ნაზიათი 79/46.

105. ალი-ალმუთთაყი ქენზულ-უმმალი, XVI, 121.

თეფექქური, რომელზეც ასე ხშირადაა საუბარი წმინდა აიათებსა და ჰადისებში დღეს, იძენს უსაზღვრო მნიშვნელობასა და აუცილებლობას. ხალხის მოწოდება ჭეშმარიტებისაკენ და წახალისება მხოლოდ სიკეთით ცოტაა, რადგან ამით ვერ გავნთავისუფლდებით პასუხისმგებლობისგან.

შაღბანის მთვარის მე-14-ე ღამე არის ბართის ღმე, რომლის ახალ დადგომასაც მუსლიმები რწმენის დიდი სიმშვიდით განიცდიან.

ეს გადაწყვეტილებების მიღებისა და კეთილისა და ბოროტის გარჩევის ღამეა. ამ ღამით განისაზღვრება და ჩაიწერება ყველაფერი, რაც დაკავშირებულია „დაბადებასთან და სიკვდილთან, წილთან და ქმედებებთან, რომლებიც აიტანება ალლაჰთან გადასაწყვეტად.“

ერთ-ერთ ჰადისში ნათქვამია:

„შეასრულეთ ნამაზი იმ ღამით, როცა დგება შაბანის თვის შუა რიცხვი, დღისით კი იმარხულეთ. რადგან მზის ამოსვლისას უდიდებულესი ალლაჰი თავისი წყალობის შუქს დედამიწის კუთხე-კუნჭულს გადმოაფრქვევს და მზის ჩასვლამდე შეუნარჩუნებს თავის მონა-მსახურებს. თანაც მიმართავს: — „არავინაა ისეთი ვინც პატიებას ითხოვს? რომ მე ვაპატიო მას. არავინაა ისეთი ვინც ითხოვს სარჩოს? რომ ვუბოძო მას. ხომ არ არის ვინმე, ვინც იტანჯება? რომ შევუმსუბუქო მას ტანჯვას?...“ [106]

106. იბნ მაჯა, იყამეთუს-სალათი, 191.

ეს მოწმობს იმას, რომ ამ ღამეს ალლაჰის უდიდებულესობა განსაკუთრებით მოწყალეა თავისი მონა-მსახურებისადმი და გათენებამდე თავისი წყალობის კარს ფართოდ აღებს.

მორწმუნეებისათვის სასიხარულო ცნობაა ალლაჰის შუამავლისგან, რომ ბარათის დღე-ღამის ლოცვასა და მარხვაში გატარება განსაკუთრებულ მადლს შეიცავს. ნამაზების გარდა, ჩვენ ეს ღამე ყურანის კითხვას, ალლაჰის ხსენებას, სალავათის წარმოთქმასა და სულიერების თემაზე საუბარს უნდა მივუძღვნათ.

ბარათის ღამის მომდევნო დღე-ღამეებიც მონა-მსახურებაში უნდა გავატაროთ, ისინი ხომ განსაკუთრებული მდგომარეობისა და რამაზანის წმინდა შუქის შეგრძნებაში გვეხმარებიან, ამიტომ ჩვენ ამისათვის სულიერად უნდა მოვემზადოთ, კეთილი საქმეები გავამრავლოთ და ჭეშმარიტებას ვუერთგულოთ.

ჩვენი ნამაზები სულიერი აღფრთოვანების მდგომარეობში, (სხეულსა და სულს შორის არსებული ჰარმონიის შეგრძნებით,) უნდა ვილოცოთ. ნამაზი ხომ მონა-მსახურის შეხვედრაა ალლაჰთან.

ერთი ადამიანის მიმართვაზე:

— ო, ალლაჰის შუამავალო! მომეცი რჩევა-დარიგება ოღონდ მოკლე და არსობრივი იყოს.

ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

— ყოველი შენი ნამაზი ილოცე ისე, თითქოს ის უკანასკნელია შენს ცხოვრებაში! არ თქვა არაფერი ისეთი,

რაზეც შემდგომში მობოდიშება მოგიწევს! ნუ დაიმედდები იმით, რაც სხვისი კუთვნილებაა და ყოველთვის იყავი მტკიცე ამაში![107]

მორწმუნე უნდა ცდილობდეს მის მიერ შესრულებული ნამაზიდან არც ერთი წყალობა დაკარგოს. ერთ-ერთ ჰადისში ხომ ალლაჰის შუამავალი ამბობს:

„ერთი მონა-მსახური ასრულებს ნამაზს, მაგრამ მას უწევს საზღაური მხოლოდ ნახევრისთვის; ერთი მესამედი, ერთი მეოთხედი, ერთი მეხუთედი, ერთი მეექვსედი, ერთი მეშვიდედი, ერთი მერვედი, ერთი მეცხრედი და ერთი მეათედისთვის.“ [108]

რამაზნის თვე, რომელშიც გარდმოევლინა წმინდა ყურანი, იმდენად ძვირფასია, რომ მორწმუნეების წყალობითა და ლოცვით მთელი ცხოვრების მანძილზე, თვით განკითხვის დღემდე იბრწყინებს. რამაზანი და ყურანი ხომ სხვა არაფერია, თუ არა აღზრდა მაგალითებისა და მოქმედებების მიხედვით.

წმინდა აიათში ნათქვამია:

„რამადანის თვეა, რომელშიც ზემოვლინებული იქნა ყურანი ჭეშმარიტ გზად ხალხისთვის და ცხად ცნობარად ჭეშმარიტი გზისა და განმასხვავებლად ჭეშმარიტებისა ბათილისგან. და თქვენგან ვინც იხილოს ეს თვე, იმარხულოს მასში. და ვინც ავად იყოს ან მგზავრობაში, ამდენივე სხვა დღეებში. ალლაჰის ნებაა თქვენთვის შვება და არა ვნება და რომ შეასრულოთ ეს რაოდენობა და ადი-

107. იბნ მაჯა ზუჰდი, 15.

108. აბუ დაუდი, 123,124.

დოთ ალლაჰი იმისათვის, რომ ჭეშმარიტ გზას დაგადგინათ. ეგებ მადლიერნი იყოთ!“[109]

ძლევამოსილი ალლაჰი ამბობს, რომ წმინდა ყურანი ეს დარიგებითა და სიბრძნის შუქით სავსე სახელმძღვანელოა, რომელიც ადამიანს ამ დალოცვილ თვეში მარხვისაკენ, ყურანის კითხვით აღზრდისაკენ მოუწოდებს.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ არ კმარა წმინდა ყურანის მხოლოდ მოსმენა და იმ ჭეშმარიტებების რაზეც ის მოგვითხრობს, მხოლოდ წარმოდგენა. საჭიროა სულიერი თრთოლვითა და აღტაცებით დავემორჩილოთ მარადისობაში საცხოვრებლად საჭირო მასში მითითებულ ხსნის გზებს. მორწმუნე, ხომ ყურანის სულიერებით ებრძვის თავის ცდუნებებსა და მისწრაფებებს.

ო, ალლაჰო! ჰქმენი ისე, რომ ეს დალოცვილი თვე გავატაროთ ყურანის ღრმა განცდით და ცხოვრება კი გავლიოთ სამოთხის ჯილდოების დამსახურებით! დაე, ჩვენი რწმენა და ყურანი იქცეს ჩვენთვის უდავო საბუთად, მარხვა-მადლად, საჰური (იასლუღი) - ლოცვად, ხოლო იფთარი (პირის ხსნა) — შენთან დაახლოების საშუალებად.

ამინ!...

109. ბაყარა 2/185.

მონანიება და ცრემლები

მოინანიე მთელი სულითა და ცრემლებისაგან დასველებული თვალებით! ყვავილები ხომ იმ ადგილებში იფურჩქნება, სადაც მზე და სინესტეა!

მევლანა ჯალალედინ რუმი

მონანიება და ცრემლები

ერთმა თერძმა წმინდანს მიმართა:

— რას ფიქრობთ თქვენ ალლაჰის შუამავლის იმ ჰადისზე, რომლის მიხედვით „ალლაჰის უდიდებულესობა თავისი მონა-მსახურის მონანიებას იღებს მანამდე, ვიდრე დადგება მისი სიკვდილის საათი?“[110]

წმინდანმა უპასუხა:

— დიახ, ეს მართალია, მაგრამ როგორ გამოიმუშავებ შენ ცხოვრებისათვის?

— მე თერძი ვარ, ვკერავ ტანსაცმელს.

— და რა არის ყველაზე ადვილი თერძის საქმიანობაში?

— მაკრატლით მატერიის გამოჭრა.

— და რამდენი ხანია მისდევ შენ ამ საქმეს?

— თითქმის ოცდაათი წელი.

— შეძლებ შენ მატერიის გამოჭრას მაშინ, როცა სიკვდილი მოგადგება?

— არა მგონია.

110. თირმიზი, დავათი, 98.

— მომისმინე, თერძო! თუ სიკვდილის პირას მყოფს, არ შეგეძლება გააკეთო ისიც კი, რაც გულდასმით ისწავლე და რაშიც ოცდაათი წლის განმავლობაში დაოსტატდი, როგორ შეგიძლია შენ მოინანიო, თუკი ეს გრძნობა ცხოვრებაში არასდროს გიგრძნვია, განიცადე ის ახლა, ვიდრე ძალა გაქვს! სხვაგვარად, შეიძლება ის უკანსკნელ წამს აღმოგაჩნდეს, როცა მონანიება აუცილებელი გახდება კეთილი დასასრულისთვის... ნუთუ შენ არ გაგიგონია სიტყვები: „იჩქარეთ, მოინანიეთ, ვიდრე მოგისწროთ სიკვდილმა!“[111]

ამ სიტყვებმა თერძი ღრმად დააფიქრა და რამდენიმე ხნის შემდეგ, მან მოინანია და ღვთისმოსავთა რიცხვს მიეკუთვნა.

ეს მონათხრობი გვახსენებს, ალლაჰის რჩევებისადმი დაუმორჩილებელი მონა-მსახურები მუდმივად რისკავენ, რომ გულწრფელი სინანულის „შემდგომისთვის“ გადადების გამო, მრავალრიცხოვან ცხოვრებისეულ უფსკრულთაგან ყველაზე სახიფათოში ჩაცვივდნენ. ალლაჰის შუამავალი ერთ-ერთ საჰაბეს არიგებდა: „ყველაზე მეტად შენ შენივე ცოდვებით იტანჯები, ხოლო წამალი ტანჯვისა-ისთიღფარია (პატიების თხოვნა ცოდვების გამო) ღამის სიბნელეში.“ [112]

ისთიღფარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ალლაჰისკენ სწრაფვასა და სულის მაღალი მდგომარეობის მიღწევაში. ის არის გზა სულიერი უსუფთაობისაგან განწმენდისა. მონანიების განცდა აუქმებს ყველა წი-

111. მუსიანი, ფაიზ-ულ-ყადირი, V, 65.

112. დაილამი, მუსიადი, 1/36.

ნააღმდეგობასა და ფარდას მონა-მსახურსა და ალლაჰს შორის, რაც მეტად მნიშვნელოვანია უმწიკვლო ქმედებებისთვის. ყველაფერი, რაც ხელს უშლის მთავარი მიზნის მიღწევას, (საკუთარი სულის კეთილშობილების მოპოვებას) აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ამიტომ, ყველა სუფისტური მიმდინარეობაში თასავვუფის გზაზე ახალად დამდგარი მოსწავლის გაკვეთილი, განთიადისწინა დრო შესრულებული ზიქრით, სახელდობრ მონანიებით იწყება.

პირველად შუამავალმა ადამმა მოინანია. აი, როგორ განიცდიდა ის სინანულს:

„მიუგეს ორივემ : ღმერთო ჩვენო! უსამართლოდ მოვექეცით საკუთარ თავს და თუ არ მოგვიტევებ და არ შეგვიწყალებ, უეჭველად, ჩვენ წაგებულთა შორის აღმოვჩნდებით!“[113]

ეს ვედრება, მომავალი თაობისა და მათი შთამომავლობისათვის არის მონანიების უძვირფასესი გაკვეთილი.

კეთილშობილი წმინდანები სამი სახის მონანიებას აღნიშნავდნენ:

113. ალ-არაფი, 7/23.

1. თევბე — მორწმუნეების ძირითადი მასისთვის; ისინი ჩადენილ ცოდვებს ინანიებენ.

2. თევბე — რჩეულთათვის; ისინი უმეცრებას, უცოდინრობას და თავიანთ გაუფრთხილებლობას ინანიებენ.

3. თევბე — რჩეულთაგან საუკეთესოთა; ისინი სინანულს განიცდიან მხოლოდ იმის გამო, რომ კიდევ უფრო მიუახლოვდნენ ალლაჰს.

როგორც ყველა წმინდა საქმის, ასევე თევბეს პირობაც გულწრფელობა და ალალმართლობაა. ასე, ალლაჰის ჭეშმარიტების მრავალ შემცნობს, არა ერთხელ მოუნანიებია უკვე მონანიებული. ე.ი. უნდა ვერიდოთ იმგვარ სინანულს, რაზეც შემდეგში ისევ მოგვიწევს მონანიება. წმინდა აიათის მიხედვით მონანიება უნდა იყოს „საბოლოო“. ნაფსი (ცდუნება) და ეშმაკი ხომ მასწავლებლის როლის განსახიერებით სულს ჭეშმარიტების გზიდან აცდენს. როცა მონა-მორჩილი ამ ხაფანგში ვარდება, ის უშვებს „თავის,“—მონანიებას ჰაერში. ხოლო თუკი ის მონანიების შემდეგ კვლავ დაუბრუნდება ცოდვებს, სასოწარკვეთა შეიპყრობს მომავალი ცხოვრების შუქზე სიბნელის გადაფარებით. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

ÌÁÇÃÑÐZÇ ÌÁÇÆÇ ÌÇÃÆÇ ÍÛÇ ÌÇÓÇgÀÌ Í Ì ÌÇÓÀØ ?ÊÇ

ÀÇKÔg ÇÀÀÇÀÓÑÑ ÌÀÇZÐZ

„ეგებ თქვენმა ღმერთმა შეგიწყალოთ. მაგრამ თუ მიუბრუნდებით , ჩვენც დავბრუნდებით. და ჩვენ დავადგინეთ ჯოჯოხეთი ურწმუნოთათვის დილეგად!“[114]

ის ვინც მუდმივად არღვევს მონანიებას, ხომ ეშმაკის დასაცინად იქცევა. ყოველთვის, როცა ადამიანი ცოდვებს ინანიებს, ეშმაკი და მისი ჭკუასუსტი დამხმარეები ეუბნებიან მას: „ სინანული?-ფუ მათ!“ და ის ისევ არღვევს ალლაჰისათვის მიცემულ პირობას. ზუსტად ამაზე გვეუბნება წმინდა აიათი:



„თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შესთხოვეთ ალლაჰს მიტევება გულწრფელი მიტევებით...“[115]

მონანიების საჭიროების დასამტკიცებლად პოეტი გვაფრთხილებს:

როცა ისთიღფარი (შეწყალების თხოვნაალლაჰზე) წარმოითქმება მხოლოდ ენითა, მაშინ უდარდელი სული იპოვის ათას საცდუნებელ საძრომს:

რაჰმეთი (წყალობა)

მონანიებაზე ლაპარიკისას საჭიროა, ჯამი-უს-საღირის ჰადისებს მივმართოთ. მასში ნათქვამია, რომ მას შემდეგ, როცა ადამიანი ცოდვას ჩაიდენს, მწერალი ანგელოზები მთელი ექვსი საათის განმავლობაში არ წერენ მას, რათა მას მისცენ დრო მოსანანიებლად. ამიტომ

114. ისრა 17/8.

115. თაჰრიმი 66/8.

ადამიანი ცდება, თუკი ამბობს: „არ შემიძლია ვიყო ჩემს სინანულში მტკიცე, კვლავ ჩავიდენ ცოდვას, ამიტომ ახლა ვერ მოვინანიებ და გადავდებ „შემდეგისათვის!“ პირიქით, ის მუდმივად უნდა იმყოფებოდეს ისთიღფარში, რადგან შეიძლება, ალლაჰის ნებით ის აღარ დაუბრუნდეს თავის ცოდვას. აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ მონანიება, შეწყალების თხოვნა უნდა გამოიხატოს გულწრფელი სინანულით და (მყარი გადაწყვეტილების მიღებით) არასდროს უნდა დაუბრუნდეს მსგავსს. უზენაესი ალლაჰი გვაფრთხილებს:

„...მაშ, არ შეგაცდინოთ სააქაო ცხოვრებამ და დაე, მცდუნებელმა არ გაცდუნოთ ალლაჰის მიმართ!“[116]

შუამავალი ამბობს:

„ცოდვების მონანიება გამოიხატება თევბესა და ისთიღფარში“[117] ამ ჰადისის მიხედვით, მონანიებამ არ უნდა მისცეს ადამიანს თავისი ცოდვის განმეორების საშუალება.

წმინდა ჰადისის მიხედვით გულწრფელი მონანიება სინანულით უნდა იწყებოდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ ცოდვის ჭუჭყი სუფთა ცრემლებით უნდა ჩამოირეცხოს.

ერთ-ერთი თქმულების მიხედვით ცოდვილს, რომელიც მონანიებისა და სინანულის გრძნობას განიცდიდა, თავისი ცოდვების სია გადაეცა წასაკითხად. თავისი დანაშაულის განცდით შეპყრობილი ცოდვილი ისე დამწუხრდა, რომ თვალები ცრემლით აევსო და აღარ

116. ლოყმანი31/33.

117. ახმედ ბინ ჰანბალი, V, 264.

შეეძლო ნაწერის დანახვა. მაგრამ გულწრფელი ცრემლების ნაკადმა მისი ცოდვები ჩამორეცხა და ის მათგან განიწმინდა სრულებით. ასე მიიღო ამ ცოდვილმა პატიება.

მაშასადამე, ზოგჯერ ერთი ცოდვის მისატევებლად საჭიროა ცრემლების მდინარეები, მაშინ როცა ერთ ცრემლს შეუძლია განწმინდოს ათასი ცოდვა.

სინანულით დაღვრილი ცრემლები ხომ — ღვთაებრივი სიყვარულის მორჩილთათვის მონანიების წყაროა. ისინი ცოდვებისაგან ასუფთავებს. ესაა ალლაჰის მიმართ თავისი მონა-მსახურის მიერ მადლიერების გამოხატულება. ცრემლი-იმედის სავანეა, რასაც უზენაესი ალლაჰი გვჩუქნის. ის, ვინც უკანასკნელი იმედის დაკარგვით ცრემლების კარიბჭესთან აღმოჩნდება, ჭეშმარიტად ბედნიერია.

ის, ვინც სამყაროში მიმდინარე ცხოვრებას წმინდა ცრემლით სავსე თვალებით შეხედავს, გაიგებს, რომ ცრემლები, როგორც ნამცეცა სარკეები, ღვთაებრივ საიდუმლოებებსა და სიყვარულის ათას ოკეანეს ირეკლავს. ცრემლით ხომ შესაძლებელია იმის გამოხატვა, რაც სიტყვებით არ გადმოიცემა. მათში ალლაჰისადმი მუდარის ისეთი სიღრმეა განთავსებული, რომ თვით მონა-მსახური ვერ ჩაწვდება სრულად.

ამიტომ სიყვარულის სრულად შემცნობები სიმშვიდეს ცრემლის წყაროთა სათავეებში პოულობენ. მოხეტიალენი კი მის ნაპირებთან განისვენებენ.

ერთ ჰადისი შერიფში ნათქვამია:

„არის თვალების ორი კატეგორია, რომლებსაც ჯოჯოხეთის ალი არ შეეხება: მათ, ვინც ალლაჰის ხსენებისას ტირიან და მათ ვინც განთიადამდე ფხიზლად, თვალმოუხუჭავად დგანან ალლაჰის სადარაჯოზე.“[118]

მევლანა ჯალალედინ რუმი ცოდვებისაგან ცრემლების საშუალებით განწმენდას ადარებს დაბინძურებული მდინარის წყლის აორთქლებას, რომელიც წყალობის სახით დედამიწას დასუფთავებული უბრუნდება. ის ამბობს:

„წყალი აქ, დედამიწაზე, კარგავს სისუფთავესა და გამჭვირვალობას, ხდება მუქი და ჭუჭყიანი. ის, ჩვენს მსგავსად, თავისი უსუფთაობის გამო კარგავს მოსვენებას... და მთელი სიღრმიდან იწყებს ალლაჰზე ვედრებას. პასუხად მას ალლაჰის უდიდებულესობა ორთქლად გადააქცევს და ზეცაში აიყვანს. იქ სხვადასხვა გზებზე გაფანტვით ის იღებს კრისტალურ სისუფთავეს. ხოლო შემდეგ წვიმის, თოვლის, ან სეტყვის სახით ეშვება დედამიწაზე და საბოლოოდ ზღვას უერთდება.“

ეჭვგარეშეა, რომ ეს ალეგორია განასახიერებს დიდებული ალლაჰის წყალობისა და სიყვარულის გამოვლენას თავისი მონა-მსახურებისადმი, ვისთვისაც მან ცოდვების პატიება და მუდმივი ხსნის გზის ჩვენება ისურვა. და მათი სულები, ცოდვათა ჭუჭყით გასვრილ ვის გულებშიც ერთდროულად აღწევს მონანიების წვიმა და მზე, ალლაჰის უდიდებულესობას ზეცაში ააქვს. ის ათავისუფლებს მათ მტვრის, ჭუჭყისა და ცოდვებისაგან. შემდეგ იხსანის მადლს დაუფლებულ (ალლაჰის ჭვრეტა) ამ

118. თირმიზი, ფადილ-ალ-ჯიჰადი, 12/1639.

სულს, როგორც ყველაზე სრულყოფილს თავის ქმნილებათაგან, ხელახლა აბრუნებს დედამიწაზე. ეს მდგომარეობა, უმეტესად, ნამაზის დროს გამოიხატება. ამიტომ სწორად შესრულებული ნამაზი შეიძლება იქცეს „მორწმუნის მირაჯად.“

მაგრამ წუთისოფლის საქმეებში ჩაფლულმა ადამიანის შვილმა არ იცის ამის შესახებ და ცრემლთა ფრქვევის ნაცვლად მუდმივად იცინის. მათზე ალლაჰის უდიდებულესობა ამბობს:

[illegible]

„...ა თქვენ დაუდევრობაში იმყოფებით! დაე, აღასრულეთ სეჯდე ალლაჰისთვის და ეთაყვანეთ!“[119] სხვა წმინდა აიათში ის ამგვარი უდარდელობის გამო გვაფრთხილებს:

[illegible]

„დაე, ცოტა იცინონ და ბევრი იტირონ იმის საზღაურად, რაც მოიხვეჭეს!“ [120]

ე.ი. უზენაეს ალლაჰს სურს, რომ მისი მონა-მსახურები სინანულითა და ცრემლებით განიწმინდონ ცოდვებისაგან. ხოლო ადამიანის ცრემლების მნიშვნელობაზე მევლანა ჯალალედინ რუმიმ ბრძანა:

119. ნაჯმი 53/60-61.

120. თევბა 9/82.

„გრძნობათა ანთებით, ტირილითა და ცრემლების ღვრით მკვიდრდება მეტი ნათელი. ხის ტოტები მაშინ ცოცხლდება და იფარება მწვანით, როცა ისინი მორწყულია წვიმის ცრემლებითა და გამთბარია მზის სხივებით. ე.ი. ნაყოფის განვითარებისათვის საჭიროა წყალი და სითბო.“

„ასევე, ჩვენი მონანიების მისაღებად საჭიროა ელვა, და ღრუბლები ე.ი. ცრემლები და სულის ალი.“

„თუკი სული ელვად არ აინთება, ხოლო თვალები ცრემლების წვიმას არ გადმოაფრქვევს, რა ჩააქრობს ცდუნების რისხვის ცეცხლს? როგორ იგრძნობს გული ღვთაებრივი შუქის გამოჩენას? როგორ აღელდება სულიერების წყაროს წყლები? თუ არ გაწვიმდება, ვარდების ბაღი როგორ გაანდობს საიდუმლოს ბალახებს? როგორ დადებენ ხელშეკრულებას იებთან და იასამნებთან?“

„დაანებე ბუნებას, დაე, იქვითინოს გულამოსკვნით. ეს მიწები ხომ უწყლოდ გამოხმება; მდინარეები სხვა მდინარეებში ჩაუდინებლად გაყვითლდება, აყროლდება, დაშრება.“

„თუკი ტენი მოაკლდა — მწვანე-ზურმუხტოვანი, სამოთხის მსგავსი ბაღები, ყვითლდება, ჭკნება, სცვივა ფოთოლი და ემსგავსება უბედურების ზონას, ასევეა ადამიანიც.“

მსგავსი ხვედრი, რომ აეცილებინა შუამავალი შუღეიბი ისე ხშირად ტიროდა, რომ დაბრმავდა. ალლაჰის შუამავალი კი ასე ამბობდა:

„თქვენ რომ იცოდეთ ის, რაც მე ვიცი, ცოტას იცინებდით და ბევრს იტირებდით; დაკარგავდით ჭამისა და სმის მადასაც კი...“ [121]

სამოთხეში მოხვედრის ღირსნი ხდებიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მონანიების ცრემლებით ირეცხავდნენ და იწმენდნენ წყლულებს, რომლებიც მათ გულზე გაჩნდა. ზუსტად ამიტომ, შუამავლები, წმინდანები, ღვთისმოსავნი და მონა-მსახურები: ნეტარებასა თუ მწუხარებაში, სიხარულსა თუ ბედნიერებაში ყოველთვის ეძებდნენ ალლაჰთან თავშესაფარს და მას მუდარით მიმართავდნენ. რადგან თვით ცოდვებისაგან განწმენდილ შუამავლებიც კი უშვებდნენ „ზელილს“ (მცირე შეცდომები). მონა-მსახურებში კი არ მოიძებნებიან ისეთები, ვინც მონანიებასა და ისთღფარს არ საჭიროებენ. მონანიება და ისთიღფარი, როგორც სინანულის განსახიერება და დახმარებისაკენ მისწრაფება, ემსახურება ალლაჰთან დაახლოებას.

მეორე მხრივ, ტანჯვა-წამება, მონანიება და ცრემლები სხვა არაფერია, თუ არა მომგებიანი ვაჭრობა. ისინი, ვინც შეძლებენ ამის გააზრებას, არ დაიწყებენ ჩივილს საკუთარ ბედზე, არამედ ამისგან აიღებენ იმას, რაც უფრო ძვირფასია. ერთ-ერთმა მათგანმა, მევლანა ჯალალედინ რუმიმ ამის გამო თქვა:

„უდიდებულესი ალლაჰი რამდენ ცრემლსაც იღებს ამ ცხოვრებაში შენგან, სანაცვლოდ სამოთხის იმდენივე წყაროს გჩუქნის. ის იღებს შენ „აჰ“-ებს, გრძნობებს, ტანჯვებსა და კვნესებს; და ყოველი კვნესა მოგანიჭებს

121. სუიუთი, ჯამიღას-საღირი, 11-10.

შენ ასობით ისეთი დონის სულიერ სიმაღლეს, რომელიც ძნელი მისაღწევია.“

მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რომ არც ერთი ტირილი არ ჰგავს მეორეს. მათ აქვთ ბევრი განმასხვავებელი. ზოგიერთი გოდება ცივი, თვალთმაქცური, ფუჭი და ცრუა. სუფიან სევრი ამბობდა:

„ტირილი ათი სახისაა. აქედან ცხრა მოჩვენებითია. მათგან მხოლოდ ერთია ალლაჰისთვის. და აი, თუ ალლაჰის გამო მცირეოდენს მაინც იტირებ ეს გახდება მიზეზი მონა-მსახურის ჯოჯოხეთისაგან გადარჩენისა.“

თქმულებაში მოთხრობილია, რომ ერთმა ქალმა ყად შურაიხას თავისი ქმრის გამო საჩივრით მიმართა ამ ამბის შემსწრე შაბიმ წამოიყვირა:

— ო, უმეიიე! მე დავრწმუნდი, რომ ეს ქალი ნამდვილად ნაწყენია, შეხედე, როგორ ტირის ის!

ყადმა შურაიხამ უპასუხა:

— მომისმინე, შაბი, იუსუფის სისხლით ხელებშეღებილი ძმები ცრემლიანი თვალებით მივიდნენ მამასთან. არ იქნება სამართლიანი, თუკი განაჩენს მხოლოდ იქედან გამომდინარე გამოვიტანთ, რომ ის ტირის!

ასეთი ცრემლები, რა თქმა უნდა, უარსაყოფია. ასევე ეზიზღება ალლაჰს იმათი ცრემლები, ვისაც სურს თავისი უძლურებისა და დამცირების გამომზეურება. მათი ფუჭი, ტყუილუბრალო ცრემლები შუბლზე წამსკდარი ცრემლის მსგავსია. როგორც აწ განსვენებულმა პოეტმა აქიფმა თქვა:

უარი თქვით გლოვაზე! შეეშვით გოდებას!

ტირილი რომ სასარგებლო იყოს, გაცოცხლდებოდა მამაჩემი! რა ხეირი აქვს თქვენს ცრემლებს? მაშინ ოფლიც ხომ არ დაგეღვარათ?!

ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ალლაჰის გამო ტირილი კი არ გვამცირებს მეგობრებისა და მტრების თვალში, არამედ სხვა, ფუჭი ტირილი. როგორც დიდ მდინარეებს მოაქვთ უამრავი ნაფოტი და ნაგავი, არ აძლევს რა მათ ჩაძირვის საშუალებას, ასევე ჩვენი თვალებიდან გადმონადენმა ცრემლებმა კი არ უნდა ჩაგვძირონ, არამედ ხალხის გამო უნდა ვიგლოვოთ, და ალლაჰისთვის დავალბოთ სასთუმალი.

ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ საჩივარს არ უნდა ახლდეს ტირილი. საჩივარი ხომ უკმაყოფილებას გამოხატავს, ხოლო უკმაყოფილება არასოდეს მიიღება. ზუსტად საჩივრებს მიჰყავს მონა-მსახური დაუმორჩილებლობამდე, რის გამოც ის კარგავს ყოველივე ძვირფასს, რაც გააჩნდა. ამიტომ, ალლაჰის რისხვას ის იწვნევს თავის თავზე. ჩვენ ხომ ვლაპარაკობთ არა იმ ტირილზე, რომელიც წყრომას იმსახურებს, არამედ იმაზე, რომელსაც ჭეშმარიტი მეგობარი გაიზიარებს და სულს ცოდვების ჭუჭყისაგან გაასუფთავებს.

დასასრულს შეგახსენებთ, რომ სიკვდილის მოსვლით ისინი იღვიძებენ, ვინც წუთისოფელი ძილში გაატარა, მათ აეხილებათ თვალები და ჭეშმარიტებას შეიცნობენ. მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წამს აღქმული ჭეშმარიტება ისევე არ მოგვიტანს არავითარ სარგებელს, როგორც ფარაონს... მევლანა ჯალალედინ რუმიმ მშვენივრად თქვა:

„გონიერი ადამიანები წინდაწინ ტირიან უცოდინრები აღსასრულისას იცემენ თავში ხელს. წინასწარ გაჭვრიტე თუ როგორ დასრულდება ყოველივე, რათა არაფერზე ინანო განკითხვის დღეს!“

„იმ ჩიტის ისტორიიდან აიღე გაკვეთილი, რომელსაც ხაფანგთან დაბნეული მარცვლების დანახვისას გონება დაუბნელდა და საფრთხის გაუთვალისწინებლობით მიაღწია მარცვლებამდე, სადაც ხაფანგში აღმოჩნდა. და ახლა, მას შეუძლია, თავისუფლების მოპოვებისთვის რამდენიც უნდა იმდენი „იასინი“ და „ანამი“ იკითხოს. მაგრამ სარგებელი რა ექნება?! როცა უბედურება გვეწვევა: ტირილს, კვნესასა და გოდებას არა აქვს აზრი. ეს „აჰ-ები“ და ოხვრა საჭიროა მახეში გაბმამდე!...“

ასევე, შუამავალი იბრაჰიმიც, რომელიც ალლაჰისგან ლუტის ხალხის შეწყალებას, (ვისაც გარყვნილების გამო ალლაჰის რისხვა ეწვია) ითხოვდა, ბოლომდე ვერ აღიქვამდა დაუმორჩილებლობის მთელ საშინელებას. ის ანგელოზებმა შეაჩერეს სიტყვებით:

„ვედრების დრო უკვე გავიდა!“

დიდებული ალლაჰის ნებით, არ ვიცით როდის, სად და როგორ მოგვადგება სიკვდილი. ამიტომ გულებმა უნდა გაიზიარონ სიტყვების- „მოკვდით სიკვდილზე ადრე!“-არსი და ვიყოთ ალლაჰის წინაშე წარდგომისთვის მზადყოფნაში. სხვაგვარად, უკანასკნელი ამოსუნთქვა შეიძლება დაკარგვის მწარე კვნესას შეუერთდეს: „ოი, უბედურო თავო ჩემო, ახლა საითკენ!“

წმინდა აიათში ნათქვამია:

[illegible]

„ჭეშმარიტებით მოვა სიკვდილის სიმთვრალე და ეთქმება: აჰა, ეს არის ის, რასაც შენ მუდამ გაურბოდი!“[122]

ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა მონა-მსახურისათვის მაცდუნებელ მისწრაფებათა შეკავება და გულის განწმენდაა. მონანიება და ცრემლები, რაზეც ჩვენ ამდენი ვილაპარაკეთ, არის მხოლოდ ჭიშკარი ამ მდგომარეობის მისაღწევად. მასში შესვლის შემდეგ, რა თქმა უნდა, აუცილებელია განვაგრძოთ უმწიკვლო საქმეების კეთება. როცა მონა-მსახური ყველა ფარძს, ვაჯიბსა და სუნნეთს ასრულებს, მან უნდა მიაქციოს ყურადღება ალლაჰის ქმნილებათა უფლებებს. მან უნდა დაიცვას მშობლების უფლებები და თავი ყოველი არსებულისადმი თანაგრძნობითა და მორჩილებით გამოიჩინოს. ვინც პატიების ნიჭს ფლობს ალლაჰისაგან იმსახურებს პატიებას. ხოლო მათ, ვისი სულებიც მოკლებული არიან სიყვარულსა და თანაგრძნობას, არ შეუძლიათ შესმენა ძახილისა:

„სინანული ჩვენს თავს!“ — ისინი ცხოვრებაში გზააბნეული და მწუხარე მოგზაურები არიან.

ამიტომ, ატმოსფეროდან სინანულისა და ცრემლების გზით ყველა მშვენიერი თვისების შემსრუტავნი, მიისწრაფვიან ალლაჰისკენ. ამ მისწრაფებამ ცხოვრების ყველა გაელვება უნდა გამსჭვალოს. ამასთან ერთად, მონა-მსახურებისთვის არსებობს განსაკუთრებით ნა-

122. ყაფი, 50/19.

ყოფიერი დრო. წელიწადის დროთაგან ყველაზე ძვირფასი გაზაფხულის მსგავსად. წმინდა რამაზანის თვე, რომელშიც არის ლეილეთულ-ყედრი (ბედსწერის ღამე) მთელი კაცობრიობისა, შუქით გამცისკროვნებელი ღამე, რომელიც ათას თვეზე უფრო მადლიანია, როცა ლევჰი-მაჰფუზიდან იქნა გარდმოვლენილი ყურანი. ეს დალოცვილი და განსაკუთრებული თვე, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, მსგავსია ახალი, ნათელი მთვარისა, რომელიც დაფარულ სულებს ანათებს ღამის წყვდიადივით. ამ დროს ცაზე იხსნება სარკმელი დედამიწიდან მირაჯის შესასრულებლად, ამიტომ მორწმუნეებმა რამაზნის წმინდა თვეში მიღებული განწყობა ფხიზელი სულით უნდა ატარონ მთელი ცხოვრების მანძილზე. იმათთვის, ვინც ასე გაატარებს ცხოვრებას, განკითხვის დღე იქცევა არა მწუხარებად არამედ საზეიმო დღის შუქად.

დაე, ალლაჰმა ყველა ჩვენგანს საზეიმო დღის ასეთი განთიადი გვაჩუქოს!“ და გვარგუნოს ჩვენ ღვთაებრივი წყალობა, მიტევება ჩვენი სიყვარულისა, და გულწრფელი ცრემლების სანაცვლოდ.

ამინ!...

ვედრება



ყოველი განმეორებითი ვედრებისას მორწმუნე შინაგან შეგრძნებას უღრმავდება და ეს იქცევა მის ერთ-ერთ თვისებად. ზუსტად ამიტომ, ამაღლებული სულის მქონენი მუდმივი ვედრებით ცხოვრობენ.

ვედრება

ყველა შუამავალი და წმინდანი, რომელიც კაცობრიობას ღვთაებრივი წყალობის სახით სიძნელეებისა და წარმატების მომენტში წარეგზავნებოდა თავიანთ სასოებას ყოველთვის დიდებული ალლაჰისადმი ვედრებით და მისდამი მიმართვით მიაპყრობდნენ. ყოველი არსებულისათვის ისინი წინამავლებად, ხსნის გზის მიმანიშნებლად იქცნენ.

ალლაჰთან თავშესაფრის მოძებნა ცხოვრების კანონი და მისი მორჩილების არსია. ყველაფერი, რაც არის დედამიწასა და ცაზე ღვთის ნებას ემორჩილება, მისთვის დამახასიათებელი ენით ახსენებს უსაზღვრო ძლევამოსილების მქონეს და ევედრება მას. კარგი რელიგიური აღზრდა მორწმუნეში აღვიძებს შინაგან სურვილს ვედრებისათვის. ვედრება ხომ მონა-მსახურის გულის უზარმაზარი ჭიშკრის გასაღებია, რომელსაც ის ალლაჰთან მიჰყავს.

ყოველი განმეორებითი ვედრება მორწმუნეს სულში შინაგან შეგრძნებას აღვიძებს და აფხიზლებს მას. ამიტომ, ამაღლებული სულის მქონენი მუდმივი ვედრებით ცხოვრობენ. ვინაიდან ისინი ვედრების მნიშვნელობის ცოდნით უდიდებულესი ალლაჰის წინაშე სიფრთხილით თრთიან. ამ წმინდა აიათში ნათქვამია:

„უთხარი: „თუ არ იქნება თქვენი ვედრებანი, რატომ მოგანიჭებთ ღირსებას ღმერთი ჩემი, როცა ის ცრუდ შერაცხეთ?...“[123]

ზუსტად ასე, მორწმუნის გულის გავლით მუდმივ ვედრებაში ყოფნითა და ლოცვისკენ მოწოდებით წარმოიქმნება უხილავი კავშირი ალლაჰსა და მის მონა-მსახურს შორის. შთაგონებითა და თრთოლვით აღვლენილი ვედრება სულის ღვთაებრივ წყალობასთან შერწყმაზე მიგვანიშნებს. ღვთაებრივი წყალობა და გულმოწყალეობა ვედრების სურვილშია.

მაშასადამე, ვედრების ჩვენი გულებიდან ღვთის სამყოფელამდე ამაღლებას, პირველ რიგში, საკუთარი ცოდვების, სისუსტისა და უმწეობის აღიარება ემსახურება. ჩვენი ვედრება ჩვენი უმწეობის აღიარებაა ალლაჰის წინაშე, მის მიმართ მორჩილებისა და ქედის მოხრით. ჭეშმარიტად, თუ ალლაჰისადმი ვედრება საკუთარი სისუსტისა და ცოდვების აღიარებით იწყება, მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს იმაზე, იქნება თუ არა ჩვენი ვედრება მიღებული და დავიმსახურებთ თუ არა წყალობას. მაგალითად, ადამმა და ევამ წმინდა აიათის მიხედვით ალლაჰის უდიდებულესობას ასე შეევედრნენ:

„მიუგეს ორივემ: ღმერთო ჩვენო! უსამართლოდ მოვექეცით საკუთარ თავს და თუ არ მოგვიტევებ და არ შეგვიწყალებ, უეჭველად, ჩვენ წაგებულთა შორის აღმოვჩნდებით!“[124]

---

123. ფურყანი 25/77.

124. არაფი 7/23.

სხვა წმინდა აიათში კი ლაპარიკია შუამავალ იუნუსის ვედრებაზე, რომელიც თავშესაფარს უდიდებულესი ალლაჰისგან ითხოვდა:

„და ზენნუნი აკი, წავიდა განრისხებული. იფიქრა, რომ ჩვენ ვერ ვძლევდით მას. შემდეგ შეევედრა წყვდიადიდან: „რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა შენი! დიდება შენდა! უეჭველად, მე უსამართლოთაგანი ვარ !“[125]

სულისმიერი ენა და ყველაზე მშვენიერი სავედრებელი სიტყვები სინათლისა და სიყვარულისაგან იბადება. ის ჩუქნის სიცოცხლეს მათ, ვისაც დაკარგული აქვთ იმედი და კურნავს გატეხილ გულებს. გულწრფელობით, გულმოდგინედ და ცრემლით შესრულებული ვედრება ღვთაებრივ წყალობას იმსახურებს. ვედრებაში გამოხატულია ალლაჰისადმი მორჩილების საიდუმლო, რაც გულს ამშვიდებს.

ალლაჰის შუამავალმა, საკუთარი მაგალითით, ვედრების შესრულების საუკეთესო ხერხი გვასწავლა. ის ისეთი ხანგრძლივობით იმყოფებოდა ნამაზზე, რომ ტერფები, უსივდებოდა, ხოლო შემდეგ ცრემლებით დასველებული თვალებით ევედრებოდა უზენაეს ალლაჰს:

„ო, ჩემო ალლაჰო! შენი რისხვისა და კეთილგანწყობისა შენი სასჯელისა და პატიების გამო, შენვე მოგენდობი. მე არ ვარ ღირსი შეგაქო და გადიდო შენ, ისე,

125. ენბია 21/87.

როგორც შენ შეგეფერება! შენ ისეთი ხარ, როგორადაც თავისთავი შეაქე!“ [126]

ვედრების მნიშვნელობაზე კი ის ამბობდა:

„ვედრება მონა-მსახურებაა, მისი არსი და დედაა ზრია. ალლაჰის წინაშე ვედრებაზე ძვრიფასი არაფერია. ალლაჰი სჯის მათ, ვინც მას არაფერს სთხოვს, არ განეწყობა შესავედრებელად. მას, ვისაც სურს თავისი, გაჭირვებისა და მწუხარების მომენტში შესრულებული, ვედრება შესმენილი იქნას, უნდა შეასრულოს მრავალი ვედრება ხვავისა და კეთილდღეობის მომენტებშიც. ალლაჰი ალ-ჰაიუ (მარად ცოცხალი) და ალ-ქერიიმია (უგულუხვესი); როცა მონა-მსახური ხელს აღაპყრობს ალლაჰი მათ ცარიელს არ დატოვებს. ვისთვისაც გაიხსნება ვედრების ჭიშკარი, მისთვის სიბრძნის ჭიშკარიც გაიხსნება. ვედრება არის წყალობის ჭიშკრის გასაღები, მორწმუნის იარაღი, რწმენის საყრდენი, ცისა და დედამიწის სინათლე.“[127]

ვედრება უცხოა მისთვის, ვინც ჩაგრავს ხალხს, აწვალებს და ამცირებს სუსტებს, მისთვის ნაწყალობებ ცხოვრებას უდარდელობაში ატარებს. ხოლო მიიღება იმის ვედრება, ვინც ჩუქნის ბედნიერებას იმედდაკარგულებსა და უკიდურეს უმწეობაში ჩავარდნილებს. ჭეშმარიტად, ვედრება შორსაა იმ პატივმოყვარე ამაყებისაგან, ვინც თავისთავს უცოდველად მიიჩნევს, ხოლო პასუხის ღირსად ალლაჰის იმ მონა-მსახურების ვედრება იქცევა,

126. მუსლიმი, სალათი, 222.

127. რუდანი, ჯამ-ულ-ფავაიდი, 9219-20-21-22-25.

ვინც ცოდვებს მონანიების ცრემლებით ირეცხავენ თავიანთ გულებსა და თვალებს.

მევლანა ჯალალედინ რუმი ამის შესახებ ამბობდა;

„მოინანიე სულით, სინანულით სავსე ცეცხლითა და ცრემლებისგან დასველებული თვალებით!

ყვავილები ხომ იქ, იფურჩქნება სადაც მზე და ტენია!“

ე.ი. ვედრება რომ შესმენილი იქნას, არ არის საკმარისი მისი უბრალოდ, ენით წარმოთქმა. ვედრება უნდა შესრულდეს მოკრძალებულად, შიშის გრძნობითა და იმედით. გული უნდა თრთოდეს სულიერების იმ აზრთან შეხვედრისას, რომელსაც ის მოუწოდებს. თუ ეს ვედრებაა ცოდვების შენდობაზე, მაშინ აუცილებელია იმაში დაბეჯითებით დარწმუნება, რომ აღარასდროს გაიმეორებ მსგავსს.

თქმულებაში ნაამბობია, რომ შუამავალმა მუსამ ერთხელ დაინახა ადამიანი, რომელიც გულმოდგინედ ასრულებდა ვედრებას და მთელი სიწრფელით ისურვა, რომ მისი მუდარა შესმენილიყო. იმავე მომენტში უზენაესმა ალლაჰმა გარდმოუვლინა მუსას შთაგონება:

„მე უფრო მოწყალე ვარ ამ მონა-მსახურისადმი, ვიდრე შენ. ის მხოლოდ ენით მევედრება, მისი გული კი იმ ნახირთანაა, რომლის პატრონიც თვითონაა.“

როცა მუსამ იმ ადამიანს ეს სიტყვები გადასცა, მან შეცდომა გამოასწორა და სუფთა გულით მიემართა ალლაჰისაკენ.

აგრეთვე მისაღებია ვედრება აღვლენილი მორწმუნე ძმისათვის. ჩვენი შუამავალი ამბობს:

„არ არსებობს იმაზე უფრო სწრაფად შესასმენი ვედრება, რომელიც ერთი მორწმუნის მიერ სხვა მორწმუნისათვის აღევლინება.“[128]

ხალხი ხშირად ითხოვს ვედრებას მათგან, ვის ვედრებასაც, მათი აზრით, ალლაჰი შეისმენს. თუმცა, იმის მთავარი პირობა, რომ ვედრება იყოს შესმენილი, არის მხოლოდ გულწრფელობა და ალალმართლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუნდაც ცოდვილი ასრულებდეს ვედრებას: რწმენით, გულწრფელად და ალალმართლად შესრულებული ვედრება იქნება უფრო უპირატესი ალლაჰის წინაშე, ვიდრე ნებისმიერი სხვა, რომელიც შეიძლება ყველაზე საუკეთესოდ მოგვეჩვენოს.

ემოციურია მევლანა ჯალალედინ რუმის სულიდან თანაგრძნობითა და მოწყალებით აღმოხდენილი გამონათქვამი:

„ო, ჩემო ალლაჰო! თუკი მხოლოდ ღვთისმოსავები უნდა იმედოვნებდნენ შენს მოწყალებას, მაშინ ვისით უნდა დაიმედდნენ ცოდვილები?“

„ო, უზენაესო ალლაჰო! თუ შენ იღებ მხოლოდ რჩეულ მონა-მსახურების ვედრებას, მაშინ ვის უნდა მიმართონ ვედრებით ცოდვილებმა?...“

128. თირმიზი, ბირრი, 50.

თუ მონა-მსახური სინამდვილეში ცოდვილია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ალლაჰის უდიდებულესობამ ის დაივიწყა. ამიტომ, ადამიანმა არ იცის ვისი ვედრება შეიძლება იქნეს შესმენილი, ეს იცის მხოლოდ უზენაესმა ალლაჰმა. მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, რომ ალლაჰი ვედრებას იმ მონა-მსახურისაგან იღებს, ვინც გულით მიისწრაფვის მისკენ.

მუსლიმანებისთვის რამდენადაც მნიშვნელოვანია ჩაგრულთა და განაწყენებულთა მხრიდან სიყვარულის დამსახურება, ამდენადვე მნიშვნელოვანია მოერიდონ მათ წყევლა-კრულვას, რასაც შემდეგი მაგალითი ამტკიცებს.

დაასრულა რა ქალაქში ციხესიმაგრის აღმართვა, სელჩუკთა სულთანმა ალაადდინ ქეიქუბადმა, გამოიძახა მევლანა ჯალალედინ რუმის მამა ბაჰაედდინ ველედი, რათა მისი აზრი გაეგო. როცა ბაჰაედდინ ველედმა ნაგებობას შემოუარა და დაათვალიერა, თქვა:

„თქვენი ციხესიმაგრე არაჩვეულებრივად ლამაზია და საკმაოდ მტკიცედ გამოიყურება მტრის შემოსევებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მაგრამ რა ზომები მიიღე შენ, საკუთარი თავის დასაცავად, შენს მიერ უსამართლობით ჩაგრულ ქვეშევრდომთა წყევლა-ვედრებისაგან? მათი დაწყევლილი ისრები ხომ არა მარტო შენი ციხე-სიმაგრის კედლებს, არამედ სხვა ასი ათასი ციხესიმაგრის კედლებს აქცევს ნანგრევებად.

შენთვის უკეთესია სამართლიანობით, სიკეთითა და ღვთისმოსავობით გამყარებული ციხე-სიმაგრე აიშენო და იქ წმინდანთა ჯარი შეკრიბო, რათა მათი ვედრება

მიმართული იყოს სიკეთის ქმნისაკენ. ის უფრო საიმედო იქნება შენთვის, ვიდრე ამ ციხე-სიმაგრის კედლები. ხალხისა და მთელი სამყაროს სიმშვიდე და კეთილდღეობა ხომ ამ ჯარისკაცების ვედრებაზეა დამყარებული.“

სინამდვილეში მორწმუნეების ყოველგვარი მიღწევა, წარმატება და გამარჯვება ბევრადაა დამოკიდებული მათ მიერ გამოვლენილ მონდომებასა და ვედრების გულწრფელობაზე.

ქვეყნიერების აღსასრულამდე ჩვენი მეგზური-წმინდა ყურანი, გადმოგვცემს უდიდეს გაკვეთილს იმაზე, თუ როდის და როგორაა საჭირო უდიდებულეს ალლაჰზე ვედრება. უზენაესი ალლაჰი წმინდა აიათებში ბრძანებს:

„უთხარი შენ : განა ვერ აცნობიერებთ თქვენ, რომ გეწიოთ ალლაჰის რისხვა ან დაგიდგეთ ჟამი , ვისმე მოუხმობთ ალლაჰის გარდა, თუკი ხართ მართალნი? არა! მხოლოდ მას შეთხოვთ და ის აგაცილებთ, რასაც სთხოვთ იმას, თუკი ინებებს; და დაივიწყებთ, რასაც ზიარუქმნიდით. “[129]

„შეევედრეთ ღმერთსა თქვენსა ქენებითა და ჩუმად. უეჭველად, არ უყვარს მას ზღვარგადასულნი!“[130]

იმისათვის, რომ მარადიულ ცხოვრებაში, რომელიც წარმავალი ცხოვრების გაგრძელებაა, ხსნის გზით შევიდეთ, ალლაჰს ყოველთვის კეთილი დასასრული უნდა ვთხოვოთ. წმინდა აიათში უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

129. ენამი, 6/40-41.

130. არაფი, 7/55.

[illegible]

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭეშმარიტი ღვთისმოშიშებით გეშინოდეთ ალლაჰისა, და ისე არ ჩაა-ბაროთ სული, მუსლიმად არ აღესრულოთ! “[131]

ყოველი მორწმუნე მთელი გულმოდგინებით უნდა ეცადოს გაილამაზოს უკანასკნელი ამოსუნთქვა და მომავალი ცხოვრების ბედნიერება დაიმსახუროს. შუამავლების გარდა კი არავინაა დარწმუნებული თავის სამომავლო ხვედრში. თვით წმინდანებიც კი (ალლაჰის რჩეული მონა-მსახურები) მუდმივ მოუსვენრობაში იმყოფებიან უკანასკნელი ამოსუნთქვის დროს მოსალოდნელი წარსდგომის შიშით.

არავინ იცის, როგორ შეხვდება თავის უკანასკნელ საათს. მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ გაიარა ადამიანმა ეს ცხოვრება, ის ცდილობს წარმოიდგინოს თავისი გარდაცვალების მომენტი. ამიტომ იმისათვის, რომ საკუთარ უკანასკნელ ამოსუნთქვას რწმენით შეხვდეთ, საჭიროა ამ ცხოვრებაში ჭეშმარიტი გზით ვიაროთ, რათა მუდმივად ვიმყოფებოდეთ ვედრების მდგომარეობაში და ვინანიებდეთ ჩვენ მიერ ჩადენილ ცოდვებს. წმინდა აიათის მიხედვით, შუამავალ იუსუფი ასე ევედრებოდა:

[illegible]

131. ალი-იმრანი, 3/102.

„...მიმიბარე შენ მუსლიმად და დამამკვიდრე კეთილისმქმნელთა შორის“[132]

უზენაეს ალლაჰს ყურანში მოყვანილი ჰყავს ვედრება იმ წმინდა მსახურებისა, ვინც გონების მფლობელია:

[illegible]

„ღმერთო ჩვენო! უეჭველად, გვესმოდა ხმობა მხმობელისა რწმენისაკენ: იწამეთ ღმერთი თქვენიო! და ჩვენც ვიწამეთ. ღმერთო ჩვენო! მოგვიტევე ჩვენ ცოდვანი ჩვენნი და დაგვიფარე რაც უღირსი გვიკეთებია და კეთილშობილებთან ერთად განგვასვენე!“[133]

ის, რომ მთელი ცხოვრების ურწმუნოებაში გამტარებელმა მისნებმა შუამავალ მუსას საოცრებათა წინაშე უკან დაიხიეს ახალი რელიგია მიიღეს და თავიანთი რწმენისა და ალლაჰისადმი მორჩილების შესანარჩუნებლად თვით ფარაონის მიერ შეპირებული შემზარავი, მტანჯველი სიკვდილი ირჩიეს, ჩვენთვის უდიდესი მაგალითია.

ასევე, ალლაჰის წყალობას არ იმსახურებს ვედრების ხმამაღლა, მოჩვენებით, ბრწყინვალე მანერებითა, მაგრამ უსულგულო ფრაზებით, წამსკდარი ოფლითა და პოზირებით შესრულება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ არც ერთი კვნესა, სისხლნარევი ცრემლებით შესრულებული და ავადმყოფობისაგან დასუსტებული ხმა არ

132. იუსუფი, 12/101.

133. ალი-იმრანი 3/193.

იქნებოდა მიღებული. მათ, ვისაც ეს არ ესმით არ იციან სულისმიერი ენა, ვერ შეიგრძნობენ საკუთარ მდგომარეობას, ან არ ფიქრობენ მასზე.

ვედრების მსგავს დემონსტრირებას მისი არსის დასუსტებამდე მივყავართ. შუამავალი მათზე, ვინც ვედრებას ასეთი ხერხით აღავლენდა, ამბობდა:

„მოვა ჯგუფი, რომელიც ვედრებაში გადააჭარბებს დასაშვებ ზღვარს...“[134] მსგავსი სიტუაციისგან თავდასაცავად ერთ-ერთ ჰადისში ნათქვამია:

ამიტომ ის, ვინც აღავლენს ვედრებას, არ უნდა ჩავარდეს აპათიის მდგომარეობაში, რაკი ვედრების პასუხი მას მარადიულ ცხოვრებაში ელოდება.

ვედრებით დაიმედებულმა გულმა უნდა შეიგნოს, რომ ის თავშესაფარს ყველაზე დიდებული ჭიშკრის წინ წარსმდგარი იმედითა და სასოებით ეძებს. ვედრების ჭიშკართან მომლოდინე სულები კი არ დაიღლებიან სიკეთის ლოდინში, თუნდაც მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუხდეთ ლოდინი. მათი ღვთაებრივი წყალობით წარმოქმნილი ვედრება არის ბედნიერების ელექსირი, რომელიც დამწუხრებულ სულებს სიმშვიდეს ჩუქნის და რომლის დალევისთანავე ალლაჰის სიყვარულით დამწვარი გულები ისეთ სიამოვნებას განიცდიან, თითქოს ქევსერის წყალი დაელიოთ.

134. აბუ დაუდი, ვითრი, 23.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ჭეშმარიტი პატივისა და დიდების დამსახურება ადამიანს მხოლოდ ცოდვების მონანიებით შეუძლია. მათ, ვისაც სურთ სიკვდილის შემდეგ მუდმივი ბედნიერება დაიმსახურონ და დააგემოვნონ ალლაჰის უსაზღვრო სიკეთეები, უნდა გამოიჩინონ გულმოდგინება სულიერების ბაღიდან ვედრებისა და მოწოდების მიღებისათვის, რომელიც იმედითა და პატიების არომატით იქნება სავსე. ჩვენ, ალლაჰისკენ, უსაზღვრო ძლევამოსილებისა და წყალობის მფლობელისაკენ მოგიწოდეთ, რათა მან შეგვიბრალოს და გადმოგვაფრქვიოს პატიების წყალობა.

ღმერთო ჩვენო! გვქმენი ჩვენ შენდა მორჩილებად და ჩვენი შთამომავლებიდან შენდამი მორჩილი თემი. გვასწავლე ჩვენი საღვთო წესები და მოგვიტევე. უეჭველად, შენა ხარ მიმტევებელი, მწყალობელი! ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან. ღმერთო ჩემო უბოძე ჩვენს დალოცვილ სამშობლოს ბედნიერება და სიმშვიდე, ჩვენ ხალხს შენი გულწრფელი მონა-მსახურების ვედრებით ჭეშმარიტებისა და წყალობის ერთიანობა.

ამინ!...

მოწოდება ჭეშმარიტებისა და სიკეთისაკენ — 1

ჩვენ ხშირად უნდა ჩავეკითხოთ საკუთარ თავს იმის თაობაზე, თუ რამდენად ვიმსახურებთ პატივს, ვიყოთ ფრიად პატივცემული შუამავლის მიმთდევარ-თაგანი. იმ შუამავლის, რომელიც დაუჯერებელ ენერგიას ხარჯავდა კაცობრიობის სამარადისო ხსნისთვის. ჩვენ ხშირად უნდა ვაბარებდეთ ანგარიშს იმის შესახებ, თუ რამდენად მივსდევთ სუნნეთს, რამდენად ვიმსახურებთ „დედამიწაზე ალლაჰის ხალიფას“ წოდებას.

მოწოდება ჭეშმარიტებისა
და სიკეთისაკენ – 1

ყოველი ადამიანი, რომელსაც არ დაუკარგავს ბუნებისგან ბოძებული აზროვნების ნიჭი, უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ სამყარო შინაგანი მზერით განჭვრიტოს და შეიგრძნოს, რომ ის არსებობს გარკვეული მიზნით. ადამიანი, ამ წარმავალ სამყაროში, ტყუილად არ მოსულა. მის შექმნაში სერიოზული მიზეზია ჩადებული. წმინდა აიათში ამის შესახებ ვკითხულობთ:

?ÁÈ ÕÀÒÁ ÍÛ ÍÀÊÒÓÁ ÆÊÊÈÙÓÛ

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“ [135]

ÍZÄDZÀÄ È ÀÁÈÛ ÌÓÁÛÒ ÀÃÓÃ ÌÕÀÓÛÒ ÀÈÁÛ ÌÓÊÈÙÓÛ

„ნუთუ ჩათვალეთ, რომ ჩვენ გაგაჩინეთ ტყუილუბრალოდ და რომ თქვენ ჩვენთან არ იქნებით მობრუნებულნი?“[136]

ყოველმა ადამიანმა უნდა გაიგოს, რომ „სიცოცხლედ“ წოდებული დროის მონაკვეთი ამყარებს კავშირს სამყაროსა და ადამიანს შორის და გაედინება აკვანსა და საფლავს შორის.

---

135. ყიამეთი 75/36.

136. მუმინუნი 23/115.

სამყაროში გამეფებულ ღვთაებრივ წესრიგსა და ძლევამოსილებას გონიერი ადამიანი გამჩენის არსებობის აღიარებამდე მიჰყავს და „რწმენისაკენ“ მოუწოდებს. მაგრამ იმისათვის, რომ ხალხს საკუთარი რწმენის რეალიზება სრული სახით შეძლებოდათ, ალლაჰის უდიდებულესობა მათთან შუამავლებს აგზავნიდა, რომლებიც ხალხს ჭეშმარიტების გზაზე მიუძღოდნენ.

„რწმენის“ წყალობას ნაზიარები ადამიანი ფლობს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხარისხს-„თანაგრძნობას.“ თანაგრძნობა მორწმუნის გულში ჩაუმქრალი ცეცხლის მსგავსია. ეს ძვირფასი შენაძენი ალლაჰთან გვაახლოვებს. თანაგრძნობა ეს რწმენის კეთილშობილი ნაყოფია, რომლის დაგემოვნების შემდეგ ადამიანი ეგოიზმიდან ჰუმანიზმისაკენ მიისწრაფვის. რწმენის სრულყოფილებისას იზრდება თანაგრძნობა მათ მიმართ, ვინც მოკლებულია მას, ასევე იზრდება მათი დახმარების სურვილი. ამიტომ, ჭეშმარიტი მორწმუნის სული ვერ იპოვის სიმშვიდეს მხოლოდ საკუთარ რწმენაში, როცა მის გვერდით არიან ისინი, ვისაც ესაჭიროებათ მოწოდება და დარიგება.

ადამიანი უეჭველად წუთისოფლის გზაზე გავლით იმქვეყნისაკენ მიმავალი მგზავრია და ამის უარყოფა ისეთივე უაზრობაა, როგორც ჯანსაღ აზრთან კავშირის გაწყვეტა, როგორც თვალების დახუჭვით მზის უარყოფა. ამრიგად, საკუთარი ცხოვრების მოწყობა ამ ჭეშმარიტების შესაბამისად — გონებით, სინდისითა და ლოგიკით ნაკარნახები აუცილებლობაა. მორწმუნის ცხოვრებაში ხომ მთავარი არა იმ წყალობათა ხარჯვა, რომელსაც ის ფლობს და არა სულის მოთხოვნები და ჟინი, არამედ მათი ჭეშმარიტების გზაზე დაყენება, ვისაც ის ესაჭიროება.

აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური მოვალეობა საკუთარი სინდისის ძახილია. ჭეშმარიტების, სიკეთის, ცოდნის, რწმენის, წმინდა ქმედებებისა და მუდმივი ბედნიერებისაკენ მოწოდება და ხალხზე დახმარება, რათა თავიანთი ზნეობრივი პრინციპების დაუცველობის გამო გაეცალონ ბოროტებას და არ ჩაცვივდნენ ცოდვების სამარცხვინო ორმოსა და ურწმუნოების წყვდიადში. ესაა უდიდესი პასუხისმგებლობა. მისი განხორციელება კი ყველაზე მაღალი წყალობითა და ჯილდოებით აღინიშნება (ამქვეყნადაცა და მარადიულ ცხოვრებაშიც). ამის შესახებ ჰადისში ალლაჰის შუამავალი ამბობდა:

„ის, ვინც სიკეთისაკენ მოუწოდებს იმდენივე საზღაურს მიიღებს, რამდენიც მიიღო იმან, ვინც ამ მოწოდებას გამოეხმაურა და სიკეთე ჰქმნა და ეს ისე, რომ სიკეთისმქმნელთა საზღაურს არაფერი მოაკლდება!

ხოლო ის, ვინც ცოდვის გზისკენ მოუწოდებს, დაიმსახურებს იმდენივე ცოდვას, რამდენიც მისმა შემსრულებელმა დაიმსახურა და ეს არაფერს მოაკლებს მისი ცოდვების რიცხვს!...“[137]

ამ ჰადისიდან ნათელი ხდება, თუ რამდენი სიკეთე მოაქვს შუამავლის მოწოდებას ჭეშმარიტებისა და რწმენისაკენ. ხოლო, ვინც ცოდვებისკენ მოუწოდებს საკუთარ ცოდვებს თოვლის გუნდის მსგავსად ზრდიან, რომელსაც ის დაღუპვამდე მიჰყავს. ეს გვიჩვენებს, თუ რა დიდ პასუხისმგებლობად ითვლება სიკეთისა და ჭეშმარიტებისკენ მოწოდება, ან უკეთურებაზე წინ აღდგომა.

137. მუსლიმი ილმი 16; აბუ დაუდი სუნნათი 6; თირმიზი ილმი 15.

სხვა მხრივ, ყოველმა ჭეშმარიტებისა და სიკეთის გზაზე მდგარმა მორწმუნემ თავდაპირველად სრულყოფილებაში უნდა მოიყვანოს საკუთარი თავი. იმიტომ რომ ხალხის ჭეშმარიტებისა და სიკეთის გზაზე დასაყენებლად ყველაზე ეფექტური საშუალებაა ჭეშმარიტება, სიკეთე და სათნოება, რომელიც განხორციელებას ცოცხალ მაგალითებში პოულობს. ამიტომ ის, ვინც ხალხს ჭეშმარიტებისკენ მოუწოდებს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ უნდა იდგეს „ჭეშმარიტ გზაზე.“ რადგან სიკეთისაკენ მოხმობა მხოლოდ მაშინაა ეფექტური, თუკი ის „წრფელი გულით“ ხორციელდება. ისინი, ვინც სულიერების ამ საფეხურზე იმყოფებიან, მარადიულობის განცდებით ცხოვრობენ, რადგან მათ დაკარგეს ინტერესი ყოველგვარ ამქვეყნიურისადმი. მარტივად რომ ვთქვათ, მათ, ვინც საკუთარი თავი უძღვნეს თებლიღს, ამას სარგებლობისათვის კი არ აკეთებენ, ან ვისიმე საამებლად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, ე.ი. -გულწრფელად. ეს თვისება, ყველა შუამავლისათვის იყო ნიშანდობლივი. წმინდა ყურანში ხომ ამაზე ნათქვამია:

„მე არ გთხოვთ საზღაურს ამისათვის, რამეთუ დამაჯილდოებს მე სამყაროთა ღმერთი! “[138] ეს და სხვა მსგავსი აიათები შეიცავს ყოველი შუამავლის უფლების ღვთაებრივ განმარტებას.

138. შუღერა, 26/180.

სიკეთისკენ მოწოდებასა და ბოროტებაზე წინ აღდგომას ჩვენს რელიგიაში „ემრი ბილ-მარუფ ვე ნაჰიე ანილ-მუნქარი“ — ჰქვია. ამ ღვთაებრივი ბრძანების საბაბით წმინდა აიათში არის განმარტება:

﴿وَلْتَكُن مِّنكُمْ أُمَّةٌ يَدْعُونَ إِلَى الْخَيْرِ وَيَأْمُرُونَ بِالْمَعْرُوفِ وَيَنْهَوْنَ عَنِ الْمُنكَرِ ۚ وَأُولَٰئِكَ هُمُ الْمُفْلِحُونَ﴾

„(ო, მორწმუნენო!) და იყოს ხალხი თქვენგან სიკეთისკენ მომწოდებელი, მბრძანები მოსაწონისა და უკეთურების აღმკვეთი, და სწორედ, ეგენი არიან ნეტარნი.“[139]

ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც ჭეშმარიტებასიცრუეს, სიკეთე — ბოროტებას, კეთილდღეობა-სიმდაბლეს, გამჭრიახობა — გამოუცდელობას ერთმანეთისგან განასხვავებს რელიგიის ხმაა, ე.ი. ალლაჰისა და მისი შუამავლის ბრძანებები და დარიგებები. ყოველი მორწმუნის პირველი ვალდებულება კი ამ ხმის გაძლიერებაა.

ალლაჰის უდიდებულესობა ერთ-ერთ წმინდა აიათში, ეძახის რა თაბლიღს, „უდიდეს ჯიჰადს,“ ამბობს:

„ამიტომ არ დაემორჩილო ურწმუნოებს და მისი (ყურანის) მეშვეობით აწარმოე მათთან დიადი ბრძოლა!“[140]

ეს ბრძანება „უდიდეს ჯიჰადზე“ გარდმოვლენილ იქნა მექაში, მაშინ როცა მორწმუნეებს არ ჰქონდათ ფიზიკური ძალა: ფესვგადგმული უხამსობის, ფანატიკური გზააბნეულობის, ქაოსისა და ანარქიის ბატონობის პე-

139. ალი-იმრანი, 3/104.

140. ფურყანი 25/52.

რიოდში წინააღმდეგობა გაეწიათ წარმართებისთვის. ზუსტად იმ მომენტში, ჯიჰადის ყველაზე მთავარ ცენტრში, აღმართული იქნა მოწოდება-წმინდა ყურანისაკენ. იმ დროს ხომ მორწმუნეებს მჩაგვრელებისა და მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად არც ძალა და არც შეიარაღება აღარ ჰქონდათ. სიტყვა ალლაჰის გარდა მათ ხელში არაფერი იყო. ამიტომ, მოწოდება წმინდა ყურანისაკენ, რაც წმინდა აიათების ახსნაში ვლინდება, ნიშნავდა დიდ ჯიჰადსა და ერთადერთი გზისადმი ერთგულებას.

ერთ-ერთ ჰადისში ალლაჰის შუამავალი ამბობს:

„მხოლოდ ორი პიროვნების შეიძლება შეგშურდეს: მისი ვისაც ალლაჰმა წმინდა ყურანი აჩუქა და დღე და ღამე მისითაა (ცხოვრობს და მოუწოდებს სხვებს) დაკავებული; და მისი, ვისაც ალლაჰმა სიმდიდრე უძღვნა და განუწყვეტლივ გაიღებეს მას ალლაჰის გზაზე.“[141]

ყურანის ყველაზე ღირსეული სახის გამოყენება ნიშნავს, შეისწავლო ის და ასწავლო სხვასაც, გადაიღო მისი ზნეობა, ცხოვრებაში მისდიო მის ბრძანებებსა და აკრძალვებს, ფაქიზად და დელიკატურად მოუწოდო რწმენისაკენ. ყურანისაკენ მოწოდებამ სასურველი დადებითი შედეგი რომ მოგცეს, მორწმუნის გრძნობები და ფიქრები მთელი სიღრმით უნდა შეიძრას.

მაგალითად, კეთილშობილ ომარს საზიზღარ განზრახვაზე-მოეკლა ალლაჰის შუამავალი, უარი ათქმევინა არა მარტო შუამავლის მიერ აღვლენილ ვედრებამ,

141. ბუჰარი, ილმი, 15, მუსლიმი, მუსაფირინი 266.

არამედ იმანაც, რომ ომარის დის სახლში სწავლობდნენ ყურანს და ცხოვრობდნენ მისი წესებისამებრ.

ალლაჰის შუამავალი და მისი კეთილშობილი მიმ-დევრები ალლაჰის რელიგიისადმი წმინდა ყურანით მოუწოდებდნენ, რისთვისაც ნებისმიერ მატერიალურ თუ სულიერ შესაძლებლობას იყენებდნენ და ახდენდნენ მთელი ძალების მობილიზებას. ისინი შიშისა და მუქარის გადატანით, უზარმაზარი წინააღმდეგობების გადალახ-ვით წარსდგებოდნენ ტირანებისა და მმართველების წინაშე და ალლაჰის შუამავლის წერილებით ჭეშმარიტი რელიგიისკენ მოუწოდებდნენ. თანაც უშიშრად, სიცო-ცხლის დაკარგვის შიშის გარეშე. ზუსტად ამიტომ, 120 ათასი საჰაბედან, რომლებიც ალლაჰის შუამავლის გა-მოსამშვიდობებელ ხუთბეს (ქადაგებას) ესწრებოდნენ, მხოლოდ 20 ათასია დასაფლავებული მექასა და მედინას ტერიტორიაზე. ყველა დანარჩენი-ჩინეთში, სტამბოლში, აფრიკაში და კავკასიაში გადავიდა, რათა იქ გულმოწყა-ლების გზით გაევრცელებინათ ისლამი. ამგვარად მიიტა-ნეს თავიანთი, მექაში დაწყებული მოწოდება სხვადასხვა ხალხთან.

ყურადღების მიქცევას იმსახურებს ალლაჰის შუა-მავლის ზეადამიანური ძალისხმევა და ბრძოლა, ასევე მისთვის თავგანწირული თანამოაზრეების, ღვთაებრივი წერილების გზით, ჭეშმარიტებისაკენ მოწოდება. ამან შეაკავშირა ერთმანეთთან მოწოდების აუცილებლობა და მორწმუნეებისათვის რწმენის იმედად ყოფნის გაკვე-თილად იქცა.

ფრიად პატივცემულმა ალლაჰის შუამავალმა, რო-მელიც ალლაჰის უდიდებულესობამ მონა-მსახურებს სრულყოფილ ნიმუშად დაგვისახა, მთელი თავისი ცხო-

ვრება რწმენისაკენ მოწოდებას მიუძღვნა. ის უარს აცხადებდა (წარმართების მიერ შეთავაზებულ) თუმცა სარფიან, მაგრამ დაცემულ და ეგოისტურ წინადადებებზე. მათი დაცინვით, შეურაცხყოფითა და უსამართლობით გატანჯულს არასდროს შეუწყვეტია რწმენისაკენ გულმხურვალე მოწოდება. ამ გზაზე ყველაზე უმნიშვნელორყევაც კი მისთვის მიუღებელი იყო, იმდენად ძლიერად იყო მასში გამჯდარი რწმენის ყოვლადძლიერი გრძნობა. მისი მისიის დასაწყისში, ჯერ კიდევ საკუთარ შესაძლებლობათა გაუმყარებლობის პერიოდში, მრავალღმერთიანებმა მიმართეს მას ძალიან მაცდუნებელი წინადადებებით, რომლის სანაცვლოდაც შუამავალს უარი უნდა ეთქვა მოწოდებაზე, მაგრამ მან უპასუხა:

„ვფიცავ ალლაჰს, მარჯვენა ხელში მზე, ხოლო მარცხენაში-მთვარე, რომ მომცენ მე არასდროს ვიტყვი უარს ალლაჰის რელიგიისკენ მოწოდებაზე! ან ალლაჰის უდიდებულესობა გაავრცელებს მას მთელ დედამიწაზე, ან მე მოვკვდები ამ გზაზე!“

ფრიად პატივცემულმა შუამავალმა ისლამის მოწოდების გზაზე ჭეშმარიტად გადაიტანა იმდენი სიძნელე და წამება, რამდენსაც ვერ გადაიტანდა ვერცერთი სხვა, მან ყველაზე მოხერხებული მომენტი გამოიყენა, რათა ადამიანების გულებში ჭეშმარიტების თესლი ჩაესახა და ქცეულიყო ხალხისთვის საუკეთესო და სრულყოფილ ნიმუშად ჭეშმარიტების გზით სვლასა და მის განხორციელებაში.

ალლაჰის შუამავლის მოღვაწეობა პირველ წლებში, როცა მრავლღმერთიანები ყოველი მხრიდან მიედინებოდნენ მექაში, ის, ჰაჯობის შესრულების შემდეგ, რამდენჯერმე ჩამოივლიდა ყველა ტომს და ისლამს ასწავლიდა.

შეკრების ადგილებში, ყოველ შემხვედრს განურჩევლად თავისუფალს თუ მონას, სუსტს თუ ძლიერს, მდიდარს თუ ღარიბს, თავდაპირველად, ალლაჰის რელიგიისკენ მოუწოდებდა.

ჯაბირი ასე ყვებოდა:

„ალლაჰის შუამავალი, ჰაჯობის დროს, ყოველი ტომის მომლოცველებს მიმართავდა წინადადებით:

„არის თუ არა თქვენგან ვინმე, ვისაც შეუძლია წარმადგინოს მე თავის ხალხთან? ყურაიშები ეწინააღმდეგებოდნენ ჩემს მიერ ალლაჰის სიტყვების გამოცხადებას.“ [142]

განსაკუთრებით ხშირად ის მიდიოდა მექაში მოქმედ ბაზრებზე, ისეთებზე როგორიცაა: უკაზი, მაჯანნა, ზულ-მაჯაზი. ის მიაშურებდა ხოლმე სხვადასხვა ტომიდან გამოსულ ვაჭრებს, ეცნობოდა მათ და უყვებოდა ალლაჰის ერთადერთობისა და ერთი ღმერთის თაყვანისცემის აუცილებლობაზე.

მიუხედავად მასხრად აგდებისა და წამებისა, რომელიც მან ტაიფში იწვნია, მისთვის საკმარისი ისიც იყო რომ ერთი მონა, სახელად ადდასი გაჰყვა, რათა თავისი გულის მწუხარება სიხარულით შეეცვალა და დანარჩენების გადასარჩენად ელოცა ალლაჰისთვის.

ალლაჰის შუამავალი მწუხარებას იმის გამო განიცდიდა, თუ როგორ მიიღეს მისი მოწოდება ტაიფში და გააკეთა თუ არა ყველაფერი სწორად, ალლაჰის ჭეშმა-

142. აბუ დაუდი, სუნნა, 19-20.

რიტების ხალხამდე მისაყვანად. და მან ასე მოუწოდა ალლაჰისაკენ:

„ო, ჩემო ალლაჰო! მე მხოლოდ შენ ერთს გცნობ, მაშინ, როცა გამომელია ძალა, დავრჩი უმწეოდ და ხალხისაგან გაკიცხული. ო, მწყალობელთაგან მწყალობელო! თუ შენ ჩემზე განრისხებული არ ხარ, მაშინ ყველაფერი, რაც მე განვიცადე-არაფერია ჩემთვის. ო, ალლაჰო, დააყენე ხალხი შენს ჭეშმარიტ გზაზე, რათა მათ ირწმუნონ. ო, ალლაჰო! შენი მადლიერების მოპოვებამდე შენგან კმაყოფილება მესაჭიროება...“ [143]

ამ სწრაფმავალი ცხოვრების უსაზღვრო სიამოვნების შესაცნობი ხერხი, პატივცემული შუამავლის მაგალითით, პატიებითა და წყალობით, ჩვენი სულის შევსებაა. ეს სათნოების ყველა სხვა გრძნობაზე ასამაღლებლადაა აუცილებელი. თუ იმდენად გულმოწყალე ვიქნებით, რომ ღვთაებრივი წყალობის შარავანდედის ღირსად შევიქმნებით, მოვიპოვებთ ჩვენ წილს ყოვლისშემძლე ალლაჰის „არ-რაჰმანის“ სახით.

ალლაჰის წყალობა უკიდეგანო ოკეანის მსგავსია და ჩვენი გულების ასავსებად ერთი წვეთიც კმარა, მხოლოდ ერთი წვეთი. გულს ჩამწვდარი ეს წვეთი გემოთი ოკეანის ტენის შესაბამისია და სულიც უერთდება სიამოვნების ოკეანეს. წყალობის ოკეანეში თავშესაფრის მუდარით მოხვედრილი სულები ვედრებითა და ალლაჰისადმი მოწოდებით აღწევენ ჭეშმარიტების მათთვის განსაზღვრულ დონეს. ასეთ გულებს ესმით მათი უტყვი ძახილის, ვინც ურწმუნოების მორევში იმყოფება და გოდებს თავისი უმწეობის გამო. მათ წუხილს კეთილშობილი სუ-

143. იბნ ხიშამი, 11,30.

ლების ახლოს ღებულობენ. და ამ სიტყვების საუკეთესო განსახიერება-ტაიფში მომხდარი მაგალითია. როგორც მზისთვისაა შეუძლებელი არ იბრწყინოს, ან არ გაათბოს, ასევე შეუძლებელია არ უთანაგრძნო სულებს, რომლებმაც მოიპოვეს სრულყოფილება. ამიტომ სიკეთისა და ჭეშმარიტების გზის მოწოდებისაგან განზე გადგომაც რთულია.

უეჭველია, ალლაჰის შუამავალი სამყაროს წყალობად მოევლინა და, მიუხედავად იმისა, რომ მრავალს არ შეეძლოთ მისი ფასის გაგება და ამჟღავნებდნენ ყოველგვარ შეურაცხყოფას, თავხედობასა და უტაქტობას მასთან მიმართებაში, შუამავალს არ სურდა შეწინააღმდეგებოდა იმას, რომ მის საკუთარ მოწყალებას გადაელახა თავისივე რისხვა და გამხდარიყო მიზეზი უფრო მეტი თანაგრძნობისა მათ მიმართ.

ამრიგად, მათ ვინც სიმდაბლე საკუთარი ცხოვრების წარმატებად ჩათვალეს და მოწყალე გულით, მოთმინებითა თანაგრძნობით განიმსჭვალნენ, მოიპოვეს ბედნიერება.

შუამავლის ეს გამონათქვამი მიუთითებს იმ სულიერ მდგომარეობაზე, რომელშიც თვითონ იმყოფებოდა ალლაჰის რელიგიისაკენ მოწოდებისას.

„მე და თქვენ, ყველანი მსგავსნი ვართ ადამიანისა, რომელიც აჩაღებს ცეცხლს. ის ხედავს, თუ როგორ ფრენენ პეპლები და სხვა შუქისმოყვარე მწერები ღამის სინათლეზე და მასში ჩავარდნით როგორ იღუპებიან. ადამიანი ცდილობს ამას შეეწინააღმდეგოს. მაგრამ მწერები მაინც ფრენენ და იღუპებიან ცეცხლში. იმისათვის, რომ

ცეცხლისაგან გიხსნათ, მე თქვენ ხელით გიჭერთ, მაგრამ თქვენ მისკენ მიიწევთ,"[144]

❖

უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

[illegible]

„თქვენა ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის, ბრძანებთ სასურველს და კრძალავთ საძულველს, რადგანაც გწამთ ალლაჰის..."[145]

ჩვენ კი, იმისთვის, რათა „ხალხთაგან საუკეთესოთა" რიცხვში აღმოვჩნდეთ, ალლაჰის შუამავლის მსგავსად წყალობისაკენ უნდა მოვუწოდოთ, საკუთარი მაგალითით შთავაგონოთ სათნოება და კეთილშობილება, დავიცვათ სისულელეებისა და ცოდვებისაგან. სხვა წმინდა აიათში ალლაჰის უდიდებულესობა ბრძანებს:

„ვინც ალლაჰისკენ მოუხმო, ჰქმნა სიკეთე და თქვა: უეჭველად, მე მუსლიმთაგანი ვარ, განა არის მასზე უკეთესი ვინმე სიტყვით?"[146] იღებს რა მხედველობაში მის წინაშე პასუხისმგებლობას. პატივია ეკუთვნოდე ფრიად პატივცემული ალლაჰის შუამავლის ხალხს იმ მსხვერპლის სანაცვლოდ, რომელიც მან მათთვის ბრძოლაში გაიღო, რათა კაცობრიობას მოესმინა ჭეშმარიტება. ჩვენ მუდმივად უნდა ჩავაბაროთ ანგარიში საკუთარ თავს,

144. ბუჰარი, რიქაქი, 26.

145. ალი იმრანი 3/110.

146. ფუსილეთი 41/33.

თუ რამდენად შევძელით სუნნეთით ცხოვრება. ალლაჰის შუამავალს ხომ სურდა ის ვალდებულებები, რომლებსაც ის ასრულებდა, ხალხსაც მიეღო. ის თავის ხალხს, ყოველი შესაძლებლობისას, აფხიზლებდა ისლამისაკენ მოწოდებით და ახსენებდა პასუხისმგებლობას. ერთ-ერთ ჰადისში ის ამბობს:

„ჩემგან ხალხამდე ერთი აიათი მაინც მიიტანეთ“ [147]

სხვა ჰადისში კი ლაპარაკობს:

„დაე, ალლაჰმა გააცისკროვნოს მისი სახე, ვინც ჩვენგან ნაამბობს იმავე სახით მიიტანს სხვებამდე. რამდენია, ვინც ამ ცოდნას უკეთესად გაიგებს და მიჰყვება“ [148] *ასე აფხიზლებდა შუამავალი თავის ხალხს.*

რამდენად დამრიგებლურია ეს გამონათქვამი, რომელიც კაცობრიობას ცოდვისაგან მორიდებისა და მშვენიერების ლტოლვისაკენ მოუწოდებს.

ალლაჰის შუამავალი ამბობს:

„თუ თქვენგან ვინმე ცოდვის ჩამდენს დაინახავს, დაე, თავისი ხელით გამოასწოროს, და თუ ამის ძალა არ შესწევს, გამოასწოროს ის სიტყვით, თუკი ამასაც ვერ მოახერხებს, ნუ შეუთანხმდება მას გულით. მაგრამ ეს არის რწმენის ყველაზე სუსტი გამოვლენა-“ [149]

სხვა ჰადისში შუამავალი ასე ამბობს:

---

147. ბუჰარი ენბიია, 50.

148. თირმიზი ილმი, 7.

149. მუსლიმი იმანი, 78.

„ვფიცავ ალლაჰს, ვინც მე სიცოცხლე მაჩუქა, ან თქვენ მოუწოდეთ სიკეთისაკენ — ცოდვის აკრძალვის გზით, ან თავად ალლაჰი გამოგიგზავნით თქვენ სასჯელს. მაშინ კი აღავლენთ ვედრებას, მაგრამ ის აღარ მიიღებს.“[150]

ღმერთო ჩვენო! მოგვმადლე სიმტკიცე, მუხლი გაგვიმაგრე და შეგვეწიე ურწმუნო ხალხის წინაშე! (2/250)

ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვავიწყდა ან შევცდით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენ უწინარეს იყო!... ღმერთო ჩვენო! არ დაგვაკისრო ის, რისი ძალაც არ შეგვწევს და მოგვიტევე ჩვენ, შეგვინდე და შეგვიწყალე! შენ ხარ მბრძანებელი ჩვენი და დაგვეხმარე ურწმუნო ხალხის წინაშე! (2/286)

ამინ!...

150. თირმიზი, ფითანი, 9.

მოწოდება ჭეშმარიტებისა და სიკეთისაკენ — 2

ყველაზე ბედნიერები ისინი არიან, ვინც გული წმინდა ყურანისა და სუნნეთის სულიერი ატმოსფეროთი გაივსო და მასში მთელი ხმელეთი მოათავსა. ძირითადი ადამიანური ფასეულობა და ღირებულება ხომ სულიერებით ავსილი და (ჭეშმარიტების გზისაკენ მოსაწოდებლად საჭირო) სიმწიფის საკმაო დონეს მიღწეული გულია ჭეშმარიტებასა და სიკეთისაკენ მოწოდება მაშინ, როცა სულში ეკლებია ჩარჭობილი, ეს დროისა და ძალის ტყუილად დაკარგვა და უმწეობის დემონსტრაციაა.

მოწოდება ჭეშმარიტებისა და სიკეთისკენ – 2

იმისთვის, რათა ყურანი და შუამავლისეული სუნნეთი ცხოვრებაში განვახორციელოთ, საჭიროა, ჭეშმარიტებისაკენ მოვუწოდოთ და ხალხს ვემსახუროთ. ეს ჩვენი გულების საყრდენად უნდა იქცეს, რადგანაც მორწმუნის ცხოვრება ხალხზე სამსახური და ისლამის ქადაგება უნდა იყოს.

ეჭვგარეშეა, ჭეშმარიტ მორწმუნეს დანარჩენი ხალხისგან ის განასხვავებს, რომ მეტად მწყალობელია. ისლამზე მოპატიჟებაც შემბრალებლობის ერთ-ერთი ნაყოფია. ხოლო შემწყნარებლობის გამოვლენის საშუალება, (როგორც ჭეშმარიტებისკენ მოწოდებისა) უპირველეს ყოვლისა, მორწმუნის გულში ამ გრძნობის წარმოქმნაა.

იმისათვის, რომ ადამიანს ჭეშმარიტებისაკენ მოვუწოდოთ და ის სიკეთისაკენ მივმართოთ, საჭიროა საუკეთესო სახით შევიცნოთ ჭეშმარიტებისა და სიკეთის არსი. უმეცრის მიერ შესრულებული თებლიღი ხომ არა მარტო უნდობლობას იწვევს, არამედ არ გამორიცხავს შინაარსში შესაძლებელ შეცდომებსაც. ამიტომ, პირველი რაც აუცილებელია ამ გზაზე — თეორიული და სულიერი კაპიტალია. ეს ცხოვრება რწმენითა და მორჩილებით რომ გავიაროთ (გულისა და გონების მტკიცე წონასწორობაში მოყვანით) აუცილებელია ამ ორი შინაგანი კაპიტალის შეკრება.

რაც შეეხება საკითხს რელიგიური ცოდნის აუცილებლობის შესახებ, ეს ყოველი მუსლიმანისათვის უკიდურესი ვალდებულებაა. თუკი გვსურს ადამიანები ისლამზე მოვიპატიჟოთ, მინიმუმ, ძირითადი ისლამური საკითხები მაინც უნდა ვიცოდეთ, რადგან, შეიძლება, დავემსგავსოდ იმ კოსმეტოლოგს, რომელსაც სურდა კლიენტზე მაკიაჟი გაეკეთებინა, მაგრამ თვალი ამოსთხარა. ჭეშმარიტებისა და სიკეთისკენ ჩვენი მოწოდების შედეგი ხომ პირდაპირ დამოკიდებულია ჩვენივე სულიერებაზე, რაც შეიძლება გამოსწორდეს მხოლოდ ჩვენი შინაგანი სამყაროს სიკეთითა და სულიერი შემეცნების გამდიდრებით.

მევლანა ჯალალედინი რუმიმ თქვა:

„ნუ შეეცდები იმ ტომრის ავსებას, რომელსაც ფსკერი აქვს გახეული.“

გრძნობებისა და ცოდნის გარეშე მოწოდება, თუნდაც სასიამოვნო ფორმით, მოკლებული სიყვარულსა და განცდას, (პრიმიტიული და მკაცრი მეთოდით,) არა მარტო არ იძლევა სასიკეთო შედეგებს, არამედ მოაქვს მძიმე რეზულტატები.

ზუსტად ამიტომ, ყოველმა მორწმუნემ თავისი სულიერი სამყარო ისლამის სიფაქიზით უნდა გაალამაზოს მან თავისი საქციელითა და სიტყვებით სასიამოვნო შთაბეჭდილება უნდა შეგვიქმნას. ჭეშმარიტებისკენ მოწოდების არსად ხომ ალლაჰის სიყვარულით მისწრაფებაა მიჩნეული. პირველმა ზეშთაგონებამ, რომელიც ალლაჰისაგან შუამავალს ჰირას მთაზე გარდმოევლინა, ის სულიერი ცოდნითა და განცდით აავსო.

წმინდა აიათში უზენაესი ალალჰი ამბობს:

„მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს სიკეთეს და უკრძალავენ უკეთურობას, აღავლენენ ლოცვას, გაიღებენ ზექათს და ალლაჰსა და მის შუამავალს ჰმორჩილებენ. სწორედ, მათ შეიწყალებს ალლაჰი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!

აღუთქვა ალლაჰმა მორწმუნე კაცებსა და მორწმუნე ქალებს სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან; თანაც ედემის ბაღები საუკეთესო ადგილსამყოფელად. და ალლაჰისგან კმაყოფილება ყოვლად აღემატება ამას , სწორედ ეს არის უდიდესი ნეტარება!“[151]

ბედნიერნი არიან ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი გულები წმინდა ყურანისა და სულის მაღალი ატმოსფეროთი აღვსილ სავანედ გადაიქციეს და ამ სავანეში ყოველივე შექმნილს დაუთმეს ადგილი. ისინი იღებენ რა ყურანის სიღრმიდან თავიანთ წილს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჭეშმარიტი რწმენით ცხოვრობენ. აგრეთვე იცავენ თავს ცდუნებისაგან, წამქეზებლური მისწრაფებებისაგან. ძირითად ადამიანურ ფასეულობასა და ღირებულებას, სიუხვით სავსე სულიერი ცხოვრება და გული წარმოადგენს. რწმენაში მიღწეულ სიმწიფეს კი მორწმუნე ჭეშმარიტების გზაზე მოსაწოდებლად იყენებს. მაგრამ თუკი სულში ჩარჭობილია ეკლები, მცდელობა შეასრულო თებლიღი — ეს, დროისა და ძალის ტყუილად დაკარგვა და უმწეობის დემონსტრაციაა. ჩვენი რელიგიისათვის მიუღებელია ისეთი თვისებები, როგორიცაა „ქედმაღლობა და მუქარა,“ ის ადამიანის სულის თანდა-

151. თევბე, 9/71-72.

ყოლილ სიმსივნედ აღიქმება, ამიტომ ისლამი გულებს სიმშვიდის, სიყვარულისა და წყალობისაკენ მოუწოდებს. მორწმუნის სულიერი სამყარო უნდა წარმოადგენდეს აყვავებულ ბაღს, სადაც თვით ჩლუნგებიც კი ღიმილით გაცისკროვნდებიან, პირქუში სახეები და დამწუხრებული გულები კი ჰპოვებენ სიმშვიდეს. ამიტომ, აუცილებელია სული და სხეული გულდასმით განვიწმინდოთ ყველა იმ გრძნობის, ჩვევისა თუ ქცევისაგან, რომლებსაც მსგავსად წამლისა ან ეკლისა შეუძლიათ სასიკეთო შედეგის მოტანა და მორწმუნის იმ მდგომარეობაში მიყვანა, როგორიც ალლაჰისკენ მომწოდებლისათვის არის აუცილებელი.

ისტორიიდან ცნობილ ჰაჯჯაჯი ზალიმს, მიუხედავად იმისა, რომ მჩაგვრელად ითვლებოდა, გააჩნდა ფილოსოფიური ბუნება. ერთხელ, პარასკევის ერთ-ერთი ქადაგებისას (ჰუთბე) მან გაიგონა მმართველი ტირანისაგან თქმული, რომ „ალლჰისთვის ერთ-ერთი საყვარელი საქმეა, მჩაგვრელ მმართველს პირში მიახალო თავისი უსამართლობა!“ ჰაჯჯაჯიმ მთელი ქადაგება სიტყვაუკლებლივ მოისმინა, პარასკევის ნამაზის შემდეგ მოქადაგე მოიხმო და ჰკითხა:

— რის შესახებ საუბრობდი შენს ქადაგებაში?

მოქადაგე მიხვდა რა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მას არ შერჩებოდა თავი მხრებზე, თავისი სიტყვები უფრო მეტი სიმკაცრით გაიმეორა. ჰაჯჯაჯიმ გაკვირვებით მიმართა:

— საუცხოაა. არადა შენ განათლებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ; მაგრამ არ იცი, რა ხერხით უნდა მოუწოდო ისლამისაკენ. ნუთუ შენ სრულებით არ კი-

თხულობ ყურანს? უზენაესმა ალლაჰმა უბრძანა მუსას, რომელიც, უეჭველია, შენზე უფრო ღვთისმოსავი იყო „ტკბილად“, და მორიდებით ელაპარაკა ფარაონთან, რომელიც ჩემზე უფრო უსამართლო, მჩაგვრელი და ამასთანავე წარმათი იყო.

მოქადაგემ ცნო თავისი შეცდომა და ჰაჯჯაჯს პატიება სთხოვა. მან შეუნდო, რის შედეგადაც შერჩა თავი მხრებზე.

არა მარტო მუსასათვის მიცემული შენიშვნაში მოითხოვს ალლაჰი ტკბილ სიტყვას, ყურანის მრავალ სხვა აიათშიც ის გვიბრძანებს ჩვენ, უფრო მეტად გავამახვილოთ ყურადღება დარიგების მეთოდის შერჩევაზე, ფაქიზი და ბრძნული ფორმით მოწოდებაზე, რომ არ ვუბიძგოთ მათ ჩვენგან განრიდებისაკენ და ჩვენი გზის უარყოფისაკენ.

სხვა წმინდა აიათში უზენაესი ამბობს:

[illegible]

„მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე მათ საუკეთესო მეთოდით. უეჭველად, შენი ღმერთი უკეთ უწყის, თუ ვინ აცდა თავის გზას და უკეთ უწყის ჭეშმარიტ გზაზე მყოფთ!“[152] ამიტომ ნიმუშად ალლაჰის შუამავლის ცხოვრება და პიროვნება უნდა ავირჩიოთ, რომელიც არის ყურანის ცო-

152. ნაჰლი, 16/125.

ცხალი განსახიერება. ასევე ყურადღება მივაქციოთ იმ ხერხებსა და წესებს, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა ყოველი საქმისას.

აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მორწმუნე, შინაგანი სამყაროს ისლამის სილამაზით შევსებისას, მშვენიერი ზნეობის შეძენასთან ერთად უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ხალხის ნდობის ღირსი და მტკიცე ხასიათის მქონე პიროვნება. ამიტომ, როცა ალლაჰის შუამავალს შემდეგი ბრძანება მოუვიდა:

„...და შეაგონე შენი ახლო ნათესავები! "[153] — შეკრიბა მან ნათესავები ყურაიშებიდან საფას ბორცვზე და მიმართა მათ:

— ო, ყურაიშებო! მე თუ ვიტყვი, რომ ამ მთის უკან დგას მტრის ჯარი, მზადმყოფი შემოტევისათვის, -დამიჯერებთ თუ არა მე?

ყველა დამსწრემ ერთხმად უპასუხა:

— რა თქმა უნდა, დავიჯერებთ! რადგან აქამდე, ჩვენ შენ გიცნობდით როგორც სამართლიან ადამიანს და სიცრუეში არასდროს გვიმხელიხარ!

ვიდრე ალლაჰის შუამავალი რწმენასა და რელიგიაზე ლაპარაკსა და მისკენ მოწოდებას დაიწყებდა, სარგებლობდა მათი მტკიცე ნდობით. ე.ი. მან დაიმკვიდრა დინჯი და სამართლიანი ადამიანის სტატუსი. ებუ ჯეჰლისაც კი არ შეეძლო ეთქვა ალლაჰის შუამავალზე არაფერი გარდა სიტყვებისა:

153. შუარა, 26/214.

„ო, მუჰამმედ! ჩვენ არ გეუბნებით, რომ შენ ცრუობ. რადგან სახელი „ემინი“ (სანდო) ჩვენ-მექელებმა შეგარქვით. შენ არ ცრუობ, მაგრამ, შეიძლება, ანგელოზი, რომელიც მოდის შენთან, გავალებს შეცდე.“

წმინდა აიათში ამის შესახებ ნათქვამია:

„ჩვენ კარგად ვუწყით, რომ რასაც ეგენი ამბობენ, ნამდვილად განიცდი . მაგრამ სინამდვილეში შენ კი არ გრაცხენ ცრუდ ეგენი, არამედ ცოდვილნი ალლაჰის აიათებს განზრახ უარყოფენ. “[154]

როგორც ჩვენ ვხედავთ, შუამავლის ყველაზე თავგამოდებული მტერი ებუ ჯეჰილი ამტკიცებს, რომ ის მათთვის არის გამოჩენილი ადამიანი. ამასთანავე, მრავალი ხალხი, ყოვლად პატივცემული შუამავლის პიროვნებით მოხიბლული მიდიოდნენ დასკვნამდე, რომ „ამ პირს არ შეეძლო სიცრუე“ და ჩქარობდნენ მიეღოთ რწმენა. ამრიგად, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ის თამაშობს მნიშვნელოვან როლს გულების მოპოვებაში.

ჭეშმარიტად, იარაღი მხოლოდ უსამართლობის აღმოსაფხვრელად გამოიყენება, მაგრამ გამარჯვება, რომელიც აუცილებლად უნდა მოიპოვო — ესაა გამარჯვება გულებზე და ეს მხოლოდ ისლამისათვის დამახასიათებელი მორალითა და დელიკატურობით არის შესაძლებელი, რომელიც მხოლოდ ამ თვისებების მქონე პიროვნებებისათვის ხდება შესრულებად ამოცანად. მოწოდების ზემოქმედების ძალა, ან ჭეშმარიტებისაკენ მიმართვა ხომ საბოლოო ჯამში დამოკიდებულია იმის ცხოვრების წესსა და სულიერ მდგომარეობაზე, ვინც მას ასრულე-

154. ენღამი, 6/33.

ბს. ამიტომ ის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სამყაროში ალლაჰის უდიდებულესობის წესრიგისა და სიბრძნის განჭვრეტის გარეშე, მის მიერ ქმნილებებისათვის მინიჭებული უტყვი ენის გაუგებრად, ქადაგებისათვის ნაკლოვანებათა მქონეა. რადგან ის მსგავსია იმ ცარიელი უჯრედისა, რომლის შემადგენლობაშიც არ აქვს ადგილი მგძნობიარე გულს, ამიტომ მას არავითარი ხერხით არ შეუძლია შექმნას თავის გარშემო ბედნიერების, სიხარულისა და სილამაზის ატმოსფერო.

ამიტომ ადამიანის უპირველეს წარმატებად უნდა იქცეს გამარჯვება საკუთარ თავზე. უზენაესი ალლაჰი ლაპარაკობს იმ ომზე, რომელიც ადამიანის სულში მიმდინარეობს „თავაშვებულობისა და ღვთისმოშიშობისადმი“ წინააღმდეგობის გაწევით.

გულს, რომელიც თავაშვებულობის გზას ჩამოცილდება და ეზიარება ღვთისმოშიშობას, ადამიანი ჭეშმარიტ ბედნიერებასთან და მარადიულად მხსნელ სიკეთეებთან მიჰყავს. ამიტომ მხოლოდ მას, ვინც ამ შინაგან ბრძოლაში გაიმარჯვა და სრულიად მიუძღვნა თავი ალლაჰს, შეუძლია, მიიტანოს ხალხამდე ცოდნა მარადიული ცხოვრებისა და გადარჩენისათვის.

სხვა მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ ის, ვისაც მოწოდებით მიმართავენ ღირსია პატივისცემისა. ის ადამიანი ხომ ვისაც ჭეშმარიტებაზე ვეპატიჟებით, არის ალლაჰის გაჩენილი, რომელსაც მოპოვებული აქვს მისი კეთილგანწყობა და პრივილეგია და მიუხედავად იმისა, რომ მთავარია რწმენა, მასთან ერთად ყურადღება ურთიერთობის კულტურას უნდა მიექცეს. შეიძლება უპატივცემულოდ მოვექცეთ ადამიანს და დავივიწყოთ ჩვენი ვალდებულების შესახებ. ე.ი. ადამიანთან მიდგომისას

ბოროტებისა და სიმძაფრის ნაცვლად იმედი, მოთმინება და თანაგრძნობა უნდა გამოვიყენოთ. ადამიანთან ურთიერთობის ამგვარი სახის გამოვლენისას ჩვენ, მას მხოლოდ საჭიროებისამებრ მივაგებთ. რა ზუსტად გამოხატა ეს პოეტმა:

„ძვირფას ქვას მიწაზე დავარდნით როდი ეკარგება თავისი ფასი.“

წმინდა ყურანის ყველა აიათში საპატიო ადგილი უჭირავს ადამიანს, რომელიც სხვა ქმნილებებთან შედარებით მის აღმატებულებაზე მეტყველებს.

ადამიანი

„და ვფიცავ, ჩვენ აღმატებულ ვჰქმენით ადამის შვილნი...“[155] ზუსტად ამიტომ უზენაესი ალლაჰი დედამიწაზე ადამიანს აცხადებს ხალიფად.

სწორედ რწმენა და მისთვის ნიშანდობლივი კეთილი ქმედებები ემსახურება ადამიანის ამ აღმატებულების გამოვლინებას. ასეთი პრივილეგირებული მდგომარეობით მოსარგებლე, მაგრამ რწმენასა და კეთილ ქმედებებს მოკლებულ ადამიანს თავისი თავი უკიდურესად დამცირებულ მდგომარეობამდე მიჰყავს. ხოლო ისინი, ვისაც საკმარისი რაოდენობით კეთილი საქმე არ გაუკეთებია, ასევე იმსახურებენ თანაგრძნობას. თუმცა ზოგიერთში მან შეიძლება გაღიზიანება და გულისწყრომაც გამოიწვიოს, მაგრამ მათ, ვინც შეიცნეს რწმენის ფასი და სიტკბო, შეუძლიათ ცოდვილთა მიმართ მხოლოდ სიბრა-

155. ისრა, 17/70.

ლული გამოავლინონ. ასეთი შემთხვევისას ხომ სინამდვილეში ზუსტად ასეთ ურთიერთობას უნდა ველოდოთ. სიბრალულის გრძნობა დახმარების გაწევის სურვილს ბადებს. და ყველაზე დიდი დახმარება მდგომარეობს მარადიული ბედნიერებისაკენ მოწოდებაში.

ქადაგების ჭეშმარიტად შემსრულებელი-ესაა ძლიერი პიროვნება, რომელსაც შეუძლია სულების წესრიგში მოყვანა და მათთვის სიცოცხლის შთაბერვა. ამგვარი რწმენის წყარო მაღალი სულიერების მქონე ადამიანია, რომელიც ნებისმიერ ასპარეზზე ყოფნისას სიყვარულით, გულმოწყალეობითა და თანაგრძნობით მოუწოდებს ჭეშმარიტებისაკენ. საზოგადოების ავანგარდში მდგომნი თავიანთი სიტყვებით, წერილებითა თუ მაგალითებით, ადამიანებისადმი ფაქიზი მიდგომით მიუთითებენ ბედნიერების გზისა და დამშვიდებისაკენ. ისინი მწუხარეს ამშვიდებენ, უმწეოებსა და მარტოხელებს გვერდში უდგანან. იზიარებენ რა სხვის განცდებს, გრძნობენ პასუხისმგებლობას მათ წინაშე და ისწრაფვიან დაეხმარონ მათ, ვინც საჭიროებს შემწეობას.

ისინი ყველა ადამიანს აღიქვამენ თითოეულ არსებისადმი სიყვარულისა და თანაგრძნობის გამოხატვით, როგორც ალლაჰის მიერ ბოძებულ საჩუქარს. პასუხისმგებლობის ის გრძნობა, რომელიც მათ გულებში არსებული მოწყალების მარცვალთაგან ამოიზრდება, განასხვავებს მათ სხვებისაგან და აქცევს მარადიულობის გზის მგზავრებად. ისინი, ვინც ალლაჰთან შეხვედრის გამო ამ გზის სიმძიმე იტვირთეს, თავი მსახურებასა და დამრიგე-

ბლობას უძღვნეს, მიემხრნენ ჭეშმარიტების ქარავანს და თავიანთი გულები მარადისობისკენ მიმართეს.

ალლაჰის უდიდებულესობამ დადო პირობა, რომ მისი შუქი დედამიწაზე განკითხვის დღემდე იარსებებდა. ეს ნიშნავს, რომ ისლამიც დედამიწაზე აღდგომის დღემდე იქნება. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რელიგიის გაძლიერება ბევრადაა დამოკიდებული მის ქადაგებაზე. მოწოდება მისი გავრცელების მიზეზია, ხოლო რელიგიის წარმატება ალლაჰის საჭიროების შეცნობაში, მისი მონამსახურებისადმი შესაბამისი ბრძანებებით ღვთაებრივ დაჯილდოებაში გამოიხატება. სწორედ ამაშია სამყაროს არსი.

თუკი დროის რომელიღაც მონაკვეთში შეინიშნება ცხოვრებაში რელიგიის გავლენის შესუსტება და ხალხის გადასვლა სხვა ცრუ ფასეულობებზე, მაშინ თვით რწმენის შემდეგ, უპირველესად აუცილებელია მოწოდება და ყველაფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული. იქამდე, სანამ არ მივიღებთ შედეგს, სანამ მოწოდება არ მიაღწევს წარმატებას, სხვა რამის, თუნდაც რელიგიასთან დაკავშირებულის, კეთებას არა აქვს აზრი და არაა მისაღები. ეს იმის მსგავსია, როცა ბავშვის ძუძუთი მკვებავი დედა ამ საქმეს განაგრძობს მაშინაც, როცა სახლში ხანძარი გაჩნდება. ის გააგრძელებდა თავის საქმეს, თუკი აიღებდა მასზე პასუხისმგებლობას. რადგან მოცემულ მომენტში მას მოეთხოვებოდა ცეცხლის ჩასაქრობად ზომების მიღება. ასევეა იმ დროსაც, როცა რელიგიურობა და ის, რაც მის გავრცელებას ემსახურება სუსტდება; იკლებს იმ ხალხის რიცხვიც, ვისაც შეეძლება ჭეშმარიტებისა და

სიკეთის შეხსენება; მათი სხვა საქმით დაკავება კი ორ-ჯერ უფრო საზიანოა, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ისლამმა თავისი 1400—წლიანი ისტორიული გზის მანძილზე გადაიტანა უზარმაზარი სირთულეები და წინააღმდეგობები. ყველა-ფერი, რაც ჩვენ მოგვეთხოვება, ესაა ის, რომ ისლამი მომ-დევნო თაობებამდე სრული სახით მივიტანოთ, რომლი-თაც ჩვენამდე მოვიდა. ამიტომ დრო ჩვენგან უფრო მეტ გულმოდგინებასა და თავგანწირულობას მოითხოვს, რათა ჭეშმარიტებამ და სიკეთემ ისევ იზეიმოს. და ეს სრულიად ლოგიკურია. ხომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა ძალისხმევაში, რომელსაც ტალახში ჩაფლული მანქანის მბიძგავი ადამიანი და სწორ გზაზე ჩამქრალი მანქანის მიმწოლი ადამიანი გაიღებს. ამავე დროს, იზრდება იმის პასუხისმგებლობა, ვინც ამ მომენტში გვერდზე რჩება და არავითრ ღონეს არ იღებს. დღეს, როცა რწმენა შესუსტ-და, ახალგაზრდობა უგუნურ მაგალითებს მისდევს, ცნო-ბენ რა მხოლოდ ავტორიტეტულ ძალას, უმრავლესობა მისწრაფებათა მორევში იღუპება მაშინ, როცა მცირე ძალისხმევა დიდი ჯილდოთი აღინიშნება, ხოლო პატარა გაუფრთხილებლობას შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს, საჭიროა გვახსოვდეს ამ მომენტის განსაკუ-თრებულობანი და ვიყოთ უფრო წინდახედულები.

ალლაჰის მოწოდებით უნდა ვიყოთ რელიგიის, რწ-მენის, სამშობლოსა და ხალხის მსახურებისათვის საჭი-რო და გამოსადეგი. ეს, უეჭველია, დიდი ბედნიერებაა ყოველი ადამიანისათვის, მაგრამ მთავარი მოწოდებით მსახურებაში-ეს არა იმდენად წარმატება ან წარუმა-

ტებლობაა, რამდენადაც დაუღლელი გულმოდგინება ამ გზაზე ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად. არ უნდა შეგვიპყროს მწუხარებამ, თუკი მოწოდებამ არ გამოიღო მოსალოდნელი შედეგი, მაშინაც კი, როცა ამისთვის მოკრებილი იქნა ყველა შესაძლებელი ძალისხმევა. ალლაჰი ხომ ისაა, ვინც გვჩუქნის ჭეშმარიტების გზას. ხოლო მონა-მსახურმა ალლაჰის იმედითა და მისი საქმის ბოლომდე გასრულებით, დაუმწუხრებლობითა და პოზიციის დაუთმობლობით უნდა გააგრძელოს ქადაგება. სამყაროსთვის წყალობად გამოგზავნილი თვით ფრიად პატივცემული შუამავალი, ხომ უკიდურესად შეწუხებული იყო იმით, „თუ როგორ ეხსნა ცეცხლისაგან ერთი სული მაინც“ და მიიღო რა მსგავსი ზეშთაგონებები თავისი გამჩენისაგან:

„დარდისგან შეიძლება თავიც დაიღუპო, რამეთუ არ ხდებიან მორწმუნენი! თუ ჩვენ ვინებებთ, ზეციდან გარდმოვავლენთ სასწაულს, რომლის წინაშე მორჩილად მოიხრიან ქედს! “[156]

„უეჭველად, შენ ვერ დაადგენ სწორ გზაზე, ვინც გიყვარს. მხოლოდ ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე, ინებებს ვისაც. და მან უკეთ იცის ვინ დგას სწორ გზაზე! “[157]

ამიტომ, თუკი ჩვენმა მოწოდებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო, თავი არ უნდა გავანებოთ მას, უნდა გვასხოვდეს, რომ ბოროტებას რამდენადაც შემვამცირებთ, იმდენადვე სასიკეთო ვიქნებით საზოგადოებისთვის. თუკი მომწოდებელმა ვერ დაინახა სასურველი შედეგი, თავისი

156. შუარა, 26/3-4.

157. ყასასი, 28/56.

მოქმედებით ის ითავისუფლებს თავს პასუხისმგებლობისაგან, მასზე დაკისრებული მოვალეობისაგან. პასუხისმგებლობა მდგომარეობს არა იმაში, შემოტრიალდება თუ არა წარმატებით ჩვენი მოწოდება ალლაჰის გზაზე, მასში მონაწილეობის მიღებით, ან არ მიღებით, მაშინ როცა რეალურად არსებობდა ამის შესაძლებლობა. და ალლაჰის სამსჯავროზე სწორედ ის იქნება წარმოდგენილი, რაც ჩვენ გავაკეთეთ იმათგან, რაც დაგვეკისრა!

იყო დრო როცა მოდიოდნენ შუამავლები, რომლებსაც მიჰყვებოდა ხალხის ბრბო; იყვნენ სხვა შუამავლებიც და მათ მხოლოდ ზოგიერთი მიჰყვებოდა. ე.ი. როგორც მისიის დასაწყისში დაეკისრათ შუამავლებს ალლაჰის ჭეშმარიტ გზაზე დაყენება, დღეს ეს პასუხისმგებლობა (ჭეშმარიტი რელიგიისაკენ მოწოდებისა) მონდობილი გაქვთ თქვენ, მუსლიმებს.

მაშასადამე, ჭეშმარიტებისა და სიკეთისაკენ მოწოდება მუსლიმანმა მთელი შინაგანი არსებით უნდა გაითავისოს. ამავე მოწოდებით უნდა აღზარდოს საკუთარი თავი, ოჯახი და შვილები. ყოველი მორწმუნე, ჭეშმარიტი რელიგიის ხალხთან მიტანის ახალი გზების მომძიებელი, ვალდებულია, ყველა თავისი ნიჭი და შესაძლებლობა, მთელი თავისი ინტელექტუალური და კულტურული პოტენციალი, თავისი სულიერი დონე მასზე დაკისრებული ამოცანის შესასრულებად გამოიყენოს. როგორც წმინდა ყურანშია ნათქვამი, ჭეშმარიტი გამჩენი თავისი მონა-მსახურების მოქმედებას მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში მოითხოვს, მაგრამ მათ დააკისრა პასუხისმგებლობა იმაზე, რომ გამოიყენონ ყველაფერი ის, რითაც დაჯილდოებული არიან სიკეთის შესასრულებლად.

❖

ჭეშმარიტებისა და სიკეთისაკენ მოსაწოდებლად ალლაჰის შუამავალმა ჩვენ დაგვიტოვა უდიდებულესი, აღმატებული მაგალითი სუნნეთის სახით. ვინც მისი სრულად შეცნობით, მიუწვდომელი პიროვნების ზეგავლენითა და თავის ქცევით, ამრავლებს მშვენიერს, სასულიეროს, ბრძნულსა და ამაღლებულს, ის ალლაჰის რჩეული მონა-მსხურია.

ჩვენო ალლაჰო! მოგვეცი შესაძლებლობა განვახორციელოთ ის, რაც დაკისრებულია ჩვენზე იმ პირობების შესაბამისად, რომელშიც ვცხოვრობთ და ნუ გვაზღვევინებ ჩვენ განკითხვის დღეს!

ჩვენო ალლაჰო! დაიცავი ჩვენი გულები უდარდელობისაგან ამ სამყაროში, სადაც ჩვენ მხოლოდ მგზავრები ვართ. გაგვიმტკიცე ჩვენ ფიქრი იმის შესხებ, რომ ერთხელაც იქნება იმავე მიწად ვიქცევით, რომელზეც დღეს დავდივართ! დაე, ისლამის შუქი ყოფილიყოს ჩვენი თანამდევი, მუჰამმედის სულიერება-ჩვენი სამყოფელი გარემო, დაე, შენი სიყვარული და კმაყოფილება იქცეს ჩვენთვის სამოთხის ბაღებად!

ამინ!

(ისარი)
ალტრუიზმი

ალტრუიზმი – ესაა ცეცხლი, რომელიც არ ქრება ადამიანის გულში, ალტრუიზმი – კაცობრიობისათვის ყველაზე იდუმალი ძვირფასეულობაა ამ სამყაროში, რომელიც ჩვენივე გულებით მიგვმართავს და გვაახლოებს ალლაჰთან. გულმოწყალე მორწმუნე — მსახურებაში მოკრძალებული და ხელგაშლილი ადამიანი, ამავდროულად, სხვათა გულების მომწესრიგებელი და სასიცოცხლო ინექციის შეყვანის გზით სულების მკურნალია.

ალტრუიზმი – საკუთარზე წინ სხვისი გასაჭირის დაყენების ნიჭი

ერთ – ერთი თავისი მოგზაურობისას აბდულლაჰ ბინ ჯაფარმა ვიღაცის ბაღთან გაიარა. ბაღში შავკანიანი მონა მუშაობდა. მას პურის სამი კვერი მიუტანეს და სწორედ ამ დროს მასთან ძაღლმა მიირბინა. მონამ მას ერთი კვერი გადაუგდო. ძაღლმა ის შეჭამა. მან გადაუგდო მეორეც და ცხოველმა ისიც შეჭამა. მაშინ მონამ ბოლო კვერიც უწყალობა. ამ სურათის შემხედვარე აბდულლაჰ ბინ ჯაფარი მონას შეეკითხა:

— რითი გინაზღაურებენ შენ შრომას?

შავკანიანმა მონამ უპასუხა:

— იმ სამი კვერით, რომელიც თქვენ დაინახეთ.

— რატომ მიეცი ყველა ძაღლს?

მონამ თქვა:

— აქამდე, აქ არასდროს შემხვედრია ძაღლები. როგორც ჩანს, ის შორიდან მოვიდა. ჩემი სული კმაყოფილია, რომ ის მშიერი არ დარჩა.

— კარგი, მაგრამ, შენ რაღა უნდა ჭამო დღეს? განაგრძო კითხვების დასმა აბდულლაჰ იბნ ჯაფარმა.

— მოვითმენ, რადგანაც დღეისთვის გამომუშავებული პური უკვე ალლაჰის მშვენიერ გაჩენილს მივეცი — უპასუხა მონამ.

აბდულლაჰ იბნ ჯაფარმა წამოიყვირა:

— სუბჰანელლაჰ (დიდბა ალლაჰს)! ამბობენ, რომ მე ძალიან გულუხვი ვარ, ეს მონა კი ჩემზე გულუხვი ყოფილა!

შეძრულმა აბდულლაჰ იბნ ჯაფარმა ეს მონა ფინიკის ბაღთან ერთად შეისყიდა, გაანთავისუფლა და ბაღიც აჩუქა.[158]

ისლამი, მოკრძალებულ, სხვისი გასაჭირის გამზიარებელ და ღრმად მგრძნობიარე ხალხს ზრდიდა და ზრდის ყოველთვის. ეს იმისათვის იყო აუცილებელი, რომ არ დაეშვათ მტრობა და შური ღარიბებსა და მდიდრებს შორის, შეენარჩუნებინათ წონასწორობა საზოგადოებაში და განემტკიცებინათ მათი სიყვარული, შეძლებულ მორწმუნეებს დაეკისრათ „ზექათის“ (გადასახადი) გაღება. ისლამი ხალხთა სულიერი ძმობის განსამტკიცებლად და ყოველი მორწმუნის „მდიდარი სულის პატრონად“ ქცევისთვის ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „ინფაყსა“ (ქველმოქმედება) და მის უმაღლეს გამოვლინებას — „ისარს“ (მსხვერპლად გაღება იმისა, რაც თვით შენთვისაა აუცილებელი). რელიგიის უმთავრეს მიზნად ხომ, ალლაჰის ერთადერთობის ცნობის შემდეგ, მიჩნეულია მშვენიერი, ფხიზელი და მგრძნობიარე ადამიანის აღზრდა, რომელიც მოწოდებულია საზოგადოებაში სულიერი წონასწორობის დასამყარებლად.

ასეთი სულიერი სიმწიფის მიღწევა შესაძლებელია ჩვენი შინაგანი სამყაროს თანაგრძნობისა და გულმოწყალეობის გრძნობებით განმსჭვალვით, რაც ყველაზე უკეთ იმის გაყოფაში მჟღავნდება რაც გაგვაჩნია. მისი სრული ფორმა კი ჩვენ საჭიროებაზე მეტად სხვის საჭი-

158. გაზალი, ქიმია-ი-საადათი 440.

როებებზე დაფიქრება და მათთვის უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობაა. ეს არის ეგ.წ. **„ისარი“** — ანუ იმის განაწილება სხვისთვის, რაც ჩვენ გვაქვს.

გულმოწყალეობა – ესაა ცეცხლი, რომელიც არ ქრება ადამიანის გულში. გულმოწყალეობა – ამ სამყაროში კაცობრიობისათვის მინიჭებული ყველაზე ძვირფასი განძია, რომელიც ჩვენსავე გულებს მართავს და აახლოებს ალლაჰთან. გულმოწყალე მორწმუნე – ხელგაშლილი და მსახურებისას მოკრძალებული ადამიანი, ამავდროულად სხვათა გულების მომწესრიგებელი და სასიცოცხლო ინექციის შეყვანის გზით სულების მკურნალია. ის, რომელსაც მსახურების ნებისმიერ ასპარეზზე შეუძლია ყოველგვარი სამუშაოს სიყვარულითა და თანაგრძნობით შესრულება, არის იმედის წყარო და რწმენის ხორცშესხმა. ის ყველა იმ ძალისხმევის ავანგარდში იმყოფება, რაც სულებს სიმშვიდეს ჩუქნის, და კიდევ, ის თავისი სიტყვით, რწმენითა თუ მოქმედებით ეხმაურება ყოველ იმ გაჭირვებულს, ვისაც მისი დახმარება ესაჭიროება ტანჯვისა და ტკივილის გამო, მიუხედავად იმისა, თუ რა ადგილზე იმყოფება ის. გულმოწყალე მაშინვე ჩნდება ღარიბებისა და ჩაგრულების გვერდით, სნეულთა და უიმედოთა სასთუმალთან. მორწმუნისათვის საკუთარი რწმენის გამომავლინებელ პირველ ფაქტორად ხომ მოწყალება და თანაგრძნობა ითვლება. კაცობრიობის ზნეობრივი ნორმები სრულყოფილებამდე ყურანის სახითაა დაყვანილი. წმინდა ყურანის გადაშლისას, პირველი რაც ჩვენ თვალში მოგვხვდება– ესაა, ღვთაებრივი სიფათები „რაჰმაანი“ (მოწყალე) და „რაჰიიმი“ (მწყალობელი). ჩვენი ალლაჰი მთელ თავის დიდებულებას სიტყვების: „იყავი მოწყალეთაგან უმოწყალესი“ არსით წარმოგვიდგენს, რაც სასიხარულოა და მონა-მსახურებსაც ამ

ღვთაებრივი სიკეთის საპოვნელად მიმართავს. სწორედ ამიტომ, ალლაჰის სიყვარულით სავსე მონა-მსახურის გული თანაგრძნობითა და მოწყალებით უნდა შემოევლოს ალლაჰის ყველა ქმნილებას. ის, ვისაც უყვარს და თავისი სიყვარულის გამო სწირავს თავს, ამას ხომ სიამოვნებითა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით აკეთებს. ალლაჰის სიყვარული მისი ქმნილებების მიერ მსხვერპლშეწირვით გამოიხატება.

საზოგადოებისათვის ჭეშმარიტად ცნობილია სადაყისა (წყალობით) და ინფაყის (ქველმოქმედების) გაცემის მრავალი სახე. როგორც უკვე ითქვა, მათ უმაღლეს საფეხურს ისარი წარმოადგენს. ესაა საკუთარზე წინ, სხვისი გასაჭირის დაყენების ხელოვნება. ეს არის ალტრუიზმისა (საკუთარი ინტერესების უგულებელყოფით სხვის სასიკეთოდ უანგარო ზრუნვა) და სიფხიზლის უმაღლესი გამოვლინება, რომელიც ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეს უნდა ახასიათებდეს.

როცა მუჰამმედ ჰაქიმ თირმიზს შეეკითხნენ:

— რა არის სიტყვის „გავცეთ“ არსი? – მან უპასუხა:

— გავცეთ, ეს არის განვიცადოთ სულიერი კმაყოფილება სხვისთვის სიხარულის მინიჭებით.

ისარის სულიერი სიბრძნის ატმოსფეროში შესვლა შეუძლიათ მხოლოდ კეთილი, მოწყალე გულების მქონე ადამიანებს. გულმოწყალების ჭეშმარიტი უპირატესობა ხომ იმაშია – გავცეთ ჩვენი გაღარიბების შიშის გარეშე. ამ თვისებამ, მთელი თავისი მშვენიერი და კეთილშობილური სახით, განსახიერება ჰპოვა ყველა შუამავლისა და ალლაჰის საყვარელი მონა-მსახურის ცხოვრებაში. რა

თქმა უნდა, ასეთი ვარსკვლავებიანი მწვერვალების დაპყრობა ყველას არ შეუძლია. თუმცა, რამდენადაც ჩვენ შევძლებთ ამ ჰორიზონტებთან მიახლოებას, იმდენად მოვიპოვებთ ჩვენ წილს ჭეშმარიტების გზაზე; მარადისობის ჯილდოს მოპოვების სურვილი ჩვენ არ მოგვცემს გულმოწყალეობის ქმნაზე უარის თქმის ნებას. აბუ ჰურაირი გადმოგვცემს, რომ ერთხელ ალლაჰის შუამავალთან მივიდა ერთი ადამიანი და უთხრა:

„ო, ალლაჰის შუამავალო, მე მშია!“

შუამავალმა თავის ერთ-ერთ ცოლთან გაგზავნა შიკრიკი, რათა მას რაიმე საჭმელი გამოეგზავნა. მაგრამ მართლმორწმუნე დედამ მსახურს მიმართა:

„ვფიცავ ალლაჰს, ვინც შენ შუამავლად გამოგაგზავნა, სახლში წყლის გარდა არაფერი გაგვაჩნია “.

როცა ცნობილი გახდა, რომ მისი სხვა ცოლებიც ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ, შუამავალმა თავის მიმდევრებს მიმართა:

„ვის შეუძლია ერთი ღამით შეიფაროს ეს კაცი თავისთან?“

ერთ-ერთმა ანსარმა თქვა:

„მე შემიძლია, ო, ალლაჰის შუამავალო!“ — და წაიყვანა სტუმარი თავისთან. ის თავის ცოლს შეეკითხა:

„გვაქვს სახლში რაიმე საჭმელი?“— ცოლმა უპასუხა:

„გვაქვს ცოტა, მხოლოდ ბავშვებისათვის საკმარისი“.

მიმდევარმა თქვა:

„მაშინ შენ ბავშვები გაართე. თუ მაგიდასთან მოსვლას მოინდომებენ, დასაძინებლად დააწვინე. როცა სტუმარი ჭამას შეუდგება, ჩააქრე შუქი და ჩვენ მივიღებთ ისეთ სახეს, თითქოს ვჭამეთ.“

მაშინ დასხდნენ მაგიდასთან. გაძღა მხოლოდ სტუმარი, ხოლო მასპინძლები მშივრები დარჩნენ.

დილით ის მიმდევარი შუამავლისაკენ გაემართა. მისი დანახვისას კეთილშობილმა შუამავალმა თქვა:

„ალლაჰის უდიდებულესობა ზედმიწევნით კმაყოფილი დარჩა იმით, თუ როგორ მიიღეთ თქვენ წუხელ სტუმარი.“ [159]

ჭეშმარიტად, თავისი პირადი ქონებიდან და კომფორტიდან, საკუთარი სახლის მორთულობიდან, ყოველდღიური მოთხოვნილების ხარჯებიდან სულ მცირეოდენი შენაწირის გაღებით მაინც, უნდა ეცადოს მორწმუნე, შეიტანოს თავისი წვლილი ამ ღვთისნიერ საქმეში.

გულმოწყალება – ეს გულუხვობის მწვერვალია. გულუხვობა ხომ იმ ქონებიდან გაცემას ნიშნავს, რომელიც ჭარბად, უხვად გვაქვს, ურომლისოდაც შეიძლება არსებობა. გულმოწყალება – საკუთარ საჭიროებებზე უარის თქმით სხვისთვის გაცემაა. გულმოწყალეს სულიერი ჯილდო თვითაღკვეთის მიმღწევი მონა-მსახურის შესაბამისია. ალლაჰის უდიდებულესობა კეთილშობილ ანსარებზე, რომლებმაც მექელი მუჯაჰირები მათთვის რთულ პერიოდში მიიღეს და მათი გასაჭირი თავიანთ გასაჭირზე უპირატესად ჩათვალეს, ასეთნაირ ქებას აღავლენს:

159. ბუჰარი, მანაქიბუნ-ანსარი, 10, მუსლიმი, აშრიბა, 172.

„...და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე მეტად, თუნდ ესაჭიროებოდეთ.“[160]

იარმუქის ბრძოლის დროს სამმა სასიკვდილოდ დაჭრილმა მუჯაჰიდმა (მებრძოლმა) ტიკიდან წყლის დალევის უფლება ერთმანეთს დაუთმო, რაკი მსგავსი სიმძაფრით მოესმათ ერთმანეთის ძახილი. მაგრამ შეჰიდის თასიდან უკანასკნელი ამოსუნთქვის შემსრულებლებმა და თავის ძმებზე უპირატესობის მიმნიჭებლებმა ვერ მოიკლეს წყურვილი ამ წყლით.

იბნ ომარის გადმოცემის მიხედვით, ერთხელ, ერთ კეთილშობილ მიმდევარს გაუგზავნეს ცხვრის თავი. მან იფიქრა:

„იმას ხომ ჩემზე მეტად შია, ამიტომ ამას მას მივუტან“. ცხვრის თავის მიმღებმა ადამიანმაც ზუსტად იგივე იფიქრა და ცხვრის ეს თავი შვიდი პატრონის გამოცვლის შემდეგ ისევ პირველ მფლობელს დაუბრუნდა, რადგანაც ყველაზე მშიერი მათ შორის ზუსტად ის აღმოჩნდა.[161]

კეთილშობილი ომარი შამში აქლემით უნდა გამგზავრებულიყო. მაგრამ ქალაქის ჭიშკრის გადალახვა ფეხით მოუწია, რადგან იმ მომენტში აქლემით მგზავრობის რიგი მის მსახურს ერგო, ესაა სანიმუშო გულუხვობისა და გულმოწყალების გამოვლინება. ამიტომ, შესაწირს ყოველთვის როდი აქვს მატერიალური სახე. ზემოთ მონათხრობი მაგალითიც — თავისებური შესაწირია.

---

160. ჰაშრი, 59/9.

161. გაზალი, იჰიაუ, უდუმიდდინი, III, 571.

მსხვერპლშეწირვის უმაღლესი გამოვლინება–ალტრუიზმი თავისთავზე მოკლებით სხვისთვის მიცემასა და ასევე, ძმის სასარგებლოდ, საკუთარი უფლების დათმობას ნიშნავს. დიდი სიყვარულით გამსჭვალული მსხვერპლშეწირვა დამახასიათებელი იყო შუამავლისათვის, ასევე მისი მიმდევრებისათვის.

გულმოწყალეობის გამოვლენის მშვენიერ შემთხვევას წარმოადგენს კეთილშობილი ალისა და კეთილშობილი ფატიმას შემთხვევა.

იბნ აბბასი გადმოგვცემს, რომ კეთილშობილმა ალიმ და მისმა უწმინდესმა ცოლმა — კეთილშობილმა ფატიმამ სამდღიანი მარხვა შეინახეს. ისინი ამ გზითა და ალლაჰისადმი მუდარით თავიანთი დაავადებული შვილების ხასანისა და ხუსეინის გადარჩენისთვის იბრძოდნენ. პირველ დღეს იფთარზე (პირის გახსნა) მათ მოამზადეს საჭმელი ქერის ფქვილისაგან. მაგრამ როცა მოვიდა ხსნილობის დრო, კარებზე დააკაკუნეს. სტუმარი მათხოვარი აღმოჩნდა. დალოცვილმა ოჯახმა მას სუფთა გულით (ალლაჰის გამო) მისცა საჭმელი, თავად კი მხოლოდ წყლით იჯერა გული. მეორე დღეს, როცა ისევ მოაწია დაპურების დრომ, კარებზე კვლავ დააკაკუნეს. ამჯერად იყო ობოლი. ოჯახმა მისცა რა მასაც თავისი კუთვნილი საჭმელი, ისევ წყლით იჯერა გული. მესამე დღეს მათი სახლის ზღურბლზე გამოჩნდა ტყვე, რომელიც დახმარებას ითხოვდა და ამ შემთხვევაშიც მიბაძვის ღირსი უდიდესი მოთმინებითა და კაცთმოყვარეობით მათ ტყვეს ის საჭმელი უმოწყალეს, რაც გააჩნდათ.

მსხვერპლგაღებისას გული დიდსულოვნებით იმოსება, სხვათა მოთხოვნილებებს ანიჭებს უპირატესობასა და სულის ისეთ სიმაღლეს აღწევს, რომელიც შექებასა

და მხარდაჭერას იმსახურებს ღვთაებრივ, წმინდა აიათ-ში.

ალლაჰის უდიდებულესობა ამბობს:

„და სიამოვნებით აპურებენ უპოვრებს, ობლებს და ტყვეებს. ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურ-ვილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მადლობა. უეჭველად, გვეშინია ჩვენი ღმერთისგან იმ მოქუფრული სახიფათო დღისა! თუმცა დაიცვა ალლაჰმა ისინი ამ დღის სიავისგან და აზიარა ისინი უსაზღვრო სიხარულს“[162]

აი, სხვა სურათი ასრ-საადათის ჟამიდან:

ბედირის ბრძოლის შემდეგ ტყვეები ორ – სამ მიმდე-ვარზე გაანაწილეს. კეთილშობილმა შუამავალმა ბრძანა კარგად მოპყრობოდნენ მათ.

იმ დროს ტყვეთა შორის მყოფი მუსაბ ბინ უმაირის ძმა, აბუ უზაირი იხსენებდა:

„როცა დგებოდა საჭმლის მიღების დრო, ჩამოივლიდ-ნენ ფინიკით და მაძლევდნენ მე პურსა და სხვა მისაყო-ლებელს. მე ეს მაღიზიანებდა და საჭმელს მათ ვუთმობ-დი. მაგრამ ისინი არ იღებდნენ, რადგან მათვის ალლაჰის შუამავალს ნაბრძანები ჰქონდა კარგად მოქცეოდნენ ტყვეებს.“[163]

162. ინსანი 76/8-11.

163. რამაზანოღლუ მაჰმუდ სამი, ბედირ გაზვესი, გვ. 93.

არავინ შეიძლება დიდსულოვნებაში, შეწირვასა და გულმოწყალეობაში კეთილშობილ შუამავალს შეედაროს. ის ზუსტად იმ მწვერვალზე იმყოფებოდა, რომელსაც გულუხვობის გამოვლენა მოითხოვდა.

ის განმარტავდა რელიგიას, მოუწოდებდა მონამსახურებს ჭეშმარიტების გზისაკენ, კვებავდა მშივრებს, ასწავლიდა უცოდინრებს; გასაჭირში მყოფ და სირთულეთა მომთმენთ გადასცემდა აუცილებელ ცოდნას; საკუთარ თავსა და ქონებას ალლაჰის გზაზე გულუხვად ხარჯავდა.

მიუხედავად იმისა, რომ სეფვან ბინ უმეიიე ეკუთვნოდა წარმართ ყურაიშების უმაღლეს წრეს, ჰუნეინისა და ტაიფის ბრძოლის დროს, ის იმყოფებოდა კეთილშობილი შუამავლის გვერდით.

ჯირანში შეკრებილი სამხედრო ნადავლის რაოდენობამ საფვანი დიდ განცვიფრებაში მოიყვანა, რაც შუამავლის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. მან ჰკითხა:

— ძალიან მოგწონს არა?

— დიახ, - უპასუხა სეფვანმა.

— წაიღე, ყველაფერი შენი იყოს! – უბრძანა შუამავალმა.

სეფვანმა აღელვებისაგან თავი ვერ შეიკავა და თქვა:

— ჭეშმარიტად, გულმოწყალეობა – თვით ბრწყინვალე კეთილშობილებაა. მარტო იმაზე დაფიქრებაა საკმარისი, თუ რამდენმა ქააფირმა (ურწმუნო), შეიძინა უმწიკვლოება, თავიანთი ურწმუნო წინააღმდეგობის

გაწევით რამდენი მტერი მოიქცა მეგობრად, თუ როგორ განმტკიცდა ურთიერთობა და ალლაჰის შუამავლის სიყვარული მორწმუნეებს შორის, მისი კეთილშობილებისა და გულუხვობის ნიადაგზე.

ალლაჰის შუამავალი არც ერთ იმ თხოვნაზე ამბობდა უარს, რითაც მას მიმართავდნენ. ერთხელ მან მიიღო ოთხმოცდაათი ათასი დირჰემი. ყველაფერი ეს თავის წინ, ჭილოფზე დააგროვა და უკანასკნელ გროშამდე, ღარიბებს წყალობად გასცა.

ღვთისმოსავობა (ბირრი)

წმინდა ყურანში ნახსენები **„ბირრი“** (ღვთისმოსავობა), მდგომარეობს „რაიმე ისეთის გაცემა, რაც შენთვის ყველაზე მეტად საყვარელია“. ეს გულმოწყალეობის მსგავსად – დიდი სიყვარულით მსხვერპლშეწირვის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ალლაჰის შუამავალი ჭეშმარიტად იყო უდიდესი, და განუმეორებელი მაგალითი კეთილზნეობისა და მასთან დაკავშირებული ქმედებებისა. ჩვენამდე მოაღწია იმის მრავალმა მაგალითმა, თუ როგორ ანიჭებდა ის (საკუთარ თავზე მეტად) უპირატესობას მის გვერდით მყოფ, რწმენით ყველაზე პატარა ძმას. აი, ერთ-ერთი მაგალითი ამისა:

ერთხელ, ალლაჰის შუამავალმა ხის ტოტისაგან მისვაქი (კბილის ჯაგრისი) გააკეთა კბილების გასაწმენდად. ერთი მათგანი გამოდგა მრუდე, მეორე – სწორი. ალლაჰის შუამავალმა, ის რომელიც უკეთესი იყო, გვერ-

დით მჯდომ მიმდევარს გაუწოდა, მრუდე კი თავისთვის დაიტოვა. მიმდევარმა თქვა:

ეს სწორი მისვაქი თქვენ მეტად გამოგადგებათ, ო, ალლაჰის შუამავალო! კეთილშობილმა შუამავალმა კი უპასუხა:

ერთხელაც ყველას მოეკითხება იმის გამო, თუ როგორ იცავდა ის იმ ახლო მეგობრის უფლებებს, რომელთანაც მეგობრობა, თუნდაც, მხოლოდ ერთ საათი გრძელდებოდა. აი, ასე ახსნა შუამავალმა თავისი საქციელი. ეს გულმოწყალეობის გამოხატვა იყო გვერდით მდგომი ძმის მიმართ (მისი უპირატესობის აღიარებით). მან ძღვნად გაიღო ის, რაც მისთვისაც საჭირო, ძვირფასი იყო.[164]

შემდეგი მონათხრობიც ასეთი ტიპის მსხვერპლშეწირვის თაობაზეა:

ერთხელ, კეთილშობილი მიმდევრები შეიკრიბნენ მესჯიდი ნებევიში (შუამავლის მეჩეთი), რათა მოესმინათ სულიერი სიბრძნით აღსავსე მისი საუბარი. კეთილშობილმა შუამავალმა წაიკითხა შემდეგი წმინდა აიათი:

[illegible]

„ვერასდროს მიაღწევთ ღვთისნიერებას, თუ არ გაიღებთ იმას, რაც გიყვართ. და რაც უნდა გაიღოთ, უეჭველად, ალლაჰმა უწყის იგი!“[165]

164. გაზალი, იჰიაუ, ულუმიდდინი, II,435.

165. ალი იმრანი, 3/92.

ყოველი იქ დამსწრე მოსმენილით ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა და ფიქრობდა იმაზე, რომ მას, თავის მხრივ, შეეძლო მსხვერპლად გაეღო იქედან, რაც გააჩნდა. უცებ წამოდგა ერთი მიმდევარი — კეთილშობილი აბუ თალჰა. მას სახე უბრწყინავდა ღვთაებრივი შუქით. ამ დროს ის იყო მასჯიდი საადათის გვერდით მდებარე ფინიკის ექვსასი ძირი პალმის ბაღის მფლობელი, რომელიც მას ძალიან უყვარდა. აბუ თალჰას მიწვევით იქ ხშირად იმყოფებოდა ალლაჰის შუამავალი და მისი იქ ყოფნა ამ ბაღს განსაკუთრებულ ხვავსა და ბარაქას ჰმატებდა.

აბუ ტალჰამ წარმოთქვა:

„ო, ალლაჰის შუამავალო! ჩემთვის მთელი ჩემი ქონებიდან არაფერია იმაზე ძვირფასი, ვიდრე ამ ქალაქში მდებარე ჩემი ბეირუჰის ბაღი. ამ მომენტიდან მას ალლაჰსა და მის შუამავალს ვაძლევ. იმედი მაქვს, უზენაესი დამაჯილდოებს მე ღვთისმოსავობით და მომცემს საზრდოს მარადიული ცხოვრების ტრაპეზიდან. ამიტომ, ო, ალლაჰის შუამავალო, ამის შემდეგ ამ ბაღით ისე ისარგებლე, როგორც ალლაჰი მიგითითებს.“[166]

და არ არის ძნელი წარმოიდგინოთ, როგორ გამოხმაურებას ჰპოვებდა აბუ თალჰას საქციელი, კეთილშობილება და მის მიერ ჩადენილი სიკეთე. სულ მალე, მორწმუნეთა გულებში მტკიცედ დამკვიდრებულმა უზენაესისა და ალლაჰის სიტყვამ დაიწყეს ნაყოფის მოცემა და ცნობილი ასრ-საადათის (ბედნიერი ეპოქა) ეპოქით დამუხტვა.

166. ბუჰარი, ვასიე, 17.

ალლაჰის შუამავალი თვით იმათაც მოუწოდებდა მსხვერპლშესაწირად ვისაც არაფერი ჰქონდა. მაგალითად, აბუ ზარრს, რომელიც საჰაბეთაგან უღატაკესი იყო, ის ეუბნებოდა:

ო, აბუ ზარრ! კერძების მომზადებისას ბლომად გააკეთე და მე ზობლის წილიც გაითვალისწინე! [167]

მორწმუნე ბნელი ღამით მანათობელი მთვარის მსგავსად უნდა ფლობდეს ელვარებას, სიღრმეს, მგრძნობელობას, სიფაქიზეს, თანაგრძნობის უნარს, გულუხვობას, სათნოებასა და აღსავსე უნდა იყოს მსხვერპლშეწირვის მადლით.

დღეს დადგა სერიოზული მსხვერპლშეწირვისა და ქველმოქმედების აუცილებლობა. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ჩაგრულთა და გასაჭირში მყოფთა ადგილას შეიძლებოდა ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩენილიყო. ამიტომ ჩვენს მიერ გამოვლენილი სათნოება და გულმოწყალეობა ავადმყოფებისადმი, თავისუფლებააღკვეთილებისადმი, ინვალიდების, მარტოხელების, გასაჭირში მყოფთათვის და მშივრებისადმი, - ესაა ჩვენი ალლაჰისადმი მადლიერების ტოლფასი. მაშ, დავეხმაროთ გაჭირვებულებს, გავუნაწილოთ ის, რაც ხელთა გვაქვს ჩვენ; დაე, მათი გულების მადლიერებამ და სიხარულმა შეავსოს სულიერებით ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება, იმქვეყნად გვექცეს გამამხნევებლად და სამოთხის ბაღებში მინიჭებულ ბედნიერებად.

167. მუსლიმი, ბირრი, 142.

ო, ღმერთო! დაე, თანაგრძნობის ყოველი გამოვლენა იქცეს ჩვენი სულიერი ცხოვრების უძვირფასეს საგანძურად! ალლაჰო! გვიბოძე ჩვენ წილი იმ თვითაღკვეთისა (ისარი), რომლითაც სავსე იყო სამყაროთათვის წყალობად მოვლენილი შუამავლის ცხოვრება. გვიმრავლე ამქვეყნიური სარჩო-წყალობანი და ისლამის მცოდნე ადამიანები!

ამინ!

ისთილნა — დაკმაყოფილება იმით, რაც გაქვს

ჭეშმარიტება — ესაა ღვთისმოსავი და უმწიკვლო მონა-მსახურებისათვის დამახასიათებელი ნიშანი, ვინც ჩამოუყალიბებელი ხასიათის გადალახვით იძენდა ღვათაებრივი საიდუმლოებების შესაძენ სრულყოფილებას. სულით მდიდრებს, აკმაყოფილებს ის, რაც გააჩნიათ, არ სურთ სხვა სიმდიდრე. სულიერებით გამდიდრებულ მათ გულს მოპოვებული აქვს სიმშვიდე. როგორც წმინდა ჰადისშია ნათქვამი: „ხელთ არსებულით კმაყოფილება — ესაა ულევი საგანძური.“

ჭეშმარიტება – კმაყოფილება იმით, რაც გაბადია

მას შემდეგ, რაც შუამავლის თანამიმდევრებმა დატოვეს მთელი თავიანთი ქონება და გადასახლდნენ მექადან მედინაში, ალლაჰის შუამავალმა მათსა და მედინელ ანსარებს შორის, მუჰაჯირ აბდურაჰმან ბინ ავფსა და ანსარ სად ბინ რების შორის არსებულის მსგავსი ძმური კავშირი დაამყარა. სად იბნ რებიმ უთხრა აბდურაჰმან იბნ ავფს:

— მე ყველაზე შეძლებული ვარ ანსარებიდან. მე ჩემი ქონების ნახევარს შენ გაძლევ. აი, ჩემი ქონება, მიიღე ის.

თავისი მდგომარეობით სრულიად კმაყოფილმა აბდურრაჰმან იბნ ავფმა უპასუხა:

— დაე, ალლაჰმა დალოცოს შენი ქონება და შესაძლებლობანი. მე არ მესაჭიროება ისინი. შენ მიმასწავლე გზა ბაზრისაკენ და ეს საკმარისია...

აბდურაჰმან ბინ ავფი გაემართა ბაზრისაკენ და შეუდგა იქ ვაჭრობას. ამ საქმეში მიღწეული წარმატების წყალობით, მას კარგი შემოსავალი ჰქონდა და მალე კეთილშობილი მდიდრების ჯგუფში შევიდა.

გავიდა დრო და მორწმუნეებმა შეიტყვეს ისლამის ძლევამოსილებისა და აყვავების პერიოდის შესახებ. ერთხელ, როცა დადგა იფთარი (ხსნილების დრო), იმავე აბდურაჰმან იბნ ავფს მოუტანეს სხვადასხვაგვარი საჭმელი, რომლებზეც შეხედვის შემდეგ დამწუხრებულმა თქვა:

„როცა მუსაბ იბნ უმაირი იქცა შეჰიდად ჩვენ ვერ ვნახეთ ვერაფერი, რათა გაგვეხვია მისი სხეული. სუდარა, რომელიც გვქონდა, პატარა აღმოჩნდა; ამიტომ როცა ქვედა ნაწილს ვახვევდით, ზედა ღია რჩებოდა. ბოლოს ჩვენ შევახვიეთ სხეულის ზედა ნაწილი, ხოლო ქვედა სურნელოვანი მცენარით დავუფარეთ და ისე დავასაფლავეთ! ხოლო, როცა ჰამზა დაეცა შეჰიდად, მისი სხეული იმ წამოსასხამით დაფარეს, რომელსაც იცვამენ ხნიერი ქალები და ისე დაკრძალეს.

მე კი ალლაჰის უდიდებულესობამ ამ ცხოვრებაში ამდენი სიკეთე მარგუნა, ნუთუ მერგება სანაცვლო მარადიულ ცხოვრებაში?! ნუთუ მე იმქვეყნად მოკლებული არ ვიქნები სიკეთეებს და მათ ამოვწურავ მხოლოდ ამქვეყნად?! რა პასუხს გავცემ მე ხვალ უზენაესს, მის წინაშე წარმდგარი, ყველა მისგან ბოძებულის სანაცვლოდ?! - და თვალცრემლიანმა დატოვა სუფრა.

ისლამის გამოჩენილი ადამიანების ასკეტიზმი ამქვეყნიურ სიკეთეებთან დაკავშირებით მჭერმეტყველურად ლაპარაკობდა მათი ზუჰდის (ამქვეყნიური კმაყოფილებების მოკლება) მდგომარეობაში ყოფნისა და ისთიღნას (კმაყოფილება იმით, რაც გაქვს) შესახებ, რაც ნიშნავდა ალლაჰის გზაზე მონა-მსახურის სულისმიერი რწმენის უმაღლეს გამოვლინებას. მათთვის ხომ **ზუჰდი** ნიშნავდა სიყვარულსა და შიშს ალლაჰის წინაშე, რაც გამორიცხავდა და სულიერად აუფასურებდა მის გარდა ნებისმიერი სხვა რამისთვის გულის მიძღვნას; ისთიღნა კი იყო მოსიყვარულე გულის ასკეტური ყოფიერების მწვერვალი.

ამ თვალსაზრისით, ჭეშმარიტება - ესაა ღვთისმოსავი და უმწიკვლო მონა-მსახურების დამახასიათებელი ნიშანი, ვინც საკუთარი სუსტი ხასიათის გადალახვით

იძენდა სრულყოფილებას ღვთაებრივი საიდუმლოებების შეცნობაში. მათ, სულით მდიდრებს, აკმაყოფილებთ ის რაც გააჩნიათ და არ სურთ სხვა სიმდიდრე. სულიერებით გამდიდრებული გული ხომ სიმშვიდეს აღწევს. როგორც ნათქვამია ჰადისში, *„ხელთ არსებულით კმაყოფილება — ესაა ულევი საგანძური.“* [168] რადგანაც ალლაჰის უდიდებულესობასთან დაახლოვებული გული სულიერ სიმდიდრესა და სიმშვიდეს მოიპოვებს. კმაყოფილებაში მყოფი გული ხომ თავისუფლდება შიშისა და მატერიალური მოთხოვნილებებისაგან. ამ დროს სული აღწევს თავის უსაზღვროებას და ყოველი მორწმუნის თვალში წარმავალი და მატერიალური კარგავს თავის მიმზიდველობას, წყვეტს არსებობას.

ამგვარი წესით მცხოვრებმა წმინდანებმა—ალლაჰის საყვარელმა მეგობრებმა, სულიერი კმაყოფილების მიღწევითა და თავიანთი საქმეებით ისტორიაში მრავალი ნათელი ფურცელი შეიტანეს.

წმინდა ხალიფა ომარ იბნ ალ-ჰათთაბას მმართველობის დროს სირიის, პალესტინის, ეგვიპტისა და ირანის მიწები გადავიდა ისლამის ხალიფატის მმართველობაში. ბიზანტიისა და ირანის სიმდიდრეებმა ხალიფატის დედაქალაქ, სხივმოსილ მედინასაკენ იწყო დინება. მორწმუნეები ნაალაფარით აყვავდნენ. თუმცა მართლმორწმუნეთა ხალიფა, ფრიად პატივცემული ომარი, ამ უთვალავ სიმდიდრეზე უარის თქმით თავისი სულიერების სიმაღლიდან ატარებდა ხუთბეს (პარასკევის ქადაგება), თანაც საკერებლებით აღდგენილი ტანსაცმელი ემოსა. ის დროდადრო სესხის აღებით ცხოვრობდა სიღარიბესა და უკიდურესობაში. მიუხედავად ამისა, თანხმდებოდა ჯამაგი-

168. დაილჰამი, მუსნადი, 499.

რად იმდენი აეღო, რამდენიც აუცილებლი იყო, ამიტომ განიცდიდა მუდმივად გასაჭირს.

მასთან დაახლოებული თანამოაზრეები ვერ ურიგდებოდნენ ამგვარ მდგომარეობას. მათ ძალიან უნდოდათ ხალიფასათვის ჯამაგირის გაზრდა. მაგრამ რადგანაც ეუხერხულებოდათ ეს უშუალოდ მისთვის შეეთავაზებინათ, მიმართეს მის ქალიშვილს-კეთილშობილ ჰაფსას, რომელიც ოდესღაც ალლაჰის შუამავლის ცოლი იყო. როცა ჰაფსამ ამის შესახებ თავის მამას უთხრა ომარმა, რომელიც არა ერთხელ ყოფილა მოწმე ალლაჰის შუამავლის ისეთი მდგომარეობისა, როცა მას არ გააჩნდა არაფერი გარდა ფინიკისა რათა შიმშილი[169] მოეკლა, უპასუხა მას:

— შვილო! გახსოვს თუ არა, როგორ ჭამდა და სვამდა ალლაჰის შუამავალი, როგორი ტანსაცმელი ეცვა მას?

— დიახ, არა უმეტეს იმისა, რაც აუცილებელია, — უპასუხა მან. ფრიად პატივცემული ომარი განაგრძობდა:

— ჩემი ორი უახლოესი მეგობარი (შუამავალი და აბუ ბაქრი) და მე ერთი გზით მავალი მგზავრები ვართ. როცა პირველმა ჩვენგანმა (შუამავალმა) მიაღწია დანიშნულების ადგილს, მეორეც (აბუ ბაქრი), ამავე გზით, შეუერთდა მას. მინდა ვიყო მესამე და დავეწიო ჩემს მეგობრებს. მაგრამ თუკი მე ვიქნები იმაზე მეტის მოსურნე, ვიდრე მერგება, ვშიშობ, ველარ მოვახერხებ ჩემს მეგობრებთან შეხვედრას. ან იქნებ, არ გსურს ვიყო მესამე აღნიშნულ გზაზე?[170] — იკითხა მან.

169. მუსლიმი, ზუჰდი, 36.

170. შაჰბენდერზადე აჰმედ ჰილმი ისლამის ისტორია I, 367.

უეჭველია, ხალიფა ომარის ასეთი მსჯელობა მისი გულის კეთილშობილებიდან დაიბადა. თქმულებები ფრიად პატივცემული ომარის მიერ ქმნილ მრავალრიცხოვან სიკეთეებზე: ღარიბთა უფლებების დაცვასა და რწმენის შემონახვაზე, სამართლიანობის გამრავლებაზე სულის აღზრდის ყველაზე საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

უზენაესი ალლაჰი გამოჩენილ პიროვნებებს პატივისცემით ეპყრობა. მაგრამ ყოველთვის როდი მისდევენ მის მაგალითს. ისინი, ვის მიბაძვასაც ცდილობენ, ძლიერი ხასიათის, საკუთარ თავში დარწმუნებული, თავიანთი მდგომარეობით კმაყოფილი პიროვნებები არიან. ასეთი ადამიანების მაღალი ზნეობა და კაცთმოყვარეობა, მათი სიცოცხლის შემდეგაც კი, როგორც დარიგება და კეთილშობილების გაკვეთილი ხალხისათვის მონაპოვრად და მისაბაძ მაგალითად რჩება.

ალლაჰის შუამავლის პიროვნული სილამაზით შეძრული მისი მიმდევრები ამბობდნენ: *„ისლამის შეძენით, ადამიანი ზომიერად კმაყოფილდება იმ საკვებით, რითიც ის საზრდოობს.“* [171]

თუ ვერ შეიგნებ, რომ სამყაროს შუქი შენი ცხოვრების მანათობელ შუქად და გამჩენის წარმოსახვის არსად აქციო, იმ ძლევამოსილ ქარავანს ვერ წამოეწევი და შეუერთდები. რადგან ალლაჰის შუამავლის მიერ აღზრდილებმა და ხალხისათვის ღირსეულ მაგალითად ქცეულებმა, ადგილი უზენაესის ავანგარდში უკვე დაიკავეს. სწორედ მათ გადასცეს კაცობრიობას იმის გაკვეთილი, თუ როგორ უნდა მიენიჭებინათ უპირატეს-

171. თირმიზი, ზუჰდი, 35.

ობა თავიანთი ძმის გასაჭირისათვის საკუთრის უგულებელყოფით (მიიჩნევდნენ რა ამას ყველა სიკეთეზე აღმატებულად).

წმინდა აიშა ასე ამბობდა:

„ალლაჰის შუამავლის სახლში ჩვენ დანაყრებამდე არასდროს ვჭამდით, თუმცა, რომ მოგვესურვებინა, შეგვეძლო. მაგრამ ვასრულებდით ისარს (უპირატესობას ვანიჭებდით რწმენით ჩვენი სხვა ძმების გასაჭირს).“

სამყაროსათვის წყალობის სახით გამოგზავნილი ძვირფასი შუამავალი თავისი ცხოვრების სტილითა და სიღარიბით საკმარისად ავლენდა თავშეკავებულობასა და ღვთისმოშიშობას, მცირედითაც კმაყოფილი, თავშესაფარს ალლაჰის შუამავალთან ეძებდა.

„ო, ალლაჰო! აქციე საკმარისად საჭმლის მცირე რაოდენობა მუჰამედის ოჯახისათვის.“ [172]

აიშას გადმოცემის მიხედვით, ერთხელ ერთმა ქალმა, რომელიც მათთან სტუმრად იყო მისული, დაინახა ალლაჰის შუამავლის ლოგინი, რომელიც ჭილოფით დაფარულ მაგარ საწოლს წარმოადგენდა და ამით უკიდურესად გაკვირვებული დარჩა. ის სასწრაფოდ გაიქცა თავის სახლში და მატყლით გატენილი ლეიბი და საბანი მოიტანა. ფრიად პატივცემულმა ალლაჰის შუამავალმა როცა შენიშნა, რომ მისი საწოლი შეცვლილი იყო, უკმაყოფილოდ თქვა:

— ო, აიშა! დამიბრუნე ჩემი საწოლი უკან. ვფიცავ ალლაჰს, რომ მომესურვებინა ოქროსა და ვერცხლის

172. ბუჰარი, რიქაქი, 17.

მთები გამომყვებოდა და ჩემს ბრძანებებს დაემორჩილებოდა.[173]

„ზუჰდისა“ (ასკეტიზმის) და „თაყვას“ (ღვთისმოშიშობის) პრინციპებს, რომლებიც შუამავლის ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი და მის ჰადისებშია ახსნილი, ბევრი არაერთმნიშვნელოვნად აღიქვამს და ხშირად არასწორად განმარტავს. ზოგიერთი მასში მატერიალური სიკეთეებისა და სიმდიდრეებისადმი გულგრილობას, მიმდინარე მოვლენებისადმი ინდიფერენტულობას გულისხმობს.. იმ სახის თაყვანისცემას რომელიც მატერიალური სახსრებით სრულდება, ალლაჰის წინაშე მაღალი ფასი აქვს. წმინდა ყურანში მას დაახლოებით 200-ჯერ, ან უფრო მეტად მოიხსენიებენ. ისლამის ხუთი ბურჯიდან ორის — ჰაჯობისა და ზექათის შესრულება არა მარტო განსაზღვრული ქონების არამედ ჭარბი სიმდიდრის ფლობასაც მოითხოვს. ამის გარდა, ალლაჰის შუამავლის გამონათქვამი, რომელიც ისლამის გზის მიმდევრისთვისაა დადგენილი: *„ქველმოქმედის ხელი მოწყალების ამღების ხელზე აღმატებულია,“*[174] ამტკიცებს იმას, რომ ამ სახის თაყვანისცემისას საჭიროა გამოვავლინოთ გულმოდგინება საკმარისი რაოდენობის სულიერ ნიჭთა მოსაპოვებლად. ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება იმ მტკიცებულებას, რომ ასკეტიზმის წახალისება რელიგიით ხდება.

ცოდვებსა და უდარდელობაში, რომ არ ჩაიძირო იმ სიკეთეებით უნდა დაკმაყოფილდე, რაც ასკეტიზმისა და ღვთისმოშიშობის გამოვლენის ფარგლებში ჯდება.

173. აჰმედ ბინ ჰანბელი, ქითაბუ-ზ-ზუჰდი, 30.

174. იხ. ბუჰარი, ზაქიათი, 18.

მაგრამ ისთიღნა არის სულიერების ისეთი გამოხატულება, რომელიც არახელშესახები და არამატერიალურია. ე. ი. განდეგილობა და ისთიღნა ნიშნავს იმის კეთებას, რაც ამქვეყნიური სიამეებისადმი გულის დაკავშირებას გამორიცხავს. მაშასადამე, განდეგილობა არ ნიშნავს მატერიალურ სიღარიბეს; სულის ეს მდგომარეობა მდიდარი თუ ღარიბი მორწმუნისათვის შეიძლება იყოს თანაბრად დამახასიათებელი.

ღვთაებრივი (თვალსაზრისით), წინასწარჭვრეტით, ის, ვინც ღარიბისა და შევიწროებულის როლს თამაშობს, სინამდვილეში კი გული ამქვეყნიური სიკეთეებისაკენ მიუწევს, არ შეიძლება ჩაითვალოს განდეგილობისა და ისთიღნას მფლობელად. რადგანაც განდეგილობა და ისთიღნა არ აღნიშნავს მცირედით კმაყოფილთა ღვთის ნებისადმი ძალდატანებით მორჩილებას, არამედ ის შეგნებულ გაფრთხილებას წარმოადგენს, რათა გული ამქვეყნიური სიკეთეების ტყვეობაში არ ჩავარდეს.

მევლანა ჯალალედინი რუმი, ადარებდა რა ადამიანს სამყაროს წყლებში მოცურავე ხომალდს, ამბობდა:

„თუკი მდინარე ხომალდის ქვეშ გაედინება, მაშინ დაეხმარება მას დინების მიმართულებით წასვლაში, მაგრამ თუ ტალღები ხომალდის კორპუსს დაფარავენ, მაშინ ის ჩაიძირება.“

ჭეშმარიტად, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ამქვეყნიური სიამენი ფლობენ ადამიანის გულის თავისთან მიჯაჭვის თვისებას და აიძულებენ მას განუდგეს ალლაჰს. ტყუილად როდი ცდილობს წმინდა ყურანი დაიცვას მორწმუნეები იმ ხიფათისაგან, როგორიცაა ქონების სიყვარული და „ფითნა,“ განხეთქილება სულსა და ხორცს შორის. ამიტომ წუთისოფლის საქმეებით გართულებმა

საკუთარი გული უდარდელობისაგან უნდა დავიცვათ. თუკი გული არ არის დაცული ამქვეყნიური წყალობებისადმი ლტოლვისაგან, მაშინ წინასწარ განსაზღვრულობით მის ერთ ნამცეცსაც შეუძლია ალლაჰის უარყოფა.

ალლაჰის შუამავალმა თქვა:

„ის, რაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში სიამოვნება და წყალობაა — მომავალ ცხოვრებაში ეკლად გარდაისახება, ხოლო სიმწარე და მასთან ბრძოლა— ეს მარადიულობაში დამკვიდრების საშუალება და უზენაესის ჯილდოა.“[175]

სხვა ჰადისში ნათქვამია:

„ამქვეყნიური სიცოცხლე სასიამოვნოა, მისი სახე მიმზიდველია. უეჭველია, თქვენ ალლაჰი მასზე ძალაუფლებას განიჭებთ, რათა გამოგცადოთ, თუ როგორ მოიქცევით, როგორ იმოქმედებთ. ამიტომ გაუფრთხილდით ამ სამყაროს...“[176]

ერთხელ, სახლიდან მეჩეთში დილის ნამაზზე მიმავალმა, გავიგონე ველური კატის კნავილი. იქვე ერთმანეთის პირისპირ გაქვავებული, ნებისმიერ მომენტში შესაბმელად მზადმყოფი ორი კატა დავინახე (მოღრიალე ლომების მსგავსნი.) ერთმანეთის შემყურენი არ იძვროდნენ და ბეწვი ყალყზე ედგათ. უმცირეს მოძრაობაზეც კი ორივე მზად იყო მოწინააღმდეგე ნაკუწებად ექცია. მე მათ გვერდით დამხრჩვალი თაგვი შევნიშნე, რომელიც,

175. ჰაქიმი, მუსთადრაქი, IV, 345.

176. მუსლიმი, ზიქრი, 99.

როგორც ჩანს, ამ შეტაკების მიზეზი იყო. ეს კატები ჩხუბობდნენ პატარა, მკვდარი თაგვის გამო, ისინი არ შიშობდნენ, რომ ერთი მათგანი შეიძლება მეორეს მორეოდა, უკან არ იხევდნენ და ცდილობდნენ თაგვის დაპატრონების უფლება მოეპოვებინათ.

ეს სცენა მართლაც ძალიან დამრიგებლურია. მას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ თუ კატები ამ უსულო თაგვის წვდომას შეელეოდნენ, თავიანთ მიზნებს ვეღარ განახორციელებდნენ. ე.ი. ისინი ვინც ამ ცხოვრების წყაროთი იკლავენ წყურვილს და ისწრაფვიან წაგლიჯონ მას ხანმოკლე, ცვალებადი წყალობები, თავისთავს მარადიული ცხოვრების დაკარგვით, ტანჯვისთვის სწირავენ. დამხრჩვალი თაგვის დასაკუთრება, ხომ ამქვეყნიურ სიამეს, სურვილების, პრივილეგიებზე ძალაუფლების, პატივის მოპოვების სიმბოლოა, რომელზეც, თავიანთი გაუფრთხილებლობის გამო, ნადირობს ხალხი, ვინც ვერ აღიქვამს ძალის ტყუილუბრალოდ ხარჯვას მარადიული მეფობის მოსაპოვებლად.

მონა-მსახურის ასეთი არჩევანის საფუძველს მისი სურვილებისა და მისწრაფებების მცდარი მიზნებისათვის გამოყენება შეადგენს. უზენაესი ალლაჰი სწორედ მათ მიმართავს:

ؤَلَّا بَلْ تُحِبُّونَ الْعَاجِلَةَ وَتَذَرُونَ الْآخِرَةَ

„არა! უეჭველად, ადამიანი გაამაყდება, რამეთუ ხედავს, რომ გამდიდრდა! უეჭველად, შენი ღმერთისკენ უნდა მიიქცეს ყველაფერი!“[177]

177. ღელაყ, 96/6-8.

სულიერად მოუმწიფებელი, მატერიალურ წინსვლას მიჩვეული ადამიანი მისთვის დაუღლელ ბრძოლას ეწევა და როცა ის მსგავსი სახის რაიმეს მოიპოვებს, გაუაზრებლად, წარმატების გამო ვარდება ეიფორიაში. ხოლო თუკი რაიმეს ვერ დაისაკუთრებს – ახრჩობს დარდი. ქონებისაკენ უფრო უკეთესი მატერიალური მდგომარეობისა და სარჩოსაკენ სწრაფვას ის ადამიანი მიჰყავს წუთისოფლის, მატერიალურის მონობამდე.

ალლაჰის შუამავალი ამის გამო განსაკუთრებით გვაფრთხილებს:

„ვისი საზრუნავიც მხოლოდ იმქვეყნიურია, ალლაჰი მას ამქვეყნიურ საზრუნავების მოგვარებაში დაეხმარება. ვინც იმაზე მეტად იწვის და დარდობს წუთისოფელზე, როგორც საჭიროა, ალლაჰს არ გაუჭირდება ნებისმიერ დროს გამოუგზავნოს მას სიკვდილი.“ [178]

გამომდინარე იქედან, რომ წარმავალი სამყარო მონა-მსახურსა და მის ალლაჰს შორის ზღვარს დებს, მას ადამიანი სულიერ დაღუპვამდე მიჰყავს და მისი ქცევა ისე შორს მიდის, რომ ნამდვილად აღწევს იმ მდგომარეობამდე, რომელზეც ალლაჰის შუამავალი ამბობდა:

„...მათთვის ღირსება -ავლადიდებაა, რელიგია— ფული, ყიბლე კი- ქალებია. ისინი შექმნილთაგან ყველაზე უარესნი არიან. მათთვის არაფერი აქვს ალლაჰს.“ [179]

დაე, ალლაჰმა დაგვიფაროს ჩვენ მათგან!

თავისი მიმდევრებისადმი მიმართავისას ალლაჰის შუამავალი ამბობდა:

178. იბნ მაჯა, ზუჰდი, 2.

179. ალი-ალ-მუთთაქი, ქიანზ-ულ-უმალი, XI, 192.

„...ვფიცავ ალლაჰს, მე არ მეშინია, თუ თქვენ განიცდით სიღარიბეს! მე მეშინია იმის, რომ როცა თქვენს წინ გაიხსნება წუთისოფლის ცდუნებები, მოიქცევით ისე, როგორც იქცეოდნენ ისინი, ვინც კამათობდა და იბრძოდა მათ მოსაპოვებლად, ასე ხომ საკუთარ თავს დაღუპვამდე მიიყვანთ.“[180]

ამ მიზეზით ამქვეყნიურ, მიწიერ სიკეთეებს საჭიროა იმდენი ყურადღება მიექცეს, რამდენსაც ისინი იმსახურებენ. მათ გამო გულის ზედმეტი გადატვირთვა მიუღებელი და დაუშვებელია.

სამყარო — ალლაჰის ვრცელ სამეფოთა შორის მხოლოდ წვეთია. ამქვეყნიური ცხოვრება იმქვეყნიური მარადიული ცხოვრების ფონზე, როგორც თქვა ალლაჰის შუამავალმა, შეიძლება იმ წვეთს შევედაროთ, რომელიც ჩამოვარდება თითიდან, თუკი მას ზღვაში[181] ამოვაწებთ. ალლაჰის უდიდებულესობა ბრძანებს:





„სააქაო ცხოვრება მხოლოდ გართობა და თამაშია, ხოლო იმქვეყნიური სასუფეველი - ჭეშმარიტი სიცოცხლე. ნეტავ, იცოდნენ! “ [182]

მათი აზრით, ვინც ეს ჭეშმარიტება შეიმეცნა, ამქვე-

180. ბუჰარი რიქაქი, 7.

181. იხ. მუსლიმი ჯენნეთი, 55.

182. ანქაბუთი, 29/64.

ყნიური ცხოვრება არაფერს წარმოადგენს. მათი ერთადერთი სურვილია — ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება. რა მშვენივრად თქვა იუნუს ემრემ:

„რად უნდა მიყვარდეს ის, რაც გამაჩნია,

ან რატომ ვნანობდე მასზე, რაც არ მაქვს?!

მხოლოდ შენი სიყვარულით ვმშვიდდები,

მხოლოდ შენ მჭირდები, მხოლოდ შენ.“

ფული, საბანკო ანგარიშები, წოდებები, საზოგადოებრივი მდგომარეობა, პოპულარობა, მისწრაფებები, რომლებიც ასე ხშირად აბნელებენ უხამსთა თვალებს, ჯანსაღი გულის მფლობელებისათვის არასდროს წარმოადგენდა ფასეულობებს. წმინდანები — ალლაჰთან დაახლოებული მონა-მსახურები და უმწიკვლო მორწმუნეები, ალლაჰის ნებით მუდმივად იმყოფებიან კმაყოფილებაში და ერთი გოჯითაც არ უხვევენ თავიანთი რწმენიდან. ისინი ყოველთვის ფხიზლად არიან ამქვეყნიურ სიამეთა და ცდუნებათა წინაშე.

იაჰია იბნ მუაზი ასე ამბობდა:

„არიფი (იდუმალი ცოდნის მფლობელი) მარჯვენა ხელში აიღებს იმქვეყანას, მარცხენაში — ამქვეყანას და თავის გულს უზენაეს ალლაჰს მიაპყრობს. მას არაფერი იტაცებს ალლაჰის გარდა.“

მევლანა ჯალალედინ რუმი თავის მასნავში ამბობს:

„წუთისოფელი — ესაა არსებობა ალლაჰის აღიარების გარეშე. ვფლობდეთ ფულს, აბრეშუმს, ქალებსა და ბავშვებს, არის ყოველივე ის, რაც უზენაესი გამჩენისაგან განგვარიდებს. ეს შენი სამყაროა, შენი ამქვეყნიური ცხოვრება.“

ისთიღნა არ ეწინააღმდეგება ქონებისა და სიმდიდრის დაუფლებას. რასაც ყველაზე მეტად უნდა ერიდებოდე, ესაა ალლაჰის უპატივცემულობა. უზენაესისადმი გაუფრთხილებლობას შეუძლია მორწმუნის გულიდან გამოდევნოს მისადმი სიყვარული. ყველაზე ძლიერ ზეგავლენას გულზე (რაც მას აიძულებს შეელიოს ალლაჰის თაყვანისცემას) ახდენს ძალაუფლების სიყვარული, ლიდერობის წყურვილი, სწრაფვა მართვისაკენ და პირველობის სურვილი. მსოფლიო ისტორიაში ცნობილია ძალაუფლებისა და სისასტიკის მრავალი ფაქტი, ჩადენილი მათ მიერ, ვისაც ძლიერ სწყუროდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება, იბრძოდა ლიდერობის მოსაპოვებლად, ან თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად.

და მხოლოდ ისლამის ისტორიამ შემოინახა მათი სახელი, ვინც თავდავიწყებით ემსახურებოდა უზენაეს გამჩენს, არ ემორჩილებოდა ძალაუფლებისაკენ მისწრაფებას და როცა აუცილებელი იყო გამოეყენებინა თავისი ძალა და ავტორიტეტი, სიმტკიცის წყალობით, მართვის სადავეებს სხვებს უთმობდა.

ერთ-ერთი შუამავლის შვილიშვილი ფრიად პატივცემული ჰასანი იყო. ჰასანს ორი თემის ინტერესთა შეჯახების გამო, სახელმწიფოს გათიშვა რომ არ დაეშვა, მას სულ ექვსი თვით მართავდა და ძალაუფლება მუავიეს გადასცა. მას თავისი სულიერი სიმწიფე დაეხმარა პოლიტიკური დაპირისპირება და დიდი სისხლისღვრა აერიდებინა.

შუამავალმა სულეიმანმა, გაინთავისუფლა რა თავისი გული ქონების, სიმდიდრისა და ძალაუფლების სიყვარულისაგან, საკუთარი თავი უპოვართ მიაკუთვნა. დილით ის მიემართებოდა იქ, სადაც მათხოვრები და

უმწეოები იმყოფებოდნენ; ამჟღავნებდა უზარმაზარ მოკრძალებას და ჯდებოდა მათთან ერთად.

„მათხოვარს თავის მსგავსად მათხოვართან ჯდომა შეშვენის“ — ამბობდა ის.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საჭიროა მუშაობა იმისათვის, რათა ამ ცხოვრებაში სხვებზე დამოკიდებული არ ვიყოთ და გვქონდეს იმის სახსრები და შესაძლებლობა, რომ ვიყოთ უნაკლონი.

„უეჭველად, რომელიმე თქვენგანისთვის უკეთესია მთებში გაემგზავროს, თან თოკი წაიღოს და ფიჩხი შეაგროვოს, რომ მისი გაყიდვით საარსებო წყარო გამოიმუშავო — ვიდრე ითხოვო მოწყალება იმის შიშით, მოგცემენ თუ არა რაიმეს. “[183] ამ გზით ალლაჰი იცავს თქვენს თავმოყვარეობას. ამიტომ ჰადისი მოგვიწოდებს ქმედებისა და ზრუნვისაკენ, გვიხსნის რა გარჯის ღირსებას. შეძლებული და სულით ძლიერი მორწმუნე ხომ თავისი სახსრებიდან საქველმოქმედოდაც გაიღებს და სამუშაო ადგილებს სხვა ადამიანებისთვისაც მოიძიებს ის, ვინც მეტი მონდომებით ცდილობს სიკეთის თესვას, იმათ რიცხვში ერთიანდება, ვისზეც ჰადისში ნათქვამია:

„ყველაზე კეთილი ადამიანი ისაა, ვინც საზოგადოებისთვის ყველაზე მეტად სასარგებლოა.“[184]

ის კი არაა შეცდომა, რომ შენი ხვედრი გაგაჩნია ამქვეყნად, არამედ ის, რომ ნებას რთავ წუთისოფლის სიამეებს გადაიბიროს შენი სული რელიგიური ვალდებულებებისადმი გაუფრთხილებლობით, მსახურების უგუ-

183. ბუჰარი, ზაქათი, 50-53; ნაჰლი, ზაქათი, 85.

184. სუიუთი, ალ-ჯამიგ-ას-საღირი, 11,8.

ლებელყოფით, ძუნწობით და იქცევი მის მონად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფულის ადგილი გულში კი არა — ჯიბესა და საფულეშია!

იმ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რომელთა დაცვაც აუცილებელია, ალლაჰის შუამავალმა თქვა:

„ნუ დაუკავშირებ შენს სულს ამქვეყანას და ალლაჰის უდუდებულესობა შეგიყვარებს შენ; ნუ მიაქცევ ყურადღებას იმას, თუ რა აქვს სხვას! დაე, ჩვენს გულებში კმაყოფილება განამტკიცოს და არა წყურვილი ყველაფრისადმი. დაე, ეს წყურვილი იყოს მსგავსი წყურვილისა, რომელიც მარტო შუამავალს ახასიათებდა! დაე, ყველა ჩვენი სურვილი, მისწრაფება და სასიყვარულო კვანძები ერთადერთ ალლაჰსა და მის ნებას დაექვემდებაროს, მის სიყვარულსა და სასოებას დაემორჩილოს, რითაც შუამავალი თავისკენ გვიხმობდა!

ამინ!

ვაჭრობის ზნეობრივი საფუძვლები



ჩვენ ვალდებული ვართ ალლაჰის მიერ დაშვებული გზებით მოვიპოვოთ საარსებო სახსრები და ის ისე დავხარჯოთ, როგორც მიგვითითებს უზენაესი. გამჭრიახი ვაჭარი, რომელსაც ამ ცხოვრებაში თავის საქმიანობად ვაჭრობა აურჩევია, ყველაზე მეტად ეცდება მარადიულ ცხოვრებაში გამოსადეგი სიმდიდრის დაგროვებას, ე. ი. ვაჭრობის შედეგად მიღებული მონაგების დაუზოგავად და ამავე დროს, მარადიულ ბედნიერებაზე ფიქრით არ გადაუხვევს ალლაჰის გზიდან.

ვაჭრობის ზნეობრივი საფუძვლები

ერთხელ ალლაჰის შუამავალი მარცვლით მოვაჭრე ადამიანს შეხვდა.

„როგორ მიდის ვაჭრობა?“ — დაინტერესდა ის.

ადამიანმა თავისი საქმეების შესახებ დაიწყო ლაპარაკი. ამ მომენტში ალლაჰის შუამავალს გარდმოევლინა ზეშთაგონება:

„ჩაჰყავი ხელი მარცვალში!“

ალლაჰის შუამავალმა ხელი მარცვალში ჩაჰყო და აღმოაჩინა, რომ ის სველი იყო. მიუთითა რა მასზე, თქვა:

„ვაი, შენ რომ სველი მარცვალი დაგიყრია ზემოდან! ვინც ჩვენ გვატყუებს ჩვენგან არაა.“ [185]

როგორც ამ წმინდა ჰადისიდან ცხადდება, ისლამის ეკონომიკურმა სისტემამ ვაჭრობის ფუძემდებლურ პრინციპებად აქცია ადამიანისა და მთელი საზოგადოების მიერ პატიოსნებისა და სამართლიანობის სამსახური.

ვაჭრობა ნიშნავს საქონლის გადასვლას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე; ის მოითხოვს როგორც საწყის კაპიტალს, ასევე შრომით საქმიანობას; ვაჭრობა განიცდის როგორც მოგების შესაძლებლობას, ასევე ზარალის მიღების საფრთხეს. ვაჭრობა, რომელსაც მოაქვს მოგება, არა მარტო შარიათითაა (კანონით) ნებადართული, ასევე მიეკუთვნება სულიერი და ზნეობრივი მოღვაწეობის

185. მუსლიმი, იმანი, 164.

წასახალისებელ საშუალებას. გამონათქვამის, *„ცხრა მეათედი შემოსავალი ვაჭრობით,“*[186] რომელიც გადმოვიდა შუამავლის დალოცვილი ბაგეებიდან, გაგებას გააადვილებს იმის გარკვევა, თუ რატომ არის ეს საქმიანობა წასახალისებელი. მეორე მხრივ, მუსლიმანური რელიგიის ხუთი საფუძვლიდან ორი თაყვანისცემა, ისეთი როგორიცაა: ჰაჯობა და ზექათი, შეძლებულ მორწმუნეებს მიეკუთვნება; ესეც შარიათით ნებადართული გამდიდრების ერთ-ერთი სტიმულია. ჰადისში ნათქვამია:

„ქვეელმოქმედის ხელი მოწყალების ამღების ხელზე აღმატებულია.“[187]

მდგომარეობა, რომელიც ადამიანს მისაცემად მოუწოდებს, ამისვე მტკიცებულებაა.

მაგრამ ამასთან ერთად, ვაჭრობისას რომელიც ქონებისა და სიმდიდრის შეძენის მთავარი წყაროა, არ შეიძლება იმის დავიწყება, რაც არის ნათქვამი ჰადისში:

„ყოველ თემს აქვს კონკრეტული განსაცდელი. ჩემი თემის განსაცდელია სიმდიდრე.“[188]

ვაჭრობაში ადგილი აქვს ფულის მოსაპოვებლად სწრაფვას, რაც შეიძლება სულის დამპყრობ, დამმორჩილებელ მისწრაფებად გარდაისახოს. ხარბი ადამიანი მსგავსია დოქისა: როცა მისი მუცელი სავსეა, პირი კი მაინც არ იკეტება. და თუ მოისურვებ ამ დოქში მთელი მდინარის წყლის ჩასხმას, არაფერი შეიცვლება, მხო-

186. სუიუთი, ალ-ჯამიუს-საღირი, I, 113.

187. ბუჰარი, ზექათი, 18.

188. იბნ ჰანბალი, IV, 160.

ლოდ წყალი გადმოიღვრება კიდეებიდან. გაუმაძღარი ასევე მსგავსია კოცონის ან ღუმელისა, რადგან ცეცხლი, რომელშიც შეშას ან ქვანახშირს ამატებენ კი არ ჩაქრება, არამედ იწვის და სიცხეს გამოყოფს. შუამავალმა სიხარ-ბის შესახებ თქვა:

„თუკი კაცის ძეს ექნება ორი ხეობა სავსე სიმდიდრე, მესამესაც მოინდომებს. მას ვერ გააძღებს ვერაფერი, გარდა მიწისა.“[189]

ბოლო არა აქვს იმ ეშმაკურ მანქანებს და ხრიკებს, რომლებსაც ცდუნებებს დამორჩილებული ადამიანი ამჟღავნებს. რამდენი ადამიანისთვის იქცა ის დაღუპვის მიზეზად. ცხოვრების უდარდელობაში გამტარებელითაა სავსე ეს ქვეყანა. მაგრამ ისტორიული დროები არც მათ ნაკლოვანებას განიცდის, ვისაც, ყველა შესაძლებლობა გამოუყენებია, რათა თავიანთი უთვალავი სიმდიდრით, წყალობით გადაეხადა ზექათი და შეესრულებინა წმინ-და საქმეები: მათხოვართა, უმწეოთა, მარტოხელების, ქვრივების, ობლებისა და გასაჭირის მქონეთა დასახმა-რებლად.

რელიგია არ იძლევა იმის პირობას, რომ სხეულს, რომელიც ტვირთია სულისთვის, მოუტანს ბედნიერება-სა და ნეტარებას ამ სამყაროში. პირიქით, ის მოწოდებუ-ლია, სული სხეულისა და მისწრაფებების მმართველად აქციოს. ვაჭრობას ან კომერციას შეუძლია გარკვეული ხნის განმავლობაში ისე იმოქმედოს ჩვენს სულსა და სურვილებზე, რომ ჩვენ იმათ რიცხვს მივეკუთვნოთ, ვინც ყველაფერი დაჰკარგა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ

189. ბუჰარი, რიქაქი, 10; მუსლიმი, ზექათი, 116.

ცხოვრებაში და რომელიც სავსეა „სპეკულანტებით," მრავალრიცხოვანი მაკონტროლებელი ორგანოებით (სადაც მუშაობენ ქურდები და მექრთამეები) უმწიკვლო ვაჭრის პოვნა აუხდენელ ოცნებად რჩება.

უზენაესი გამჩენი წმინდა ყურანის საშუალებით, ყველა ხალხს, განკითხვის დღის ჩათვლით, იმის შესახებ ატყობინებს, რომ მან მედიენისა და აიქას ხალხები, რომლებიც შუამავალ შუაიბის ტომს მიეკუთვნებიან, იმისათვის გაანადგურა, რომ მათ სრულიად დაკარგეს ვაჭრობის ყველა ზნეობრივი პრინციპი. ამიტომ აკრძალული მოგების (ჰარამის) შეძენა ტყუილითა და თაღლითობით, სუსტების დაჩაგვრა — ეს უზარმაზარი ცოდვაა, რომელიც ხალხის დაღუპვის მიზეზად იქცევა. ალლაჰის შუამავალმა თქვა:

„დაე, გაქრეს ოქროსა და ვერცხლის მონეტების, აგრეთვე ჩაცმულობის მონა-მსახური; მისი მისწრაფება ქედმაღლობითა და სიამაყით გამოიხატება!.. თუ მსგავსი ადამიანი მოგებას ნახავს, მაშინ ის კმაყოფილია, ხოლო თუ მოგებას ვერ მიიღებს, მაშინ ის უკმაყოფილო რჩება."[190]

ფრიად პატივცემული ომარი, როცა მის წინაშე ვინმეს აქებდნენ, მაქებარს სამ კითხვას უსვამდა:

— შენ იყავი მისი მეზობელი? იყავი მისი თანამგგზავრი? გივაჭრია მასთან?

თუკი თანამოსაუბრე ეტყოდა, რომ არაფერს მსგავსს არ აკეთებდა, მაშინ ომარი ეუბნებოდა მას:

190. ბუჰარი, რიყაყი, 10, იბნ მაჯა, ზუჰდი, 8.

— მე ვფიქრობ, რომ შენ ის ყურანის კითხვისას თავის ქანაობაში დაინახე.

ადამიანი ამტკიცებდა:

დიახ, მე ზუსტად ეს დავინახე.

და ფრიად პატივცემული ომარი მიუგებდა მას:

— მაშინ ნუღარ აქებ მას! გულწრფელობა ხომ ადამიანს კისერზე არ აზის.

მოცემულ შემთხვევაში რწმენის გამომჟღავნების ის კრიტერიუმები, რომლებზეც მიუთითა ფრიად პატივცემულმა ომარმა, არაა საკმარისი მიმდევრის ღრმა აღმსარებლობაში დასარწმუნებლად. ამიტომ არ უნდა მოვტყუვდედ რწმენის გარეგნული გამოვლინებით, არამედ საჭიროა ადამიანის ქცევებზე და ხალხთან მისი ურთიერთობის ფორმებზე ორიენტირება. ეს იმას შეგვახსენებს, რომ იმ ადამიანის შეფასება, ვისი მიზნებიცა და სიფხიზლეც საქმით არ დადასტურებულა და არ გაუვლია შემოწმება, შეიძლება მცდარი იყოს.

როგორც ნათელი ხდება ვაჭრობა და ბიზნესი ავლენს პიროვნების შინაგან სამყაროს, ე. ი. ადამიანის არსი, მისი ზნეობა გამოიხატება საქმეში, ქმედებაში. ისლამის კანონების მიხედვით მყიდველსა და გამყიდველს ეკრძალებათ საქონლის კრიტიკა მისი გაყიდვის ან შეძენის დროს. გამყიდველმა ვაჭრობისას უნდა გამოიყენოს მეთოდები, რომლებიც გასაყიდი ნივთის ნამდვილი ღირებულების დადგენაზე იქნება ორიენტირებული. არ არის ნებადართული სარგებლობა მყიდველის გაურკვევლობით საქონლისთვის ფასის ასაწევად. არ შეიძლება სიცრუე, შავი ბაზრის ხელოვნურად შექმნა, პროცენტის აღება, წონაში

მოტყუება, ან იმ აკრძალული საქონლის გაყიდვა (ჰარამი), რაშიც საზოგადოება ზარალს ნახულობს.

რა მშვენივრად ახსნა ალლაჰის შუამავალმა ვაჭრობის წესები:

„ო, თქვენ ვაჭრებო! უეჭველია, ცოდვა და ეშმაკი არიან გარეულნი აღებ-მიცემაში. განწმინდეთ თქვენი ვაჭრობა (ფიცისა და უადგილო სიტყვების გამოსყიდვით) მოწყალებით.

განკითხვის დღეს ვაჭრები ცოდვილთა სახით წარმოგვიდგებიან. მხოლოდ ისინი იქნებიან გამონაკლისი, ვისაც ალლაჰის სიცოცხლეში ეშინოდათ, იმყოფებოდნენ უმწიკვლობაში, ალალმართლობასა და სიმართლეში...“ [191]

„ფიცით დამოწმებამ შეიძლება ვაჭრობაში მოგება გაზარდოს, მაგრამ ფულის ბარაქიანობა შეამციროს.“ [192]

ვაჭარმა, რომელიც არ არის გარკვეული თავისი საქონლის ღირებულებაში, ის უნდა დაადგინოს. მოგების მიზნით მყიდველის უცოდინრობის, გამოუცდელობისა და ნდობის გამოყენება გამყიდველის მიერ დაუშვებელია. მუსლიმანებიდან ისინი, ვისაც გულში ალლაჰის შიში და მისი კმაყოფილების მოპოვებისაკენ მისწრაფება აქვთ, ავლენენ მეტისმეტ წესიერებასა და დელიკატურობას ამ საკითხებში. იმამი — აზამმა ქალს, რომელიც მასთან აბრეშუმის ნაჭერის მისაყიდად მივიდა, ფასი ჰკითხა. ქალმა უპასუხა:

— ასი დირჰემი,

191. თირმიზი ბუიუ, 4.

192. ბუჰარი ბუიუ, 26.

— ის შეეწინააღმდეგა:

— არა, ის უფრო ძვირი ღირს...

გაკვირვებულმა ქალმა ფასი ასი დირჰემით გაზარდა. იმამი აზამი ისევ უარობდა ამ ფასად ნივთის შეძენაზე. ქალმა კიდევ ასი დირჰემი დაამატა, შემდეგ კვლავ ასი დირჰემი... მაგრამ როცა იმამი აზამმა ხელახლა უარყო, სიტყვებით:

— არა, ის ღირს ოთხას დირჰემზე მეტი, — ქალმა თავი ველარ შეიკავა და თქვა:

— შეიძლება შეწყვიტოთ ჩემთან ხუმრობა!

მაშინ იმამმა სთხოვა მოეხმოთ კომპეტენტური ადამიანი, რათა საქონლის ზუსტი ფასი დაედგინათ. მოხმობილმა ნაჭერი ხუთას დირჰემად შეაფასა და იმამი აზამმა ის სწორედ ამ ფასად შეიძინა.

მან იცოდა, რომ სიმართლის უარყოფას, ნაკლოვანებებისა და წუნის დაფარვას, განსაკუთრებით კი უყურადღებო დამოკიდებულებას ზომასა და წონასთან მიმართებაში ადამიანი განსაკუთრებით სამწუხარო შედეგებამდე მიჰყავს.

ისლამური ადაბი (ზნეობა) ყველას მოუწოდებს სხვაზე ფიქრისაკენ, რადგან ტყუილი და ხრიკები მუსლიმანისათვის მძიმე ცოდვაა. ჭეშმარიტი მუსლიმანი არ იცრუებს და არ მოიტყუებს. ტყუილის დაჯერება, თავის მხრივ, უვიცობის ნიშანია, რაც ასევე არ ახასიათებს მუსლიმანს. შუამავლები, რომლებიც კაცობრიობას ჭეშმარიტებისაკენ გზამკვლევებად ეგზავნებოდნენ „სადიყითა“ (სამართლიანობა) და „ფეთანეთი“ იყვნენ შემოსილი

(გამჭრიახობა). ვინც მათ მიერ გაკვალულ გზას მისდევს, ვალდებულია იყოს გონიერი და გამჭრიახი. ალლაჰის უდიდებულესობა გვაფრთხილებს, რომ არ დავუჯეროთ ჩვენი მოტყუების მსურველთ და გვიბრძანებს:

„და არ მისცეთ ვისაც არ ძალუძს განკარგვა მათი ქონების, ...“[193]

რაც შეეხება მატყუარებსა და ცრუებს, ეს ჰადისი მათი გაფრთხილებაა. ალლაჰის შუამავალი ამბობს: „არის სამი კატეგორიის ხალხი, ვისაც ალლაჰი განკითხვის დღეს არ დაელაპარაკება, არ შეხედავს და არ აპატიებს. უზენაესს მათთვის მკაცრი სასჯელი გამზადებული აქვს.“ აბუ ზერრმა გაიგონა ის, თუ როგორ გაიმეორა ეს სამჯერ და მას შუამავალმა ჰკითხა:

— დაე, დაიკარგონ ისინი, ვერ მიაღწიონ წარმატებას და მოაკლდნენ ბედნიერებას. მაშ, ვინ არიან ისინი, ალლაჰის შუამავალო?

ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

— ის, ვინც თავისი ტანსაცმლის ბოლოებს (ქედმაღლობითა და სიამაყით) მიწამდე დაათრევს; ის, ვინც აყვედრებს იმათვე, ვისაც მისცა; ის, ვინც თავის საქონელს ცრუ ფიცით ასაღებს!“[194]

მეორე მხრივ, ისლამი კრძალავს შავი ბაზრის (იდდიჰარის) შექმნას, ე. ი. საქონლის საწყობებში იმის მოლოდინით დაკავებას თუ როდის იქნება მასზე დეფიციტი. ეს არის საზოგადოების ქონებით ექსპლუატაცია. შუამა-

193. ნისა 4/5.

194. მუსლიმი, იმანი, 171.

ვალმა შეაჩვენა ყველა ის, ვინც ქმნიდა შავ ბაზარს. წმინდა ჰადისში ნათქვამია:

„ვაჭარი, რომელიც თამამად გამოიტანს საკუთარ საქონელს ბაზარზე, მიიღებს თავის წილს; ხოლო ვაჭარი, რომელიც შეაჩერებს საქონელს, ფასის ამაღლების მოლოდინში, დაწყევლილი იქნება.“[195]

ისლამი ვაჭრობის იმ პრინციპებს, რომლებიც მოგებას და ხარჯვას ეხება, მოქმედებაში განიხილავს.

წმინდა ყურანი ნებისმიერ სავაჭრო ოპერაციას, რომელსაც მხარეთა შეთანხმება და მათი ურთიერთ -კმაყოფილება არ მოჰყვება აკრძალულად, (ჰარამად) თვლის.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთმანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით. და თავი არ მოიკლათ. უეჭველად, ალლაჰი მოწყალეა თქვენდამი!“[196]

გამოთქმა „არ მოიკლათ“ თავისთავში მნიშვნელოვანი და ფაქიზი არსის შემცველია. მასში იკითხება გაფრთხილება იმის გამო, რომ ცხოვრების სულიერი მხარის იგნორირებით ჯოჯოხეთი არ დავიმკვიდროთ. მეორე მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ შელაპარაკებისა და დანაშაულის განსაზღვრული ნაწილი გამოწვეულია სხვისი ქონებისა და მოგების მითვისების ნიადაგზე. ხოლო მათი აცილება შესაძლებელია ვაჭრობის იმ პრინციპების დაცვით, რომლებსაც ისლამი ადგენს. ამ პრინციპებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია უარის თქმა პროცენტის გაზრდაზე.

---

195. იბნ-მაჯა, თიჯარათი, 6.

196. ნისა 4/29.

პროცენტის გაზრდა ადამიანის ექსპლუატაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ის გათვლილია მოგების გაზრდაზე და უგულებელყოფს რისკსა და ძალისხმევას. ასევე, მდიდრის შემდგომი გამდიდრებისა და ღარიბის უფრო მეტად დაჩაგვრის განმაპირობებელია. პროცენტის გაზრდის შესახებ თავის უკანასკნელ ქადაგებაში ალლაჰის შუამავალმა თქვა:

„მე ვკიცხავ პროცენტის გაზრდის ნებისმიერ სახეს!“ ამასთანავე, პროცენტის ზრდის ყველა გამოვლინება აკრძალულად, ჰარამად შევრაცხე.

წმინდა აიათებში უზენაესი ალლაჰი ამ მოვლენას ასე განსაზღვრავს:

„რომელნიც მევახშეობას ეწევიან, (აღდგომის დღეს) ვერ აღსდგებიან (სხვაგვარად), თუ არა ისე, როგორც აღსდგება ეშმაკის შეხებით გაგიჟებული. აი, ეს იმისთვის, რომ თქვეს მათ: ვაჭრობა ხომ იგივე მევახშეობაა! ალლაჰმა კი ნებადართულ ჰყო ვაჭრობა და აკრძალა მევახშეობა. ვისაც დარიგება მოუვიდა თავისი ღმერთისგან და თავი ანება, მისია რაც უწინ იყო: და საქმე მისი ალლაჰს ეკუთვნის; ხოლო ვინც დაუბრუნდეს, ეგენი არიან ბინადარნი ცეცხლისა, სადაც სამუდამოდ დარჩებიან.

ალლაჰი კრძალავს მევახშეობას და ამრავლებს მოწყალების გაღებას. და ალლაჰს არ უყვარს არც ერთი ურწმუნო და ცოდვილი.“[197]

რამდენად უნდა გაუფრთხილდნენ ღვთაებრივ რისხვას ისინი, ვინც პროცენტის ზრდით სარგებლობს:

197. ბაყარა 2/275 -276.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰისა და თუ ხართ (ჭეშმარიტი) მორწმუნენი, უარი თქვით დარჩენილ პროცენტზე!

თუკი (ამას) არ იქმთ, მაშინ იცოდეთ, რომ ალლაჰსა და მის შუამავალს უცხადებთ ომს. ხოლო თუ მოინანიებთ, თქვენია ძირითადი კაპიტალი. არცა დაჩაგრავთ და არცა დაიჩაგრებით. “[198]

მუსლიმანთაგან ის, ვინც პროცენტის ზრდით იქნება დაკავებული, ან ქონებას დაკარგავს, ან განიცდის ზარალს თავის რწმენაში. ამგვარი, აკრძალული გზით მავალი ცოდვილის სასჯელი იმდენად სასტიკია, რამდენ ქონებასაც მოიხვეჭს არაკეთილსინდისიერად. ე. ი. მხოლოდ ამ სამყაროში იქნება მისი საქმე მომგებიანი. უზენაესი ალლაჰი, არაფერს ტოვებს უყურადღებოდ, პირიქით, ის მათ ვადას უგრძელებს. და ეს შეიძლება განკითხვის დღემდე გაგრძელდეს. უზენაესის გაფრთხილება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მდგომარეობა მძიმე იქნება. ჯაბირმა თქვა:

„ალლაჰის შუამავალი წყევლიდა ყველას, ვინც პროცენტს იღებდა ან გასცემდა ან კიდევ აწერდა მას. შეაჩვენებდა ასეთი გარიგებების მოწმესაც და ამბობდა: „ისინი, ყველა, ერთმანეთის თანასწორნი არიან...“[199]

რამნდენად მშვენიერია აბუ ჰანიფის მაგალითი, რომელმაც ერთ კაცს სესხი მისცა. სესხის გადახდამდე დიდ იმამს იმ ხის ჩრდილში ყოფნაც კი ერიდებოდა, რომელიც

198. ბაყარა 2/278-279.

199. მუსლიმი, მუსაქატი, 106.

მის მევალეს ეკუთვნოდა, რათა ესეც პროცენტში არ ჩათვლოდა მას.

უეჭველია, პროცენტის აკრძალვა დიდ სიბრძნეს ეყრდნობა და მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად. მათგან, ძირითადია: უმუშევრობის გაზრდა, ფასების ხელოვნური მომატება, ეგოიზმი, აყალმაყალის ატეხა, დაპირისპირება და მოგების თვითმიზნად ქცევა, ასევე ისეთი ზოგადსაკაცობრიო და ზნეობრივი ნორმების შესუსტება, როგორიცაა ურთიერთდახმარება, სოლიდარობა, სიყვარული, სათნოება და თანაგრძნობა.

ისლამი, რომელიც მევახშეობას კრძალავს, მის ნაცვლად, შესაძლებლობის შემთხვევაში, ალლაჰის გულისთვის სესხის გაცემას ახალისებს და ამტკიცებს, რომ სესხი, მიცემული იმ ადამიანისათვის, რომელსაც უჭირდა, ბევრად აღემატება მოწყალების გაცემას.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, თავიანთ ბიზნესში პატიოსნად მომუშავე, უმწიკვლო, სამართლიანი და საიმედო, მეწარმეები და ვაჭრები ყოველ დროს უმცირესობაში იყვნენ. ალლაჰის შუამავალმა უმწიკვლო ვაჭრები შეიძლება სწორედ ამიტომ გაახარა შემდეგი სიტყვებით:

„თავისი სიტყვის ერთგული, სამართლიანი და საიმედო მუსლიმანი ვაჭრები განკითხვის დღეს შუამავლებთან, წმინდანებთან და შეჰიდებთან ერთად არიან.“[200]

იმამი აზამ აბუ ხანიფე იყო მდიდარი ვაჭარი. მაგრამ იმის გამო, რომ უმეტეს დროს მეცნიერებას უძღვნიდა, სავაჭრო საქმეები თავის მმართველებს გადასცა, თვი-

200. თირმიზი ბუიო, 4, იბნ მაჯა, თიჯარათი,1.

თონ კი აკონტროლებდა იმას, რომ მისი ბიზნესი ნებადართული (ჰალალი) ჩარჩოების მიხედვით განვითარებულიყო. ამ მხრივ, ის იმდენად ფაქიზი იყო, რომ ერთხელ თავისი პარტნიორის, ჰაფს იბნ აბდურაჰმანის ქსოვილის გასაყიდად გაგზავნისას, თქვა: „ო, ჰაფს, ამ ქსოვილს ესა და ეს ნაკლი აქვს, ამიტომ შეახსენე მყიდველს ამის შესახებ და უფრო იაფად გაყიდე ის.“

ჰაფსმა ქსოვილი იმამის მიერ დადგენილი ფასის მიხედვით გაყიდა, მაგრამ დაავიწყდა მყიდველისათვის ნაკლოვანების შეხსენება. იმამი აზამმა ეს რომ გაიგო, ჰაფსს ჰკითხა: „იცნობ შენ მას, ვინც ის ქსოვილი იყიდა?“

და გაიგო, რომ ჰაფსი მყიდველს არ იცნობდა. მაშინ იმამმა უბრძანა მთელი თავისი საქონელი წყალობად გაეცა. მას ხომ უნდოდა ალლაჰის შუამავლის იმ სიტყვების შესაბამისად ეცხოვრა, რომელიც უთხრა ამრს.

„ო, ამრ! რა დიდებულად შეესაბამება სიკეთით მოპოვებული სიმდიდრე წმინდა ადამიანს!“[201] და ჰარამ-ჰალალის არსი ღვთისმოშიშობის კრიტერიუმებს.

ჩემი აწ განსვენებული, მამა მუსა ეფენდი ვაჭრობაში ჰალალისა და ჰარამის აცილების მნიშვნელობაზე და დალოცვის ძალაზე ასე გვიამბობდა:

„ჩვენ გვყავდა სომეხი მეზობელი, რომელსაც ისლამი ჰქონდა მიღებული. ერთხელ, როცა მე ვკითხე თუ როგორ გახდა ის მუსლიმანი, მან მიპასუხა: „მე მუსლიმანობამდე იმ ადამიანის მშვენიერი ზნეობის გავლენამ მიმიყვანა, როგორიც იყო ვაჭარი მოლა რაბი, ჩემი მეზობელი აჯიბადამის პლანტაციაში. მოლა რაბი რძის გაყიდვით

201. აჰმად ბინ ჰანბალი მუსნედი, IV, 197, 202.

ირჩენდა თავს. ერთხელ, საღამოს ის ჩვენთან მოვიდა და თქვა:

— მიიღეთ, გენაცვალე!- ეს თქვენი რძეა.

მე გამიკვირდა:

— ეს როგორ, მე ხომ თქვენთვის რძე არ მითხოვია.

ამ ფაქიზმა და დელიკატურმა ადამიანმა ამიხსნა:

— ჩემი ერთი ძროხა, ისე, რომ მე არ დამინახავს, თქვენს ბაღში შესულა და უბალახია. ამიტომ ეს რძე თქვენ გეკუთვნით და მანამ, სანამ მისი სხეული ამ ბალახით საზრდოობს, რძეს თქვენ მოგიზიდავთ.

მაშინ, მე ვუთხარი:

— რაზეა ლაპარაკი, მეზობელო? მან ხომ მხოლოდ ბალახი ჭამა. დაე, კეთილი იყოს თქვენთვის!

მაგრამ მონა რაბიმ უარყო:

— არა, ასე ვერ შევთანხმდებით! მისი რძე სამართლიანად გეკუთვნით თქვენ! და გააგრძელა ჩვენთან რძის ზიდვა, სანამ ძროხა სრულად არ განთავისუფლდებოდა შეჭმული ბალახისაგან.

ამ კეთილშობილი ადამიანის საქციელმა მე ძალიან ამაღელვა. ბოლოს და ბოლოს ჩამომეხსნა თვალებიდან უდარდელობის ბინდი და გული რწმენის მზემ გამინათა. საკუთარ თავს კი გამოვუტყდი იმაში, რომ „ჭეშმარიტად, რწმენა ადამიანში, რომელიც ასეთ მშვენიერ ზნეობას ფლობს, ყველაზე აღმატებული რწმენაა. არ შეიძლება ეჭვის ქვეშ დავაყენოთ რწმენა, რომელიც ასეთი ფაქი-

ზი, წმინდა, სრულყოფილი და გულწრფელი ხალხსათვის არის დამახასიათებელი.

ამის შემდეგ წარმოვთქვი ქალიმეი — შეჰადეთი და გავხდი მუსლიმანი.“

მაგრამ ამავდროულად, რა სამწუხაროა მათი მდგომარეობა, ვინც უდარდელობაში ცხოვრობს. მათზე ჰადისში ნათქვამია:

„და დადგება ისეთი დრო, როცა ხალხს სრულიად არ ააღელვებს ის, თუ რა გზით იღებს ის თავის წილს ჰალალ ან ჰარამიდან.“ [202]

როგორც უზენაესისმიერი დადგენილებების დარღვევისათვის საჭიროა დაისაჯოს ცოდვილი, (რაც მეტწილად მარადიულ ცხოვრებაში განხორციელდება), ასევე პასუხს აგებს ვაჭარი იმ უარყოფითი თვისების გამო, რომელიც აკრძალული გზით სიმდიდრის შეძენაში ვლინდება, რაც ასევე აისახება მომავალ თაობებზე, თვით ამქვეყნიური ცხოვრების დროს. ამაზე ხალხში იტყვიან: „ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოკვეთა კბილიო.“ ე.ი. მათ, ვინც მემკვიდრეობად აკრძალული გზით მოპოვებული კაპიტალი მიიღო იშვიათად მიჰყავთ ცხოვრება სწორი გზით, რადგანაც ფულში დამალულია შემდეგი საიდუმლო: ის ისევ იქ მიდის, საიდანაც მოვიდა. აკრძალული გზით მიღებულ ქონებას ამ ქონების მემკვიდრე ცოდვილი გზით მიჰყავს. ეს ქონება მსგავსია გველისა, რომელიც ისეთივე გამოძვრება ხვრელიდან, როგორც შიგ შეძვრა.

ქონება, რომელიც რწმენის სასარგებლოდ და ღვთის

202. ბუჰარი ბუიო, 7, 23.

პატივსაცემად არ დაიხარჯება, მხოლოდ ცოდვებთან და ურწმუნოებასთან მიგვიყვანს. ეს მშვენივრადაა ახსნილი მუსას მიერ წმინდა აიათში:

„და უთხრა მუსამ: „ღმერთო ჩვენო! ნუთუ იმისათვის უბოძე შენ ფარაონს და მის დიდებულებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში ბრწყინვალება და სიმდიდრე, რათა გადამცდარიყვნენ შენივე გზისაგან? ღმერთო ჩვენო! მოჰგავე მათი სიმდიდრე და გაუსასტიკე გულები, რათა ვერ შეძლონ ირწმუნონ, სანამ არ ნახავენ მწარე სასჯელს!“ [203]

რამდენად ცოდონი არიან ისინი, ვინც იმის შიშით რომ მოგების გარეშე დარჩებიან, სხვადასხვა ეშმაკურ ხერხებს მიმართავენ ვაჭრობაში. მათ მიერ თავის მართლება აბსურდულია. თვალები ვერ ხედავს ჭეშმარიტებას, რაკი ისინი უარყოფენ ღვთაებრივ წინასწარგანსაზღვრულობას. ამ ცოდვილთა მსგავსად რომ ვიმსჯელოთ, მაშინ აბუ ბაქრი, რომელიც მუდმივად სწირავდა თავის ქონებას ალლაჰის უდიდებულესობისა და მისი შუამავლის სამსახურის გზაზე და არასდროს იხევდა უკან წმინდა ვაჭრობის პრინციპებიდან უნდა ყოფილიყო ყველაზე ღარიბი მიმდევართაგან. მაგრამ, როგორც ჩვენ ისტორიიდან ვხედავთ, ის ყოველთვის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ თანამოღვაწედ რჩებოდა. რამდენჯერ გასცა მან შესაწირავი თავისი ქონებიდან ალლაჰისა და მისი შუამავლის გამო, ხოლო შემდეგ ისევ ალლაჰის წყალობით შეიძინა.

ამის გამო, ჩვენ ვალდებული ვართ სახსრები შარიათით ნებადართული გზით გამოვიმუშავოთ და ვხარჯოთ

---

203. იუნუსი, 10/88.

ისევ მისივე კარნახით. ამქვეყნიური საქმეებით გაკავებული აღმსარებელი ვაჭარი ვერ მოუყრის თავს მარადიული ცხოვრების დამკვიდრებისთვის საჭირო სიკეთეებს.

მარადიულ ბედნიერებაზე ფიქრისას ღვთაებრივ დადგენილებებს მივყვებით. ეს წმინდა აიათი ასეთი ხალხის სულიერ სამყაროს შემდეგი ხერხით ხსნის:

[illegible]

„კაცთ, რომელთაც ვაჭრობა და ყიდვა-გაყიდვა ვერ მოსწყვეტს ალლაჰის მოხსენიებას, ლოცვის აღვლენას და ზექათის გაღებას, მათ ეშინიათ დღის, როცა შეძრწუნდება გულნი და თვალნი. “[204]

ასეთი ვაჭრები, როგორც წმინდა აიათი განმარტავს, ისინი არიან, ვინც ჭეშმარიტ, სამართლიან ვაჭრობას ეწევიან. ამგვარ ვაჭრობას უზენაესი ალლაჰი ასე ხსნის:

„უეჭველად, რომელნიც კითხულობენ ალლაჰის წიგნს და აღავლენენ ჭეშმარიტად ლოცვას და გაიღებენ იმისგან, რაც ვუბოძეთ, ფარულად თუ ცხადად, იმედი აქვთ გარიგების, რომელიც არ იქნება ამაო. რათა მიაგოს მათ თავიანთი საზღაური და შეჰმატოს მათ თავის წყალობიდან. უეჭველად, იგი შემნდობია, მადლობის შემსმენია!“[205]

---

204. ნური 24/37.

205. ფათირი, 35/29-30.

დაე, უზენაესმა ალლაჰმა შეავსოს ჩვენი ცხოვრება ამ აიათების საიდუმლოთი და გვიბოძოს ჩვენ ნიჭი ღვთაებრივი წიგნის შინაგანი ხედვით განჭვრეტისა, რათა თავმდაბლობით შევასრულოთ ჩვენი მირაჯად ცად ამმაღლებელი სეჯდე, შევიძინოთ მხოლოდ ნებადართული გზით, არ გავფლანგოთ შენაძენი და მიღებული სიკეთეები გავცეთ მის გზაზე!

ო, ალლაჰო! დაე, ვაჭართაგან ჩვენი ძმები იყვნენ ისინი, რომელთა საქმეებისა და სიტყვათაგან მუსლიმები ზიანს არ მიიღებენ. ისინი, ვისაც მათთვის, ჩვენი სამშობლოსა და ხალხისთვის სიკეთე მოაქვს!.. გაუადვილე მათ კეთილი ქცევების ჩადენა, რომლებიც გახდება შენი წყალობისა მიზეზი ორივე სამყაროში!

ამინ!..

ალლაჰისთვის გაცემული უმშვენიერესი სესხი (სადაყა)

ჩვენი სხეული, სული და ქონება დროებითი სარგებლობით გვაქვს მონიჭებული და ისინი სამუდამოდ ჩვენს განკარგულებაში არ დარჩება.

ჭეშმარიტად, ერთ დღეს (ე. ი. ერთადერთ ალლაჰთან დაბრუნებისას.) ჩვენ მათ გავეყრებით და ყველაფერს ჭეშმარიტ პატრონს დავუტოვებთ, ამიტომ საჭიროა სწორად გამოვიყენოთ და ვხარჯოთ ალლაჰის გზაზე ის, რაც ჩვენ მხოლოდ ერთხელ გვეძლევა ამ ცხოვრებაში და ასე მოვიპოვოთ მუდმივი ჯილდო.

ალლაჰისათვის გაღებული უმშვენიერესი სესხი

ეს სამყარო, ქმნილი და შემკული გამჩენის ძლევამოსილი ხელით, სხვა არაფერია თუ არა დროებითი თავშესაფარი. აქ, სადაც ჩვენ ხანმოკლე სტუმრები ვართ, გვჭირდება მეტი სერიოზულობა, აღქმის სიფაქიზე, დაფიქრების სიღრმე, რადგანაც ჩვენთვის ნამდვილი საჩუქარი იქნება ის, რის წაღებასაც შევძლებთ ამ დროებითი თავშესაფრიდან მარადიულ სამყაროში. ხოლო მასზე, თუ რა ჯილდოებს ჰპირდება უზენაესი ალლაჰი იმ მონამსახურებს, რომლებიც მის წინაშე კეთილი ქმედებებით წარსდგებიან, არაერთხელ ნათქვამია წმინდა ყურანში.

ალლაჰის უდიდებულესობა მუდმივად მოგვიწოდებს სიკეთისაკენ, ასევე გულუხვობის, დიდსულოვნების, კეთილმოქმედებისა და სხვა ამაღლებული გრძნობებისაკენ და მათი გამოვლენის გზებად მოწყალება (სადაყა) და მსხვერპლშეწირვა (ინფაყი) ეძლევათ. ამავე დროს, ვინც კარგ ეკონომიკურ მდგომარეობას ფლობს, მან ქონებრივი თაყვანისცემის ისეთი სახეები უნდა გამოავლინოს, როგორიცაა ზექათი, ოშური და ყურბანი. ამ სასიკეთო ქმედებების გვერდით არსებობს სხვა, დიდსულოვნებითა და რწმენის აღტაცებით გამოწვეული ქცევები, რომლებიც შეიძლება საერთო წოდების ქვეშ გავაერთიანოთ — ანუ ალლაჰისთვის გაღებული უმშვენიერესი სესხი.

ალლაჰის უდიდებულესობა ადამიანის მიერ მისი კმაყოფილების მოსაპოვებლად გაღებულ ყოველ მოწყალებასა და ყოველ მსხვერპლშეწირვას ღებულობს როგორც

სესხს (კარზი-ჰასანი) და ჰპირდება მის სრულ და დამატებით ანაზღაურებას. წმინდა აიათში ნათქვამია:

ÇÃõ ÀÐZÛ ¢ó¢ ¢ó ¢Á¢ÃÀÇÀÎÊÀ¢ ÀÀÊg ÀÎÀ¢ ¢!à Õ ÀÕÀ ÐØÃà ÀÆ ¢ó¢

„ვინც ასესხებს ალლაჰს კეთილი სესხს, მას ორმაგად მიეცემა. ის გულუხვია დაჯილდოებაში!“ [206]

აქედან ცხადია, რომ ჩვენი წყალობა გაჭირვებულთა მიმართ ამავე დროს მოემსახურება ჩვენს სულებს სიკვდილის შიშის დაძლევაში და გახდება იმ რწმენის საწინდარი, რომლითაც ჩვენ ჩვენს უკანასკნელ ამოსუნთქვას შევხვდებით. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვავლინოთ უფრო დიდი მისწრაფება ქველმოქმედებისა და გაცემისადმი.

უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ცხოვრებაში ნებისმიერი ჩვენი სირთულე და წარმატება ალლაჰის მიერაა წინასწარ განსაზღვრული. ჭეშმარიტი მორწმუნეები, თუკი ალლაჰმა მათ საკმარისად უბოძა წყალობა სულიერად არასდროს ამაღლდებიან მათთვის გადაცემული სახსრების ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, მათ გაიგეს ალლაჰისთვის გადაცემული სესხის ორი გამოვლინების შესახებ.

სახელდობრ:

1. ეხმარებიან გასაჭირში მყოფ მონა-მსახურებს;

2. მსხვერპლშეწირვის სახით სესხს აძლევენ ალლაჰს.

---

206. ჰადიდი, 57/11.

როგორც ამბობს წმინდა ყურანი, მორწმუნის მიერ ჩატარებული ნებისმიერი მსხვერპლშეწირვა — ეს კარზი-ჰასანია (უმშვენიერესი სესხი), რომელიც ალლაჰს გადაეცემა. გაჭირვებულთა დახმარება ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, ასევე მსხვერპლშეწირვა ჭეშმარიტი რელიგიის მსახურების გზაზე, უზენაესი ალლაჰისათვის „გადაცემულ სესხად“ ითვლება და ის ასეთი წახალისებით, თავისი დაპირებით მორწმუნეს კეთილშობილი ქმედებებისაკენ მოუწოდებს. თვით მორწმუნეს ნაბიჯი უკვალოდ არ გაქრება და ღირსეულ ჯილდოს მიიღებს. ე. ი. ალლაჰის უდიდებულესობას სურს, რომ მისმა მონა-მსახურებმა მსხვერპლშეწირვისას სიბეჯითე გამოავლინონ და მას „სესხს“ უწოდებს. წმინდა აიათი გვიბრძანებს:

„...მაშ, იკითხეთ რაც გეიოლებათ მისგან და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი და ასესხეთ ალლაჰს კეთილი სესხი. და რა სიკეთესაც წაიმძღვარებთ საკუთარი სულისთვის, იმას ჰპოვებთ ალლაჰთან, უფრო დიდი სიკეთედ და უდიდეს საზღაურად. და ალლაჰს მიტევება შესთხოვეთ, რამეთუ ალლაჰი შემწყალეა, მწყალობელია!“ [207]

ალლაჰის უდიდებულესობა თავისი მონა-მსახურის მიერ მისი კმაყოფილების მოსაპოვებლად შენაწირ სესხს, განსაკუთრებული წყალობით აჯილდოვებს. ბუნებრივია, ის ითვალისწინებს რომ მონა-მსახური არავითარ ამქვეყნიურ მოგებას არ მიელტვის და დიდებასა და პატივს ხალხთა შორის არ ეძებს... ამიტომ არც ერთი ჩვენი ქმედებისათვის ხოტბასა და ქებას არ უნდა ველო-

207. მუზზემმილი, 73/20.

დოთ, საკმარისია მხოლოდ ალლაჰის უდიდებულესობის მადლიერებაც. ფრიად პატივცემული ალისა და ფატიმას მიერ, ერთ-ერთ პირველ, ასეთი სახის შესაწირზე მოგვითხრობს წმინდა ყურანი:

„და სიამოვნებით აპურებენ უპოვრებს, ობლებს და ტყვეებს. ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურვილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მადლობა. უეჭველად, გვეშინია ჩვენი ღმერთისგან იმ მოქუფრული სახიფათო დღისა! თუმცა დაიცვა ალლაჰმა ისინი ამ დღის სიავისგან და აზიარა ისინი უსაზღვრო სიხარულს.“ [208]

ეს წმინდა აიათები მოგვიწოდებს ყურადღებით მოვეკიდოთ შემდეგ შემთხვევებს:

1. ყველაფერში უპირატესობა ჩვენსავე მორწმუნე ძმას უნდა მივცეთ (ისარი).

2. ვხარჯოთ და შევწიროთ არა მიწიერთათვის და წარმავალი მიზნებისათვის, არამედ ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად.

3. მსხვერპლშეწირვის საშუალებით დავიცვათ საკუთარი თავი განკითხვის დღის საშინელებისაგან;

4. ყოველი გულწრფელობით შესრულებული მსხვერპლშეწირვა ჭეშმარიტი ალლაჰის მიერ შეიწირება. ის აღამაღლებს ამგვარ მონა-მსახურს და მის სახეს ნათელით ჰმოსავს.“

---

208. ინსანი, 76/8-11.

5. მსგავსი სამადლოდ ქმნილი ქმედებები სასურველია ყოველი მორწმუნისათვის.

ჭეშმარიტი გამჩენისათვის ამ ხერხით გადაცემული სესხი მის მიერ მომეტებულად ნაზღაურდება. ერთ-ერთ წმინდა აიათში ალლაჰის უდიდებულესობა მის სახელზე გაცემული სესხის ღირსებებზე ასე ამბობს:

„...თუ ლოცვას აღავლენთ, ზექათს გაიღებთ, ირწმუნებთ ჩემს შუამავლებს და შეეწევით მათ, ალლაჰს ასესხებთ კარგ სესხს, მე უთუოდ, დავფარავ თქვენს ცოდვებს და უთუოდ, შეგიყვანთ სამოთხეებში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება...“ [209]

იბნ მესუდი გადმოგვცემს, როცა ეს ალლაჰისადმი სესხის გადაცემის, ამაღლებული მაგალითები ებუ დერდამ მოისმინა, მივიდა ალლაჰის შუამავალთან და ჰკითხა:

— ო, შუამავალო! ნუთუ ალლაჰი შენგან ვალს ითხოვს?

— დიახ, აბუ დარდა, ალლაჰმა ისურვა ჩვენთვის ვალი მოეთხოვა! — უპასუხა შუამავალმა.

მაშინ, ფრიად პატივცემული შუამავლის წინაშე წარმდგარმა ებუ დერდამ მას ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მე ჩემს ბაღს მშვენიერი სესხის სახით მივართმევ ალლაჰს.

იბნ მესუდი გვიყვება, რომ ბაღში ებუ დარდას 600 ძირი ფინიკის პალმა ჰქონდა და ედგა სახლი, სადაც ის

209. მაიდე 5/12.

თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. დათმო რა თავისი ბაღი ალლაჰის გამო, ის სახლში დაბრუნდა და ცოლს უთხრა:

— ო, ჩემო ცოლო! დავცალოთ ეს სახლი და ბაღი, რადგან მე ისინი უზენაეს ალლაჰს სესხად მივეცი.

ცოლმა უთხრა:

— ო, აბუ დარდა! შენ მართლაც მომგებიანი გარიგება დადე!

და, მათ წაიყვანეს შვილები, წაიღეს თავიანთი ნივთები და მიატოვეს სახლ-კარი.[210]

ამრიგად, როცა ამგვარი გაგებისა და ვითარების საღად შემფასებელი ადამიანები აღწევდნენ თავიანთი ზნეობის მწვერვალებს, ისლამურ საზოგადოებაში კეთილდღეობა და ბედნიერება მკვიდრდებოდა. შემდეგი მაგალითიც ასევე საინტერესოა თავისი გამორჩეულობით:

როგორც ელიე კედოურია მოგვითხრობს თავის წიგნში, ოსმალეთის სახელმწიფოებრიობის დასკვნით პერიოდში, XIX საუკუნის ბოლოს, ინგლისის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას შუა აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ ანატოლიაში მოჰყვა შიმშილობა. ინგლისელებმა ისარგებლეს შექმნილი პირობებით, სცადეს რეგიონში დესტაბილიზაციის შეტანა და ამ მიზნით დაიწყეს იქ თავიანთი ჯაშუშების გაგზავნა. მაგრამ წინასწარ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, საკვირველი დასკვნები იქნა გაკეთებული. პატაკში ნათქვამი იყო:

210. თებარი თაფსირი, II, 803; ჰაქიმი, მუსთადრაქი, II, 24.

„აქ მართლაც პრობლემები გვაქვს სურსათის მხრივ, მაგრამ შიმშილობა არ არის! ყველა ცდილობს ერთმანეთს დაეხმაროს და არ დატოვოს უბედურებაში. ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ სურსათის დეფიციტია მოშიმშილეები არ გვყავს. ამიტომ ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით გატარებული არავითარი ღონისძიება არ განხორციელდება; თვით შექმნილი სიტუაციის პირობებშიც კი!...“

უეჭველია, მაშინ, როცა გასაჭირმა და შიმშილმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია, ისე როგორც არასდროს, ყურადღება ქველმოქმედებას მიექცა, ეს შეიძლება სულის იმ სიმაღლით აიხსნას, რომელიც განამტკიცა (წმინდა აიათების დაცვით) ლოცვა- კურთხევის შესრულებამ ზიზღის ატმოსფეროში (რომელშიც ეს ხალხი იმყოფებოდა). მონა-მსახურები გაურკვევლობაში რომ არ ჩაცვენილიყვნენ და სიფრთხილე შეენარჩუნებინათ, ალლაჰის უდიდებულესობა გვაფრთხილებს:

„და რა გემართებათ თქვენ, რომ არ გაიღებთ ალლაჰის გზაზე? ალლაჰისაა მემკვიდრეობა ცათა და ქვეყნის. თანასწორნი არ არიან თქვენგან, ვინც გამარჯვებამდე გაიღო მოწყალება და იბრძოდა. სწორედ ეგენი არიან აღმატებული ხარისხებით იმათზე, რომელთაც გაიღეს იმის შემდგომ და იბრძოლეს. და ყველას სიკეთე აღუთქვა ალლაჰმა, რამეთუ ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!“ [211]

ე. ი. უზენაესი ალლაჰი თავისი მონა-მსახურებისაგან ისლამისა და მუსლიმანობის მძიმე დღეებში მეტ თავგანწირვას მოითხოვს. ყურანში ამ თავგანწირვას „კარზი-ჰასანი“, მშვენიერი სესხი ეწოდება.

211. ჰადიდი 57/10.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი სხეული, სული და მდგომარეობა დროებით სარგებლობაში მონდობილი გვაქვს და არ დარჩება ჩვენს ხელებში სამუდამოდ. ჭეშმარიტად, ერთ დღეს დავუტოვებთ რა ყველფერს ჭეშმარიტ პატრონს, გავეყრებით მათ. ამიტომ საჭიროა, სწორად გამოვიყენოთ და ვხარჯოთ ალლაჰის გზაზე ის, რაც მხოლოდ ერთადერთხელ გვეძლევა ამ ცხოვრებაში. ჩვენ სწორედ ასე მოვიპოვებთ მარადიული ჯილდოს. თუკი ჩვენ მას ჭეშმარიტ მფლობელს, უზენაეს ალლაჰს, არ გადავცემთ, მაშინ ის მათ ჯერ კიდევ ამ ცხოვრებაში წაგვართმევს, ან ჩვენი უკანასკნელი საათისას. მაგრამ მათ შორის უზარმაზარი სხვაობა იქნება. პირველ შემთხვევაში, ე.ი. როცა ადამიანი ყველაფერს რაც გააჩნია, სწირავს (მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ცასა და დედამიწაზე მას ეკუთვნის) უზენაეს ალლაჰს, ის მის შესაწირს ღებულობს, როგორც სესხს და აკუთვნებს ყველაზე უმაღლეს, თვით მის წყალობაზე მრავალჯერ აღმატებულ, წყალობასა და ჯილდოებს. მეორე შემთხვევაში, როცა ადამიანი მსხვერპლს არ გაიღებს და მართალი გზით არაფერს იყიდის და შეიძენს, მისი პასუხისმგებლობა, მატერიალური სახსრების ფლობის გამო მხოლოდ რთულდება. ფრიად პატივცემული შუამავალი, იღებდა რა მხედველობაში მათ, ვინც ქველმოქმედებასა და მსხვერპლშეწირვას ერიდება, აფრთხილებდა:

„ადამიანის შვილი თავის ყოველდღიურობას საკუთარ ქონებაზე ფიქრში ატარებს... ო, კაცის ძევ! იმ საკვების გარდა, რასაც შენ ჭამ და იმ ტანსაცმლის გარდა, რომელსაც ცვეთ, სამომავლო ჯილდოს მხოლოდ სადაყას

(წყალობა) გამო მიიღებ, რომელიც შენ სხვისთვის გაეცი. და გაქვს თუ არა შენ სხვა რაღაც ქონება?!“ [212]

მევლანა ჯალალედინ რუმმა თავის მასნავში საინტერესო აზრი გამოთქვა:

„ყურზე ჩაფრენილი სიკვდილის ანგელოზი (ე. ი. სულის ართმევისას) უდარდელ მდიდარს ამ ცხოვრების ძილისაგან აფხიზლებს და იმ შიშის დანახვისას, რომლითაც იცხოვრა მდიდარმა ქონებაზე წუხილის გამო, (რომლის ნამდვილი პატრონიც თვითონ არ იყო)ლამის იცინის.“

აიშე (რ.ა.) გადმოგვცემს, რომ ერთხელ ფრიად პატივცემულმა შუამავალმა ცხვარი დაკლა. მას შემდეგ, როცა ხორცის უმეტესი ნაწილი დაარიგეს, მან იკითხა: დარჩა თუ არა რაიმე ცხვრისაგან?

აიშემ (რ.ა.) უპასუხა:

— ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ერთი ბეჭი.

ალლაჰის შუამავალმა მას შეუსწორა:

— რატომ არ თქვი რომ ყველაფერი ამ ბეჭის გარდა სწორედ ჩვენ დაგვრჩა! [213]

ჭეშმარიტად, ნამდვილი ადამიანური მოვალეობა ისაა, რომ სულიერი ღირებულებები კეთილი ქმედებებით შევიძინოთ.

საკუთარ გულს ჩამოაცილეთ ის ტვირთი, რაც მას მატერიალური სიკეთეების გამოდევნებამ შეიძლება აჰ-

212. მუსლიმი, ზუჰდი, 3-4; თირმიზი, ზუჰდი, 34.

213. თირმიზი, სიფათული – ყიიამა, 35.

კიდოს და არ დაუშვათ სულიერი ჰარმონიის დანგრევა, არ მიეჯაჭვოთ ამქვეყნიურ მატერიალურ საგნებს. წარმატებების მიღწევა მხოლოდ გულუხვობითა და თავგანწირვით შეიძლება.

ალლაჰის უდიდებულესობა გვიამბობს იმაზე, რომ ადამიანი ყველაზე მეტად ინანებს იმ მოწყალების გამო (სადაყა), რომელიც სიცოცხლეში ვერ გაიღო და იმ მომენტში მისი სულიერი მდგომარეობა იქნება ასეთი:

„...ღმერთო ჩემო! განა არ შეიძლებოდა გადაგევადებინა ჩემთვის მცირე ხნით. ამგვარად, მოწყალებას გავიღებდი და ვიქნებოდი საუკეთესოთაგანი.“ [214]

ამიტომ სიძუნწითა და ამქვეყნიური სიკეთეებისადმი მისწრაფებით არ უნდა შევუშალოთ ხელი ქველმოქმედებასა და მსხვერპლშეწირვას. თუკი ამქვეყნიდან წასვლისას ყველაფერს რაც კი დავაგროვეთ და იმქვეყნად მხოლოდ ამ ქონების ანგარიშს წავიღებთ, ის მარადიულ ცხოვრებაში ბანკროტად გვექცევა!

პირველი შეკითხვა, რომელზეც განკითხვის დღეს ყოველ მონა-მსახურს მოუწევს პასუხი გაცემა, ხომ ის იქნება, თუ როგორ გამოიმუშავა მან და სად დახარჯა თავისი ქონება. ალლაჰის შუამავალმა თქვა:

„განკითხვის დღეს ვერც ერთი მონა-მსახური მოიცვლის ფეხს, სანამ არ უპასუხებს, თუ როგორ გახარჯა მან თავისი ცხოვრება, რაში იყენებდა თავის ცოდნასა

214. მუნაფიყუნი, 63/10.

და რას ახმარდა თავის ქონებას, როგორ სარგებლობდა საკუთარი წილითა და ჯამრთელობით.“[215]

ამ ჭეშმარიტებას სრულად დაუფლებული ჩვენი წინაპრები, მათ მიერ საფუძველჩაყრილი „ქველმოქმედების კულტურის“ ისტორიაში შესვლით დიდ ნებისყოფასა და მრავალმხრივ მოღვაწეობას ამჟღავნებდნენ. ისინი ცდილობდნენ რა ერთმანეთზე აღმატებული ყოფილიყვნენ სიკეთის თესვაში, აარსებდნენ ფონდებს, რომლებიც ყველა უმწეოსა და გაჭირვებაში მყოფის საჭიროების დასაკმაყოფილებლად იყო განკუთვნილი. ცნობილია, აგრეთვე, დახმარების გაწევასთან ერთად, თუ როგორი ყურადღება ექცეოდა იმას, რომ გაჭირვებაში მყოფი ადამიანების პირადი გრძნობები არ შეელახათ (კონკრეტულად კი მათ ვისაც არ სურდა მოწყალების თხოვნა). თავის დროზე სწორედ ისინი იყვნენ უდიდესი მსახურებისა და კეთილი საქმეების კეთების მოწმეები. შუამავლის დარიგების მიხედვით: „გავიღოთ მოწყალება ისე, რომ საკუთარმა მარცხენამ არ იცოდეს, რას შვრება მარჯვენა ხელი“, თავიანთი წყალობა ამ სამოწყალო ქვებითან მიჰქონდათ (სადაყა) და იქ ტოვებდნენ.

ხოლო, შემდგომ ამ რაიონში მცხოვრები ღარიბები ღირსეულად იღებდნენ იქედან იმდენს, რამდენიც მათთვის იყო აუცილებელი და არ მიჰქონდათ ზედმეტი. ხოლო ისინი, ვისაც საკუთარი გასაჭირი ერცხვინებოდა, ამ ადგილებში ღამით მიდიოდნენ და იღებდნენ იმ რაოდენობის თანხას, რამდენიც ესაჭიროებოდათ. XVII საუკუნის ერთი ფრანგი მოგზაური თავის წერილებში სტამბოლის შესახებ წერდა, რომ ქვებზე დატოვებული ფული შეი-

215. თირმიზი ყიიამათი, 1.

ძლება მთელი კვირის მანძილზე ყოფილიყო და მათ არავინ ახლებდა ხელს.

ჩვენთვის გასაგებია, თუ რა მიზნით ასრულებდნენ პატივცემული წინაპრები ასეთ მსახურებას... ნებისმიერ საზოგადოებაში ყოველ დროს არიან და იქნებიან ისინი, ვინც დახმარებას საჭიროებენ. მაშასადამე, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ წმინდა აიათებში დაცული მითითებით: **„და მათ ქონებაში წილია, მთხოვნელთათვის და ღატაკთათვის,**

და რომელთა ქონებაშიც წილია განსაზღვრული

მათხოვართათვის და უპოვართათვის,“[216]

და სამოწყალო ქვების მსგავსი (ღარიბებისა და გასაჭირში მყოფთათვის დახმარების ხელის გასაწოდებლად მოწოდებული) სამოწყალო ფონდები დაარსონ. ამავე დროს, უნდა გაუფრთხილდნენ მათ გრძნობებს. ჩვენ გვევალება იმ გულწრფელობისა და გულმოდგინების შემონახვა, რომლებიც ძველთაგანვე მიმართავდა ხალხს მოწყალების გასაღებად: ზოგს — გასაცემად, ხოლო ზოგს — გაცემულის ასაღებად. ჩვენი სულები ამ მოწყალების ქების განსახიერებად უნდა იქცნენ, რათა გაჭირვებულებმა, რომლებიც ჩვენკენ მოისწრაფვიან, შეძლონ ჩვენი შინაგანი სითბოს შეგრძნება. ხოლო ჩვენ, ალლაჰის კეთილშობილი მონა-მსახურები, რომლებსაც გვერგო წილი (არ-რაზზაქი), გაწეული მოწყალებისა და გულუხვობისათვის უნდა ვიმყოფებოდეთ ამქვეყნიურ თაყვანისცემაში. ამ ცხოვრებასა და მარადიულ სამყაროში ჩვენს კრიტერიუმად უნდა იქცეს სიტყვები:

216. იხ. ყურანი, სურა ზარიათი, აიათი 19; სურა მეღარიჯი აიათები, 24-25.

„ყველაზე მოწყალე ხალხთა შორის ისაა, ვინც ყველაზე დიდ სარგებლობას მოუტანს მათ.“ [217]

ასევე, წმინდა აიათის ბრძანებაა:

„უთხარი: უეჭველად, ჩემი ღმერთი უზრდის ან უზღუდავს სარჩოს თავის მსახურთაგან იმას, ინებებს ვისაც. და რასაც დახარჯავთ, იგი მის ადგილს შეავსობს. და იგია საუკეთესო სარჩოს მომმადლებელი!“ [218]

ამრიგად, მსხვერპლშეწირვა, რომელიც სესხის გაცემის საუკეთესო გზითაა გამოხატული, მორწმუნის ქმედებათაგან საუკეთესოა და ხორციელდება იმავე სიკეთეებით, რომლებიც ჩვენ ჭეშმარიტმა გამჩენმა გვიბოძა. ე. ი. ჩვენ მიერ გაღებულ წყალობას ალლაჰი სესხად იღებს. ამის გამო, ის ჩვენი დანახარჯებისა და გაცემული შესაწირის ნაცვლად, სხვა წარმატებითა და წინსვლით გვაჯილდოვებს ე.ი. სიკეთეზე სიკეთით გვპასუხობს.

ეს ნიშნავს, რომ ის, ვინც სინამდვილეში აჯილდოებს სიკეთეებით — ალლაჰია, ხოლო ის, ვინც იღებს ამ წყალობას და იყენებს მათ მონა-მსახური. მაშასადამე, ის, ვინც მართლაც ვალში იმყოფება — ადამიანია, ხოლო ის, ვინც მიცემას საჭიროებს — უზენაესი ალლაჰი.

ფრიად პატივცემულმა მევლანამ თქვა:

„უზენაესი ყველაფრისაგან რაც არის ცასა და დედამიწაზე, ითხოვს პასუხისმგებლობას, რადგანაც ისინი ვალდებული არიან მის წინაშე თავიანთი არსებობით.“

---

217. სუიუთი, ალ-ჯამი-უს საღირი. II, 8.

218. სებე, 34/39.

ამიტომ, ადამიანი, ღვთისაგან შექმნილ არსებათაგან ყველაზე სრულყოფილი, რაკი ისლამის წყალობასა და რწმენას ფრიად პატივცემული შუამავლისაგან ეზიარა და მის ხალხს ეკუთვნის, ვალშია ჭეშმარიტი გამჩენის წინაშე (მის მიერ გაღებული მოწიწებისა და გულუხვობის გამო). ასევე, ყოველი სული, ადგას რა მართალ გზას, მოვალეა ალლაჰის შუამავლის წინაშე, რომელიც სამყაროს შექმნის მიზეზი და მარადიული ცხოვრების გზის ხელმძღვანელია. ნებისმიერი არსება ასევე ვალშია შუამავლის მიმდევართა წინაშე და ისლამის ყველა გამოჩენილ პიროვნებასთან, რომლებიც მსგავსად მანათობელი თანავარსკვლავედისა გზას გვინათებენ. ეს ფუნქცია მათ ალლაჰის შუამავლისგან ერგოთ მემკვიდრეობად. მის განსახიერებას კი წარმოადგენს ყოველი თაყვანისცემა, კეთილი ქმედება, ქცევა და ღირსეული ურთიერთობები. სული, აგრეთვე, ვალშია მშობლებისა და თავისი ოჯახის წინაშე.

ამ ვალის გადახდა შესაძლებელი ხდება, თუკი სული შეიმოსება ალლაჰისა და ფრიად პატივცემული შუამავლის მაღალი ზნეობით და იქცევა ყურანისა და სუნნეთის ცოცხალ განსახიერებად. ის ემსგავსება იმ ვარდს, რომელიც აღმოცენდება და იშლება, რათა თავის გამჩენს დაუახლოვდეს. ეს ნიშნავს, რომ ალლაჰისათვის მადლობის შეწირვა ნებისმიერი მონა-მსახურის ვალია.

საჭიროა, ვიცოდეთ, რომ თუკი ადამიანი, ამ მრავალრიცხოვანი სიკეთეების, წყალობისა და ჭეშმარიტი გამჩენის კეთილი ნების მიუხედავად ვარდება თავისი ნაფსის ხაფანგში და ამქვეყნიურ სურვილებში, მაშინ თანდათანობით კარგავს ადამიანურ ღირსებას და წყდება თავისი ჭეშმარიტების არსს. ამრიგად, ისინი, ვინც ღმერ-

თის მიერ დადგენილ საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამქვეყნიურსა და ამაოს, მუდამ დამცირებულთა და წაქცეულთა შორის იქნებიან. ის ვინც უტოლდება სესხის ამღებს, კიდევ უფრო დიდ სიღარიბეში, სიდუხჭირესა და სისუსტეში ვარდება. თუმცა, ღმერთისგან ბოძებული აქვთ შესაძლებლობა იყვნენ — „აჰსანი თაქვიმი“ ანუ შექმნილთაგან სრულყოფილი. საბოლოოდ კი, თავისდა უნებურად, ის ღუპავს საკუთარ ჭეშმარიტ სიმდიდრეს. გაოცებული იმ საბაბით, რომლის გამოც ხალხი ასეთ ვითარებაში აღმოჩნდა, მევლანა ამბობდა:

„საკვირველი რამ არ არის? ნუთუ შეეფერება მზეს დაესესხოს მტვერს? ნუთუ ვარსკვლავ ვენერას შეუძლია თავისი შუქი პატარა დოქიდან აიღოს?“

„შენ — ხარ სული, რომლის შესახებაც არავინ იცის, რომ ის არის, „შენ — ხარ სული, რომლის განკერძოებული კუთხეებიც ვერავინ შენიშნა. შენი არსი განფენილია სამყაროს მდგომარეობასა და თვისებებში; შენ მზე ხარ და თუკი რაღაც კვანძში გაიხლართე, მერე რა!“

ასეთ ბეითებში ფრიად პატივცემული მევლანა ადამიანს მზეს ადარებს. მთელი სამყარო — ესაა მზის ბრწყინვალეებით განათებული მტვრის თრთოლვა. ამიტომ ადამიანის მიერ ამ სამყაროში წარმავალი სიამეებისადმი გამოდევნება, საკუთარი სურვილებისა და მისწრაფებების მოკვლის გამო, იმის ნაცვლად, რომ ის ალლაჰის ბარაქისგან ამოხვრიპოს მსგავსია მზისა, რომელიც ითხოვს სესხს უბრალო მტვრისგან. მაშინ, როცა შეუძლებელია მზეს მტვერი დასჭირდეს!

ადამიანის სულის ბუნებაზე ალლაჰის უდიდებულესობა წმინდა ყურანში ლაპარაკობს, რომ ის მისით შთაგონებული ღვთაებრივი შუქია. **„და როცა მივცემ სახეს და შთავბერავ მას ჩემი სულიდან,**[219] მაგრამ ხალხთაგან მრავალმა არ იცის თავისი სულის სიძლიერე, მისი ფასი, არ აქვთ ჭეშმარიტი ცოდნა მასზე. ესენი არიან ისინი, ვინც საკუთარი სული მატერიალური სიკეთეების სამსხვერპლოზე მიიტანეს და ამქვეყნიური მისწრაფებების გამო უარყვეს, ის უდიდესი და წმინდა ჯილდო, როგორიც ღვთაებრივი ამანათია. ისინი ჩაეფლნენ რისხვის ჭაობში, ავხორცობაში, დიდების ძიებაში, გრძნობებითა და საკუთარი ნაფსით ტკბობაში, გასართობების სიყვარულში. თითქოს სულიერების მზე იყო „უქდაი ზენბის“ (ცოდვების კვანძი) დაუკავშირდა. ჩამობნელდა, ჩაესვენა და ის აღარ ანათებდა.

ამრიგად, ყოველმა მონა-მსახურმა უნდა იცოდეს თავისი ფასი! ის მადლიერი უნდა იყოს ალლაჰის მიერ მისთვის ბოძებული ურიცხვი წყალობის გამო. მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ის არის „აჰსანი თაქვიმი“ (შექმნილთაგან სრულყოფილი) და არ უნდა დაემონოს ამქვეყნიურ სურვილებსა და მისწრაფებებს, რომელთაც არა აქვთ ბოლო. ადამიანმა სიხარული ამქვეყნიური სიყვარულით კი არ უნდა განიცადოს, არამედ ყველაფერი საკუთარ თავში, თავის სულში უნდა ეძიოს.

ე. ი. ვიდრე ჩვენივე ნებითა და ძალისხმევით სხვა სამყაროში არ მოვხვდებით, საჭიროა, მთელი მისწრაფება და ნებისყოფა მოვიკრიბოთ, რათა ალლაჰის სიყვარულის ძალით საკუთარი თავი ამ მარადიულობაში სამოგზაუ-

219. იხ. ყურანი, სურა სადი, აიათი72; სურა ჰიჯრი, აიათი, 29.

როდ მოვამზადოთ. ჩვენი რწმენით კი უნდა დავიცვათ უსაფრთხოება ჩვენს უკანასკნელ წამს.

ო, ღმერთო! მოგვეცი შენი გულუხვობის უსაზღვრო ზღვიდან ჩვენი წილი, რომელიც ჩაგვრიცხავს იმ მონამსახურთა რიცხვში, რომლებიც საუკეთესოს სწირავენ შენს გამო, შენ გცემენ თაყვანს და შენთვისვე გასცემენ „ყარზი ჰასანს“ (უმშვენიერეს სესხს)! გაგვიადვილე ყოველ ჩვენგანს აღსრულება იმისა, რაც შენ ჩვენს სულებს დააკისრე, იქნება ის სულიერი თუ მატერიალური! აღგვჭურვე ჩვენ გულისყურით, რომელსაც შეუძლია მოსმენა და მდუმარებით შენკენ ყველა იმის მომართვა, ვინც გასაჭირშია, მარტოხელა და უძლურია!

ამინ!..

როგორ გავცეთ და ავიღოთ სესხი

ისლამის მიხედვით, სხვა სიკეთეებთან ერთად, ჩვენ ვალდებული ვართ, სესხის გაცემითაც შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მონა-მსახურება. ხვალ, როცა ჩვენ მარადიულ სავანეს დავუბრუნდებით, მდიდრებს აღარ მიეცემათ პრივილეგირებული მდგომარეობა, ხოლო ღარიბებს ამის საჭიროება არ წარმოექმნებათ. მათ, ვისაც გააჩნია სესხის გაცემის საშუალება, არ უნდა ეძებონ საბაბი მისი გაუცემლობისათვის, ისევე, როგორც მათ, ვინც იღებს სესხს, არ უნდა გაამართლონ სესხის გადახდის გადავადება თავიანთი გასაჭირის გამო. არ უნდა მოვახდინოთ საზოგადოებრივი აზრის დისკრედიტირება თაყვანისცემის ამ სახისადმი.

როგორ გავცეთ და ავიღოთ სესხი

რა მშვენიერიც უნდა იყოს სიკეთე, მისი ჭეშმარიტი სილამაზისა და სრულყოფილების შეცნობა მხოლოდ მოწიფულობისა და გულწრფელობის გამოვლენითაა შესაძლებელი. ზუსტად ამიტომ წმინდა აიათში ნათქვამია:

„...და სიკეთე აკეთეთ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს კეთილისმყოფელები.“ [220]

ამიტომ, ყოველი კეთილი საქმე, საქციელი, სიტყვა, თაყვანიცემა და ა. შ. ცხოვრებაში იმ სილამაზის შესაბამისად უნდა განხორციელდეს, რომელიც ჩადებულია მასში და გულიდან უნდა გამოვიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით ეს ერთი შეხედვით უმწიკვლო ქცევები და თაყვანისცემები მხოლოდ ზარალს ან ზიანს მოიტანს.

ყველაზე მეტად საჭიროა ყურადღება იმ ასპექტს მივაქციოთ, თუ როგორ გავსცეთ და ავიღოთ სესხი. თაყვანისცემის ეს სახე არსებობდა და იარსებებს იმ აუცილებელი პრინციპების დაცვის წყალობით, რომლებსაც უნდა მიჰყვეს ორივე მხარე: როგორც სესხის მიმცემი, ასევე მისი ამღები, რათა ის კეთილი ქმედებანი, რომლებიც ადამიანთა სულებიდან ნაკადულებად გადმოედინება შეიკრიბოს უხვწყლიან მდინარედ და შეუერთდეს სიყვარულის, სიკეთისა და სათნოების ოკეანეს. მათი კეთილქ-

220. ბაყარა 2/195.

მედებები სწორედ ამ გზით შეიძენენ იმ სტატუსს, რომელიც არის: ალლაჰის უდიდებულესობის კმაყოფილების მოპოვების ზნეობრიობის დონის გაზრდის, ანგელოზებამდე ამაღლების მიზეზი. ამ ჰადისში ლაპარაკია იმაზე, რომ ალლაჰის სახელით მიცემული სიტყვა და გულწრფელი ძალისხმევის გამოჩენა ამ სიტყვის შესასრულებლად ალლაჰის უდიდებულესობისთვის შეუმჩნეველი არ რჩება და ყოველთვის მიიღება მის მიერ. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ორმხრივი შეთანხმებისას საჭიროა გულწრფელობის გამოვლენა და მხარეთა თანასწორუფლებიანობა და ეს მანამდე, სანამ დადებულ შეთანხმებას ბოროტად არავინ გამოიყენებს.

არის ასეთი ისტორია, რომელიც მოგვითხრობს:

ახლოვდებოდა იფთრის (პირის ხსნილება) დრო. საცხობში მივიდა კაცი, რომლის სახეზეც კეთილშობილების ბეჭედი იყო აღბეჭდილი. ის დაელოდა, თუ როდის დაიფანტებოდა პურზე მისული ხალხი და მეზობელს მიმართა:

— შვილო, მე დღეს ვერაფერი გამოვიმუშავე და თუ ჩემი უკანასკნელი საათი არ მომისწრებს, ნება დამრთე, ხვალ გადაგიხადო. კიდევ ხომ არ მომცემდი პურის მეოთხედს?

მას ხმა უკანკალებდა და სახე გაუწითლდა. მცხობელმა უპასუხა: — რაზეა ლაპარაკი, მამა, აიღე, მეოთხედი კი არა მთელი პური აიღე. დაე, ის შენთვის ჰალალი იყოს (ნებადართული). ფული არ უნდა.

მაგრამ მთხოვნელი მოხუცი ამტკიცებდა:

— არა, შვილო ჩემო, მეოთხედიც საკმარისია.... შეიძლება სხვასაც დასჭირდეს და ითხოვოს. ჩემს სახეს კი მეტი გაწითლება აღარ შეუძლია. ამიტომ მეოთხედზე მეტის ნებას ჩემს თავს ვერ მივცემ. შევთანხმდით? მე ხვალვე დაგიბრუნებ ვალს.

გაკვირვებულმა მცხობელმა კაცს პური მისცა.

მან პურის კიდეს აკოცა და იქაურობას ჩუმად გაეცალა.

ვიწრო ქუჩაში მიმავალს ძაღლი შემოხვდა, რომელმაც საწყალი თვალებით შეხედა. კაცს სახე გაუნათდა. მან თქვა:

— მე მგონი, ნახევარი შენ გეკუთვნის! — შემდეგ გატეხა პური და ერთი ნაწილი ძაღლს გადაუგდო.

შემდეგ ის მეჩეთისაკენ გაემართა. თან იმ პურს ჭამდა, რაც დარჩენოდა და წყალს აყოლებდა. მან გააკეთა იფთარი (პირის ხსნილება) და ამ სიკეთისათვის მადლობა უძღვნა ალლაჰს.

მეორე დღეს მოხუცს ერთმა მეფარდულემ გადასძახა:

— მამა, შეავსე ჩვენი მათარები იმ წყაროს წყლით, რომელიც მოპირდაპირედაა, შემდეგ კი ეს საგნები შიგნით შეიტანე!

გაწეული შრომისათვის მეფარდულემ მოხუცს ერთი ლირა გადაუხადა. მოხუცი დროის დაუკარგავად გაემართა და თავისი პურის მეოთხედისათვის გაუწოდა 250 ყურუში. მცხობელმა ბევრი იუარა, მაგრამ მან ვერ

შეძლო შეწინააღმდეგებოდა იმ გულწრფელობას, რომელიც მოდიოდა მოხუცის ნათელი, კეთილშობილი სახისაგან. მან თვალებზე ჩამონადენი ცრემლებით მიიღო მისი ფული.

ეს მაგალითიც გვიჩვენებს, რომ ვალის დაბრუნების გულწრფელი სურვილი ყოველთვის პოულობს ალლაჰის უდიდებულესობის მხარდაჭერას და ამსუბუქებს მას. თუკი მევალე მოთმინებას ამჟღავნებს, ბოროტად არ სარგებლობს თავისი მდგომარეობით და გულწრფელი მისწრაფებით, ცდილობს ვალის მიცემას, იმდენადვე ალლაჰი უმსუბუქებს მას ამ ამოცანას და ამ სიტუაციიდან გამოსვლის საშუალებას აძლევს.

თუკი ადამიანს აქვს იმდენი ქონება, რომლის გაყიდვითაც შეძლებს ვალის დაბრუნებას და არ აკეთებს ამას, მაშინ საკუთარ თავს აკისრებს პასუხისმგებლობას. ეს ნიშნავს, რომ ქონების მფლობელმა მევალემ ვალის დასაბრუნებლად ამ ქონებიდან უნდა გაყიდოს ის, რაც არ არის ცხოვრებისათვის აუცილებელი, თუკი მსესხებელი ადამიანი სიმდიდრესა და მევახშეობაში ცხოვრობს და სესხებს არ აბრუნებს ამისათვის თავის პასუხისმგებლობას იმძიმებს. მევალემ ვალის გადახდის სანაცვლოდ საკუთარ თავს შეზღუდვები უნდა დაუწესოს და არ გადააჭარბოს.

მაგრამ, როცა ადამიანი პირიქით იქცევა და არ იმძიმებს თავს ვალზე ფიქრით, მაშინ მასში ქრება ღვთაებრივი სხივი, რადგან ირღვევა მონა-მსახურის უფლება, რომელიც ხელშეუხებელია და მას უზენაესი ალლაჰი არ პატიობს. ე. ი. მაშინაც კი, როცა ალლაჰი ამბობს წმინდა აიათში: **„...უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია,**

მწყალობელია!“,[221] ის არ ღებულობს მხედველობაში არაფერს, რაც მის მონა-მსახურებს შეეხება. მეორე მხრივ, ის, ვინც ვალის გადახდას გადადებს, მის მიერ ქმნილ სიკეთეებს კი ბოროტებით შეცვლის და სესხს აიღებს, მისი დაბრუნების გაუანგარიშებლად, დიდ უბედურებას დაიტეხს მარადიულ ცხოვრებაში. ასეთ ცოდვილებზე ალლაჰის შუამავალმა თქვა:

„ის, ვინც იღებს სესხს მისი დაბრუნების საჭიროების გაუთვალისწინებლად, წარსდგება ალლაჰის წინაშე როგორც ქურდი.“ (იბნ მაჯა, სადაყათი, 11/2410).

მეორე ჰადისი, ასევე არანაკლებ საინტერესოდ აღწერს იმას, რაც ასეთ ადამიანებს ალლაჰისაგან მოელით:

„მას, ვინც სესხულობს ვალის უკან დაბრუნების განზრახვით, ალლაჰი დაეხმარება. და, თუკი ვინმე სესხულობს იმ განზრახვით, რომ არ დაუბრუნოს ვალი, ალლაჰი მის ქონებას ჯერ კიდევ ამ ცხოვრებაში დაღუპავს.“[222]

1. მსესხებლისათვის, რათა ვალი დააბრუნოს, აუცილებელია გაყიდოს ის, რაც მას გააჩნია.

2. მათ, ვისაც აქვთ ამის შესაძლებლობა, მატერიალურად უნდა დაეხმარონ ვალის მქონეს.

3. ვალებით დამძიმებულები უნდა განიცდიდნენ სინანულს და აღავლენდნენ ვედრებას.

221. იხ. ყურანი, სურა თევბა, აიათი, 104.

222. ბუჰარი ისთიქრაზი, 2.

ჰადისში ნათქვამია:

„ალლაჰი ერთ რომელიმე თავის მონა-მსახურს უბოძებს სიკეთეს სრული სახით, ხოლო შემდეგ მასთან გაჭირვებულებს მიიყვანს; და, თუ ის უკმაყოფილებას გამოავლენს, დაკარგავს ყველა იმ სიკეთეს, რაც ხელთ ჰქონდა...“ [223]

ერთხელ ალლაჰის შუამავალმა იკითხა:

— იცით, თუ არა თქვენ, ვინ არის ბანკროტი?

მიმდევრებმა უპასუხეს:

— ბანკროტი ჩვენგან ის არის, ვისაც არც ფული აქვს და არც ქონება.

ალლაჰის შუამავალმა თქვა:

— ბანკროტი კი ჩემი თემიდან — ისაა, ვინც განკითხვის დღეს წარმოადგენს სიცოცხლეში აღვლენილ ნამაზებს, მარხვას, დასაჯილდოებელ ზექათს, თუმცა აღმოჩნდება, რომ ის, აგრეთვე, ვიღაცას ეჩხუბა, გაავრცელა ჭორი, შეჭამა სხვისი ქონება, დაღვარა კაცის სისხლი, სცემა... მაშინ მადლი მისი კეთილ საქმეებიდან გადაეცემა მას, ვის წინაღმდეგაც ის გამოდიოდა. და თუკი ეს კეთილი საქმეები დამთავრდება მანამდე, სანამ თავად ის გაასწორებს ყველაფერზე ანგარიშს, მაშინ მას თითო-თითო იმათი ცოდვები დაემატება, ვისი უფლებებიც დაარღვია. შემდეგ (ყველა ამ ცოდვასთან ერთად), ჯოჯოხეთის ცეცხლში იქნება ჩაგდებული.[224]

---

223. მუნაზირი, ათ-თარიბი, 4/10.

224. მუსლიმი, ბირი, 59; აჰმად ბინ ჰანბალი, II, 303, 304, 372.

ერთ-ერთ ჰადისში ნათქვამია:

„ადამიანი, რომელიც მოკვდა, ერთი დინარის ან ერთი დირჰემის სესხიც რომ ჰქონდეს, გადაიხდის მას თავისი კეთილი ქმედებებით. იქ (მაჰშარაზე, შეკრების ადგილი) არ არის დინარი და არც დირჰემი.“ [225]

აქედან გამომდინარე, ფრიად პატივცემული შუამავალი მიმართავდა და აფხიზლებდა მათ, ვისაც ვალი აქვთ, სიცოცხლეშივე რაც შეიძლება მალე მოეხდინათ მისი ანგარიშსწორება:

„ის, ვისაც აქვს რაიმე სახის ვალი ან ვალდებულება ძმის წინაშე, დაე, სრულად დაფაროს ის აქვე, ვიდრე დადგებოდეს (განკითხვისა და ანგარიშის) დღე, როცა ის ვერ მოიძიებს ვერც დინარსა და ვერც დირჰემს. მაშინ მას მოუწევს თავისი კეთილი ქმედებებით იმ უსამართლობის შესაბამისად ზღვევა, რომელიც მან სხვას მიაყენა. და, თუკი მისი კეთილი ქმედებები არ იქნება საკმარისი, მას საკუთარი ამხანაგის ზოგიერთი ცოდვის თავისთავზე აღება მოუწევს.“ [226]

ანგარიშგება ნიშნავს მთლიანად გავსცეთ ის, რასაც ითხოვს, ან რაც სურს ჩვენგან მას, ვინც სესხი მოგვცა. არ დავიტოვოთ ის მომავალი ცხოვრებისათვის, არამედ ამქვეყნადვე გავისტუმროთ. ალლაჰის შუამავალი ზუსტად ამ პრინციპს ემხრობოდა. ის არ ასრულებდა (სესხის მქონე გარდაცვლილისათვის) მიცვალებულის გასაცილებელ ნამაზს მანამდე, სანამ მის ვალს სხვა არ გადაიხდიდა. ამაზე აბუ ქათადა მოგვითხრობს:

---

225. იბნ მაჯა, სადაყათი, 12/2414.

226. ბუჰარი, მაზალიმი, 10, რიქაქი, 48; თირმიზი, ყიიამათი, 2.

„ერთხელ, ალლაჰის შუამავალთან მკვდარი მიასვენეს, რათა მას მისთვის მიცვალებულის გასაცილებელი ნამაზი შეესრულებინა, მაგრამ შუამავალი უარზე დადგა:

— მას აქვს ვალი. თქვენ ხართ მისი ამხანაგები და თვითონვე შეასრულეთ მისი გასაცილებელი ნამაზი!

— მე ვიღებ საკუთარ თავზე მის ვალს, ო, ალლაჰის შუამავალო, — ვუთხარი მე.

— კეთილი ნებით? — მკითხა მან.

— კეთილი ნებით! — დავუდასტურე მე.

მაშინ მან შეასრულა მიცვალებულის გასაცილებელი ნამაზი.“ [227]

სწორედ ამიტომ ალლაჰის შუამავალმა თქვა:

„ალლაჰისათვის მის წინაშე ჩამოთვლილი მძიმე ცოდვების შემდეგ, არაფერია იმაზე ცუდი, როცა ესა თუ ის მონა-მსახური წარსდგება იმ მევალის სახით, რომელმაც დაიტოვა გადაუხდელი ვალი.“ [228]

რაც შეეხება სესხის მიმცემსა და ამღებს, შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვთვალოთ ის, რაც სესხის მიმცემს ახასიათებს:

1. ალლაჰის კმაყოფილებისთვის მორწმუნე მიზნად ისახავს თავისი ძმის (სასირცხვო) მოკრძალებული მდგომარეობის შემსუბუქებას. ჰადისში ნათქვამია:

---

227. თირმიზი, ჯანაზი, 69; ნასლი, ჯანაზი, 67.

228. აბუ დაუდი, ბუიო, 9.

„ვინც ძმის ტვირთს შეამსუბუქებს, მას თვით ალლაჰი შეუმსუბუქებს თავის ტვირთს. ვინც საკუთარ ძმას გაჭირვებისა და ხელმოკლეობისაგან განარიდებს, მას ალლაჰი გაუადვილებს განკითხვის დღის ერთ-ერთ სიმძიმეს.“ [229]

2. ამ კეთილ საქმეში თავისი პირადი ინტერესები არ უნდა შეურიოს.

3. უნდა შეძლოს მევალისათვის მდგომარეობის შემსუბუქება. მაგალითად, თუკი ყველა ცდის მიუხედავათდ ადამიანს არ შეუძლია ვალის დაბრუნება, მისცეს მეტი დრო. შუამავალმა ხომ თქვა:

„ვინც აძლევს ვალის გადავადებით გადახდის საშუალებას, ყოველი დღე მას ჯილდოდ, სადაყად, (მოწყალება) ეთვლება. თუკი ის ვალის გადახდის ნებას დადგენილი დღის შემდეგაც აძლევს, მაშინ ყოველი გასული დღე მას როგორც სადაყა ეწერება.“ [230]

და კიდევ ის მოგვითხრობს:

„ერთ კაცთან, რომელიც თქვენამდე ცხოვრობდა, მივიდა სიკვდილის ანგელოზი, რათა სული განეშორებინა და ჰკითხა:

— გიქმნია შენ რაიმე კარგი?

— არ ვიცი, — უპასუხა კაცმა.

229. ბუჰარი, მაზალიმი, 3; მუსლიმი, ბირრი, 58.

230. იბნ მაჯა, სადაყათი, 14/2418.

— დაფიქრდი! შეიძლება, გაიხსენო — აძალებდა ანგელოზი.

— არაფრის გახსენება არ შემიძლია, გარდა იმისა, რომ ამ ცხოვრებაში მე ყოველთვის ვეხმარებოდი ჩემს პატრონებს ვაჭრობაში. შეძლებულებს ვაძლევდი გადავადებით ვალის გადახდის საშუალებას, ღარიბებს კი მდგომარეობას ვუმსუბუქებდი (იმით, რომ მათთან ერთად ვადგენდი უფრო შემწყნარებლურ სავაჭრო პირობებს, რომლებიც ზოგჯერ ჩემთვისვე იყო წამგებიანი.)— თქვა კაცმა.

ამ სიკეთების გამო ალლაჰმა ის სამოთხეში მოათავსა.“ [231]

4. თუკი სესხის გამცემი შეძლებულია, ხოლო ის, ვინც მისგან აიღო ღარიბი და დაჩაგრული, მან უნდა შეუნდოს ვალი და ის მოწყალებად (სააყად) ჩათვალოს.

5. არ უნდა გაანაწყენო მევალე. ჰადისი-შერიფში ხომ ლაპარაკია ქცევის ერთ მშვენიერ გამოვლინებაზე:

„ვალის დაბრუნებისას, ან ასევე მისი დაუბრუნებლობისას არ უნდა ვისარგებლოთ საკუთარი უფლებებით და გადავიდე ნებადართულ ჩარჩოებს.“ [232]

მეორე ჰადისი-შერიფში ალლაჰის შუამავალმა თქვა:

„ალლაჰმა მიანიჭოს სათნოება მსგავს ადამიანს, ის თქვენამდე ცხოვრობდა, იყო დამთმობი, მაშინ როცა

231. ბუჰარი, ბუიო, 17-18; მუსლიმი, მუსაქათი 26-31.

232. იბნ მაჯა, სადაყათი 15.

ყიდდა და ყიდულობდა და იყო შემწყნარებელი, როცა ყიდულობდნენ მისგან.“ [233]

ამასთან ერთად სესხის ამღებმა:

1. არ უნდა ისესხოს თუ უკიდურეს გაჭირვებაში არ არის;

2. სესხად იმდენი უნდა აიღოს, რამდენიც საარსებოდაა აუცილებელი;

3. არ უნდა გადაამეტოს და იქცეს მევახშედ;

4. უნდა ჰქონდეს ვალის გადახდის გულწრფელი სურვილი, უნდა მიისწრაფვოდეს მისკენ და ამჟღავნებდეს სიმტკიცეს;

5. არ უნდა გამოიყენოს ბოროტად იმის მდგომარეობა, ვინც მას სესხი გადასცა. ამგვარი ქცევით ხომ ავნებენ მათ, ვინც შეიძლება დიდ გასაჭირში აღმოჩნდეს, მაგრამ სესხს ველარ მიიღებს;

6. იმდენად არ უნდა გაწელოს ვალის გადახდა, რომ თანხამ ან ფასეულობამ, რომლის სახითაც სესხი აიღო, დევალვაცია ან სრული გაუფასურება განიცადოს.

7. ვალი მაშინვე უნდა გადაიხადოს, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემა. თუ ეს დადგენილ ვადაში შეუძლებელია, მაშინ გადახდის გადავადება უნდა ითხოვოს. ჰადისში ხომ ნათქვამია:

233. თირმიზი, ბუიო, 75.

„თუკი ადამიანს აქვს იმის სახსრები, რათა ვალი დააბრუნოს, მაგრამ არ ჩქარობს ამას, ის დანშაულს სჩადის.“[234]

8. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიტოვოს თავისი ვალი სამომავლოდ, იმქვეყნიურ ცხოვრებაში წასაღებ ტვირთად.

და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა იქნება გათვალისწინებული, ადამიანს შეუძლია იმედი იქონიოს, რომ მისი ვალი სიკვდილის შემდეგ ანაზღაურებული იქნება თვით ალლაჰის უდიდებულესობის მიერ. ამაზე ჰადისი — შერიფში ნათქვამია:

„უეჭველია, თუკი ვალის მქონე ადამიანი მოკვდება, მას სესხის გასტუმრება განკითხვის დღეს მოუწევს. და მხოლოდ სამ მიზეზს შეუძლია ის გადასახადისაგან გაანთავისუფლოს:

1. თუკი ის, ვისი ძალებიც ალლაჰის გზაზე დაიცალნენ (ომში), იღებს სესხს, რათა თავისა და ალლაჰის მტრებს წინ აღუდგეს;

2. თუკი ადამიანის გვერდით მოკვდა მუსლიმანი და ის სესხულობს ფულს მისი სუდარისა და დასაფლავებისთვის, რადგან მიცვალებულს ამაზე ზრუნვა უკვე აღარ შეუძლია;

3. თუკი დაუოჯახებელი ადამიანი განიცდის შიშს ალლაჰის წინაშე საკუთარი ნაფსის ცდუნებისათვის, ის

234. ბუჰარი, ისთიქრაზი, 12, ჰავალათი, 1-2, მუსლიმი, მუსაქათი, 33.

იღებს ვალს, რათა დაქორწინდეს და ამით თავისი რწმენის სიმტკიცე შეინარჩუნოს.

მათ ვალს თვით ალლაჰი გადაიხდის განკითხვის დღეს“[235]

უეჭველია, რომ ალლაჰის უდიდებულესობა, ამგვარი სახის სესხებს განკითხვის დღეს აუნაზღაურებს მათ, ვინც ისინი გასცა და იმგვარი სიკეთეებით დააჯილდოებს, რომლებიც თავიანთ ფასს არ კარგავენ... ასეთი ანგარიშსწორება უზენაესისგან, რა თქმა უნდა, არ დატოვებს უკმაყოფილოდ მათ, ვინც სესხი გასცა და ღირსეულ სამაგიეროს იღებენ.

ეჭვგარეშეა, როგორც ჰადისი — შერიფი გვაფრთხილებს, ადამიანს, ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება წარედგინოს თავისი სესხების ანგარიში, რაც ამ მოქმედებას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომ არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა მიზანს ემსახურება და რისთვისაა განკუთვნილი ეს სესხი:

ალლაჰის გზაზე საბრძოლველად, მუსლიმანი ძმისთვის დახმარების გასაწევად, ქორწინებისათვის თუ რელიგიის დასაცავად, სულერთია, მას მაინც მოუხდება, თუნდაც განკითხვის დღეს, მისი გადახდა.

ამიტომ მან, ვინც სესხს იღებს, უნდა განსაზღვროს იმის მიხედვით რამდენსაც ის საჭიროებს. და მთელი ძალა უნდა მოიკრიბოს იმისთვის, რათა რაც შეიძლება მალე დაუბრუნოს ვალი. ხოლო ის, ვინც სესხს გასცემს, უნდა მიხვდეს, რომ ქველმოქმედება და სათნოება მას ისლამის კიდევ ერთი შესაქები თვისებით დააჯილდოებს.

---

235. იბნ მაჯა, სადაყათი, 21.

ვალების საკითხში კრედიტორიცა და მევალეც შეგნებით უნდა მოეკიდნონ ერთმანეთის მდგომარეობას და არ უნდა გაართულონ ის. მათი გრძნობების დაცვა და უფლებების შეულახველობა ძალიან მნიშვნელოვანია. ზუსტად ამაზეა დამოკიდებული ამ კეთილი ქმედების შენარჩუნება და არსებობა.

ამ მხრივ, ძალიან დამრიგებლურია შემდეგი ჰადისი:

„ერთხელ ალლაჰის შუამავალთან მივიდა კაცი თავისი ვალის დასაბრუნებლად. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თავისი საქმის არსი თავაზიანი, მშვიდი ფორმით გადმოეცა, ლაპარაკი უხეში, არაკორექტული სიტყვებით დაიწყო. რაკი მისი ასეთი საქციელი ალლაჰის შუამავლის თანადასწრებით მიუღებლად ჩათვალეს მიმდევრებმა ის გააფრთხილეს, მაგრამ შუამავალმა ნება დართო გაეგრძელებინა:

— *შეეშვით! ყველას ვისგანაც სესხი აიღეს, აქვს აზრის გამოთქმის უფლება.*[236]

მეორე მსგავსი შემთხვევა აბუ საიდი ალ-ჰუდრის მიერაა აღწერილი.

„შუამავალთან მივიდა ერთი ბედუინი და უხეში და მკაცრი ფორმით მისგან თავისი ვალის დაბრუნება მოითხოვა. მან თქვა:

— მე მანამ არ დაგანებებ თავს, სანამ ჩემსას უკანვე არ მივიღებ. იქ მყოფმა მიმდევრებმა ბედუინს შენიშვნა მისცეს:

236. ბუჰარი, ისთიქთაზი, 7; მუსლიმი, მუსაქათი, 118-122/1600-1601.

— გრცხვენოდეს! შენ, როგორც ჩანს, არც კი იცი ვის ელაპარაკები!

მაგრამ კაცი თავისას განაგრძობდა:

— მე მოვითხოვ იმას, რაც მე უფლებით მეკუთვნის.

მაშინ, ფრიად პატივცემულმა ალლაჰის შუამავალმა თავის მიმდევრებს უთხრა: „რატომ არ უნდა ვცნოთ მისი უფლება?“ და გაგზავნა კაცი ჰაულია ბინთი ქაისთან შემდეგი თხოვნით:

— თუკი თქვენ გაქვთ ხმელი ფინიკის მარაგი, გადაუხადეთ ვალი ჩემს ნაცვლად და როცა მოსავალს ავიღებთ, მაშინ გადავიხდით თქვენსას.

ჰაულიამ ასე უპასუხა:

— რა თქმა უნდა! მამაჩემი მზად არის თქვენი გულისთვის მოკვდეს კიდეც, ო, შუამავალო!

ასე დაუბრუნა ალლაჰის შუამავალმა ბედუინს თავისი ვალი, ხოლო შემდეგ ის სადილზე დაპატიჟა. ამისგამო ბედუინს ხასიათი ცოტათი გამოუკეთდა და მან სიხარულით თქვა:

— შენ მე ვალი მშვენიერი სახით დამიბრუნე. დაე, ამის სანაცვლოდ, ალლაჰმა დაგაჯილდოვოს ყველა სახის სიკეთით!

ფრიად პატივცემულმა შუამავალმა უპასუხა:

— აი, ასეთი უნდა იყოს ხალხთა შორის საუკეთესო (ვალის ანგარიშის შემნარჩუნებელი). არ არსებობს არც

ერთი საზოგადოება, რომელიც სუსტის უფლებების დაცვაზე არ ფიქრობს!..“ [237]

ალლაჰის შუამავალი, მაშინაც კი იჭერდა მსესხებლის მხარეს, თუკი მას ვალის დაბრუნებას დათქმულ დროზე ადრე მოსთხოვდნენ. ის, როგორც ისტორიაში ცნობილი არც ერთი სხვა ლიდერი, იცავდა სხვების უფლებებს. აი, სიტყვები, რომლითაც მან მოძმის დაცვისაკენ მოგვიწოდა:

„რატომ არ უნდა ვცნოთ ჩვენ მისი უფლება?“ — ეს ხომ მაღალი ზნეობის გამომვლენელი, სულის ამამაღლებელი და ყველაზე ჰუმანური გრძნობების გამღვიძებელია. შუამავალი ყოველ ადამიანს განიხილავდა რა, როგორც საკუთარი ხალხის შესაძლო მიმდევარს, მათთან ურთიერთობის არაერთი ბრძნული მაგალითი დაგვიტოვა.

მაგალითად, გადმოცემა მოგვითხრობს, რომ იუდეველთაგან ერთი ნასწავლი კაცი, სახელად ზეიდ იბნ სანა, ალლაჰის შუამავალში იმ ნიშნებს ეძებდა, რომლებზეც უკანასკნელი შუამავლის აღწერაში თევრათი (თორა) მიუთითებდა. ერთხელ მან ალლაჰის შუამავალი ალისთან ერთად დაინახა და მიჰყვა მათ. მან იხილა, როგორ მივიდა მასთან ბედუინის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი და მიმართა:

— ო, ალლაჰის შუამავალო! ამა და ამ ტომს მე ვუთხარი, რომ თუ ისინი ისლამს მიიღებენ, ალლაჰის უდიდებულესობა მათ ცხოვრებას ბარაქით აავსებს და ისინი გახდნენ მუსლიმანები. მაგრამ, თითქოს განგებ, ამ წელს

237. იბნ მაჯა, სადაყათი, 17.

ჩვენთან მოსავლის ნაკლებობა და შიმშილია. ხალხი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომ, მე ვშიშობ, ისინი უწინდელ რწმენას არ დაუბრუნდნენ. თუკი შენ უბრძანებ, შეკრიბონ რაღაც მათ დასახმარებლად მე მივუტანდი მათ.

გაიგონა რა ეს ზეიდ იბნ სანამ, მოხერხებული მომენტის გამოყენებით, მიუახლოვდა ფრიად პატივცემულ შუამავალს და წარმოთქვა:

— ო, მუჰამმედ! თუკი შენ გინდა ამ ხალხს დაეხმარო, მე შემიძლია შენ სესხი გადმოქცე.

შუამავლმა მისგან ორმოცი დინარი ისესხა და ფულის ბედუინისათვის გადაცემისას თქვა:

— მალე გაემგზავრე, რათა დახმარებით დროზე მიუსწრო.

რამდენიმე დღის შემდეგ, ძვირფასმა შუამავალმა ფრიად პატივცემულ აბუ ბაქრთან, ომართან და სხვა მიმდევრებთან ერთად ბაქის სასაფლაოზე დასაკრძალად ერთი გარდაცვლილი ადამიანის გვამი წაიღო. მიცვალებულის გასაცილებელი ნამაზის ლოცვის შემდეგ ალლაჰის შუამავალთან ჩუმად მიიპარა ზეიდ იბნ სანა და ძლიერად დაქაჩა მისი ჯუბა (ზედა ტანსაცმელი). შუამავალი, რომელმაც ვერ გაიგო რა მოხდა, გაკვირვებული უყურებდა ხან მიწაზე დავარდნილ ჯუბას, ხან ზაიდის პირქუშ სახეს და ამ დროს ზაიდი, ჩაფიქრებული გეგმის განსახორციელებლად, ალაპარაკდა:

— აპირებ თუ არა შენ ვალის დაბრუნებას, მუჰამმედ?! თქვენ ყველა, აბდულმუთალიბის ხალხი, აგვიანებთ ვალის დაბრუნებას!

თუმცა ალლაჰის შუამავლის მიერ ზეიდისათვის ვალის დაბრუნების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო.

ზეიდმა, ვინც ეს აზრი წამოაყენა,შემდეგ თქვა:

„ამ მომენტში მე შევხედე ომარს: მისი მკერდი ხან ზემოთ ადიოდა, ხან ქვემოთ. მე გული შიშისგან ყელამდე მომებჯინა. მან, თვალების დაბრიალებით, წამოიყვირა:

— ეი, ალლაჰის მტერო! როგორ ელაპარაკები შენ ალლაჰის შუამავალს! განა არაა საკმარისი რა უპატივცებულობაც გამოავლინე შენ მისდამი,? შენ კვლავ განაგრძობ სიფიცხეს! ვფიცავ იმას, ვინც შენ ამ მისიით გამოგაგზავნა, მას რომ არ ჰქონდეს შენი ვალი, თავი არ შეგრჩებოდა მხრებზე!..“

თვით შუამავალმა კი განრისხებულ ომარს, რომელმაც იუდეველს სიფიცხე ვერ აპატია, ასეთი სიტყვებით მიმართა:

— დაწყნარდი, ომარ! მეცა და ეს კაციც შენგან სრულიად სხვა საქციელს ველოდით. შენ გმართებდა ჩემთვის ვალის დაბრუნების შესახებ შეგეხსენებინა, ხოლო ამ კაცს ის სათანადო ხერხით უნდა მოეთხოვა. და თუმცა, გადასახდელი ვადის შესრულებამდე, ჯერ კიდევ სამი დღე არის დარჩენილი, მოდი, მას ახლავე დაუბრუნე ვალი და თანაც, დაუმატე იმისთვის, რომ გაიცხე და დააშინე!

ზეიდმა, რომელმაც ანგარიში სრულად ჩაიბარა, ფრიად პატივცემულ ომარს უთხრა:

— მომისმინე, ომარ! ყოველთვის, როდესაც შუამავალს ვუყურებდი, მასში შუამავლობის ბეჭედს ვხედავდი. მაგრამ დღემდე მე მასში ორი სხვა თვისების გამოვლენა-

საც ვეძებდი, რაც მის ნამდვილ შუამავლობას დაამტკიცებდა. კერძოდ, პატიობს თუ არა ის მას, ვინც უხეშად და უპატივცემულოდ მოეპყრო და უპირისპირებს თუ არა ის უხეშობასა და უპატივცემულობას შემწყნარებლობასა და სიფხიზლეს? დღეს მე სწორედ ეს შევამოწმე და დავრწმუნდი, რომ ის ჭეშმარიტი შუამავალია. მე ალლაჰს ღმერთად ვაღიარებ, ისლამს — რელიგიად, მუჰამმედს — შუამავლად. ამიტომ, ჩემი ქონების ნახევარს მუჰამმედის ხალხს ვუძღვნი და შენც იყავ ამის მოწმე!

ამით გახარებულმა ომარმა მაინც ურჩია:

— შენ არ შეგიძლია შენი ქონების მიტანა ყველა მუსლიმანამდე, ამიტომ მხოლოდ იმაზე ილაპარაკე, რისი ძალაც შეგწევს.

ზეიდი დათანხმდა.

— შენ მართალი ხარ! მე ჩემს ქონებას მორწმუნეთაგან რამდენიმეს გადავცემ.[238]

ეს ჰადისები მშვენიერი მაგალითია იმისა, რომ სულიერი სიფაქიზის გამოვლენა და სესხის მიმცემის უფლებების გულდასმით დაცვა ვალის ამღების მხრიდან, შეიძლება ღვთაებრივი წყალობისა და სიკეთის გარდმოგზავნის მიზეზად იქცეს. მასში, რომ ალლაჰის შუამავალი ხშირად იღებდა სესხს, ჩადებულია მისი ხალხისათვის ცოდნის გადაცემისა და მაგალითის მიცემის სურვილი, თუ როგორი ხერხით უნდა მოეპყრო მას, ვისთანაც შენ ვალში ხარ.

238. ჰაქიმი მუსთადრაქი, III, 700/6547.

ყველა განხილული მაგალითიდან მჟღავნდება, რომ სესხთან ურთიერთობაში სიფაქიზე და განსაკუთრებულობა უნდა გამოვიჩინოთ. ორივე მხარემ თაყვანისცემის ამ სახესთან ე.ი. სესხთან დაკავშირებული სულიერი სიმშვიდე და ლოცვა-კურთხევა, რომ არ შეგვიწყდეს, ყურადღება უნდა მივაქციოთ განსაზღვრული პირობების დაცვას.

სამწუხაროა ის, რომ დღეს სულ უფრო იშვიათად გვხვდება ისეთი პატივისცემა ერთმანეთისადმი, როგორიც სესხის გაცემაა. ის, რომ უმეტესობა მასში ხედავს ზარალს და ცდილობენ თავი აარიდონ მას, უმეტესწილად დაკავშირებულია მოხსენებული პირობების დაუცველობასთან. იმან, რომ ყიდვა-გაყიდვაში იკარგება ნდობა, სულ უფრო მეტად ჭარბობს ტყუილი და თაღლითობა, არ სრულდება მიცემული პირობები და დადებული ხელშეკრულებები, მიგვიყვანა იქამდე, რომ სესხი, როგორც თაყვანისცემის მშვენიერი სახე, დავიწყებას მიეცა. მაგრამ თუ საგანთა არსს ჩავუკვირდებით, მაშინ ნათელი ხდება, რომ უნდა დავარღვიოთ დამკვიდრებული სტერეოტიპი და ჩვენი ხედვა შევიცვალოთ. სახელდობრ, მათ ვისაც აქვთ საშუალება, არ უნდა ეძებონ საბაბი, რათა არ გასცენ სესხი; ისევე როგორც მათ, ვინც იღებს სესხს, არ უნდა გაამართლონ ვალის გადავადება თავიანთი საჭიროებისამებრ, რითაც მოახდენს საზოგადოების დისკრედიტირებას დახმარებას ამ სახეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მდიდარი ვერ შეძლებს მადლიერების გამოხატვას მისთვის ალლაჰის უდიდებულესობის მიერ ამანათად მინდობილი ქონების გამო, ხოლო გაჭირვებულები სესხის პირობების უგულებელყოფის გამო, დაკარგავენ საარსებო წყაროს მიღების საშუალებას და იძულებული იქნებიან ფული პროცენტით ისესხონ.

იმის შესახებ, თუ რა ღირსების გამომხატველია სესხის გაცემის პირობების ცოდნა, ლაპარაკია მრავალ აიათსა და ჰადისში. ისინი, ვინც არ იცავენ ამ პირობებსა და სწორ ქცევას (ადაბს), ხელს უწყობენ ამ ღირსეული ქმედების დაკარგვას ჩვენს თანამედროვეობაში და საკუთარ თავს უზარმაზარ პასუხისმგებლობას აკისრებენ. მაშინ, როცა ყოველი წარმოდგენილი წესისა და სწორ ქცევის დაცვის მიხედვით სესხი მორწმუნისათვის მარადიული ცხოვრების დასამკვიდრებელი მყარი მონაპოვარია.

ანასა იბნ მალიქი გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის თქმულს:

„მირაჯის (ცად ამაღლების) ღამეს მე დავინახე სამოთხის კარიბჭეები, რომლებზეც ეწერა:

„მოწყალება შეფასდება ათგზის აღმატებულად, გადაცემული სესხი თვრამეტჯერ გაზრდილი ანაზღაურებით შეიცვლება.“

მე ვკითხე:

— ო, ჯებრაილ! რატომ არის სესხი წყალობაზე უპირატესი?

— იმიტომ, რომ მათხოვარი (უფრო ხშირად) ითხოვს წყალობას (სადაყას), მაშინაც კი, როცა აქვს საშუალება; ხოლო ის, ვინც ითხოვს სესხს, მას ნამდვილად საჭიროებს.“ [239]

უეჭველია, მოწყალება — ესაა ჩვენი რელიგიის თაყვანისმცემელთა წახალისების ერთ-ერთი სახე. და, იმ

239. იბნ მაჯა, სადაყათი, 19/2431.

შემთხვევაში, თუკი არის ალბათობა გაჭირვებულის პირადი გრძნობების შელახვისა, წყალობაზე უმჯობესია სესხის გაცემა.

ერთ ჰადისში ნათქვამია:

„ზოგიერთ შემთხვევაში უკეთესია სესხის მიცემა, ვიდრე წყალობისა.“[240]

მრავალი წმინდა მორწმუნე, ამ კეთილშობილურ საქმეში შუამავლის დარიგებების გათვალისწინებით მოქმედებდნენ, როცა ვალს უკან კი არ იღებდნენ და ხარჯავდნენ მას, არამედ ისევ იმავე მიზნით იყენებდნენ. ე. ი. ქმნიდნენ თავისებურ ბანკს— „კარზი-ჰასანს“, მშვენიერ სესხს.

თუკი, სესხი მისი გამცემისთვის შესაქები თვისების შეძენის საშულებაა, ამღებისათვის ის არანაკლებ წამახალისებელი ქმედებაა. უქონელი, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი სესხს თუ არ მიმართავს, განსაცდელში ჩავარდნილი შეიძლება შეცდომისა და ცოდვის გზით წავიდეს. დღეს, მრავალი მათი მსგავსი საკრედიტო სისტემის ჭაობს თელავს, არ ძალუძთ რა მაღალი პროცენტის გადახდა.

ალლაჰის შუამავალი მათზე მიმართვითა და გამოფხიზლებით ვისაც შეუძლია თანხის სესხად გაცემა, ამბობდა:

„თუკი ვალი არ ემსახურება იმას, რაც ღვთის მიერაა აკრძალული, უზენაესი ალლაჰი იმყოფება მასთან ერ-

240. ალ-აზიზი, ას-სირაჯულ-მუნირი, III, 57.

თად, ვინც ვალშია მანამ, ვიდრე ადამიანი არ გადაიხდის მას.“[241]

საბოლოოდ მინდოდა მეთქვა, რომ დღეს, ისევე როგორც ისლამის თაყვანისცემის სხვა სახეები, უნდა ავაღორძინოთ სესხების კულტურა ყველა თავისი პრინციპისა და ადათის დაცვით, ასევე დაწესებული ჩარჩოების შენარჩუნებით. იმისათვის, რომ სესხმა, როგორც ისლამისთვის დამახასიათებელმა მშვენიერმა ტრადიციამ, არსებობა გააგრძელოს, საჭიროა ღრმად შევისწავლოთ, ჩავწვდეთ მის განსაკუთრებულობას და მივყვეთ მას. ხვალ, როცა ჩვენ დავუბრუნდებით მუდმივ სავანეს, მდიდრებს უკვე აღარ მიეცემათ ძველებური შესაძლებლობა, ხოლო ღარიბები მის საჭიროებას აღარ იგრძნობენ.

ამ თემის დასასრულს შეიძლება ვთქვათ, რომ სამყაროში (რომელშიც მოვედით) ჩვენ მოგვეცა სიკეთისა და ლამაზი საქმეების კეთების საშუალება. განსაკუთრებული ღვთაებრივი წყალობის მატარებელი, წმინდა რამაზანის თვე,[242] (მარხვა), წარმოადგენს შესაძლებლობას დავიბრუნოთ დაკარგული და გამოვასწოროთ ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები.

სიბრძნე და აზრის იდუმალება, რომლებიც წმინდა რამაზანის დღეთა რიგს ალამაზებს, ეხმარება მორწმუნეს რწმენის სიმშვიდის მოპოვებაში, თაყვანისცემაში, ალლაჰის ხსენებასა და გაჭირვებულების დახმარებაში. როცა გაჭირვებულთა და უმწეოთა მდგომარეობას ვი-

241. იბნ მაჯე სადაყათი, 10.

242. ეს სტატია დაწერილია რამაზნის მთვარეში.

ზიარებთ ჩვენ მათ სულიერად ვუერთდებით და ვუწევთ მხარდაჭერას. ყოველივე ეს კი იქცევა მოწყალების ჩირაღდნად მარადიულ ცხოვრებაში.

მარხვა საზეიმო მილოცვად და საკუთარი სულის სისუსტეზე გამარჯვებად იქცა, რათა განკითხვის შემდეგ მოვხვდეთ მარხული ხალხის რიგებში.

მეორე მხრივ, თუკი ამქვეყნიურ ცხოვრებას მუდმივ მარხვად წარმოვიდგენთ ჩვენს ყოველდღიურობას გავამდიდრებთ. ეს წმინდა დღეები, ხომ ყველაზე ძვირფასი გაელვებებია ჩვენს სწრაფმავალ ცხოვრებაში. თუ ჩვენ, მათ გავამდიდრებთ ლოცვა-კურთხევითა და წმინდა რამაზნის სულიერებით არ არის საეჭვო, რომ განკითხვის დღე ჩვენთვის მარადიული, საზეიმო დღის საწყისად, ცისკრად იქცევა და ეს, რა თქმა უნდა, ყველა ზეიმს შორის უმშვენიერესია.

ამის შესახებ ფრიად პატივცემულმა ბაჰლიულ დანამ ბრძნულად შენიშნა:

„ზეიმი იმისათვის კი არაა, ვინც ლამაზი და ახალი ტანსაცმლით იმოსება, არამედ იმისათვის, ვინც ღვთაებრივი რისხვისაგან თავის დაცვით განთავისუფლდა მარადიული სასჯელისაგან და ჰპოვა მარადიული ხსნა. ზეიმი არც იმათვისაა განკუთვნილი, ვინც მშვენიერი ავტომანქანის მფლობელია, არამედ იმათთვის, ვინც შეცდომებისა და ნაკლოვანებებისაგან განიწმინდა, დაემორჩილა ალლაჰის ნებას და გახდა მისი გულწრფელი მონა-მსახური...“

ო, ღმერთო! გააფართოვე ჩვენი შვილების გონებრივი ჰორიზონტები და ღვთაებრივი სილამაზის წყალობით

ჩვენ ამ ცხოვრების ზეიმისა და მარადიული ცხოვრების ზეიმის თანამონაწილედ გვაქციე! ჰქმენი ისე, რომ ყველა სიკეთე, რომელიც შენ ამ ცხოვრებაში გვიბოძე, ღირსეულად გამოვიყენოთ და ნებისმიერი ბოძებული შესაძლებლობით მოვიპოვოთ შენი კმაყოფილება! შეგვიყვანე ჩვენ იმ ბედნიერთა რიცხვში, ვინც ესწრაფის, საკუთარი რწმენით, ძმებს დაეხმაროს და შეუმსუბუქოს ამქვეყნიური ცხოვრების სიძნელეები, გადაირჩინოს თავი უბედურებისაგან და მარადიული ყოფის სირთულეებისაგან!

ამინ!...

მეგობრობა

„ო, ჭეშმარიტების თანამგზავრო, განამტკიცე მეგობრობა შენი ჭეშმარიტების საწყისთან და საფუძველთან, (შენს ღმერთთან), ვიდრე არ დამდგარა საშინელი განკითხვის დღე, რათა მან ხელის ერთი დაკვრით გადაგარჩინოს და გიხსნას იმ დღის საფრთხისაგან. მისი ნებართვის გარეშე, შენ არავინ მოგკიდებს ხელს. განკითხვის ჟამს ადამიანი გაექცევა თავის ძმებს, დედასა და მამას, ცოლსა და შვილებს. აი, ამიტომ, შეიგნე ისე, როგორც საჭიროა, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტებასთან ზიარება გაიგე, რომ ის არის შენი უკანასკნელი ამოსუნთქვის ნაყოფი.“

(მევლანა ჯალალედინ რუმი)

მეგობრობა

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ერთხელ ფრიად პატივცემული ალლაჰის შუამავალი ავად გახდა. შეიტყო რა ეს, მოციქულის მოყვარული აბუ ბაქრი იმ წუთში გაიქცა მის მოსანახულებლად, რათა გაეგო მისი ჯანმრთელობის შესახებ. დაინახა რა შეუძლოდ მყოფი ძვირფასი შუამავალი, ის ძალიან შეწუხდა და რადგანაც საკუთარ წუხილთან გამკლავება ვერ შეძლო, თვითონაც ავად გახდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ალლაჰის შუამავალი გამოჯანმრთელდა და როცა გაიგო აბუ ბაქრის ავადმყოფობის შესახებ, წავიდა მის მოსანახულებლად.

„შუამავალი მოდის შენს სანახავად!“ — გადასცეს მას.

შუამავალზე შეყვარებული სნეული იმწამსვე წამოხტა ლოგინიდან და დიდი სიხარულითა და აღტაცებით მიეგება მას. ის უკეთესად შეიქმნა და შუამავალი შინ შეიპატიჟა. ალლაჰის შუამავალმა ნახა რა ის ჯანმრთელად და კარგ გუნებაზე მყოფი, უთხრა:

— მე მითხრეს, რომ შენ ავად ხარ, აბუ ბაქრ!

ალლაჰის შუამავლის მონახულების სიხარულით და იმით მთვრალმა აბუ ბაქრმა, რომელსაც ერგო წილად, ყოფილიყო მისი უახლოესი მეგობარი, წამოიყვირა:

„— ო, შუამავალო! ჩემი მეგობარი ავად გახდა — მეც ავად გავხდი! ჩემი მეგობარი გამოჯანმრთელდა — გამოვჯანმრთელდი მეც!...“

ზუსტად თავისი მეგობრობისა და შუამავლის ძლიერი სიყვარულის გამო აბუ ბაქრს ერგო პატივი წმინდა ყურანში „ორიდან მეორედ“— მოხსენიებისა ამიტომ, ყველაზე მთავარია, გულწრფელი მეგობრობის მტკიცე, გულითადი კვანძებითა და ღვთაებრივი სიყვარულით მივეჯაჭვოთ ყველაფერს, რაშიც ალლაჰის უდიდებულესობის კმაყოფილება გამოიხატება. მხოლოდ ასეთ მეგობრობას შეუძლია ჭეშმარიტი, სულიერი სიყვარულის შემეცნებამდე და მასთან კავშირამდე მიყვანა.

იმამი ალი არ-რიზა ამბობდა:

„არსებობს ტკბილი, სულისმიერი სასმელი, რომელსაც დიდებული ალლაჰი თავის მეგობრებს მიართმევს შესასმელად; და ისინი ამ სასმელის მიღებით ივიწყებენ საკუთარ თავს, თავდავიწყებით განიცდიან აღტაცებას; აღტაცებაში მოსულნი კი იწმინდებიან; განწმენდილები იხსნებიან; გახსნილები გულწრფელობას იძენენ; გულწრფელობაშეძენილნი მზად არიან ღვთაებრივზე საწვდომად; ჩაწვდომილნი უკავშირდებიან თავიანთ მეგობრებს და როცა შეუერთდებიან მათ, ვინც უყვართ, უკვე ვეღარაფერი ვერ გათიშავს მათ.“

იმგვარი მდგომარეობა ნიშანდობლივია ჭეშმარიტი მეგობრობის შემცნობელთათვის. ზუსტად ამიტომ, ფრიად პატივცემულმა აბუ ბაქრმა, თავისი მეგობრის მდგომარეობა რომ გაეზიარებინა, სხვა ვერაფერი შეძლო, გარდა იმისა, რომ ავად გამხდარიყო. მეგობრო-

ბით ყველაზე მწარე ნაყოფი შეიჭმება ამის შესახებ მევლანა ამბობდა:

„მეგობრების წრეში მყოფი ადამიანი, გავარვარებულ ქვანახშირზე მჯდომიც კი, მიიჩნევს, რომ ზის კეთილსურნელოვანი ვარდების ბაღის ჩრდილქვეშ.“

„მეგობრებო! თუკი თქვენ რეალობისაგან გადაუხვევთ და სულიერი თვალით შეხედავთ საგნებს, დაინახავთ რომ სამოთხის ვარდების ბაღის უკან არის კიდევ უფრო მშვენიერი ვარდების ბაღი.“

მეგობრობას გამოსცდის და განამტკიცებს ერთსულოვნება საქმეში. ნამდვილი მეგობრობა მხოლოდ წმინდა სულებში არსებობს. ეს თვისება პიროვნების ყველაზე მაღალი დონის მაჩვენებელია. ორი სხვადასხვა ადამიანის მსგავსი დამოკიდებულება ერთი ამბისადმი ან ცნებისადმი არის მეგობრობის წარმოშობის ბიძგი. ნამდვილი მეგობრობა მსგავსია ელექტროგადამცემი ხაზებისა, რომლებიც ორ გულს აერთებს და გრძნობათა ამ ხაზებით მოყვარულის განცდა გადაეცემა მას, ვინც უყვარს. და მაშინ დაიწყებს ღელვას სიყვარულის ზღვა და აენთება მიჯაჭვულობის მზე.

ფრიად პატივცემულ მევლანას, სელჩუკების ერთერთ მედრესეში, მასწავლებლობის პერიოდში, ასე დაემართა. ჭეშმარიტების (მეჯზუბის) მომპოვებელ დერვიშს, სახელად შამსას, რომლის გულიც ანთებული იყო სიყვარულის ცეცხლით, ის ისეთი ძალით შეეყარა, რომ ყველა წიგნი თუ მეცნიერება მისთვის გაუფერულდა, და მის წინ გაიხსნა სამყაროს წიგნი. მაშინ, მან მხოლოდ მისი კითხვა დაიწყო. მისი განაწყენებული სულის ყვირილი დედამიწის, ადამიანის, სამყაროსა და ყურანის შემეც-

ნებაზე გადაიფრქვა ნაწარმოებში „მასნავი.“ სხვა მორწმუნეებმა იმათი მდგომარეობა რომ შეიმეცნონ, რაც ჭეშმარიტების მეგობრებს, ალლაჰთან დაახლოებულ მონა-მსახურებს ახასიათებთ (თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში), საკუთარი სიყვარული და სითბო იმისკენ უნდა მიმართონ, რაც ღვთაებრივი კეთილგანწყობილების ქვეშ მდებარეობს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ მონა-მსახურის სული, რომელიც მხოლოდ გარეგნულად იმყოფება ამქვეყნიურ სამოთხეში, იმის გამო, რომ ის შორსაა თავისი მეგობრისაგან, იწვის ჯოჯოხეთის ცეცეხლში. ამიტომ ყველა იმ კავშირს, იმ ზედაპირულ სიახლოვეს, რომელშიც არ არის საერთო განცდები, არაფერი აქვთ საერთო მეგობრობასთან. მაგალითად, აბუ ლეჰები, რომელიც ფრიად პატივცემული შუამავლის მკვიდრი ბიძა იყო, იმავდროულად ყველაზე შორებელი ადამიანიც გახლდათ მისთვის.

სულიერი გზით არსებობა უსასრულო საიდუმლოებებსა და ლაბირინთებს შეიცავს. ამგვარი ცხოვრების იერი და ფორმა განსხვავდება იმისგან, რაც სხეულს, მატერიას ახასიათებს. სულის სიღრმიდან, ამომავალი სიკეთე და მადლი აღმაფრენაა (ილჰამი). ფრიად პატივცემული შუამავლის სიყვარულმა და მეგობრობამ განაპირობა ჰირას გამოქვაბულში მისთვის პირველი შთაგონების გარდმოვლენა და მისი, შეყვარებულის თანდასწრებით, ცად ამაღლება — მირაჯი.

სიყვარული, რომელმაც კაცობრიობა მარტოობისაგან იხსნა, არის ალლაჰის წყალობა. ადამი და ევა დედამიწაზე დამკვიდრების შემდეგ, ორმოცი წლის მანძილზე მის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობდნენ. მათ შეიცნეს განშორების წუხილი. მეგობრობამ მათი სულები ერთი

მთელის ორ ნაწილად, ე.ი. ერთმთლიანობად აქცია ჰადის ში ხომ ნათქვამია:

„ადამიანი თავისი მეგობრების რელიგიას განასახიერებენ. ამიტომ ყურადღებით მოეკიდათ მას, ვინც გინდათ დაიმეგობროთ.“ [243] ის, ასევე, ამბობდა:

„ადამიანი ყოველთვის იმათთან ერთადაა, ვინც მას უყვარს“, [244] რაც სავსებით საკმარისია ამის აღსანიშნად თუ რა ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ ჩვენზე მათ ვისთანაც ვმეგობრობთ.

ამას გარდა, ეს ჰადისი განგვიმარტავს, რომ იყო იმათთან ერთად, ვინც გიყვარს, ნიშნავს იყო მათთან ერთად: სიტყვებით, სულითა და ქცევებით. იფიქრო, იგრძნო და აღიქვა ისევე, როგორც ისინი აღიქვამენ; მათთან შეწყობილი და შეხმატკბილებული უნდა იყო. სიმბოლურად რომ გავიაზროთ, ეკლებს შუა ყოფნის მიუხედავად, მთელი ჩვენი არსებით, სიტყვით, საქმით და ქცევით უნდა დავამტკიცოთ, რომ გვიყვარს ეს ვარდი. ამიტომ ისინი, ვინც მთელი თავიანთი არსებით არ იმყოფებიან ალლაჰთან და მის შუამავალთან, არ შეიძლება ისინი ჭეშმარიტ მოყვარულებად ჩავთვალოთ.

საკუთარი თავი სწორედ ამ კუთხით უნდა შევაფასოთ და ხმამაღლა არ უნდა გამოვაცხადოთ: „მე მიყვარს ალლაჰი და მისი შუამავალი“, ამასთანავე, უდარდელი და უმეცარი ცხოვრების გამო, შეიძლება ამ ჰადისით დაპირებული ბედნიერება ვერ დავიმსახუროთ. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჭეშმარიტი ურთიერთსიყვარული მხოლოდ

243. აჰმედ ბინ ჰანბელი, 11, 303, 304.

244. ბუჰარი, ადაბი, 96

მაშინ დამყარდება, როცა მიღწეული იქნება აღქმათა და განცდათა ერთიანობა. დიდებული გამჩენი ახლო მეგობრების გულებში საკვირველ ბაღებს ამოზრდის. რამდენად მშვენიერია აბუ ბაქრის მაგალითი, რომელსაც ერგო პატივი ასეთი მეგობრებიდან პირველი ყოფილიყო.

ის სიმშვიდეს და სულიერ სიყვარულს ალლაჰის შუამავლისაკენ მისწრაფებაში, სულიერ აღტაცებასა და საკუთარ მეგობრებთან საუბარში პოულობდა. ერთხელ აბუ ბაქრისადმი განსაკუთრებული სიყვარულით განწყობილმა შუამავალმა მისი საქციელით აღტაცება გამოხატა. კონკრეტულად, მაშინ, როცა მან მთელი თავისი მეგობრობა ალლაჰს შესწირა. თავისი თვითშეზღუდვის სიმაღლე კი არა, ალლაჰის შუამავლის ამქვეყნიდან წასვლის წინათგრძნობა გახდა მიზეზი იმისა, რომ მან არავითარი მნიშვნელობა არ მიაქცია მისკენ მიმართულ სიტყვას. გარდაუვალი განშორების გრძნობა და მწველი ცეცხლით შეპყრობილი მისი სული იყო მისი ტანჯვის მიზეზი. თავისი საიდუმლოს განდობისას, ის ამბობდა:

„ო, ალლაჰის შუამავალო! შენ და მხოლოდ შენ გეკუთვნის ჩემი სული და ქონება?“[245]

მევლანამ, გაიგო რა ასეთი სულების ჭეშმარიტი სიმაღლის შესახებ, თქვა:

ალლაჰთან ერთად ყოფნისა და მასთან მიახლოვების მსურველი ადამიანი, დაე, იმყოფებოდეს კეთილისმქნელთა საზოგადოებაში, ალლაჰის მეგობრებთა (ალლაჰის შემმეცნებლებთა) შორის.

245. იბნ მაჯე მუყადდიმა, 11.

მაშინ, როცა მეგობრები ერთად იმყოფებიან, მათ წინაშე იშლება და იკითხება წმინდა სჯულის ფიცრის ათასი საიდუმლო.

ერთმა პოეტმა თქვა:

„თუკი ერთად შეკრებილი რამდენიმე ადამიანი, რაღაც დროის მანძილზე ილაპარაკებს უზენაეს ღმერთზე, ჭეშმარიტებაზე, მაშინ იმ მიწას, სადაც ისინი შეიკრიბნენ, ეთაყვანება ცა...“

შეიხ სადი, მათზე, ვისაც ღვთაებრივი გამოვლინებების ჭვრეტის უნარი ერგოთ ყოველგვარი მიწიერის შესახებ, ამბობდა:

„მეგობრების დანახვა მათთვის იმ ბალზამის თანაბარია, რომლითაც მათი სულის ახალი ჭრილობები მოშუშდება.“

ალლაჰის უდიდებულესობა ამგვარ ადამიანთა შესახებ აცხადებს:



„თქვენი მეგობარი მხოლოდ ალლაჰი და მისი შუამავალია, და მორწმუნენი, რომლებიც ლოცვას აღავლენენ, ზექათს გასცემენ და ისინი ქედმოხრილნი არიან;“[246]

246. მაიდე, 5/55.

ბედნიერია ის, ვინც სასიყვარულო კვანძების გაწყვეტითა და წუთისოფლის ხაფანგიდან გამოსვლით ჰპოვა მუდმივი მეგობრობა ალლაჰის ჭეშმარიტ სიყვარულში და მთელი სულითა და გულით მიეჯაჭვა ფრიად პატივცემულ მის შუამავალს და იხარებს რწმენის მიმღებთა ცენტრში ყოფნით. მათზე, ვინც მეგობრობის ეს ჭეშმარიტება ვერ იწვნია, ფრიად პატივცემულმა მევლანამ თქვა:

„კარგად იცოდე, რომ ყველა შენი დროებითი და მერყევი მეგობარი ამ ცხოვრების ცრუ სიყვარულით შეპყრობილ, შენს მტრად, შენს ჯალათად გადაიქცევა.“

შენ ხომ საფლავში აღმოჩენისას მოუხმობ, შეევედრები ალლაჰს: „ო, ღმერთო, ნუ დამტოვებ მე მარტო!“

ცხოვრებაზე საკუთარი, სწორი შთაბეჭდილების შექმნა, სამყაროს წიგნის სიღრმისეული აღქმა და გააზრება და მასში ჩადებული სიბრძნის გაგება მხოლოდ იმ გმირებს შეუძლიათ, ვინც ჭეშმარიტი მეგობრობის, ღვთაებრივი სიყვარულისა და შთაგონების სილამაზე იწვნია.

იბრაჰიმი, „ხალილულაჰი“ (ალლაჰის მეგობარი), მიუხედავად იმ მდგომარეობის მთელი სიმძიმისა, რომელშიც ის აღმოჩნდა, ცხოვრებას ალლაჰის იმედით ატარებდა და მას დაუმორჩილა საკუთარი ბედი, რაც ჭეშმარიტი მეგობრობის პირველი პირობაა. ამიტომ ის სულის სიღრმეში არანაირ შიშსა და ეჭვს განიცდიდა. იმ მომენტში, როცა ის ცეცხლმა აიტაცა, გამოჩნდნენ ანგელოზები და მას დახმარება შესთავაზეს. მაგრამ იბრაჰიმმა მათ ასე უპასუხა:

„ნუ ჩადგებით მეგობრებს შორის! მე კმაყოფილი ვარ ყველაფრით, რასაც ჩემი ალლაჰი მისურვებს; თუკი გა-

დამარჩენს- წყალობას იქმს, და თუ დამწვავს – ჩემივე დანაშაულის გამო. მე ვიქნები მომთმენი ალლაჰის ნებით... შემდეგ მან თქვა:

„ო, ჭეშმარიტად უსუსურო (ალ-ჰალიმ)! თქვი, ვინ აღაგზნებს და ააგიზგიზებს ცეცხლს მხოლოდ ბრძანებით?!“

ბოლოს მისი უდიდესი მეგობრისაგან, ალლაჰისაგან ბრძანება გადმოვიდა და ცეცხლი უსაფრთხოდ და გრილად იქცა იბრაჰიმისათვის. იბრაჰიმის რწმენა და თავგანწირვა იქცა იმ წმინდა აიათის გარდმოვლენის მიზეზი, რომლითაც ალლაჰის უდიდებულესობა თავის შუამავალს პატივით მოსავს.

ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

„და იბრაჰიმის, რომელმაც სრულად აღასრულა აღთქმა.“ [247]

აღთქმული სიტყვისადმი მსგავსი ნდობა და თავგანწირვა ყველაფერში უნდა იგრძნობოდეს. მეგობრობა მათ მიერ ამ პირობის ურთიერთდაცვაზეცაა დამოკიდებული. მათ, ვინც ერთხელ მაინც შეძლეს ქცეულიყვნენ გულითად და სანდო მეგობრად, ამავდროულად გამოჩენილ პიროვნებებს წარმოადგენდნენ რელიგიაშიცა და ისტორიაშიც.

აბუ ოსმან ჰირი ამბობს:

247. ნეჯმი, 53/37.

„ალლაჰის უდიდებულესობასთან მეგობრობა ჩვენს მშვენიერ ზნეობასა და კონტროლში გამოიხატება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გამუდმებით ვიმყოფებით მისი უდიდებულესობის მზერის ქვეშ. ალლაჰის შუამავალთან მეგობრობა - ესაა მისი სუნნეთების დაცვა. მასზე სიყვარულით დაქვემდებარება და მორჩილება; სამართლიან ადამიანებთან ურთიერთობა, მათი პატივისცემა და მათდამი მსახურება. ჭეშმარიტი მეგობრობა ესაა შევხდეთ ღიმილით მათ, ვინც არაა მშვენიერი ზნეობის გამოვლინება; უცოდინრებთან დამეგობრება კი განპირობებული უნდა იყოს მათი მოქცევისა და ჭეშმარიტების გზაზე დაყენების სურვილით."

ყოველ მეგობრობასა და ამხანაგობას მისთვის ჩვეული თავისებურებები და მეთოდები ახასიათებს. მხოლოდ მათი დაცვით გაგრძელდება ეს ამხანაგობა და მეგობრობა. მათ გულებში კი შედეგად სიყვარულის ტაძარი დაისადგურებს. მაგრამ, თუკი მეგობრობა და ამხანაგობა არ იქნება ზნეობრივი ნორმების შესაბამისი, სიყვარულის ძაფები მტრობის კვანძებად გარდაისახება. ამის გამო, მეგობრებთან ურთიერთობისას და ლაპარაკისას საჭიროა, ყურადღებითა და სიფრთხილით ვიყოთ. ზოგიერთი სიტყვა ხომ ბასრი ხმლის – მსგავსად კვეთს და ანადგურებს მეგობრობას. გულში კი უკურნებელ ჭრილობებს ტოვებს. ის ხომ სულში გახარებული სიყვარულის ყვავილებს ახმობს და აჭკნობს. მაგრამ არის სიტყვები, რომლებიც გაზაფხულის წვიმის მსგავსად გააცოცხლებს ირგვლივ ყოველივეს და დიდ სარგებელს მოიტანს.

და პირიქით, არ შეიძლება ძალად მეგობრობის ჭეშმარიტ მეგობრობად ჩათვლა. მეგობრობა, რომელიც რა-

ღაც ანგარიშებსა და წუთისოფლის ინტერესებს ეყრდნობა, მსგავსია ბასრი დანის პირზე მიკრული ძაფისა, რომელსაც ადრე თუ გვიან გადაჭრის ის დანა. არ არის საეჭვო, რომ მსგავსი ხასიათის მეგობრობა არც ამქვეყნიური ცხოვრებისთვისაა სასარგებლო და არც მომავალი ცხოვრებისთვის გამოდგება. ის მხოლოდ ჭეშმარიტი მეგობრების რიცხვს შეამცირებს ორთავე სამყაროში. ამიტომ, რამდენადაც მნიშვნელოვანია იმეგობრო ღირსეულ ხალხთან, იმდენადვე მნიშვნელოვანია გაუფრთხილდე მას.

თუკი გულში ჩასახული სიყვარული ისე გაიზრდება, რომ მთელ ხმელეთს დაიპყრობს, ის თავის პატრონს სრულყოფილ მორწმუნედ აქცევს, სხვაგვარად რომ ვთქვათ - ჭეშმარიტ მოყვარულად, წმინდანად. სიყვარული, რომელიც წარმოიშობა სიღრმისეულად, მთელი თავისი მიმზიდველობითა და გატაცებით, მსგავსია კოკორისა, რომელიც ღვთაებრივი სიყვარულით იშლება და თავისი სილამაზით იპყრობს მთელ ხმელეთს (მისი შემქმნელის სახელით).

მაგრამ ისინი, ვინც ამქვეყნიურ მიმზიდველობებს ვერ აღუდგებიან ვერ მიაღწევენ ამ სრულყოფილებას. მხოლოდ ის მონა-მსახური, რომელიც ამქვეყნიურ ლტოლვებს გადალახავს, შეძლებს ეზიაროს ჭეშმარიტ სიყვარულსა და მეგობრობას. სხვა გზით ეს არ შეიძლება. შეიხ ბაჰაუთდინ ნახშიბენდი გვიყვება ასეთ მაგალითს იმათზე, ვინც ვერ შეძლო ამ მანკიერების გადალახვა:

„ერთი ახალგაზრდა ხელმწიფის სასახლეში მივიდა და განაცხადა, რომ მის ქალიშვილზე იყო შეყვარებული. როცა ამ ამბავმა ხელმწიფის ქალიშვილამდეც მიაღწია,

ახალგაზრდა ქალბატონი სასახლის კარიბჭეს მიუახლოვდა და უთხრა:

— აიღე, ეს ათასი დირჰემი და არ თქვა ის, რასაც შეუძლია ორთავე დაგვაზარალოს.

როცა ახალგაზრდა უარზე დადგა, მაშინ მან შესთავაზა:

— თუკი ეგრეა, ორი ათასი დირჰემი აიღე!

ის ისევ უარზე იყო და როცა ციფრი ათი ათას დირჰემამდე გაიზარდა, ის დასთანხმდა. ამის პასუხად ხელმწიფის ქალიშვილმა წამოიყვირა:

- როგორ ამბობ შენ რომ გიყვარვარ, როცა ფულმა თვალები დაგიბნელა და შენ ვეღარ მხედავ მე? იცი შენ თუ არა რა მოსდით მათ, ვინც ჩემზე მეტ უპირატესობას სხვა რამეს ანიჭებს? ისინი საკუთარ თავს ემშვიდობებიან! ხელმწიფის ასულმა ვაჟი გაკეთებული არჩევანის გამო შორს გააძევა.

ამის გამგონე ერთმა გონიერმა ადამიანმა გონება დაკარგა. გონს მოსვლისას კი თქვა:

- ო, ხალხო! დაფიქრდით, მათ ხვედრზე, ვინც ცრუ ფასეულობებს ირჩევს! რა მოუვათ განკითხვის დღეს მათ, ვინც მხოლოდ ამტკიცებენ, რომ უყვართ უზენაესი და საქმით კი სხვა რამისაკენ მიისწრაფვიან!..“

სიყვარულის ჭეშმარიტება ალლაჰის მიმართ გაღებული მსხვერპლისა და იმ რისკის მიხედვით იზომება, რომელშიც ადამიანი რწმენის გამო შეიძლება აღმოჩნდეს. ის, ვისაც ჯძლიერ უყვარს, მეგობრის გამო თვით

საკუთარ სიცოცხლეს გაიღებს და არაფრად ჩათვლის, საკუთარ თავგანწირვას. მისთვის, ვისაც სიყვარული და მეგობრობა არ განუცდია, უცხო იქნება სრულყოფილების გზა. მისთვის ეს ნიშნავს, რომ მას მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს. ის გული კი, რომელსაც სიყვარული არ შეუძლია, მსგავსია დაუმუშავებელი მიწისა. ხოლო ადამიანის განათლების დონე მისი სიყვარულის უნარით გამოიხატება. მთელი სამყაროს არსებობის მიზეზი ხომ სიყვარულია. ცნობილ ჰადისი-ქუდსიში უზენაესი გამჩენი ამბობს:

„მე ვიყავი განძის ფარული მფლობელი, მაგრამ ვისურვე, რომ შეეტყოთ ჩემს შესახებ და შევქმენი მთელი ხმელეთი.“

აი, რატომ ხდება ღვთაებრივი საიდუმლოებების ხილვა შესაძლებელი მხოლოდ მათთვის, ვინც ჰპოვა სიყვარული და მეგობრობა. ამიტომ ისინი, ჭეშმარიტად არსებულთან ერთად ალლაჰის გამოვლინებებს არა მარტო ხალხში ხედავენ, არამედ შეუძლიათ იმ ღვთაებრივ გამოვლინებებსაც უთვალთვალონ, რაც მათ გარშემო, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროშია გაბნეული.

მამაჩემი, მუსა ეფენდი მომითხრობდა ერთ შემთხვევაზე, რომელიც მას გადახდა თავს და ამტკიცებდა ცხოველებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას და ამ მეგობრობის მნიშვნელობას.

იუნუსის სიყვარული და მეგობრობა ნარცისისადმი ამ შემთხვევის მსგავსია. სულები, რომლებიც ბუნების სახით ძლევამოსილ მეგობარს ვერ ამჩნევენ, ბრმანი არიან. ადამიანების გულები, რომლებმაც არ იციან ბუნებასთან საუბარი, უგრძნობელები არიან; ხოლო სუ-

ლები, რომლებიც მეგობარს ხალხთა შორის ეძებენ და არ შეუძლიათ ნახვა, პოულობენ მას ბუნებაში. მდინარე, მწვანე საფარი, მთები, ყვავილები ყოველი ადამიანის გულს მეგობრობის მწვანე სონეტებით ეჩურჩულებიან. ამ მელოდიით აღფართოვნებული გულები აღმაფრენით ივსება ღვთაებრივი ხელოვნების საუცხოო ქმნილების სახით. ის მასთან გრძნობების ენაზე საუბრობს. ზუსტად, მარად ახლო მყოფი მეგობრის სიყვარულის სიღრმის მოპოვებით იხსნება მრავალი ღვთაებრივი საიდუმლო და ისინი თვითონ პოულობენ სიყვარულს. ასევე, ეული და მოხეტიალე, ამ გზით პოულობს განკურნებას თავისი ავადმყოფობისაგან და წუხილისაგან თავისუფლდება. დაახლოება სამყაროს მუდმივ მოძრაობასთან, ბუნების საიდუმლოებებთან და გამოცანებთან ამძაფრებს შინაგან გრძნობებს და ქმნის ალლაჰთან მეგობრობისთვის კეთილგანწყობილ, ღვთაებრივი ცოდნით სავსე ატმოსფეროს. ხმელეთი ხომ მთელი თავისი მრავალფეროვნებით მსგავსია იმ საფეხურებისა, რომლებსაც ყველაზე რჩეული მეგობრები თანმიმდევრულად მიჰყავს ძლევამოსილ მეგობართან, ამ დიდებულების ჭეშმარიტ გამჩენთან. ამ საფეხურების გავლით ადამიანები ალლაჰთან საუბრის ნიჭს იძენენ. ამ ხარისხს მიღწეული მორწმუნე, სადაც უნდა იყოს, ყოველთვის იქნება ალლაჰთან ერთად. მასთან მუდმივი სიახლოვის გამო კი, მისი სახე ღვთაებრივ შუქს გამოასხივებს.

ყველა ეს ბედნიერი და გაცისკროვნებული სახე ხალხისა და მთელი სამყაროსთვის მატერიალური თუ სულიერი წყალობის წყაროდ და ლოცვა-კურთხევად იქცევა.

ადამიანი, რომლის მოვალეობაცაა თავის სულიერებაში მომხდარი მაგალითები და ისტორიულ პიროვნებათა სახეები შეიტანოს ყურადღებით, გულის მზერით უნდა შეხვდეს განთიადს, ეს ალლაჰთან დაახლოებულ მონა-მსახურებს ახასიათებთ. დაე, დავტკბეთ იმ სხვადასხვაგვარი ფერებით მდიდარი სურათებით, რომლებიც ცის კამარაზე წარმოიქმნება. დაე, მოვიხიბლოთ მხატვრების მაღალი ხელოვნებით. დაე, ვიგრძნოთ მისი ძალის აღმატებულება ყველა წარმავალზე; დაე, ვაღიაროთ მისი გაჩენილების სრულყოფილება და, როცა ჩვენ ამ ყველაფერს ვხედავთ, მაშინ თვალნათლივ აღვიქვამთ ძლევამოსილებას, რომელიც ასე იოლად და მოხერხებულად უსვამს საღებავებს სამყაროს ტილოს. შეხედეთ ვარდებს, შეხედეთ იებს!... ნუთუ, ისინი თავიანთ საუცხოო ფერებს მხოლოდ შავი ნიადაგიდან იღებენ? ვერავინ შეუდგება და ვერც შეძლებს ალლაჰის იმ, ჯერ კიდევ უცნობ და უხილავ საკვირველებათა რიცხვის დათვლას, რომელიც სამყაროში იმალება... მხოლოდ მჭვრეტელ გულს შეუძლია გახდეს ამ საოცრებათა გალერეის მნახველი. ეს ყველაფერი ხომ ალლაჰის უდიდებულესობის განუმეორებლობის განსახიერება და მტკიცებულებაა. ამიტომ „მიმოიხედე გარშემო (და დაადგინე), არის თუ არა (ქმნილებაში) თუნდაც მცირეოდენი ხარვეზი. შემდეგ მიაპყარი შენი მზერა ირგვლივ და ის ისევ შენ დაგიბრუნდება დაბნეული და დაქანცული.“

მაგრამ, სამწუხაროა, რომ გონება და მისი ლოგიკა, უმეტეს შემთხვევაში, მსგავსია გლუვი კლდეებისა, რომლებსაც არ შეუძლიათ იმ წვიმის წვეთის შეწოვაც კი, რომელიც მას დაეცემა.

დაე, ჩვენმა ალლაჰმა დაგვაჯილდოვოს ღვთაებრივი ხელოვნებით შექმნილი ნაწარმოებების ღრმა აღქმის ნიჭით. მათი წყალობით კი ჩვენი ფიქრები და გრძნობები ამგვარსავე სიღრმესა და სულიერ სიმაღლეს შეიძენენ.

საჭიროა დავაკვირდეთ და სერიოზულად დავფიქრდეთ იმაზე, რომ ღვთაებრივი ძლევამოსილების აღიარების მიუხედავად, ჩვენი სურვილები გულმავიწყობის სქელ საბურველში გვახვევენ და ღვთაებრივ სიყვარულსა და მეგობრობას მოკვეთილი ვრჩებით. მათ, ვინც ამ მხრივ უყურადღებოდაა, პოეტი აფრთხილებს:

თუკი უცხო მხარიდან მარადიულ სამყაროში მიდიხარ ისე, რომ არ გითქვამს სიტყვა —„მეგობარო“, მაშინ ის დღე ახალ უცხო ქვეყნად შემოგიბრუნდება!...

ფრიად პატივცემული მევლანა კი ამის შესახებ შენიშნავს:

„ო, ჭეშმარიტების მგზავრო, იმ დღემდე, როცა დედამიწა გავარვარდება და არ იქნება არავინ, ვინც შენ დაგიხსნის; ამ ცხოვრებაში დაუმეგობრდი ჭეშმარიტ მფლობელს, რათა განკითხვის დღეს მან ჩაგჭიდოს ხელი. იმ დღეს ხომ არავის შეეძლება უზენაესის ნებართვის გარეშე, შენი ხელის მოკიდებით გადარჩენა. იმ დღეს ადამიანი განერიდება თავის ძმებს, დედასა და მამას, ცოლსა და შვილებს.“

ამიტომ: გაიგე, როგორც საჭიროა, რა არის ნამდვილი მეგობრობა, რომ მასში - დასაწყისია უკანასკნელი ამოსუნთქვისა. ე. ი. ის – იმქვეყნისთვისაა განკუთვნილი, ალლაჰის სახელისათვის.“

იუნუს ემრე, რომელმაც სიცოცხლე ამგვარი სიყვარულის საიდუმლოს შეცნობას მიუძღვნა, გულების „უდიდებულესი მეგობრის“— სიყვარულისკენ, მგზნებარედ მოუწოდებდა:

ვიაროთ, სანამ გული ფეთქვას შეწყვეტს,
სანამ ჩვენს სხეულს დატოვებს სული...
და ვიდრე მტერი ჩადგება ჩვენში
ისწრაფე, სულო, მეგობრისაკენ!

ჩვენ არ დავრჩებით ამ სამყაროში,
ვერ მოგვატყუებს წუთისოფელი,
სანამ ერთად ვართ-განუყოფელნი,
სულო, ვისწრაფოთ მეგობრისაკენ!

და როცა წავალთ ამ ცხოვრებიდან,
გავემგზავრებით უზენაესთან,
გადავლახავთ რა სურვილს და შიშებს,
სულო, ვისწრაფოთ მეგობრისაკენ!

ვიდრე სიკვდილი არ მოგვდგომია,
და არ დამდგარა მისი საათი,
არ ჩამოსულა არც აზრაილი,
ისწრაფე სულო მეგობრისაკენ!

ეს მიპატიჟება არსით ერთ-ერთი იმ სიყვარულის განსახიერება და მიჯაჭვულობაა, რომელსაც შუამავლის მიერ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთს წარმოთქმული სიტყვები შეიცავდა:

„ო, ჩემო ალლაჰო! რაფიყი - აღლა, რაფიყი - აღლა (უდიდებულესო მეგობარო, უდიდებულესო მეგობარო)!...“

სულებს, რომლებმაც შეძლეს ამ განსახიერებებიდან თავიანთი წილი მიეღოთ, შეუძლიათ ღვთაებრივი მეგობრობის მწვერვალამდე მიაღწიონ და თავიანთი მოგზაურობის დროს, მარადიულობაში, შეძლებენ ალლაჰის პირობის საიდუმლოს მიღწევას.

[illegible]

„მაშ, იცოდეთ, რომ უეჭველად, ალლაჰის მეგობრებს არც შიში ექნებათ და არც ინაღვლებენ ეგენი! “ [248]

ო, ღმერთო! განგვიმტკიცე გულები ისეთი მეგობრობით, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ შენს ღვთაებრივ კმაყოფილებამდე! ჰქმენი ისე, რომ ჩვენ შენთვის ვიყოთ საყვარელი და ჩვენც აგრეთვე გვიყვარდე შენ, გაგვახარე ჩვენ!

ამინ!...

248. იუნუსი, 10/62.

მიცემული სიტყვის ერთგულება

გამჩენისადმი ერთგულება მხოლოდ და მხოლოდ მისი ბრძანებების შესრულებით მტკიცდება. სწორედ მსგავსი ერთგულებაა მისკენ მიმართული გრძნობებისა და ქცევების მწვერვალი. უზენაესი ალლაჰია ჩვენთვის სიცოცხლისა და ყოველივე იმის მომცემი, რასაც ყოველ წუთს ვსაჭიროებთ. ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილიც მის ძალაუფლებაშია. ამიტომ, მისი სიყვარული და ფლობა უნარისა ყოველი ამოსუნთქვისას იყო მასზე მიჯაჭვული, არის მორჩილების უმაღლესი მწვერვალი და ერთგულე-ბის გამოვლინება.

მიცემული სიტყვის ერთგულება

ერთგულება ხომ ისლამის ერთ-ერთი თვისებაა და შეიძლება ყველაზე მთავარიც მათგან. თუმცა ისლამის ძირითად არსს რწმენა წარმოადგენს. მაგრამ ჭეშმარიტებაა ისიც, რომ რწმენა განსაზღვრული ხარისხით ერთგულების გამოვლინებაა. ერთგულება კი ეს მიცემული სიტყვის დაცვაა. ხოლო რწმენა, არის მთელი ჩვენი სულით ალლაჰის ერთგულების დამტკიცება, მისი სიტყვებში გამოხატვა და ამ სამყაროში საკუთარი ფიცის დაცვა და შესრულება.

მაგრამ, ამასთან ერთად, ერთგულება — არა მარტო მიცემული პირობის მიმდევრობაა, ეს — გულწრფელობაა ალლაჰთან მიმართებაში და მისდამი არსებული გრძნობების უცვლელობა, ასევე ჩვენ ქცევებში გამოსახული მადლიერება ჩვენი მშობლების, ნათესავების, მორწმუნე ძმების, სწავლულებისა და წმინდანებისადმი, ვინც ჩვენამდე მოიტანა რწმენის მადლი შუამავლებისაგან. უნდა შევძლოთ მათთან გულების გაერთიანება და ამ მდგომარეობის ბოლომდე დაცვა.

სიტყვა „ერთგულებას“, მადლის მსგავსად ორი მხარე, აქვს: აქედან ერთი, ნიშნავს „მადლიერებას, სამართლიანობას, ჭეშმარიტების გზის მიმდევრობას.“ ასეთი ყოვლისმომცველი გაგების თვალსაზრისით, ნებისმიერი ტერმინი, თუნდ მოქმედება, რომელიც დამახასიათებელია რწმენისათვის, მიეკუთვნება აგრეთვე, ერთგულე-

ბასაც, ხოლო ტერმინები და მოქმედებები, დამახასიათებელი ურწმუნოებისთვის, მიეკუთვნება ურწმუნოებას.

ერთგულება — ესაა თვისება, რომელიც შუამავლების, წმინდანებისა და სრულყოფილების მფლობელთათვის არის დამახასიათებელი და ზნეობრიობის მწვერვალი, კაცობრიობის ცხოვრების დამაგვირგვინებელია. ამიტომ, ზოგიერთი ყურანის კომენტატორები (მუფასირები) ამბობს, რომ ისლამი, ისლამური დამოწმების წარმოთქმა და რწმენა მთელი გულით, ალლაჰის უდიდებულესობისადმი მორჩილების გამოხატულებაა საკუთარი ბედისა და რწმენის წინასწარ განსაზღვრულობის აღიარებით.

ისინი, რომელთა სულებმაც შეძლეს თავიანთი წილის ამოხვრეპა რწმენის წყაროდან, მათი მსგავსნი არიან, ვინც თავიანთი ცდუნების ცეცხლი აყვავებულ ბალახად გადააქციეს. ამ ბაღებში ალლაჰის მოსახსენიებელი ვარდები იშლება, მღერიან ალლაჰის მადიდებელი ბულბულები, ხარობს რწმენის მდელოები, აღმოცენდება ღვთაებრივი სიკეთის მატარებელი ყვავილები და მოედინება უმწიკვლო ქმედებების მდინარეები. ასეთი სულების ჯილდო იქნება თვით, მათ მიერ სამოთხის უმაღლესი დონეებისა და ალლაჰის პირისპირ ხილვა. ასეთი სულების წინ ცეცხლიც კი იცვლის თავის ბუნებას და აყვავებულ ბაღად გარდაისახება. ამის ცოცხალი მაგალითია — იბრაჰიმის ცეცხლში ჩაგდება ნემრუდის მიერ. ცეცხლი იმდენად მგზნებარე იყო, რომ მისი ენები მთას სწვდებოდა. ალლაჰის უდიდებულესობის ბრძანებით:

„ჩვენ ვთქვით: „ჰეი, ცეცხლო! იქმენ სიგრილედ და უვნებლად იბრაჰიმის მიმართ!“ [249] — ის აყვავებულ ბაღად გადაიქცა. იბრაჰიმმა კი ვიდრე ცეცხლში ჩააგდებდნენ, მანამ ჩააქრო წყლით თავისი ერთგულების გამომცდელი ცეცხლი და შუამავლად იქცა, რომელიც ყველაფერში ალლაჰის უდიდებულესობის ერთგული გახლდათ.

ძვირფასი შუამავლის ცხოვრება იქცა უსვათულ-ჰასანად, ყველაზე მშვენიერ მაგალითად. ის რწმენის განსამტკიცებლად საუკეთესო ნიმუშია. მექის აღების შემდეგ სიცოცხლის ნიშანწყალი მასში თხუთმეტი დღის მანძილზე კიდევ იყო.

ამის გამო ზოგიერთი ანსარი შეწუხდა და წუხილით დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შუამავალი შეიძლებოდა მედინაში ვეღარ დაბრუნებულიყო. ალლაჰის უდიდებულესობამ ხომ ის გამარჯვებითა და დალოცვილ, წმინდა ქალაქში დაბრუნებით დააჯილდოვა, იქ სადაც ის დაიბადა და გაიზარდა. შენიშნა რა, შუამავალმა ანსარებში ეს ცვლილება, მივიდა მათთან და ჰკითხა:

— რაზე ლაპარაკობდით თქვენ?

როცა მათი შეწუხების მიზეზი შეიტყო, უმაღლესი ერთგულების მაგალითის გამოვლენით წარმოთქვა:

— ო, ანსარებო! სასურველი მოქმედების მოსახდენად თვით ალლაჰის უდიდებულესობას მივმართავ. მე თქვენს ქალაქში ჰიჯრა შევასრულე, ამიტომ ჩემი სიცო-

249. ენბია, 21/69.

ცხლე - თქვენი სიცოცხლეა და ჩემი აღსასრულიც თქვენი თანდასწრებით მოხდება.[250]

შუამავალი თავისი სასიკვდილო ავადმყოფობის მიუხედავად, საბოლოოდ მაინც ავიდა თავისი მეჩეთის მინბერზე და მუჰაჯირებს მიმართა:

„მე, გიანდერძებ თქვენ, რომ კარგად მოეპყროთ ანსარებს. ისინი — ჩემს თემს, ჩემს თანამოაზრეებსა და საყრდენს წარმოადგენდნენ. ისინი სრულად ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს, მაგრამ გაწეული მსახურებისათვის მათ შესაფერისი ჯილდო ჯერ არ მიუღიათ. (მისი უმეტესი ნაწილი ხომ იმქვეყნად გაიცემა). ამიტომ ანსართა შორის სიკეთით მოეკიდეთ მათ, ვინც უბრალო და მართალია, ვინც ღვთისმოსავია და შეუნდეთ იმათაც, ვინც ბოროტებას სჩადის.“ [251] *და, თქვა რა ეს, თავისი ერთგულება სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც დაამტკიცა.*

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი შუამავალი იყო კაცობრიობისათვის ერთგულების უმაღლესი ხარისხის საჩვენებელი მაგალითი. იმისათვის, რათა ალლაჰის უდიდებულესობის სიყვარული დავიმსახუროთ ჩვენი სულები, ვალდებული არიან იცხოვრონ ერთგულების იმ კრიტერიუმების დაცვით, რომლებზეც ჩვენ ჭეშმარიტების გზის მეგზურმა - ალლაჰის შუამავალმა მიგვითითა. ჩამოვთვალოთ ეს კრიტერიუმები:

250. მუსლიმი, ჯიჰადი, 86; აჰმად ბინი ჰანბალი, მუსნადი, 11, 538.

251. ბუჰარი, მანაქიბულ-ანსარი, 11.

1. ერთგულება სამყაროს გამჩენი — ალლაჰისადმი

ერთგულების ყველაზე პირველი გამოვლინება და მისი წარმატებული შედეგი - ალლაჰის უდიდებულესობის ერთგულებაა. უზენაესმა გამჩენმა ხომ მარადიული ცხოვრების წინარე პერიოდში სულებს, რომლებიც მან შექმნა მიმართა:

„... „განა არა ვარ თქვენი ღმერთი მე?“ უთხრეს: „დიახ, ვაღიარეთ ჩვენ...“ [252]

ამ დიალოგის გარდა არსად გვევლინება ფიცი, სადაც ჩვენს გამჩენს სიტყვას ვაძლევთ, ის ჩვენი ღმერთია, ჩვენ კი - მისი მონამსახურები. ის, ვინც ამ ფიცს დაიცავს შეუძლია ისლამის პირობათა (დებულებათა) დაცვით და მსახურების გულწრფელი შესრულებით დაამტკიცოს თავისი ერთგულება. ერთგულებისათვის მარტო სიტყვები არ კმარა. ფიცის მიღება ადამიანს მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებს, რომლებიც მთელი გონებითა და სხეულით სრულდება. ეს კი ალლაჰის ბრძანებისადმი მორჩილება და იმის აცილების, მცდელობაა, რაც მან აკრძალა.

ეს ნიშნავს, რომ გამჩენისადმი ერთგულება მისი ბრძანებების უკლებლივ შესრულებით მტკიცდება. სწორედ მსგავსი ერთგულება არის მისკენ მიმართული გრძნობებისა და ქცევების მწვერვალი.

---

252. არაფი 172.

ის — ჩვენი შემქნელი და სიცოცხლის მომცემია. ამიტომ ჩვენი სიცოცხლის ყოველი წუთით ვალდებული ვართ მის წინაშე. ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილი მის სრულ ძალაუფლებაშია. ამიტომ, მისდამი სიყვარული და იმის უნარი, რომ ყოველი ამოსუნთქვით ვიყოთ მასზე მიჯაჭვული არის ღვთისმოსაობის უმაღლესი მწვერვალი და ერთგულების გამოვლინება. მონა-მსახურის ერთგულების უმაღლესი გამოვლინებაა, აგრეთვე, იმ ჯადოქრების სიტყვები, რომლებიც ფარაონმა აცვა ჯვარს, მოაჭრა მათ ხელ- ფეხი იმის გამო, რაკი მათ ირწმუნეს.

[illegible]

„ღმერთო ჩვენო! მოგვმადლე ჩვენდა მოთმინება და მუსლიმებად მიგვიბარე ჩვენ!“

მსგავს მონა-მსახურებზე, ვინც ერთგულებისა და თავგანწირვის მაგალითად იქცა, ალლაჰის უდიდებულესობა ამბობს:

[illegible]

„(ეს იმისთვის) რათა მიუზღას ალლაჰმა მართალთ მათი სიმართლისათვის...“ [253]

ალლაჰის უდიდებულესობა სხვა წმინდა აიათში, აქებს რა ერთგულების მქონე მუსლიმანებს, ამბობს:

[illegible]

253. აჰზაბი, 33/24.

Ÿ ÆÉÇÈ ÈZÒÉÇ ÌÓŚ ÀÎÓÀ ÓÒ ÌÉÒŚ

„მორწმუნეებს შორის არიან კაცნი, რომელნიც ალლაჰთან დადებული აღთქმის ერთგულნი დარჩნენ. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც უკვე მოიხადა თავისი მოვალეობა და ისინიც, ვინც ჯერ კიდევ მოელის , მაგრამ არაფრით არღვევენ !“ [254]

ამ პრინციპის თანახმად, მევლანა მისი გზით მსვლელებს მოუწოდებს, ღვთაებრივი ცოდნის შეძენისას, გაჩენისადმი ერთგულება და მოთმინება გამოავლინონ; ამქვეყნიურ ცხოვრებაში არსებულ განსაცდელსა და სიძნელებს სწორედ ამ გზით აღუდგეს.

„ეი, ბულბულო! რამდენ ხანს უნდა იჩივლო მკაცრი ზამთრის დადგომის გამო? ეი, ბულბულო! ნუთუ შეიძლება მუდმივად იწუწუნო ტანჯვაზე? თუკი შენი გული ჭეშმარიტად საყვარელ მეგობარსაა მიჯაჭვული, მაშ, გაახილე თვალები, იყავ მადლიერი და იმღერე ერთგულებაზე! მოეშვი ეკლებს და უმღერე ვარდს! თვალი აარიდე მის ღეროებსა და ფესვებს, მის არსში ჩაიხედე! რითი ხარ შენ ასე დაკავებული ამ გახრწნილ სამყაროში; ნუთუ შენი გზით სვლა არ მიგიყვანს ბოლომდე?“

მევლანას განმარტების მიხედვით, ერთგულების ნაკლებობის შედეგი ამ ხრწნილ წუთისოფელზე თავდავიწყებით მიჯაჭვულ არსებობაში და ჭეშმარიტი და მუდმივი თავშესაფრის უგულებელყოფაშია. და, ეს უზარმაზარი დანაკარგია.

254. აჰზაბი, 33/23.

უზენაესი გამჩენი, თავის მონა-მსახურებს მსგავს უდარდელობაში ჩავარდნისაგან დასაცავად აფრთხილებს:

„და არ იყოთ იმათი მსგავსი, რომელთაც დაივიწყეს ალლაჰი, და დაავიწყა თავიანთი თავი. სწორედ, რომ ისინი არიან გზასაცდენილნი.“ [255]

„ხოლო ვინც ჩემს შეხსენებას სახეს შეაქცევს, მაშინ უეჭველად, მისთვის ცხოვრებაა მტანჯველი და აღვადგენთ მას აღდგომის დღეს ბრმად.

ჰკითხავს: „ღმერთო ჩემო! რატომ აღმადგინე ბრმად, მე ხომ ადრე მხედველი ვიყავი?“

უპასუხებს: „აი, ასე! შენთან მოვიდა ჩვენი აიათები, მაგრამ შენ ისინი დაივიწყე. ამიტომაც დღეს თავად იქნები დავიწყებული!“.“ [256]

ეჭვგარეშეა ის, ვინც ამ დროებით სამყაროში ალლაჰისადმი ერთგულებას შეინარჩუნებს, მუდმივ ცხოვრებაში ერთგულებითვე მიიღებს საზღაურს. უმაღლესი ერთგულება ალლაჰის უდიდებულესობის კუთვნილებაა, რასაც შემდეგი აიათი ამტკიცებს:

„...და ვინ ასრულებს აღთქმას ალლაჰზე უკეთ...“ [257]

რაკი ამგვარადაა საქმე, მაშინ ის, ვინც გაფრთხილება დაივიწყა, ამქვეყნიურ უდარდელობაში ჩავარდა და თავისი ღმერთი უარყო, საშინელი განკითხვის ჟამს, როცა

255. ჰაშრი, 59/19.

256. ტაჰა, 20/124-126.

257. თევბე, 9/111.

ყველას შეექმნება პრობლემა კეთილი საქმეების სიმცირის გამო, თავისი არაერთგულებისათვის საშინელი ტანჯვით გადაიხდის. ერთგულება ხომ თაყვანისცემით იწყება და შემდეგ გადადის ჭეშმარიტ მეგობრობაში. რა მშვენივრად თქვა ამაზე მევლანამ:

„სიყვარული, ერთგულება და სხვა მათი მსგავსი გრძნობები დაკავშირებულია მეგობრობასთან და მუდმივად ეძებენ იმას, ვინც მას ფლობს. ისინი არაფრით დაუკავშირდებიან სულს, რომლისთვისაც ის უცხო გრძნობაა.“

„კალამმა დაწერა: „საზღაური ერთგულებისათვის — ერთგულებაა; საზღაური მიყენებული წამებისათვის კი წამება“ და მელანი უკვე დაშრა.“

„მმართველს შეუძლია თავი ნებისმიერს, თვით საკუთარ შვილსაც კი მოჰკვეთოს გამყიდველობის გამო. ასევე, თუნდაც, ინდოელმა მონამ რომ გამოამჟღავნოს მისადმი ერთგულება, მმართველს შეუძლია, ის შეიწყალოს და უთხრას: „იცოცხლე დიდხანს“... მსგავს წყალობას კი, შესაძლოა, ასობით მეფესთან ან მმართველთან დაახლოებული ვეზირი ვერ ეღირსოს.“

„და რა არის მონის მაგალითი, მაშინ როცა ჭიშკრის ერთგული მოდარაჯე ძაღლი პატრონის სულს უსაზღვრო კმაყოფილებას ანიჭებს და მის ალერსსა და სიყვარულს იმსახურებს.“

2. ალლაჰის შუამავლისადმი ერთგულება

ალლაჰზე ერთგულების შემდეგ ყველაზე ამაღლებული და აუცილებელი არის ალლაჰის შუამავლისადმი ერთგულება. ესაა თავგანწირვა მისთვის, ვინც ალლაჰის უდიდებულესობას, ყველა თავის მოწოდებასა და ვე-

დრებაში, პირველ რიგში, თავისი თემის კეთილდღეობას სთხოვდა: „ჩემი ხალხი, ჩემი ხალხი, (ჩემი თემი)...“

შუამავლისადმი ერთგულება, რომელიც მისი პატივიცემითა და ღრმა სიყვარულით იწყება, მხოლოდ მის მიერ დადგენილი სუნნეთის მიმდევრობითაა შესაძლებელი. დიადი შუამავალი, რომელსაც ჩვენ ალლაჰთან მივყავართ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში გვარიგებდა და სიკვდილთან ზიარების შემდეგაც უქრობი შუქურას მსგავსად გვინათებს ჩვენ გზას უსასრულო ბედნიერებისაკენ. გავიხსენოთ, რამდენად დამრიგებლურია მისი ჰადისების ერთგულებაც.

„უჰუდის ბრძოლაში, როცა მოწმუნეები დამარცხების პირას მივიდნენ, კერპთაყვანისმცემლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ შუამავალი მოეკლათ, ისე რომ ერთხელ სამყაროს რჩეულს დალოცვილი კბილი შეუმუსრეს.

მიმდევრები, რომლებიც საფრთხის მომენტში შუამავლის გვერდით იმყოფებოდნენ განუმეორებელ თავდადებასა და ერთგულებას იჩენდნენ. ზოგი მას თავიანთი სხეულით იფარავდა, ზოგი მისკენ გაფრენილ ისრებს ხელისგულებს უშვერდა, ზოგიც შეტევაზე გადმოსულ მტრებს თოფს ესროდა. იმ დღეს შუამავლის გვერდით მყოფმა სად იბნ ვაქქასმა კერპთაყვანისმცემლების მიმართულებით, დაახლოებით ათასი ისარი გაუშვა, სადის ერთგულებითა და თავდადებით აღტაცებულმა ძვირფასმა შუამავალმა მას უთხრა:

„ო, სად! შენი გულისათვის მე მზად ვარ მსხვერპლად საკუთარი დედ-მამა გავიღო!“

ალიმ მიუგო:

„ — ამ შემთხვევის გამოკლებით, დაე, აღარასოდეს გავიგონო, როგორ იფიცებს შუამავალი თავის დედ-მამას“ [258]

აი, მეორე მაგალითი:

ჰუდაიბიიას დღეს შუამავალმა ოსმანი მექაში დავალებით გაგზავნა. უსმანმა კერპთაყვანის-მცემლებს უთხრა, რომ მათ სურდათ წმინდა ადგილების რიტუალური შემოვლა. მაგრამ იმ წელს კერპთაყვანისმცემლებმა ამის ნება არ დართეს. უსმანს კი შესთავაზეს წინადადება:

„ხოლო შენ, თუკი გინდა, ახლავე შეგიძლია შეასრულო ტავაფი (ქაბაზე 7-ჯერ შემოვლა)!...“

მაგრამ ალლაჰისა და მისი შუამავლისადმი საკუთარი თავის მიმძღვნელმა უსმანმა უპასუხა:

„მე ამას არ გავაკეთებ მანამ, სანამ შუამავალი ქააბის ტავაფს არ შეასრულებს! მე მხოლოდ ამის შემდეგ შემიძლია მოვინახულო ბეითულლაჰი. რადგან, იქ სადაც მას პატივით არ იღებენ, არც მე ვიქნები!...“ მან ამით ალლაჰის შუამავლისადმი დიდი ერთგულება დაამტკიცა.

ზუსტად იმ დროს შუამავალი მიმდევრებისაგან ფიცს ღებულობდა. რადგან მათ შორის უსმანი არ იყო, ალლაჰის შუამავალმა თავისი ერთი ხელით მეორე აღიპყრო და გამოაცხადა:

258. ბუჰარი, ჯიჰადი, 80; მუსლიმი, ფედაილიუს-საჰაბა, 41/1876.

„ო, ალლაჰ! ეს - ოსმანის ფიცია.“ [259]

ოსმანის შუამავლისადმი სიყვარული, რომელიც მისი მხრიდან ერთგულებისა და თავგანწირვის გამოვლენა იყო, მთელ მის ხალხს ემსახურება, ჩვენც შეგვიძლია, გულით შევუერთდეთ იმ მიმდევრებს, რომლებმაც ბეითურ—რიდვანში მონაწილეობით ტავიანთი ერთგულება გამოავლინეს და რომლებიც სასიხარულო ცნობის ღირსნი გახდნენ:

„უეჭველად, რომელნიც შენ გმორჩილებენ, მხოლოდ ალლაჰს ჰმორჩილებენ. ხელი ალლაჰისა მათ ხელთა ზედაა. ამის შემდგომ ვინც დაარღვევს, არღვევს თავისი სულის წინააღმდეგ. ხოლო ვინც აღასრულებს იმას, რა აღთქმაც ალლაჰის წინაშე დადო, მაშინ მას მიეგება საზღაური უდიდესი.“ [260]

წმინდა ყურანის ერთ-ერთ აიათში ახსნილია, თუ როგორ უნდა მოვახერხოთ შუამავლის მიმართ, ისეთი ერთგული სიყვარული ვიგრძნოთ, როგორსაც ის იმსახურებს:

[illegible]

„შუამავალი მორწმუნეებისთვის უფრო ახლობელია, ვიდრე თავიანთი სულნი ...“ [261]

---

259. ბუჰარი, ასჰაბუნ-ნაბი. 7, თირმიზი, მანაქიბი, 18.

260. ფეთჰი, 48/10.

261. აჰზაბი, 33/6.

3. ისლამის დიდი ადამიანებისადმი ერთგულება

ყოველი მორწმუნე ვალდებულია ფლობდეს ერთგულების გრძნობას ისლამის დიდი ადამიანებისადმი. ისლამის დიდი ადამიანები ისინი არიან, ვინც ჩვენამდე ალლაჰისა და მისი შუამავლის ბრძანებები, მისი აკრძალვები და მშვენიერი ზნეობა მოიტანა და ორივე სამყაროში სინათლის მფრქვევ შუქურებად იქცნენ. ისინი არიგებენ და ზრდიან კაცობრიობას აკეთილშობილებენ რა, მის შინაგან სამყაროს და მიმართავენ ჭეშმარიტი გზისაკენ. ამიტომაა ნათქვამი:

„ალიმების (ისლამის განსწავლული ადმიანები) სიკვდილი მთელი სამყაროს სიკვდილის მსგავსია“; მეორე მხრივ, ყურანის ზოგიერთი კომენტატორი აიათში:



„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართალთა გვერდით!“ [262]

დაფიქსირებულ სიტყვა „სამართლიანს“ განმარტავს როგორც „ერთგულს.“ აიათი კი ასე ახსნეს:

„დაადექით რწმენისა და ისლამის გზას მორწმუნეებთან ერთად, მოიპოვეთ ერთგულება და გახდით ღირსი გადარჩენისა ამქვეყნიურ და მარადიულ ცხოვრებაში.“

262. თევბე 9/119.

4. მშობლებისა და ახლობლებისადმი ერთგულება

მშობლების უფლების დაცვა ესაა საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მათი მსახურება, მათთან კეთილდამოკიდებულებაში ყოფნა და პატივისცემით ურთიერთობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი მიაღწევენ ხანდაზმულობას არის მათი შვილების დიდი მოვალეობა. წმინდა ყურანში მშობლებისადმი სიყვარული და მსახურება ალლაჰისადმი თაყვანისცემის შემდეგ მოიხსენება. უზენაესი გამჩენი ბრძანებს:

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი!

და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ლმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“ [263]

შუამავლის დალოცვილი ცხოვრება სავსეა თავდადების მსგავსი მაგალითებით. ალის დედა, ფატმა ბინთ ასადი, ახალგაზრდობაში შუამავალს ნამდვილი დედის სახით ემსახურებოდა. როცა ეს წმინდა ადამიანი გარდაიცვალა, უზენაესი გამჩენის წინაშე მის თავგანწირულ მსახურებაზე მოწმობდა შუამავლის მოთქმა მის სასთუმალთან:

„ო, ჩემო დედავ! დაე, ალლაჰმა შეგიბრალოს შენ! შენ იქეცი ჩემთვის ნამდვილი დედად საკუთარი დედის შემდეგ; შენ მე მაჭმევდი და თვითონ მშიერი რჩებოდი, მე

263. ისრა, 17/23-24.

მმოსავდი, როცა შენთვის არ გაგაჩნდა ტანსაცმელი, თავად უარს ამბობდი კარგ საჭმელზე და მე მაძლევდი მას; და, ამასთანავე მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილებისა და მუდმივი თავშესაფრის მსურველი იყავი.“

დატირების შემდეგ, ალლაჰის შუამავალმა ბრძანა მკვდარი სამჯერ განებანათ. როცა ჯერი მასზე მიდგა არომატული სითხის „ქაფურის“ პკურების წესი მან თავისი ხელით შეასრულა. შუამავალმა თავისი პერანგი გაიხადა და მას ჩააცვა. მკვდარი ამავე პერანგით იქნა დასაფლავებული.

ალლაჰის შუამავალმა საფლავიც თვითონ გათხარა და მიწაც ზემოთ ამოყარა. მისი დამთავრების შემდეგ ის მისაწვენში, საფლავის ერთ მხარეს ჩაღრმავებულ ადგილას ჩაწვა და თქვა:

„სიცოცხლის კიდეც მომცემო და კიდეც წამრთმევო ალლაჰო! ის მუდმივად ცოცხალია. ო, ალლაჰო! შეუნდე ჩემს დედას-ფატმა ბინთ ასადს. შეახსენე მას ერთი ღმერთის შესახებ და მისი საფლავი გაშლილ სივრცედ აქციე. მიიღე ჩემი ვედრება უზენაესო. არ არის საეჭვო, რომ შენ მწყალობელთაგან მწყალობელი ხარ...“

შემდეგ, ალლაჰის შუამავალმა მიცვალებულის გასაცილებელი ნამაზი შეასრულა და აბასთან და აბუ ბაქრთან ერთად მკვდარი საფლავში ჩაუშვა.[264]

ალლაჰის შუამავლის სანიმუშო ცხოვრება სავსეა ერთგულების მრავალი მსგავსი უბადლო მაგალითითა, რომელიც მთელ კაცობრიობას ზნეობის სრულყოფილ გაკვეთილად ემსახურება.

264. ტაბარანი მუჯემულ-ქებირი, XXIV, 351/2.

ჰუნაინეს ბრძოლის შემდეგ ალლაჰის შუამავალთან ჰავაზინის ტომის წარმომადგენლები მივიდნენ და იმ მიზეზით, რომ ისინი მუსლიმანები იყვნენ, სთხოვეს გაეთავისუფლებინათ მათი ტყვედ ჩავარდნილი თვისტომნი. რამდენიმე მათგანმა შუამავალს უთხრა:

— ჩვენს შორის არიან მარჩენალები და აღმზრდელები.

ალლაჰის შუამავალმა უღრმესი ერთგულების გამოვლენით უპასუხა:

— მე ვუშვებ მათ, ვინც მე და აბდულმუტტალიბის შვილებს გვყავს დატყვევებული.

კეთილშობილმა მიმდევრებმა, რომლებიც ცდილობდნენ კეთილშობილი გადაწყვეტილების თანამონაწილენი ყოფილიყვნენ, ამ აღფრთოვანებით წამოიძახეს:

— და ჩვენც ალლაჰის შუამავლის გამო ვათავისუფლებთ ჩვენს ტყვეებს!

და იმ დღეს, განთავისუფლებულ იქნა ექვსი ათასი ტყვე, ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე. ასეთი სამაგალითო საქციელის შედეგი იყო ის, რომ ჰავაზინოვის მთელმა ტომმა ისლამი მიიღო.

მშობლების შემდეგ მოდის ნათესავებისა და ახლობლების სიყვარული და ერთგულება. არსებობს ორი სახის სიახლოვე: პირველი — უფრო ზოგადი, რწმენის გზით დაბადებული სიახლოვე, მეორე — ნათესაური სიახლოვე. ნათესავებთან ცუდი ურთიერთობის გამოაშკარავება

— სულელური, საზიზღარი, ბრიყვული საქციელია. ამიტომ ნათქვამია:

„შეკრებაზე, მყოფ იმ ადამიანზე, ვისაც ნათესავებთან ურთიერთობა გაწყვეტილი აქვს, არ გადმოვა უზენაესის წყალობა.“

ჩვენი რელიგია ჩვენს ნათესავებთან კარგი ურთიერთობისაკენ მოგვიწოდებს და ამ ურთიერთობის ჩარჩოებს მათი სიახლოვის მიხედვით განსაზღვრავს, ჩვენი მოვალეობაა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში შევინარჩუნოთ ეს ურთიერთობა.

ოჯახისა და ნათესაური ურთიერთობების ინსტიტუტი არის უზენაესი ალლაჰის საოცრებებისა და საიდუმლოებების გამოვლენა. სიყვარულისა და ნათესაური გრძნობების კვანძები, რომლებიც ნიქაჰის (ქორწინება) ძალით აქამდე უცნობ ხალხს შორის წარმოიქმნება, არის ძლევამოსილი ალლაჰის საჩუქარი და წყალობა. ნათესაური ურთიერთობების დარღვევა საზიზღარი საქციელია, რადგან ის ერთგულების დარღვევის ტოლფასია. ხალხის მოჩვენებითი განცალკევებულობა ამ ცხოვრებაში გადაილახება შეუღლებით, რომლის სათავე ადამისა და ევას კავშირში დევს. ღვთისმოშიშობის თვალსაზრისით, ერთგულება ნათესაურ ურთიერთობაზე მაღლა მდებარეობს.

ამქვეყნად კეთილდღეობა იმ კავშირებით მიიღწევა, რომლებიც ოჯახურსა და ნათესაურ ურთიერთობაში ისლამურ ზნეობას შემოაქვს. გულწრფელობა და ერთგულება, რომლებიც მათ გაგრძელებას წარმოადგენს, არის ამქვეყნიური და მარადიული ბედნიერი ცხოვრების წყარო.

მაგრამ ეს როდია ის ყველაფერი, რითაც ერთგულების მწვერვალს მივაღწევთ. ჩვენს გულებში ჩვენი ძმებისა და მეგობრებისადმი, სამშობლოსადმი და სხვა ყველაფრისადმი ერთგულება რწმენით უნდა განმტკიცდეს.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ ადამიანში ჩადებული ღვთისმოშიშობა და ერთგულების გრძნობა შეიძლება შეეწინააღმდეგოს ჩვენს სულებში ღვთაებრივი დად-გენილებებისა და სიყვარულის დანგრევას. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაფსი (ცდუნება) სულს დაიმორჩილებს, ფარისევლობასა და უდარდელობაში გადაიყვანს და უბიძგებს მას ერთი უფსკრულიდან მეორისაკენ. იმის რეალური მიზეზი, რომ მრავალი ხალხი აღიგავა პირისგან მიწისა, ან უცხო ბატონის ჩაგვრის ქვეშ აღმოჩნდა, მათ მიერ გამჩენისათვის მიცემული დანაპირების შეუსრულებლობაშია. მათ არ მიიღეს ის, რაც ფიცისადმი ერთგულებას, კაცობრიობის ვალსა და ვალდებულებას წარმოადგენს. ისინი ილმის (ცოდნა), იდრაქის (შემეცნება), მარიფათის (ჭეშმარიტი შეგნება) შეუცნობლად დაიღუპნენ. ის, რაც მათ გადახდათ, იქცა დამრიგებლურ გაკვეთილად როგორც მნახველებისათვის, ასევე შთამომავლებისათვის, ღვთისმოშიშთათვის კი ეს დარიგებად აღიქმება. წმინდა აიათში გაცხადებულია:

„და ვერა ვჰპოვეთ ჩვენ მათგან უმრავლესში აღთქმის ერთგულება...“[265]

რა ნათლადაა აღწერილი ფარიდუდდინა აგთარას მოთხრობაში მათი საწყალობელი მდგომარეობა, ვინც ალლაჰის მიერ ნაჩუქარი სიკეთეების უგულებელყოფას

265. არაფი, 7/102.

ახდენს და ამქვეყნიური, ცარიელი სურვილების მონებად იქცევიან.

„ერთ ხელმწიფეს ჰყავდა მონადირე ძაღლი, რომელიც მას ძალიან უყვარდა. ის განსაკუთრებული სამონადირეო ალღოთი და მოხერხებულობით გამოირჩეოდა. ხელმწიფე მას ძალიან აფასებდა და სანადიროდ გამგზავრებისას უსათუოდ თან მიჰყავდა. ხელმწიფის ბრძანებით ძაღლის ყელსაბამი ბრილიანტებით მორთეს, ხოლო თათებზე ოქროსა და ვერცხლის სამაჯურები გაუკეთეს. ზურგზე ატლასის დალიანდაგებული მოსასხამი მოასხეს. ერთხელ, როცა ხელმწიფე სანადიროდ წავიდა, ჩვეულებისამებრ, ძაღლიც თან წაიყვანა. ცხენზე ამხედრებული ხელმწიფე, რომელსაც თავისი ძაღლი აბრეშუმის სადავით ეჭირა, იყო გაწონასწორებული და მშვიდი. მაგრამ აქ მოხდა ის, რამაც ყველაფერი შეცვალა. საყვარელმა ძაღლმა პატრონის არსებობა არად ჩააგდო და უცებ სადავე გვერდზე დაქაჩა. ხელმწიფე შეეცადა ის მოებრუნებინა, მაგრამ ძაღლი შეეწინააღმდეგა, რადგან იმ ძვალს ღრღნიდა, რომელიც იპოვა. ამ სურათის მხილველმა ხელმწიფემ გაკვირვებითა და დაბნეულობით წამოიყვირა:

„ჩემი თანდასწრებით აკეთო რაღაც ისე, რომ მე ყურადღებაც არ მომაქციო, განა ასე შეიძლება?!...“

ხელმწიფე ძალიან გაღიზიანებული იყო, რადგან მისი ძაღლის უმადურობამ, ღალატმა და უგრძნობლობამ გული ატკინა. და მან ვერ შეძლო მისთვის ამის პატიება, მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ ძაღლი იყო. ის, რომ ძაღლმა პატრონის მზრუნველობა, დიდსულოვნება და გულუხვობა ერთ წუთში გაცვალა არაფრისმაქნის ძვალ-

ში და ის დაივიწყა, მეფე სულიერად შეძრა. მან განრისხებით დაიყვირა:

— გააძევეთ, ეს უმადური!

ძაღლი მიხვდა პატრონის სიბრაზის მიზეზს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მეეზოვეები მეფეს შეეხვეწნენ:

— ო, მმართველო, ნება დაგვრთეთ მოვხსნათ მას ბრილიანტები, ოქრო და ვერცხლი!

— მან ბრძანა:

— დაე, წავიდეს თავის გზაზე!

და ძაღლს უკნიდან კვლავ მიაძახა:

— დაე, წავიდეს თავის გზაზე!

და წავიდეს ისე, რომ ცხელ და უსიცოცხლო უდაბნოში აღმოჩნდეს სრულიად უსარგებლო, მშიერ-მწყურვალი და ამ ძვირფასი მოსართავების დანახვაზე გულდაწყვეტით გაიხსენოს ის დამსახურებები და სიკეთეები, რომელიც დაკარგა!“...

რამდენად დამრიგებლურია ეს ისტორია იმ ურწმუნოთა მდგომარეობის ასახსნელად, რომლებიც უზენაესი ალლაჰის ღირსებით აღსავსე უთვალავი სიკეთეების შეუფასებლად დაიკარგნენ და გაერთნენ არაფრისმთქმელი, ილუზიური სარგებლით. ამ მდგომარეობაში ჩაცვენილებმა, ბოლოს და ბოლოს გაიგეს თავიანთი მიზნების უსარგებლობა, მაგრამ (ამაოდ). მევლანა ჯალალედინ რუმმა თქვა:

„თუკი ღალატი არის სასირცხო და გასაკიცხი ძაღლებისათვისაც კი, შენ, ადამიანო, როგორ შეგიძლია იყო ამგვარი?“

ამასთან დაკავშირებით ისლამის დიდი ადამიანები მორწმუნეებს მიმართავენ:

„საუკეთესო სახით აიღე გაკვეთილი უდარდელთა და წმინდანთა ცხოვრებიდან და შეეცადე ალლაჰის ერთგულ მონა-მსახურად იქცე!“

და, რწმენის მთელი არსი იმაშია, რომ მხოლოდ ერთგული მონა-მსახური უნდა იყო.

უსაზღვრო ქება-დიდება ძლევამოსილ გამჩენის, ვინც გვიბოძა ჩვენ პატივი და სიკეთე მრავალი წელი ერთ-ერთი გულისხმიერი მონა-მსახურის გვერდით გაგვეტარებინა. ეს უდიდესი ადამიანი, რომელიც 1999 წლის ივლისში აღესრულა, დაუბრუნდა ალლაჰს და დასაფლავებული იქნა საჰრა ჯადიდის სასაფლაოზე, ჩემი ღრმადპატივცემული მამა — მუსა ეფენდია.

ჩემმა მამამ და მასწავლებელმა საკუთარ თავში აბუ ბაქრ ას სიდდიქას კეთილშობილი თვისებები ააღორძინა; მათ შორის კი, ვისაც ის უყვარდა, ცნობილი იყო „საჰიბულ-ვეფად“ ე. ი. „ერთგულების მქონედ“ და ეს ტიტული მას სამართლიანად ერგო. მისი ცხოვრება, როგორც ალლაჰთან დაახლოებული მონა-მსახურისა, ერთგულებითა და იმედით იყო სავსე, მისი სული ჩვენი დღეების მანათობელი მზე და ღამის სიბნელის გამფანტავი მთვარე იყო. ის პატივმოყვარეობის პოლუსი და განათლებულთა სულთანიც გახლდათ.

ის იყო მსგავსი შემეცნების იმ კოკრისა, რომელმაც საკუთარ გულში ერთგულების მრავალ გამოვლინებას მოუყარა თავი, რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი და ამიტომ დაიმსახურა უფლება „საჰიბულ-ვეფა“ ეწოდებინათ მისთვის; მიუხედავად იმისა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მასთან განშორებით მიღებული ჭრილობა ჯერაც არ მოშუშებულა ჩვენს გულებში. პირიქით, უფრო ღრმად იქცა. ის უმაგალითო ერთგულების სულიერი ატმოსფერო, რაც მისთვის იყო ნიშანდობლივი, ჩვენთვის ძმობის, იმედის, მეგობრობისა და სიყვარულის მიუღწევი ნიმუში იყო.

როცა ალლაჰის უდიდებულესობა თავის მონამსახურს საპატიო მსახურებისაკენ მოუწოდებს, მას ამ მსახურების შესრულების შესაძლებლობასაც ანიჭებს. და, ამ თვალსაზრისით, მუსა ეფენდი გარეგნული და შინაგანი სრულქმნილების ნიმუშს წარმოადგენდა. განსაკუთრებით მძიმე და დამაბრკოლებელ სიტუაციაშიც კი საქმის ღრმა განჭვრეტით, გამჭრიახობითა და დელიკატურობით მას შეეძლო საჭირო რჩევის მიცემა, ან სწორი გადაწყვეტილების მიღება. მის სულში აღმოცენებული ყვავილების - ვარდის, მიხაკისა, და ნარცისის სილამაზე აცოცხლებს ჩვენი სულების ბაღებს. გამჩენისადმი მისი თავდადება, ყურანისა და სუნნეთის მიმდევრობა, წინაპართა ტრადიციებისადმი ერთგულება, ნათესავებთან, მეგობრებთან და მეგობრის მეგობრებთანაც კი გამოჩენილი სითბო, საქველმოქმედო ფონდების შექმნისაკენ მისწრაფება და მისი ხასიათის სხვა ათასი კეთილშობილური გამოვლინება უმშვენიერეს მაგალითად ემსახურება იმას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საქმით გამჩენის წინაშე გულით წარმოთქმული ფიცი.

ჩვენ გვსურს გავიხსენოთ მუსა ეფენდის ერთგულების ზოგიერთი გამოვლინება.

ის ძალიან ღელავდა, როცა უმწეო ხანდაზმულ ადამიანებს ხვდებოდა, მათ ვისაც საზოგადოება განერიდა და ისინი თავიანთ გასაჭირთან პირისპირ მარტო დატოვა. ის ამბობდა:

„ჩვენი პირდაპირი დანიშნულებაა, ეს უმწეოები საკუთარ სახლში წავიყვანოთ, მაგრამ რაკი ჩვენ არ გვაქვს ასეთი შესაძლებლობა, ვალდებული ვართ მათთვის სათნოების სახლები ავაშენოთ.“

შემდგომში, მასთან დაახლოებულ პირებთან ერთად, ის რეალურად ახორციელებდა ამას. ამ სათნოების სახლების ბინადართა მონახულებისას, ისინი დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეპყრობოდნენ მათ გასაჭირს და ამარაგებდნენ ყველაფრით, რაც საჭირო იყო მათთვის.

ის არა მარტო ადამიანებს ეპყრობოდა გულთბილად, არამედ შინაურ ცხოველებსაც ანებივრებდა ამ მხრივ. მას შეეძლო ყოველი იმკატის ხასიათის შეცნობა, რომელიც ჩვენს ბაღში ცხოვრობდა; ყოველ კნუტს შესაბამის ზედმეტ სახელს არქმევდა და ყველა მათგანს მათი ინდივიდუალურობის გათვალისწინებით ექცეოდა.

მან ორმოცდათხუთმეტი წლის შემდეგ უბრძანა მოენახათ ის მედდა, რომელიც ბავშვობაში მე მივლიდა და ვიყავი მისი პატივისმცემელი და დამფასებელი.

ხოლო ერთგულება, რომელსაც ის თავის მასწავლებელ მაჰმმუდ სამი ეფენდის მიმართ ავლენდა, ლეგენდად იქცა. პირველი, რასაც ის მოინახულებდა საზეიმო დღეე-

ბში, სამი ეფენდის სახლი იყო. ის თავისი ქცევებითა და მთელი თავისი ცხოვრებით, აბუ ბაქრის სიყვარულისა და მეგობრობის აღებით, გვიჩვენებდა ჩვენ „შეყვარებულის თავდადებას, თუ როგორი უნდა იყოს ის.“ დღეს, ყველა ვინც სიყვარულს ატარებს უნდა მიისწრაფვოდეს იმისკენ, რომ ერთგულების მიწაზე, რომელიც სიყვარულის ამ საოცარმა სულთანმა დაამუშავა, ამოვიდეს შუამავლის კოკრებად.

დაე, უზენაესმა გამჩენმა ჩვენ მუდამ ალლაჰთან ერთად ყოფნის გრძნობით დაგვაჯილდოვოს.

„ო, ალლაჰო! უმრავლე ჩვენ სულებს თავდადების მშვენიერი თვისებები და გვაქციე ჩვენ უმწიკვლო მონამსახურთა თემის წევრებად! მიეცი ჩვენს ქცევებს სიწმინდე და გულწრფელობა, დაგვამსახურებინე ჩვენ ამ გზით სამოთხის უმაღლეს ბაღებში ნეტარება! გვაჩუქე ჩვენ შვილები, რომლებიც ჩვენი თვალების სინათლე იქნებიან და აქციე მათგან უმრავლესი ღვთისმოშიშ თაობად! დაე, ყველა ჩვენთაგანი შენი შუამავლის, მშობლების, ნათესავების, ყველა მორწმუნის, სამშობლოს, ერისა და იმ ყველაფრის ერთგული ვიყოთ (რაც მონდობილი გვაქვს). მოგვეცი ჩვენ შესაძლებლობა, რომ ორივე სამყაროში შენი ღვთაებრივი წყალობით ვიცხოვროთ.

ამინ!...

ვიყოთ რწმენით სანიმუშონი

ის, ვინც უზენაეს გამჩენთან არის დაახლოებული მისი სიყვარულისა და კეთილგანწყობის ქვეშ იმყოფება. მათი ამქვეყნიური მისწრაფებები ქრება მსგავსად იმისა, როგორც იწვის ქაღალდი მასზე სინათლის სხივის ლუპით მინათებისას. და მაშინ, როცა ისინი სინათლის წყაროდ იქცევიან, გარშემო მყოფებიც ძალაუნებურად მისკენ ლტოლვას იწყებენ.

ვიყოთ რწმენით სანიმუშონი

ალლაჰის უდიდებულესობა იმისათვის, რომ თავისი მონა-მსახურები ჭეშმარიტების გზაზე დააყენოს, მათგან იმათ ირჩევს, ვინც ხასიათის თავისებურებებითა და სხვადასხვა შესაძლებლობებით გამოირჩევიან. უზენაესი სწორედ ამ ადამიანებს ანიჭებს ვალდებულებას იყვნენ დამრიგებლები.

ადამიანი თავისი ბუნებით მიდრეკილია მოექცეს ძლიერი პიროვნების გავლენის ქვეშ. ე. ი. მასში სხვისი ქცევისა და მოქმედების, სხვისი მაგალითის განმეორების მოთხოვნილებაა ჩადებული. ამას კი ის მის გონებასა და გულზე ზემოქმედების ძალით, გამჩენისა და ჭეშმარიტებისაკენ მიჰყავს, ამიტომ ძლევამოსილი გამჩენი ხალხის სულიერი აღზრდისათვის არა მარტო წმინდა წერილებს გარდმოავლენდა, აგრეთვე კაცობრიობის განსანათლებლად შერჩეულ ხალხს, რომლებიც თაობათა სულში ღრმა კვალს ტოვებდნენ. ესენი შუამავლები და მათი გზით მავალი წმინდანებია. შუამავლები და წმინდანები ისეთი ღირსეული თვისებებით გამოირჩეოდნენ, რომ თვით მტრებსაც უჭირდათ მათ შესახებ ცუდის თქმა. ხალხთაგან რამდენმა შეძლო მათი დახმარებით უზენაესის სიკეთესთან ზიარება, ჭეშმარიტების დაუფლება და რწმენის განმტკიცება. იმ კეთილშობილმა მოღვაწეებმა ხომ, რომლებიც სახელგანთქმული პიროვნების — ალლაჰის შუამავლის (როგორც ყურანის ცოცხალი გან-

სახიერების) გავლენის ქვეშ მოექცნენ შეიძინეს რწმენა და მის გარშემო შემოიკრიბნენ. ის ველური ადამიანები კი, რომლებიც თავიანთ ქალიშვილებს ცოცხლად მარხავდნენ, გაქრნენ და მათ მაგივრად ისლამის ისტორიაში საუკეთესო ფურცლების ჩამწერი პიროვნებები გაჩნდნენ.

ამასთან დაკავშირებით, მათი მნიშვნელოვანი მოვალეობა, ვინც რწმენას, გულწრფელობასა და ღვთისმოშიშობას ფლობს არის საკუთარ თავში ალლაჰის შუამავლის საკადრისი თვისებების აღზრდა. მორწმუნეები, რომლებიც ასეთ თვისებებს ფლობენ, ჭეშმარიტების გზისკენ არიან მიმართულნი. ხოლო ისინი, ვინც მოკლებული არიან ამ თვისებებს, თავადაც ვერ აცნობიერებენ, რომ შეიძლება სხვა მორწმუნეებზე რელიგიის წართმევის მიზეზად იქცნენ.

რაც ჩვენ, მორწმუნეებს მოგვეთხოვება, არის ის, რომ ამოვკრიფოთ გამოჩენილი ხალხის მაგალითებიდან და გამოვიყენოთ ისინი საკუთარი თავის სრულყოფისათვის. ეს უპირველესად მათ მოეთხოვებათ, ვინც კაცობრიობის ავანგარდში თავისი ხასიათისა და პიროვნული მიმზიდველობის წყალობით დგანან.

პიროვნება, ვინც მისდევს და ყალიბდება იმის ზემოქმედებით, რასაც ის ხედავს და იღებს, მსგავსია ავტომობილის უკანა ბორბლებისა, წინას რომ მისდევს.

წესრიგის დამყარება სამყაროში და ცხოვრების ზნეობრივ ჩარჩოში მოქცევა მხოლოდ ირფანისა (გამჭრიახობა) და გულის სიღრმითაა შესაძლებელი. ღვთისმოსავი ხალხი ბედნიერების ცის კაბადონზე მოკიაფე ვარსკვლავების მსგავსია და ხალხის კეთილდღეობას განაპირობე-

ბენ. ხოლო უმეცრები სიბნელისა და ჩაგვრის მომტანი არიან. ახმედ ჯევდეთ ფაშას შემდეგი მოთხრობა ამის ნათელი ილუსტრაციაა.

„ხალიფა ომეიადოვ ვალიდ იბნ აბდულმალიქი ახალი შენობების მშენებლობით იყო გატაცებული. მისი მმართველობის დროს ხალხში გავრცელდა სამშენებლო ბუმი. ყოველი კრების ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღებით იხილებოდა საკითხები, რომლებიც ახალი შენობების აგებას ეხებოდა. სულეიმან იბნ აბდულმალიქმა, რომელსაც გართობისადმი, კმაყოფილებისა და დროსტარებისადმი მიდრეკილება ჰქონდა. საზოგადოებაში ბრწყინვალე ნადიმებსა და ზეიმებზე დასწრების ჩვევა დანერგა. მის მმართველობაში გართობა მოდად იქცა. შემდეგ ხელისუფლებაში კი ომარ იბნ აბდულაზიზი, ხალიფებიდან ძლევამოსილი, ალლაჰის უმწიკვლო მონა-მსახური, მოვიდა, რომელიც თავისი მოკრძალებულობით იყო ცნობილი, ხალხმა ალლაჰს მიმართა და დაადგა თაყვანისცემისა და მორჩილების გზას. მეჯლისებზე ისინი ამბობდნენ:

„რომელი ლოცვები შეასრულე შენ ღამით, წმინდა ყურანის რამდენი აიათი ისწავლე შენ, ამ თვეში რამდენ დღეს შეასრულე მარხვა?“ ე.ი. საუბრები მხოლოდ სულიერებაზე ჰქონდათ...“[266]

ეჭვგარეშეა, იმის მიზეზი, რომ სრულყოფილი პიროვნებები ხალხის მიზიდვის ასეთ ძალას ფლობდნენ და მათ ირგვლივ ადამიანები პეპლების მსგავსად, რომ ტრიალებდნენ იყო ის, რომ ამ გამოჩენილი პიროვნებების გულები ღვთისადმი სიყვარულით იყო გამთბარი.

266. ყისას ალ-ანბიია ვა თავარიჰ ჰულაფა, 1, გვ. 717.

ამიტომ მათი მხედველობის თვალისჩინი, მათი სმენა მხოლოდ ღმერთი იყო.

რადგანაც უზენაეს გამჩენთან დაახლოებულები მისი სიყვარულისა და კეთილგანწყობილების ქვეშ იმყოფებიან, მათი ამქვეყნიური მისწრაფებები იმის მსგავსად ქრება, როგორც სინათლის სხივდაცემული ლუპის ქვეშ მიტანილი ქაღალდი იწვის. და როცა ისინი სინათლის წყაროდ გარდაისახებიან, მაშინ სხვა ხალხი თავისდა უნებურად მისკენ მიილტვის. გათავისუფლდნენ რა ამქვეყნიური ცხოვრების ინტერესებიდან, საკუთარი თავი ყველა იმ სულმდაბლობას განაშორეს, რაც ისეთ თვისებებთან იყო დაკავშირებული, როგორიცაა სიამაყე და ქედმაღლობა.

მათი ერთადერთი მიზანი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებაში მდგომარეობდა. ამიტომ მათთვის განსხვავება არაა პატარასა და დიდს, ცივსა და ცხელს, შეძლებასა და სიღარიბეს შორის ე. ი. მათთვის არც რაიმე რანგი, არც ცხოვრების პირობების გაგება არ არსებობს, რადგანაც ესენი ხრწნადი და წარმავალია.

ამქვეყნიურ საზრუნავს უკუაგდებენ და არ შედიან წინააღმდეგობაში ამის გამო, ამასთანავე ინარჩუნებენ სულის სიმაღლესა და კმაყოფილებას, რის გამოც ხშირად საყვედურს და ხალხის განსჯას იმსახურებენ, მაგრამ ახსოვთ ალლაჰის ბრძანება:

ﺟﺰﻯ ﺍﻟﺴﻴﺌﺔ ﺳﻴﺌﺔ ﻣﺜﻠﻬﺎ ﻓﻤﻦ ﻋﻔﺎ ﻭﺃﺻﻠﺢ ﻓﺄﺟﺮﻩ ﻋﻠﻰ ﷲ ﴿٤٠﴾

„ხოლო მოწყალის მსახურნი არიან ისინი, რომელნიც მოკრძალებულად დადიან ქვეყანაზე და როცა უმეცარი შემოხვდებათ ეუბნებიან: „სალამი !“[267]

ამ სამყაროს კეთილდღეობისათვის აუცილებელია ზუსტად ასეთი მონა-მსახურებისადმი მორჩილება და ერთგულება.

ჰადისში ნათქვამია:

„ის, ვინც სწუხს მარადიულ ცხოვრებაზე, ალლაჰი გულს სიმდიდრით გაუვსებს მას ყოველგვარი ამქვეყნიურისგან, მთლიანად დაუმორჩილებს წუთისოფლის საცდურებს. და ის, ვინც ამქვეყნიური ცხოვრების გამო წუხს, ალლაჰი მას სიღარიბის თანამგზავრად აქცევს, მის საქმეებს კი ჩაშლამდე მიიყვანს, ხოლო წუთისოფლის სიკეთეებისაგან ზუსტად იმდენს უბოძებს, რამდენიც მისთვის დაწერილია.“ [268]

ყველა გამოჩენილი პიროვნება და ალლაჰის რჩეული მონა-მსახური იმდენად მშვენიერ ზნეობასა და ხასიათს ფლობენ, რომ არასდროს არავინ გაუნაწყენებიათ და თავადაც არავის მიმართ არიან მწყრალად. ისინი ღვთაებრივი ზეშთაგონების შემეცნებით ცხოვრობდნენ.

„რომლებიც გასცემენ ჭირშიც და ლხინშიც, იოკებენ მრისხანებას, პატიობენ ხალხს. და ალლაჰს უყვარს კეთილისმქმნელნი!“ [269]

ჯაფერ სადიყმა, თავის მოსამსახურეს, რომელმაც მას ცხელი წვნიანი გადაასხა, აპატია და გაათავისუფლა კიდეც. ხასან ბასრი კი ყოველთვის პატიობდა მათ, ვინც მასზე ჭორებს ავრცელებდა და საჩუქრებსაც კი უგზავნიდა გულწრფელი სურვილით, რომ ისინი გამოსწორებულიყვნენ.

ამ დიდი პიროვნებების უმწიკვლოების შესახებ ძალიან ლამაზად თქვა იუნუს ემრემ:

არ იფიქრო, ზაჰიდ, რომ ცხოვრების არსი

მარხვაში, ნამაზსა და ჰაჯობაშია;

გულში ჩამწვდომობა, რაც მოგვეთხოვება

მხოლოდ სრულყოფილ ადამიანობაშია!

ე. ი. ყველა იმ ღვთისმოსავმა მონა-მსახურმა, ვინც კაცობრიობისათვის რწმენის მაგალითად იქცა, უნდა გამოავლინოს სათნოება, სიკეთე და მოწყალება ყველაფერში, რაც ალლაჰისადმი თაყვანისცემას შეეხება. მათი სულები თასბიჰის (ალლაჰის დიდება) მსგავსია. ისინი, ვინც მათ გვერდით იმყოფებიან, ღვთაებრივი სიტკბო და სიხარულის მომნიჭებელი აღფრთოვნება იგემეს. ამ რჩეული მონა-მსახურების გულებიდან, რომლებიც მუჰამმედის სიყვარულითაა სავსე, მსმენელებზე ფართო ღვთაებრივი ცოდნა და დარიგება გარდმოდის.

---

269. ალი იმრანი, 3/134.

იმის თაობაზე, რომ სიცოცხლეშივე უნდა ვეცადოთ, ალლაჰთან დაახლოებულ მონა-მსახურთა შორის ვიყოთ და იმ სამყაროში წასვლისას კი კვლავ მათთან ერთად აღმოვჩნდეთ, ალლაჰის შუამავალი ამბობს:

„დაასაფლავეთ თქვენი მკვდრები წმინდა ხალხის გვერდიგვერდ.“[270]

ზუსტად იმ უმწიკვლოების გამო, რომელიცუზენაესმა ღვთისმოსავ მონა-მსახურებს თავიანთ სიცოცხლეშივე უბოძა, სიკვდილის შემდეგ მიწას მიბარებული მათი სხეულები არ იხრწნება. ამის შესახებ ჯაბირ ბინ აბდულაჰი ყვება:

„უჰუდის ბრძოლის წინა ღამით მამამ მომიხმო და მითხრა:

„ვგრძნობ, რომ შუამავლის მიმდევართაგან პირველი ვინც მოკვდება, მე ვიქნები. შენ ჩემთვის ერთადერთი ძვირფასი ადამიანი ხარ მის შემდეგ ამიტომ, გთხოვ გადაიხადე ვალები, რომელიც მაქვს და ყოველთვის კარგად მოექეცი შენს ძმებს!...“

დილით, როცა უჰუდის ბრძოლა დაიწყო, მართლაც მამა იყო პირველი, ვინც იქ მოიკლა. სახსრების უქონლობის გამო, მე იძულებული ვიყავი ის სხვა შაჰიდთან ერთად დამესაფლავებინა (ერთ საფლავში). ამას, შემდეგში, ვერაფრით შევეგუე ამიტომ ექვსი თვის გასვლისას, მე საფლავთან მივედი და ამოვთხარე ის. და რა ვიხილე? მთელი სხეული, ერთი ყურის ბოლოს გარდა, გაუხრწნე-

270. დაილამი, მუსანდი, 1, 102.

ლი იყო. მამა სწორედ იმ სახით გამოიყურებოდა როგორც დავასაფლავე. მე ის ცალკე საფლავში გადავასვენე.“[271]

ასეთია მაგალითი იმისა, თუ როგორი რწმენის ხარისხი უნდა ჰქონდეს მართლმორწმუნეს.

მსგავსი შემთხვევა, არც ისე დიდი ხნის წინ, მოხდა ადანაშიც, სადაც ცხოვრობდა წმინდა ადამიანი, ჰაფიზი (ყურანის ზეპირად მცოდნე) და მუაზინი (მეჩეთში იმამის თამაშემწე). მაჰმუდ სამი რამაზანოღლუ მოგვითხრობს, რომ ჰაფიზის გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ, იმ ადგილზე, სადაც მისი საფლავი მდებარეობდა, ავტომაგისტრალი უნდა გაეყვანათ, ამიტომ გადაწყვიტეს საფლავის გადატანა. როცა ის ამოთხარეს, დაინახეს, რომ სხეული ისევე შენახულიყო, როგორც დაესაფლავებინათ და თვით სუდარასაც შეენარჩუნებინა საწყისი სისუფთავე.

ასეთი მაგალითები ისლამის ისტორიაში მრავლადაა. ისინი უზენაესი გამჩენის მიერ დრო და დრო გამოვლენილ განსაკუთრებულ ღვთაებრივ ნიშნებზე გვესაუბრებიან. არის ღვთისმოსავთა ისეთი კატეგორია, რომლებიც სიკვდილის შემდეგ ნეშტად იქცევიან. ამიტომ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მონა-მსახურის სხეული საფლავში გაუხრწნელი რჩება, მისი ნების, შემოქმედის სიბრძნის გამოვლინებაა.

მნიშვნელოვანია ის, რომ თუკი გვინდა მარადიულ ცხოვრებაში ბედნიერების დამსახურება, პირველ რიგში ეს უნდა დავიმსახუროთ მისწრაფებით გავხდეთ ისეთები, როგორებიც ეს სულიერად ამაღლებული პიროვნებებია,

271. ბუჰარი, ჯანაიზი, 78.

ხოლო მეორე მხრივ, შევძლოთ კეთილი შთამომავლობის აღზრდა. ჰადისი - შერიფში ხომ ნათქვამია:

„ალლაჰის უდიდებულესობა თავისი მონა-მსახურის მდგომარეობას სამოთხეში აამაღლებს და ამით გაკვირვებული მონა-მსახური იტყვის:-„ო, ღმერთო, რა არის ჩემი ასეთი ამაღლების მიზეზი?“ ალლაჰის უდიდებულესობა განაცხადებს: „მიზეზი შენი პირმშოა, რომელიც შენი პატიების თხოვნით აღასრულებს ვედრებას...“ [272]

ამაზევეა ლაპარაკი სხვა ჰადისშიც:

„ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი ყველა კეთილი საქმის ჩაწერა წყდება, გარდა სამისა: მოქმედი მოწყალება, გაცემული სასარგებლო ცოდნა და მადლიერი შვილები, რომლებიც მას ლოცვაში მოიხსენიებენ.“ [273]

ცხოვრება, რომლის შინაარსი სულიერებითაა ნასაზრდოები დედამიწას წმინდა ბაღად გარდასახავს. ალლაჰის მოწყალება და პატიება ხომ ღვთისმოშიშის მუდმივი თანამდევია. გაზაფხულის ყვავილობა და მუჰამმედის სიყვარული წუთისოფელში ცხოვრების მწვერვალია და მარადიული, ბედნიერი ცხოვრების დასაწყისი. მის მიმდევართა მიერ რწმენის შენარჩუნება და მისი გზით სიარული - ჩვენი მოვალეობაა მთელი ცხოვრების განმავლობაში.

დაე, ალლაჰის უდიდებულესობამ გამოავლინოს ჩვენს მიმართ წყალობა, რათა ჩვენი მოვალეობის შესრულება პირნათლად შევძლოთ. დაე, მან რწმენის ისეთ

---

272. აჰმედ ბინ ჰანბელი< 11, 509; იბნ მაჯაე ადაბი, 1.

273. მუსლიმი, ვასიიია, 14; თირმიზი, ახყამი, 36.

მფლობელებთან გაგვაერთიანოს, როგორებიც არიან ომარ ბინ აბდულაზიზი, ბაიაზიდ ბისთამი, სამი ეფენდი და მათი მსგავსები... ვინც მთელი თავიანთი არსებობის მანძილზე ხალხისათვის მაგალითსა და მიზიდვის წყაროს წარმოადგენდნენ!

ამინ!..

ბედისწერის საიდუმლო

თვალი ხედავს, ხოლო ყური ისმენს განსაზღვრულ ზღვრამდე. ზღვარს მიღმა არსებულის დანახვა ან მოსმენა კი შეუძლებელია. სწორედ ასევე ადამიანისთვის გაუგებარია, თუ რა არის ყადერი ანუ ბედისწერა. ჩვენ ხომ რაიმე შემთხვევის წარმოქმნის მიზეზს კვლევა-ძიების მეთოდით ვწვდებით, მაგრამ შემთხვევების წარმოქმნის უკან არსებულ სიბრძნეს ხშირ შემთხვევაში ვერ ჩავწვდებით.

ბედისწერის საიდუმლო

სამყაროში ყოველი მოვლენისათვის, დაწყებული ელემენტარული ნაწილაკებიდან ურთულეს მოლეკულამდე, უმცირესი სხეულიდან ყველაზე დიდ სხეულამდე, მიკროდან — მაკროსამყარომდე... (ჩვენი სამყაროს ჩათვლით), დრო, ადგილი, სახე და მიზეზი წინასწარაა განსაზღვრული. ალლაჰის უდიდებულესობის წინასწარ განსაზღვრულობა დადგენილი ვადის დადგომასთან ერთად ღვთაებრივი ჩანაფიქრის მთელი სიდიადითა და სიძლიერით სრულდება.

ალლაჰის უდიდებულესობა ყოველ ქმნილებას კონკრეტული დანიშნულებით, მისიით, განსაზღვრული მიზნით ქმნის. ყველა მოვლენა, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ხდება, მართლაც დაწერილია და ბედის საკითხია. მზე, მთვარე, ვარსკლავები, მცენარეები, ხალხი, ცხოველები და ქმნილებათა სხვა ურიცხვი რაოდენობა წინასწარ განსაზღვრულობის პროგრამის შიგნით იმყოფება. ხის ტოტიდან თვით ფოთლის ჩამოვარდნაც კი ამ პროგრამის ნაწილია. წინასწარ განსაზღვრულობის კანონს, სრულიად ხმელეთი რომ არ ემორჩილებოდეს, მაშინ სამყაროში უზარმაზარი ქაოსი და ანარქია იმეფებდა.

ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები ავტორის ძალისა და ნიჭის მეშვეობით იქმნება. მაგალითად, მხატვარი ხატავს სურათს, ხოლო ხათათი (კალიგრაფი) თავისი ნიჭის (ტალანტიდან) მთელი შესაძლებლობებიდან

გამომდინარე ქმნის კალიგრაფიულ კომპოზიციას. ალლაჰის უდიდებულესობამ თავისი ძლევამოსილებით ხომ წინასწარ განსაზღვრა და დაამტკიცა ყველაფერი, რაც იყო და კვლავ იქნება სამყაროში მისი წარმოქმნის მომენტიდან უკანასკნელ დღემდე. ეს კი ძირითადად ქმნილებაში ადამიანისთვის შესამეცნებლად ჩადებული საოცრებებით და საიდუმლო სიბრძნითაა განპირობებული.

ამ გეგმასა და წესრიგს ყედერი, ანდაც ალლაჰის ნება ეწოდება. ამ ჭეშმარიტებაზე წმინდა აიათში უზენაესი გამჩენი ამბობს:



„უეჭველად, ჩვენ ყველაფერი გავაჩინეთ თანაზომიერებით.“ [274]



„არ გწევით სიავე სიავეთაგან არც დედამიწაზე და არც თქვენს სულებს, რომ არა იყოს წინგში , ვიდრეღა მას მოვახდენდეთ. უეჭველად, ეს იოლია ალლაჰისთვის!“[275]

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამა თუ იმ მოვლენის მოხდენამდე მისი საწყისი, დამამტკიცებელი გეგმა „ყე-

274. ყემერი, 54/49.

275. ჰადიდი, 57/22.

დერი“ (ბედისწერა) „ლეჰვი-მაჰფუზში“ — ინახება. როცა ამ გეგმის ცხოვრებაში განხორციელების დრო მოდის, დგება „ყადერი“, ე.ი. ბედისწერის შესრულება.

უზენაესმა გამჩენმა, რომელიც ბრძენთა-ბრძენია, იცის ის ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ არ მომხდარა. რადგანაც ალლაჰი არსებობს დროისა და ადგილის გარეშე, ცოდნის ფლობა ლოგიკურად მასთან დაკავშირებული თვისებაა. ხოლო ის, რომ ჩვენ, ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამის მიღწევის ძალა არ შეგვწევს, ალლაჰისთვის სიძნელეს არ წარმოადგენს.

აუცილებელია ვირწმუნოთ, რომ სამყაროში ყველაფერი ღვთაებრივი კალმის წინასწარი მოძრაობით წარმოიშვა. ბედისწერის რწმენა, რწმენის ექვსი პირობიდან ერთ-ერთია, მაგრამ ადამიანისათვის მისი მიღება არც ისე ადვილია. თუმცა ხშირად ურწმუნო ადამიანიც კი აღიარებს მის თავზე მოქმედ უხილავ ძალას, უსიტყვოდ ემორჩილება ბედს და ამბობს: „მე ეს მეწერა“. თვით ის ადამიანი, რომელიც ყველაფერს უარყოფს, ისეთი ტიპის გამოთქმებში როგორიცაა: „ჩემგან იღბალი შეტრიალდა“ ან „მრისხანე განგება ჩემი თანამდევია“ მთელი სიცხადით ამტკიცებს თავისი ბედისადმი რწმენას, მის წინასწარ განსაზღვრულობას.

მიმდინარე მოვლენების რეალურად შემფასებელი ადამიანი გაიგებს და დაასკვნის, რომ სცენარი, რომლის მიხედვითაც ცხოვრობს და არსებობს სამყარო, ღვთაებრივი კალმითაა დაწერილი.

მაგრამ, როგორც ბრმას ვერ ავუხსნით, თუ რა არის ფერი, ასევე ადამიანისათვის, რომელსაც შეუძლია სამყაროს შემეცნება წუთისოფლისათვის მახასიათებელი

თვისებებიდან გამომდინარე (შემოფარგლული მისი დროებითი და სივრცობრივი ჩარჩოებით), შეუძლებელია ახსნა იმისა, თუ რა არის ბედისწერა და მისი ახდენა, განხორციელება. ეს ზუსტად ისეა მოწყობილი, რომ ადამიანმა საკუთარი ბედის საიდუმლოს წინასწარ შეტყობით არ დაკარგოს მოსვენება და მოთმინება; ამით კი არ დაღუპოს თავისი თავი.

ჭეშმარიტად, უზენასმა გამჩენმა ბედისწერა ყველა შექმნილისაგან გაასაიდუმლოვა, რაც მის შემეცნებას ბედისწერის დადგომამდე შეუძლებელს ხდის. ალლაჰის უდიდებულესობა ჩვენს სივრცეში მხოლოდ მცირედს უხსნის ამ ცოდნის, „ლედუნიი ილმის“ ზოგიერთ ნაწილს.

სახელდობრ, ალლაჰის უსაზღვრო წყალობის შედეგად, მომავლის გაურკვევლობა მსგავსია იმ კედლისა, რომელიც იდგა და კვლავ აღუდგება წინ ადამიანის ფიქრსა და ძიებას. უზენაესი გამჩენი მხოლოდ იშვიათად უბოძებს ადამიანს ამ კედლის განჭვრეტის უნარს და ეს ხდება სიზმრებში. მართლაც, მცირე შემთხვევა როდია, როცა წმინდა ადამიანები რასაც სიზმრებში ხედავდნენ ცხადდებოდა. ეს სინათლე მათ გულზე „ლავჰულ-მაჰფუზის“ წმინდა ფიცრიდან იყო დაშუქებული.

ადამიანის არჩევანი: თანხმობა ან უარყოფა ცხოვრებისეულ შეთავაზებებზე, მის მიერ კეთილი თუ სულელური საქციელის გამოვლენა „ჯუზი ირადის“ რეალიზაცია, ანუ საკუთარი ნების ნაწილობრივი გამომჟღავნებაა ალლაჰისადმი მორჩილების სივრცეში. „ქულლი ირადა“ (მთელი ნება) კი მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ამიტომ მონა-მსახურისათვის სრული თავისუფლება შეუძლებე-

ლია. დაბადება და სიკვდილი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ეროვნება, სქესი, შესაძლებლობა — ეს ყველაფერი ადამიანს მისგან დამოუკიდებლად, ღვთაებრივი ბედისწერით ეძლევა და ის არ არის პასუხისმგებელი იმ ხარისხზე, რაც ბუნებით მიენიჭა.

უზენაესი გამჩენი ადამიანს მისი შესაძლებლობებისა და უნარის შესაბამის პასუხისმგებლობას აკისრებს. ამიტომ ის, რაც ადამიანის ნების გარეშე ხდება, არ აქცევს მას ამაზე პასუხისმგებლად, ისევე როგორც ვერ აძლევს მას რაიმე ჯილდოს გარანტიას. ის ხომ, ვინც გულმავიწყობის გამო მარხვას დაარღვევს და რაიმეს შეჭამს, ხომ მარხვის შემნახველად იწოდება და არც სასჯელს იწვნევს.

უზენაესი გამჩენი წმინდა აიათში გამოთქმული ბრძანებით: **„ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს. “** [276] ხომ არ აკისრებს ადამიანს იმას, რაც მას არ ძალუძს. მაგრამ ის მოკითხავს ყველას იმის მიხედვით, რაც ჰქონდათ ბოძებული. ამრიგად, ის ადამიანი, რომელიც ფლობს შესაძლებლობებსა და საშუალებებს მოქმედებისათვის, თუკი ბედს დაემორჩილება და კეთილ ქმედებებზე უარს იტყვის, სისულელესა და უმეცრებას გამოავლენს.

ალლაჰის უდიდებულესობამ, რომელიც სულის სიღრმეში ისეთ თვისებებს დებს, როგორიცაა მოშვებულობა, (ინდიფერენტულობა) და ღვთისმოშიშობა, მოისურვა ადამიანის გამოცდა, რათა მას არჩევანის მიხედვით შეძლებოდა მიყოლა ამაზე ან იმაზე. ე. ი. მონა-მსახურს განსაზღვრულ ფარგლებში ეძლევა კიდეც ნება თავისუ-

276. ბაყარა 2/286.

ფალი არჩევანისა. ისევე, როგორც ბავშვს მშობლისაგან ეძლევა ჯიბის ფული, რომელიც შეუძლია დახარჯოს სასიკეთოდ ან საზიანოდ. და ამაზეა დამოკიდებული, თუ რა ელოდება ადამიანს მარადიულ ცხოვრებაში — ბედნიერება თუ დაღუპვა.

სამყაროში ალლაჰის ნების გარეშე არაფერი ხდება, ხეზე ფოთოლიც კი არ შეირხევა. მიუხედავად იმისა, რომ ალლაჰის ნება ყველაფერში ვლინდება, მისი კმაყოფილება - მხოლოდ წყალობაშია. ისევე, როგორც მასწავლებელს სურს, რომ მისმა მოსწავლემ წარმატებას მიაღწიოს და მომდევნო კლასში გადავიდეს. მაგრამ თუკი მოსწავლე უბრალოდ არ შრომობს, მასწავლებელს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მაგალითად შეიძლება ის ექიმიც მოვიყვანოთ, რომელიც ავადმყოფის განკურნვის მიზეზია. მაგრამ თუკი პაციენტი ექიმის დანიშნულ წამალს არ იღებს, მაშინ ყველა შესაძლო არასასიამოვნო შედეგისას დამნაშავე თვითონ იქნება და არავის შეუძლია ცუდი დასასრული ექიმის ბოროტ განზრახვას მიაწეროს.

ამიტომ ის, ვინც ცოდვის გზას დაადგება და აცხადებს „რას იზამ, ასე მეწერა მე!“ — მხოლოდ თავისი უდარდელობის გამართლებას ცდილობს. ალლაჰის უდიდებულესობა ნამაზის შესრულების შესაძლებლობას ხომ იმას აძლევს, ვისაც მისი შესრულება სურს და მრავალ მიზეზს ქმნის იმისათვის, ვისაც არ სურს მისი შესრულება. ამიტომ თუკი ადამიანი ყველაფერში ბედს მიენდობა, ის ჭეშმარიტების წინააღმდეგ სცოდავს.

წმინდა აიათებში ალლაჰის უდიდებულესობა ბრძანებს:

[illegible]

„უეჭველად, ალლაჰი იოტისოდენადაც არავის დაჩაგრავს, და თუ რამე სიკეთე ჰქმენით, გააორმაგებს მას და თავისი წიაღიდან უდიდეს საზღაურს მოჰმადლის!“ [277]

[illegible]

„და რაც სიავეთაგან გეწიათ იმისთვისაა, რაც მოიხვეჭა თქვენმა ხელებმა და მოგიტევებთ მრავალთა.“ [278]

მევლანა ჯალალედინ რუმი კი ამის შესახებ ამბობს: ადამიანის ბედის განსაზღვრულობის და შემოფარგლულობის მიუხედავად, მას არ შეუძლია, ყველაფერი ბედს მიაწეროს.

„თუკი შენ ფეხში ეკალი შეგერჭობა, იცოდე, რომ ამაში შენ ხარ დამნაშავე! თუკი შენ მსუბუქი, გამომწვევი ტანსაცმლით შეიმოსები, შენვე ხარ ის, ვინც მათი შეკერვა შეუკვეთა!“

თვალი ხედავს და ყურს ესმის მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე. ხოლო ზღვარს გადაცილებულის დანახვა ან მოსმენა რაიმე მანძილზე შეუძლებელია. ასევე. ადამიანისთვის გაუგებარია, თუ რა არის ყადერი, ანუ ბედისწერა, რაღაცის წინასწარ განსაზღვრა და ყადა - ბედისწერის შესრულება. ჩვენ ხომ მომავალში მოსახდენამდე და აღსასრულებელამდე მიზეზ-შედეგობითი კავშირებით ვაღწევთ, მაგრამ იმ სიბრძნის განჭვრეტა, რაც მასშია

277. ნისა, 4/40.

278. შურა, 42/30.

დაფარული, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია. როცა ფრიად პატივცემულ ალის შეეკითხნენ, თუ რა არის „ყადერი“ და „ყადა“ მან უპასუხა:

„ეს თემა ღრმაა, როგორც უფსკერო ზღვა!“

თუმცა არიან ისინი, ვინც ამ წინააღმდეგობის დაძლევასა და ზღვის გადაცურვას ცდილობენ. მათ შორის არიან „ჯაბარითები“, ანუ რაღაც ნების უარმყოფელები, (მონა-მსახურის მონაწილეობა მასში რაც გარდაუვალია) და „ყედირითები“, რომლებიც სრულ თავისუფლებას მოვლენის მონაწილეს ან მოწმეს მიაწერენ. ერთნიც და მეორენიც, ბოლოს და ბოლოს ამ ზღვის მორევში იძირებიან.

ამიტომ, იმ საზღვრების გაუთვალისწინებლად, სადაც ადამიანის პასუხისმგებლობა, შესაძლებლობანი და ნება მთავრდება, ჩვენ არ ვართ დაზღვეული შეცდომებისაგან. არ შეიძლება, უბრალო მოკვდავი ყველა ქმედებისა და მოვლენის გამჩენად ჩაითვალოს, ეს საკუთარ თავში ზედმეტი რწმენა, უსაზღვრო თავისუფლება და გადაჭარბებული არჩევანის გაკეთებაა ჩვენი მხრიდან. ასევე, არასწორი იქნება უარვყოთ ის ნება, რაც ბოძებული გვაქვს ღვთისაგან ზომიერების ფარგლებში გამოსაყენებლად. ყოველივე ეს რელიგიის საფუძვლებს ეწინააღმდეგება. მართებული იქნება თუკი ადამიანს ალლაჰის უდიდებულესობის ქმნილებად აღვიქვამთ, რომელსაც მისგან არჩევანის და ნების თავისუფლება აქვს მინიჭებული.

ამ საკითხში ჩვენი გონება და წარმოსახვა უძლურია. მაგრამ თუკი საკუთარ თავს ალლაჰის ნებას მივანდობთ, ცოდნის მიღება შესაძლებელი იქნება სულიერების სამყაროს გავლით; მაგრამ ბედისწერისა და ბედის საი-

დუმლოს გახსნა წინანდებურად ისევ შეუძლებელი რჩება. მისი შეცნობა საზღვრების დაცვითა და დასაშვებ ზღვარს გადაუცილებლად მხოლოდ სრულყოფილ მონა-მსახურს ძალუძს.

საქმის დასასრულამდე მისული ადამიანი ათასჯერ ინანებს იმის გამო, რისთვისაც წვალობდა და იხარჯებოდა, რასაც ითხოვდა. იმისათვის, რათა წუთისოფელში მიაღწიო კეთილდღეობას და მარადიულ სამყაროში ბედნიერებას, საჭიროა ალლაჰის ძლევამოსილების აღიარება, ყველაფერში მისადმი მინდობა, მისგან ნების აღება, საკუთარ არარაობასა და დახმარების აუცილებლობაში დარწმუნება – ეს არის მონა-მსახურის მუდმივი კაპიტალი. ერთადერთი გამოსავალი უცნობი ბედისწერისა და მისი განხორციელების წინაშე – ესაა მინდობა ალლაჰის ნებაზე. რადგანაც საკუთარი თავის ღვთის რწმენასა და მის სიყვარულში დარწმუნება – ეს წყალობისაკენ მიმავალი კარებია, რომლის გავლის შემდეგაც ბედისწერას თავისი სიხარული და ნეტარება მოაქვს.

ალლაჰის შუამავალმა ხომ თქვა:

„ბედისწერის რწმენა ყოველგვარ მწუხარებასა და დარდს ფანტავს.“ [279]

მაგრამ საკუთარი ბედით კმაყოფილება, ცხოვრება იმედით, საკუთარი თავის ალლაჰზე მინდობა პასიურ და ზარმაც ლოდინს არ აღნიშნავს; როცა შესაძლო უბედურებათა თავიდან ასაცილებლად არავითარ ღონეს არ მიმართავენ. უზენაესით დაიმედება მაშინაა მიზანშეწონილი, როცა სიკეთის მოსაპოვებლად და ბოროტების გა-

279. სუიუთი, ჯამიუს-საირი, 1, 107.

დასალახავად მიღებული იქნება ყველა ზომა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება გონივრული ალლაჰზე მორჩილება და მიმხრობა. თუკი არაფერს ვიღონებთ, არც შედეგი იქნება; ასევე იმედის ქონა შესაბამისი, საჭირო ქმედების გარეშე მიუღებელია. ეს სულისა და ჭეშმარიტი სასოების არსის წინააღმდეგობრივია.

ფრიად პატივცემული ომარი სირიაში თავისი ერთ-ერთი მორიგი ლაშქრობისას დასახლებულ პუნქტში არ შევიდა, როცა იქ არსებული ეპიდემიის შესახებ გაიგო. ის საბჭოს გადაწყვეტილებას დაელოდა, რომელიც მან მოიწვია, მაგრამ გადაწყვეტილებამ, რომელიც შინაარსით ალლაჰის უდიდებულესობისა და ფრიად პატივცემული შუამავლის ბრძანებას შეესაბამებოდა ზოგიერთი თანამედროვის, მაგალითად ცნობილი მხედართმთავრის აბუ უბეიდე იბნ ჯერრაჰის დაეჭვება გამოიწვია:

— რატომ გაურბიხარ შენ ალლაჰის ბედისწერას?

ომარმა, რომელიც ასეთი პატივდებული და მცოდნე მიმდევრისგან ამის გაგონებას არ მოელოდა, თქვა:

— ეს სიტყვები სხვას რომ ეთქვა აბუ უბეიდე ზე! დიახ, ჩვენ გავურბივართ ალლაჰის ბედისწერას, ისევ ალლაჰის ბედისწერის გამო. როგორ მოიქცეოდი შენ იმ მთის წინ, რომლის ერთი კალთა გადამწვარი, ხრიოკია, ხოლო მეორე ბალახითაა ამწვანებული?! და თავისი აქლემები საბალახოდ არა გადამწვარ, არამედ ამწვანებულ მიწას მიაშურა. ნუთუ შენც ღვთაებრივი ბედისწერის შესაბამისად არ მოიქცეოდი? [280]

280. ბუჰარი, თიბი, 30.

ცხადია, რომ ბედიწერის ჩარჩოებიდან გამოსვლა შეუძლებელია. ამიტომ რაც მონა-მსახურს მოეთხოვება, აუცილებელი ზომების მიღებასა და მიზნის მიმდევრობაში მდგომარეობს.

მათთვის, ვინც ბედისწერის მიმართ სიბრძნეს ავლენს ნათელი ხდება, რომ შეუძლებელია ბოლომდე შეცნობა თავისი ბედი-იღბლის და ეს არაა უბედურება, არამედ პირიქით, უზარმაზარი სათნოების გამოვლენაა მათ მიმართ. ამავე დროს, თუკი ადამიანს ეცოდინება ყველაფერი, რასაც მას ბედისწერა უმზადებს, შეუძლია სხვა უკიდურესობაში გადავიდეს, რადგან საფრთხის უარყოფაც არ შეიძლება.

მაგალითად, ადამიანს უმალავენ, რომ ის უკურნებელი სენით დაიღუპება, მაგრამ ეს მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო, კვდომას სიცოცხლეშივე დაიწყებდა, გული წაუვიდოდა, ყველაფრის კეთების უნარს დაკარგავდა. და, დედას რომ სცოდნოდა, თავისი შვილის მოსალოდნელი სიკვდილის შესახებ, მთელ ცხოვრებას დარდსა და წუხილში გაატარებდა. ჯამში კი ყოველივე ეს სამყაროს კანონზომიერებას შეეწინააღმდეგებოდა და ცხოვრების ჰარმონიას დაარღვევდა.

ჩვენმა სულიერებისაგან დაცლილმა დრომ სამყარო სტრესამდე, სხვადასხვა სახის კრიზისამდე, თვითმკვლელობამდე მიიყვანა. გული, რომელიც მოკლებულია სულიერ აღზრდას, უმეტესწილად სურვილებისა და ცდუნების მორჩილებაში იმყოფება. უეცარი განსაცდელის მშვიდად გადატანა და ბედის უკუღმა დატრიალების შეგუება მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვისაც სწამს „უხილავი“ ბედისწერისა.

ჩვენი ბედნიერებასთან ზიარების ურყევი და უცვლელი პირობა, საკუთარი გონების ღვთაებრივი ზეშთაგონებით საზრდოობასა და გულის მშვენიერი ზნეობრივი თვისებებით აღზრდაშია. ჩვენ უნდა შევძლოთ კმაყოფილების გამოხატვა ბედის ყოველგვარი მოულოდნელობის მიუხედავად. ბედნიერება ესაა ცხოვრების მშვიდი, უდრტვინველი აღქმა, მძიმე მომენტებში მოთმინების უნარის გამოვლენით ყველაფრის უკეთესი კუთხით დანახვის საშუალება; სამყაროს მფლობელის ნებისადმი მორჩილება.

უზენაესი გამჩენის ნების მორჩილებაში მყოფებმა პირადი წარმატება (წყალობა) მწუხარების, ხოლო მწუხარება – წყალობის სახით უნდა აღვიქვად. ბედისწერის იდუმალება, მისი დაფარულობა ხომ გვარწმუნებს, რომ ცხოვრება განსაცდელის ადგილია.

ალლაჰის უდიდებულესობა ამის შესახებ ამბობს:



„...იქნებ თქვენ გძულდეთ რამე, მაგრამ ის რამე კარგია თქვენთვის; და იქნებ თქვენ გიყვარდეთ რამე, მაგრამ ის ცუდია თქვენთვის. ჭეშმარიტად, (ამ ყველაფერს) უწყის ალლაჰი, თქვენ კი არ იცით!“ [281]

სხვა აიათში ნათქვამია:

281. ბაყარა 2/216.

[illegible]

„უთხარი: არაფერი გვეწევა, გარდა, რაც ჩვენზე დაწერა ალლაჰმა. იგია ჩვენი მფარველი. დაე, მხოლოდ ალლაჰს მიენდონ მორწმუნენი!“[282]

ჭეშმარიტად, ხედავდე ცხოვრების მხოლოდ ნაღდ, ნათელ მხარეს იგივეა, იყო ბრმა, წარუმატებლობისა და უმოქმედობისთვის განწირული. იმაში, რომ შეძლო საგნების სწორი დანახვა, უდავოდ ყველაა დარწმუნებული. ეს უზარმაზარი ჯილდოა. მაგრამ ამქვეყნად უსინათლოდ მოსული ადამიანი, მრავალი ცოდვითაა გარშემორტყმული და ეს ნაკლი მას სიხარულის წყაროდ უბრუნდება. იგივე ითქმის სიღარიბესა და სიმდიდრეზე. თუკი ღარიბი, თავისი მდგომარეობის მიუხედავად, არ უჩივის ალლაჰის ბედისწერას და პირიქით- კმაყოფილია, ამისთვის მას შეუძლია მარადიულ ცხოვრებაში ბედნიერების მიღება. და ამავე დროს, თუკი ის მდიდარია, შესაძლებელია, იმ სიკეეთეების გამო, რომლებიც შეიძინა და მოიხვეჭა, მიყვეს ცდუნებას და თავისი უდარდელობის გამო დაუშვას მრავალი შეცდომა, ცოდვა და მოკლებულ იქნას მარადიულ ბედნიერებას. რა თქმა უნდა, შესაძლებელია პირიქითაც. მორწმუნე ვალდებულია ყოველივე, რაც შეემთხვევა დადებითი კუთხით აღიქვას; კმაყოფილი იყოს ღვთაებრივი ბედისწერითა და დადგენილებით და ის მიიღოს როგორც მარადიული ბედნიერებისაკენ მიმავალი გზა. ის უნდა ეცადოს ცხოვრებაში გამოავლინოს მოთმინება, კეთილშობილება და მორჩილება.

ჰადისში ნათქვამია:

---

282. თევბე 9/51.

„მორწმუნის მდგომარეობა, ჭეშმარიტად, დამატყვევებელია თავისი მორჩილების უნარით. რადგანაც ყველაფერს, რაც მას შეემთხვევა, სიკეთედ აღიქვამს. ასეთი თვისება კი მხოლოდ მორწმუნისთვისაა დამახასიათებელი. თუკი მორწმუნე მიიღებს იმას, რაც მას ახარებს, ის კმაყოფილია და ამას წყალობის სახით იღებს; ხოლო თუკი მას უბედურება ეწვევა, ავლენს მოთმინებას, რაც მისთვის ისევ წყალობად იქცევა.“ [283]

თუკი ჩვენ მიერ განხილულ, ბედისწერასთან დაკავშირებულ თემებს დაწვრილებით ჩავუღრმავდებით, წარმოიშობა სხვა ახალი შეკითხვები, რომლებზეც ჯერჯერობით პასუხები არ არის. ამიტომ, ალლაჰის შუამავალი ბედისწერაზე ფიქრისა და კამათის გარეშე რწმენისაკენ მოგვიწოდებდა. ერთხელ, შეხვდა რა ის ბედისწერაზე კამათში გართულ ხალხის ჯგუფს, მან თქვა:

„ნუთუ ეს თქვენთვის არ იყო ცნობილი? ანდა, მე თქვენთან ამისთვის ვიყავ მოვლენილი? ისინი, ვინც თქვენამდე იყვნენ და ასევე იქცეოდნენ -განადგურდნენ. ერიდეთ ამ თემაზე კამათს!“ [284]

ო, ჩვენო ღმერთო! გვაქციე ჩვენ იმ მონა-მსახურებთაგანი, რომლებიც ჭეშმარიტად მოგენდნენ შენ და მოგვეცი შესაძლებლობა ისეთი ქმედებები ჩავიდინოთ, რითაც შენ კმაყოფილი იქნები. გვაქციე ჩვენ იმ ბედის მორჩილებად, რომელიც შენ ბედისწერით გვარგუნე!

ამინ!

---

283. მუსლიმი, ზუჰდი, 64.

284. თირმიზი ყადერი, 1.

გზა რწმენიდან ჭვრეტისაკენ

მუსა ეფენდი

(1917-1999)

„ყველაზე დიდი წყალობა, რითაც უზენაესი ალლაჰი თავის მსახურს აჯილდოებს - ესაა ცოდნის მიცემა იმის შესახებ, თუ რამდენად უძლურია ადამიანი. ჩემთვის, სულიერების გზაზე, ყველაზე დიდი შენაძენი უპირველეს ყოვლისა, იყო დამენახა საკუთარი შეცდომები. მე შევიცანი ჩემი უმწეობა ღვთის წინაშე. ამრიგად, მე არ გამჩენია მცირეოდენი სურვილიც კი, შემენიშნა, ან დაკავებული ვყოფილიყავი სხვისი შეცდომების განკითხვით. დიდება ალლაჰს, ამისათვის მე მარად მადლიერი ვარ მისი...“

მუსა თოფბაში

გზა რწმენიდან ჭვრეტისაკენ
მუსა ეფენდი
(1917-1999)

მორწმუნის მიერ იმის შეგნება, რომ ის მუდმივად ღვთაებრივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და ამ შეგნების განმტკიცება, ე. ი. იჰსანი ნიშნავს, რაღაც საქმის ყველაზე სრული სახით შესრულებას.

მუსა ეფენდის ცხოვრება, რომელმაც ეს სამყარო 1999 წლის 16 ივლისს დატოვა, სავსე იყო განსაკუთრებული ქცევებითა და საქმეებით, რომლებიც მისი პიროვნების სიფაქიზესა და დელიკატურობას მოწმობდნენ. მისმა ყოფიერებამ მიაღწია „იხსანის“ დონეს.

ის იმდენად გამოირჩეოდა თავისი ქცევებით, რომ თვით სამადლო საქმის კეთების დროსაც არ ივიწყებდა, რომ ალლაჰი უთვალთვალებდა მას და ახსოვდა საკუთარი სისუსტე. მისი ასეთი კეთილშობილი ქმედება მუდმივად შეახსენებდა გარშემო მყოფებს იხსანის შესახებ.

ეს დიდებული ადამიანი მთელი სრულყოფილებით ადგა რწმენის დახმარებით სიკეთის მოპოვების გზას. თავისი გარეგნობით, ქცევითა თუ სიტყვებით წარმოადგენდა მისაბაძ ნიმუშს. მისი ცხოვრების სისუფთავე, დელიკატურობა, გამჭვირვალობა და სრულყოფილება საქმეებში აისახა და დღემდე სამაგალითოა ჩვენთვის. მისი

ავტორიტეტული სიტყვა მსგავსია მზის, ფეიზისა (დოვლათის) და ბარაქისა (კურთხევისა).

რაკი ყველას, ნაცნობსა თუ უცნობს, თანაბარი პატივისცემით ეპყრობოდა, უკიდურესად წუხდა, რომ მეზობლად, მსოფლიოს რომელიღაც ნაწილში სიმშვიდე, ჰარმონია და ღვთაებრივი წესრიგი ირღვეოდა. მისი ცხოვრების წესი სხვისი ნაკლოვანებების აღმოფხვრა და გამოსწორება იყო, ამიტომ ის ცდილობდა ყოველ საქმეს ღრმად და ყურადღებით მიდგომოდა. მისი ყურადღების გარეშე არ რჩებოდა ისეთი წვრილმანიც კი, როგორიცაა კედელზე ირიბად ჩამოკიდული სურათი ან იატაკზე ულამაზოდ გაშლილი სალოცავი. ის ან სხვისგან მოითხოვდა ამ დაუდევრობის გასწორებას ან თვითონ ასწორებდა. თუკი სათავსო მოუწესრიგებელი იქნებოდა ან წვეულებაზე მოსული ხალხი, ნაცვლად იმისა, რომ თავისი ადგილები დაეკავებინათ, უპირატესობას კარებთან თავმოყრასა და მასლაათს ანიჭებდნენ, ეს მას ყურადღებიდან არ ეპარებოდა და მოსვენებას არ აძლევდა.

ალლაჰის რჩეული მონა-მსახურების სრულყოფილება და სიფაქიზე მშვენივრადაა ახსნილი წმინდა აიათებში:

„ხოლო მოწყალის მსახურნი არიან ისინი, რომელნიც მოკრძალებულად დადიან ქვეყანაზე და როცა უმეცარი შემოხვდებათ ეუბნებიან: „სალამი!“

რომელნიც ღამეს ატარებენ სეჯდეს აღმვლენი და ფეხზე მდგარნი თავისი ღმერთის წინაშე“[285]

მოცემულ წმინდა აიათებსა და მათი ხასიათის მოწოდებებში ალლაჰის უდიდებულესობა უმწიკვლო მორწმუნეთა თვისებებს ასახელებს. ეს თვისებები ამ რვა პუნქტშია გადმოცემული:

1. მათი ნაბიჯი და სვლა დედამიწაზე მსუბუქია; ისინი შორს არიან სიამაყისა და ქედმაღლობისგან, მოკრძალებული და ზომიერნი არიან. თუკი მათ მიმართავს უმეცარი, ისინი კეთილი სიტყვით პასუხობენ; რადგან ყოველი გარშემომყოფის მიმართ მოწყალებასა და თანაგრძნობას იჩენენ, **„რომელნიც მოკრძალებულად დადიან ქვეყანაზე“** რის გამოც მათი თანდასწრებით მყოფნი თავს საიმედოდ და უსაფრთხოდ გრძნობენ.[286]

2. ისინი ღამღამობით ფხიზლობენ და მას თაყვანისცემაში ატარებენ. **„რომელნიც ღამეს ატარებენ სეჯდეს აღმვლენი“** წვებიან დასაძინებლად და დგებიან ალლაჰის სახელით.[287]

3. ისინი აღავლენენ მსგავს ვედრებას: **„ღმერთო ჩვენო! აგვარიდე ტანჯვა ჯოჯოხეთისა! “**[288]

285. ფურყანი, 25/63-64.

286. იხ. ფურყანი, 25/63.

287. იხ.ფურყანი, 25/64.

288. იხ. ფურყანი, 25/65.

4. თავიანთი ცხოვრების წესით ისინი არ არიან მფლანგველები და ძუნწები, არამედ იცავენ ზომიერების ნორმებს.[289]

„როცა შემოწირულობას გასცემენ, არც ფლანგავენ და არც ძუნწობენ, საშუალოს ირჩევენ მათ შორის“

5. ისინი არ მიმართავენ გარდა ალლაჰისა სხვა ღმერთს. არ ხელყოფენ იმ ადამიანის სიცოცხლესაც, ვისი მოკვლაც ალლაჰმა აკრძალა და არ მრუშობენ.[290]

6. ისინი არ ემოწმებიან ცრუს და როცა მოფუსფუსთა გვერდით ჩაივლიან, მათ ღირსეულად განშორდებიან.[291]

7. ხოლო როცა მათ შეაგონებენ მათი უფლის აიათებით, არ რჩებიან ყრუნი და ბრმანი![292]

8. ისინი ჭეშმარიტად არსებულს ასე მიმართავენ: **„რომელნიც ამბობენ: „ღმერთო ჩვენო! გვიბოძე ჩვენ სიხარული ჩვენი ცოლ-შვილის სახით და დაგვადგინე ჩვენ ღვთისმოშიშთათვის წინამძღვრად!“,** აგრეთვე ცდილობენ, რომ მათი ოჯახებისა და შთამომავლობის ცხოვრება აივსოს რწმენით, ირფანითა (ცოდნით) და მშვენიერი ზნეობით, რომელიც მათ სახეს გააცისკროვნებს ამ სამყაროშიც და მარადიულშიც და სურთ იყვნენ მაგალითი, იყვნენ პირველები ღვთისმოშიშთაგან.[293]

289. იხ. ფურყანი, 25/67.

290. იხ. ფურყანი, 25/68.

291. იხ. ფურყანი, 25/72.

292. იხ. ფურყანი, 25/73.

293. იხ. ფურყანი, 25/74.

იმის შესახებ, თუ რა მოელით ამ წმინდა მორწმუნეებს მარადიულ ცხოვრებაში, ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„სწორედ ისინი დაჯილდოვდებიან უმაღლესი ადგილით, რამეთუ იყვნენ მომთმენნი, და დახვდებიან იქ სალმითა და მშვიდობით!“[294]

ადამიანი, რომელიც დამატებით სავარჯიშოებს იმის მიხედვით ასრულებს, რა რეკომენდაციასაც მას თასავვუფი (სულიერება) აძლევს, ალლაჰის წყალობითა და გულუხვობით იწმინდება და აღწევს ისეთ მდგომარეობას, რომელიც მას ამქვეყანასთან განშორებისას ანგელოზების დონემდე აამაღლებს და უნარჩუნებს ადამიანის სახეს. ამიტომ ყოველი მათგანი ცხოვრობს საკუთარი სულიერი ცხოვრების გზით, ცის კამარაზე მოკიაფე ვარსკლავების მსგავსად; და თავისი შინაგანი სამყაროს ჩაკეტვით თავისუფალია ყოველი გარეშე ზემოქმედებისაგან. მათი ცხოვრება მიუწვდომელი და საიდუმლოთი დაფარულია. მათზე ჰადისი - ყუდსიში ნათქვამია:

„ჩემთან დაახლოებული მონა-მსახურები ჩემივე გუმბათების ქვეშ არიან; არავინ, ჩემს გარდა, არ აღიარებს მათ.“[295]

მაგრამ ალლაჰის საყვარელ მონა-მსახურთაგან უმრავლესობა ცნობილია ხალხისთვის, რამდენადაც მათთვის საზოგადოებაში დამრიგებლის როლია გამოყოფილი, ისინი შუქურებია, რომლებიც აშუქებენ გზას დღევანდელი დღიდან მომავლისაკენ და ასრულებენ (ამ სამყაროში) იმგვარ მსახურებას, რომელიც მარადიული

294. ფურყანი, 25/75.

295. აბდურრაჰმან ჯამი, ნაფაჰათულ - უნსი, გვ. 45.

სამყაროს კაპიტალისა და წყალობის გამომმუშავებელია. ისინი მთელი თავისი გამჭვირვალობით წვდებიან ღვთაებრივ საიდუმლოს, სიბრძნესა და დანიშნულებას. ამიტომ ამ ცოდნით აღჭურვილები მშვიდ და ჰარმონიულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ისინი თავისუფალნი არიან განგაშის, ეჭვიანობისა და მრავალი მსგავსი ადამიანური სისუსტეებისგან.

მათთვის არ არსებობს ტერმინი „ტყუილუბრალოდ“. ყველაფერს უზენაესს და პრინციპს - „შეიყვარე გაჩენილი გამჩენის გულისთვის“ უმორჩილებენ. ამ პრინციპის მიმდევრობით კი სულიერად მაღლდებიან, იწყებენ სამყაროს სიბრძნით და დარიგებით ჭვრეტას, არიან რა სიყვარულითა და მშვენიერი გრძნობებით ავსებულნი.

ყველა ეს მდგომარეობა და თვისება მუსა ეფენდისთვის იყო დამახასიათებელი. კონკრეტულად კი თანაგრძნობის გამოხატვისას სიფაქიზისა და დელიკატურობის გამოვლენა (რაც მას ხელეწიფებოდა ამქვეყნიურისა და ყოფითის გამჩენის ხედვის პრიზმაში გავლით); რომელიც უსაზღვროდ გულმოწყალე და ლმობიერია თავისი ქმნილებებისადმი. ეს მას იმ ხარისხით ახასიათებდა, რომ მისი ყურადღების გარეშე არ რჩებოდნენ თვით კატებიც კი და მის სახლთან მოგოგმანე მტრედებიც. ის ზრუნავდა მათზე, კვებავდა თავისი დიდსულოვნებიდან წილის დათმობით.

ჩვენს მიერ „თაჰდისი ნიმეთის“, ე. ი. გარდმოვლენილი წყალობის გამო ნაგრძნობი მადლიერების გახსენების მიზეზი (რომელიც ალლაჰთან დაახლოებული მონამსახურის აზრსა და მოქმედებაზე ახდენს გავლენას,) „რწმენიდან სიკეთისკენ-თასავვუფისკენ“ მიმავალი გზის არსში ჩაწვდომა იყო. ამის შესახებ, მოგითხრობთ

ჩვენს უკანასკნელ ნაწარმოებში „რწმენიდან სიკეთის-კენ-თასავვუფისკენ“.

ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა ყველა მისი მოსწავლის სახელით გამოვთქვათ ღრმა პატივისცემა და სიყვარული ამ ნათელი სახის პიროვნებისადმი, ვუძღვნით მას ჩვენს გულწრფელ ვედრებას და მისი არყოფნის ტკივილს ვაქარვებთ მისი კეთილი სახის მოგონებით.

ყველა მკითხველს კი ვთხოვ, მისი სულის გასახსენებლად წაიკითხოს „ალ-ფათიჰა“

მისი დარიგების თაიგული

ჩვენ გვსურს მოსწავლეებს აწ განსვენებული მუსა ეფენდის დარიგების თაიგული მივართვათ, რომელიც მან თავისი წერილების სახით გვიანდერძა.

„მორწმუნის სულიერი სამყაროს სიღრმე და სრულყოფა მის ქცევებში გამოიხატება. ის მშვენიერი თვისებები, რომლებიც მათთვისაა დამახასიათებელი, შემდეგია:

მან ყოველთვის, თითოეული წუთის ფასის შეგნებითა და ყოველი ამოსუნთქვით უნდა გამოავლინოს მოკრძალება, დრო ფუჭად არ უნდა გაფლანგოს; ალლაჰის მონამსახურებს კი სიყვარულით უნდა მოექცეს, არ იკამათოს და მოიქცეს თავისი რელიგიის ერთგულების დონის შესაბამისად, რაც დაფარავს მასში არსებულ ადამიანურ მიდრეკილებებს, უნდა გამოიჩინოს ყურადღება აკრძალულისა და ნებადართულის მიმართ; საკუთარი ცოდვა კი უზარმაზარ ტვირთად უნდა მიიჩნიოს, მაშინაც კი, თუ ის უმნიშვნელოა. ხოლო ის, ვინც თავის ცოდვას არაფრად

მიიჩნევს, დაგვიფარე ამისგან ალლაჰო, და მათგან ვინც ეურჩება უზენაესი ალლაჰი ბრძანებებსა და აკრძალვებს.

მოდით, ჩვენთვის ნაბოძები დრო, უფრო მეტად კი განთიადისწინა, ნამაზის ლოცვაში, ალლაჰის ხსენებასა და ვედრებაში გავატაროთ. მოდით, ჩვენი ოჯახის წევრებსა და განსაკუთრებით უფროსებს ვემსახუროთ. ხოლო მათთან ერთად, ვინც წუთისოფელში ჩაფლულია და უდარდელობაში იმყოფება, ნაკლები დრო გავატაროთ. ჩვენს ახლობლებთან ერთად ვემსახუროთ უმწეოებს, დავეხმაროთ მათ თანაბრად — სიტყვითა და საქმით. ყველაზე მთავარი კი არის ვიყოთ ფრთხილები იმ ყველაფრის მიმართ, რაც ჰარამსა და ჰალალს შეეხება. ვიყოთ ყურადღებიანი ჩვენს სავაჭრო საქმიანობაში, რათა ალლაჰისადმი მორჩილებაში არ დავუშვათ წინდაუხედაობა. ასეთი მონა-მსახური თავისი გულმოწყალეობისა და მაღალი ზნეობის გამო ახლოსაა ალლაჰთან. ხოლო მონა-მსახური, რომელიც უახლოვდება ალლაჰს და ჩაწვდება ამ ჰადისის საიდუმლოს:

„საუკეთესოა მორალი, რომლითაც ღმერთმა მე აღმზარდა.“[296] ის საკუთარ თავს უზენაესი გამჩენის ზნეობით გაილამაზებს. ხოლო მასზე კეთილშობილი და ღირსეული არაფერია.

ყველა შეცდომის, გულმავიწყობისა და ყოყმანის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ალლაჰის ხსენება არ გვადარდებს. ე. ი. როცა მის სახელს დავიწყებას მივცემთ. იმათ კი, ვინც მუდმივად გულით ახსენებს ალლაჰს არა მარტო თავს არ გადახდება უბედურება და არ შეიპყრობს სი-

296. სუიუთი, ჯამიუს - საირი, 1, 12.

ნანული წუთისოფელზე, არამედ ამ მოსალოდნელ საფრთხესა და ადამიანურ განცდებს შეენაცვლება და მის ადგილას თავისუფლად დაიჭერს სიმშვიდე, გულუხვობა და ქველმოქმედება ყოველივე ამქვეყნიურისადმი. ე. ი. —სიყვარული, მარადიული სიყვარული... ალლაჰის უდიდებულესობა ხომ მის საყვარელ მონა-მსახურს თავისი სიყვარულის მდინარეში განბანს. და ეს ადამიანიც ყველა მათგანს შეიყვარებს, ვინც ალლაჰის უდიდებულესობამ თავისი სიყვარულის ღირსად აქცია.

გონიერი ადამიანი უზენაესი ალლაჰის ღვთაებრივ ძლევამოსილებაზე დაფიქრებითა და ამქვეყნიური და საუკუნო სიკეთეების მოპოვებით შეიძენს მორჩილებას და თავისი სულის ჰორიზონტებს აფართოებს. მას უყვარს ყველა, ოღონდ თავისი ღირსების ფარგლებში, ზომიერების შესაბამისად. ამიტომ არავის გამო არ დაიწყებს კამათს.

მეორე მხრივ, გონიერი ადამიანი იმასაც ხვდება, რომ სწრაფმავალი და ცვალებადია წუთისოფელი. ის ცდილობს თავისი ღმერთის კმაყოფილება მოიპოვოს. ამიტომ, ამ სამყაროში ყოფნისას, საკუთარი გულის სიმძიმესა და წუხილს, სიმშვიდესა და სიხარულში ცვლის. ე. ი. (ჯერ კიდევ) ამქვეყნიური ყოფიერებისას ცდილობს შეაღოს სამოთხის კარი.

ყოველი ადამიანი, რომელიც საზოგადოების წევრია, ალლაჰის უდიდებულესობის კმაყოფილების მოპოვებისა და საზოგადოების აყვავებისთვის აუცილებელ პირობად მსახურებას უნდა თვლიდეს. ეს მეტად ძვირფასია მთლიანად საზოგადოებისათვის, რადგან ისინი დაჯილდოვდებიან და მიეზღვევათ რწმენის დიდებულების შესაბამისად. ჰადისში ნათქვამია:

„ის, ვინც ხალხს, - (მოსაპოვებელი საზღაურისა და ჯილდოსთვის) ემსახურება, ყველაზე დიდია მათ შორის.“[297]

მრავალი, ვინც თაყვანისცემისა და მორჩილების გზას მისდევს, ივიწყებს იმას, რომ ალლაჰის უდიდებულესობას გააჩნია „სათთარულ-უიუბის“ სახე, უნარი. ე. ი. შეუძლია ნაკლოვანებების დამალვა და ჩადენილი ცოდვებისათვის ყურადღების მიუქცევლობით მათი პატიება, შენდობა. ამის გამო (უზენაესისაგან ცოდვების მიტევების იმედით) მათ არ შეუძლიათ სრული განვითარება, მიუხედავად დიდი სურვილისა. მართალია, პატიება და ნაკლის დაფარვა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი თვისებაა, რომელიც ჩვენი ზნეობის მშვენიერებას განსაზღვრავს. ამიტომ, ჩვენ ალლაჰის უდიდებულესობის მსგავსად მპატიებლები უნდა ვიყოთ და ისევე შევუნდოთ, როგორადაც ის შეუნდობს გაუთავებელ ცოდვებსა და წინდაუხედაობას თავის მონა-მსახურებს. მათ ხომ, ვინც ალლაჰის სიყვარული სრულად შეიმეცნა, შეუძლიათ პატიება. ჩვენც ვაპატიოთ, რომ ვიყოთ ნაპატიებთა სიაში.

საკუთარი თავის ალლაჰზე მინდობა - ესაა სიმშვიდისა და სიხარულის ერთადერთი გასაღები. ეს ნიშნავს: ვიყოთ ალლაჰის ნებით კმაყოფილი და ყურადღებიანი იმის მიმართ, რისი ნებაც ან დაგვრთო, ან აგვიკრძალა.

არიან ორი სახის ჭეშმარიტების გზით მავალნი. მათგან ზოგიერთს რელიგიური დანაწესის დაცვა ექცევა მყარ ჩვევად, რისთვისაც ისინი, უეჭველია, წახალისებას მიიღებენ. ხოლო ზოგიერთი რელიგიური დანაწესის შესრულებისას თავს მუდმივად გამჩენის წინაშე წარმდ-

297. დაილამი, მუსნადი, 11, 324.

გარად მიიჩნევენ. ისინი უფრო ყურადღებიანი ხდებიან წმინდა ყურანის ბრძანებების მიმართ და ყველაფერში, რაც შეეხება მის ნებას, ბედსა და წინასწარგანსაზღვრულობას, ალლაჰს ემორჩილებიან. თავიანთ ყოველ მოქმედებას ისინი, სწორედ ალლაჰის კმაყოფილების თვალსაზრისით განიხილავენ. გულის მდგომარეობასა და შინაგან სამყაროსაც იმავე კრიტერიუმით აფასებენ. მაგრამ, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ასეთები ცოტაა, ძალიან ცოტა.

ამქვეყნიური არსებობის ტალანტი ხომ ალლაჰის უდიდებულესობასთან ერთად სულიერად ყოფნის ცოდნაში მდგომარეობს, ყველა განსაცდელისა და პერიპეტიების გავლით. ეს ძალიან სასიამოვნო გრძნობა, ალლაჰის უმაღლესი ჯილდოა თავისი მონა-მსახურისადმი. თუკი ჩვენ შევძლებთ, ღირსეულად შევაფასოთ ჩვენი დანიშნულება, ამ სწრაფმავალი ცხოვრების თამაშები არ გაგვიტაცებს.

ჭეშმარიტი გამჩენის მიერ ნაჩუქარი კიდევ ერთ-ერთი უდიდესი ჯილდოა მონა-მსახურისადმი გადაცემული უნარი საკუთარი სისუსტისა და დაუცველობის შესაგნებად. ყველაზე დიდი მონაპოვარი სულიერების გზაზე, უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის იყო საკუთარი შეცდომების დანახვის ნიჭი. რის შემდეგადაც მე შევიგრძენი ჩემი უძლურება ღვთის წინაშე. ამრიგად, მე არ დამრჩენია მცირეოდენი სურვილიც კი შემენიშნა, ან დაკავებული ვყოფილიყავი სხვისი შეცდომებით. დიდება ალლაჰს, ამისათვის მე მისი უსაზღვროდ მადლიერი ვარ...“

❖

ყველა ეს გაფრთხილება და დარიგება აღსავსე სიყვარულით, სათნოებით, ალლაჰის მსახურებისაკენ მოწოდებით და სულიერების სიბრძნით, ჩვენთან მისი ყოფიერების სიმაღლიდან ჩამოვივდა, რამაც „იხსანის“ (სიკეთე) ხარისხს მიაღწია.

დაე, იყოს ალლაჰის წყალობა მათზე და თითეოულ ჩვენთაგანზე.

წვეთი სულიერებიდან

ნაწარმოების„რწმენიდან ჭვრეტისაკენ თასავვუფი1-“ მიხედვით

თასავვუფი (სუფიზმი) ნიშნავს იცხოვრო ყურანისა და სუნნეთის შესაბამისად და ყველაზე ამაღლებული ფორმით განახორციელო ალლაჰისადმი მორჩილება. თასავვუფი - ესაა საშუალება, რომელიც ყველა წინააღმდეგობას ალლაჰზე მორჩილებით აღმოფხვრის და იძლევა ყველა შესაძლებლობას მისი კმაყოფილების მოსაპოვებლად.

ᲬᲕᲔᲗᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ „ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲓᲐᲜ ᲭᲕᲠᲔᲢᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲗᲐᲡᲐᲕᲕᲣᲤ-1“ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ალთინოლუქი: თქვენ დაწერეთ წიგნი, რომელსაც ეწოდება „რწმენიდან ჭვრეტისაკენ - თასავვუფი“. დღეს, როდესაც თასავვუფის თემაზე, უკვე მრავალი ლიტერატურაა დაწერილი, რატომ ჩათვალეთ თქვენ საჭიროდ კიდევ ერთი ახალი წიგნის შექმნა?

ო. ნ. თ.: -გეთანხმებით. მართლაც, ძალიან ბევრი ლიტერატურაა შექმნილი თასავვუფის თემაზე; მაგრამ ცხოვრება არ არის უძრავი და ადამიანის წინაშე ყოველდღე დგება რომელიმე ახალი პრობლემის შეგუებისა და მისი გადაწყვეტის აუცილებლობა; განსაკუთრებით ახლა, როცა საზოგადოებაში მატერიალურ ფასეულობებს ენიჭება პრიორიტეტი და არ არსებობს სიხარული და სიმშვიდე. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის არსი ძირითადად უცვლელი რჩება, ისინი ყოველდღიურად მაინც ითხოვენ სხვადასხვა ხედვასა და მიდგომას.

ამიტომ ახალი საუკუნის, ახალი ეპოქის მოსვლასთან ერთად დგება სულიერი ღირებულებების გადაფასების აუცილებლობა, ნაწილობრივ რელიგიურისაც, რომელიც მორწმუნის ზნეობისა და ცხოვრების საფუძველს შეადგენს. ე.ი. ახალი წიგნების დაწერა შარიათზე, რელიგიის ისტორიასა და რა თქმა უნდა, ყველაფერზე რაც თა-

სავვუფთანაა დაკავშირებული — აუცილებელია. ე. ი. თასავვუფის ჭეშმარიტების ზუსტი განმარტება ნებისმიერ დროს იყო საჭირო, რათა ამ საკითხის არასწორი აღქმა და განმარტება არ წარმოშობილიყო. ცოდნის ის ფართი, რომელსაც თასავვუფი მოიცავს, აუცილებლობის თუ საკითხების თვალსაზრისით, რომლებსაც ის შეისწავლის, მსგავსია ფართო მდინარისა, ამიტომ ამ თემაზე წიგნებიც უსასრულოდ ბევრია.

და აი, ჩვენც გადავწყვიტეთ ამ ძლევამოსილი მდინარისათვის დაგვემატებინა ჩვენი სულის რამდენიმე წვეთი. თასავვუფი ხომ - ეს უფრო მეტად „საქმეა“, ვიდრე „სიტყვა“. ამიტომ, თუკი ჩვენი შრომა და მცდელობა შეიძლება იქცეს საკუთარი სულის ღმერთთან დამაკავშირებელ ხიდად, ჩვენ ხალხთა შორის უბედნიერესად ჩავითვლებით. ე. ი. ამ ნაწარმოებში ჩვენ არ ვწერთ იმაზე, რაც უკვე დაიწერა. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველივე ის, რაც უკვე ითქვა და დაიწერა თასავვუფის შესახებ, (ალლაჰის მონა-მსახურთა ცხოვრების გზის სიბრძნის ათვისებით) წარმოგვედგინა ისეთი სახით, რომ მასში გადმოცემული მთავარი ხაზი და ცალკეული საკითხები თანამედროვე ცხოვრების პირობების შესაბამისი იყოს. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ესაა მრავალი კოკა იმ სუფთა წყლით, რომელიც საუნჯისეული ცოდნის მფლობელთა სულიერი მემკვიდრეების და ალლაჰის მეგობრების მიერაა გაფილტრული.

ამომავალი მზის საოცარ ფერებსა და მათ მონაცვლეობას ჭეშმარიტების მეგობრები განცვიფრებაში მოჰყავს და მარიფათულლაჰის (ალლაჰის შემეცნება), საზღვრების გაფართოებისა და ღმერთისკენ მისწრაფების მიზე-

ზად იქცევა. საზარელ გველსაც კი, ისინი სიყვარულით სავსე თვალებით ხედავენ და შიშის ნაცვლად, რასაც ხალხის უმრავლესობა მისი დანახვისას განიცდის, ისინი ამ ქმნილების მოხატულობითა (რომელსაც ქმნის ქერცლი გველის სხეულზე) და (ფეხების უქონლობის მიუხედავად) მისი სწრაფი და გრაციოზულად გადაადგილებით რყევდებიან. ე. ი. ამ რჩეული მონა-მსახურებისთვის, მთელი ხმელეთი, საითაც არ უნდა გაიხედონ, სიყვარულსა და სიბრძნეს განასახიერებს.

ამ ნაწარმოებში საუბარია იმაზე, რომ თასავვუფი (მისტიციზმი), როგორც ისლამის განსაკუთრებული დისციპლინა და მეთოდი, იძლევა საშუალებას, რომ ისლამის ყველა მდგომარეობაში, სულიერსა თუ პრაქტიკულში წყალობისა და სიმშვიდის შეტანა იქცეს ცხოვრებისეულ აუცილებლობად. სწორედ ამიტომ ჩვენ ამ წიგნს დავარქვით „რწმენიდან ჭვრეტისაკენ-თასავვუფისკენ.“

ამ ნაწარმოების შექმნის მიზანი მკითხველისთვის იმის ახსნის სურვილი იყო, რომ „იხსანი“ (ჭვრეტა) ისლამის რწმენის გვირგვინია, ეს ალლაჰთან მუდმივმყოფობის გულით შემეცნებაა, რომელიც გაძლიერებისა და განმტკიცების შემდეგ ადამიანის ყველა ქმედებისა და ქცევის საწყის პუნქტად უნდა იქცეს.

ჭეშმარიტი თასავვუფი (მისტიციზმი) – ესაა ყურანისა და სუნნეთის სიბრძნისა და საიდუმლოს სიღრმეში ცხოვრება, მათგან საკუთარი წილის აღება.

ყოველგვარი მდგომარეობა, მოქმედება და სიტყვა, რომელიც ყურანისა და სუნნეთის ჩარჩოებს გარეთ გამოდის, არის მცდარი. ეს შეიძლება ასე აიხსნას: „ფარ-

გლის უმოძრაო ფეხი-ეს შარიათია“ (მუსლიმანის რელიგიური ცხოვრების, ქცევების, იურიდიული ნორმების, პრინციპებისა და წესების კომპლექსი).ფრიად პატივცემული მევლანა ამბობდა:

ჩვენ ყველა ვგავართ ფარგალს. მისი უმოძრაო ღერძი — შარიათია, ხოლო მეორე ფეხით ჩვენ ყველა სამოცდათორმეტ თემს ვხაზავთ.“

შარიათი მსგავსია იმ სანთლისა, რომელიც შუქს გამოსცემს და გზას გვინათებს, მაგრამ მისი მხოლოდ ხელში დაჭერა არაა საკმარისი გზის გადასალახავად. მაგრამ თუკი მას ხელში არ აიღებ, გზაზე მიმავალსაც ვერ შენიშნავ და აი, როცა აიღებ შარიათის სანთელს და გზაზე გახვალ, ეს გზა თავისუფალი იქნება.“

მეორე მხრივ, როცა იხსანი (ჭვრეტა), რომელიც ადამიანისთვის დამახასიათებელ უნარს ან მოქმედების ერთგვარ სახეს წარმოადგენს, ალლაჰის მუდმივი თანდასწრებისა და კონტროლის შეგრძნებით ხდება ცხოვრების საფუძველი და მიზანი ალლაჰთან დაახლოებული მონა-მსახურისა, ის მაღლდება ცად სულის, მირაჯის სახით, ღმერთამდე. ეს, ფარული, ღვთაებრივი და სულიერი ჭეშმარიტებაა. მუთასავვიფის (თასავვუფის გზით მავალის) მიზანი კი ამ ჭეშმარიტების მიღწევაა. ეს ნიშნავს ალლაჰსა და მის მონა-მსახურს შორის ღრმა სასულიერო კავშირის (რაბითას) დამყარებას. ადამიანი, რომელიც ამის გაკეთებასა და გამყარებას სრულად შეძლებს ალლაჰთნ დაახლოებულ მონა-მსახურად იქცევა. ასე ივსებს და ილამაზებს მიმდევარი თავის ზნეობას ღვთაებრივი ზნეობრიობის წყაროდან.

ეს, ამასთანავე, ალლაჰისადმი მორჩილების ყველაზე საუკეთესო ფორმა და მარადიული ცხვრებისთვის ყველაზე საუკეთესო მომზადებაა. სხვა სიტყვებით, თასავვუფი (მისტიციზმი) – ესაა ხერხი, ყველაზე მშვენიერი ფორმით გამოხატო ალლაჰის უდიდებულესობისადმი საკუთარი მორჩილება. ღმერთმა ხომ, ადამიანი თავის სათაყვანებლად შექმნა. ამიტომ თასავვუფი ესაა მონამსახურის სულიერი ამაღლება ღმერთზე თაყვანისცემისას. ის წყლულებს კურნავს, უნაყოფო მიწებს სიმწვანით მოსავს და აყვავებულ ბაღად გარდასახავს, დაცარიელებულ სულებს კი მშვენიერ სასახლეებად გადააქცევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თასავვუფი ესაა ამ სამყაროდან მარადიულ ცხოვრებაში მოგზაურობის ნათელი გზა. ამ გზის პირნათლად გამვლელი, მის ბოლოს, ღვთისაგან სახოტბო სიტყვებს გაიგებს: نِعْمَ الْعَبْدُ (მშვენიერი მონამსახური).[298] ეს მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი, როცა „იმანი“ (რწმენა) „იჰსანში“ (ჭვრეტა) გადადის.

ალთინოლუქი: ის, რაზეც თქვენ საუბრობდით ეხება შინაარსსა და მასში განსახილველ საკითხებსაც. დაწვრილებით მოგვიყევით, მაინც რაზეა ეს წიგნი? რაში მდგომარეობს მისი არსი?

ო. ნ. თ.: ზემოთ განხილულ ნაწარმოებში გავაცნობთ რა მკითხველს თასავვუფის (მისტიციზმის) ძირითად შინაარსს, შემდეგ ვეცდებით ისეთი ცნებების ახსნას, როგორიცაა „მარიფათულლაჰი“ (ალლაჰის შემეცნება), „მუჰაბათულლაჰი“ (ალლაჰის სიყვარული), „თაზქია ნაფსი“ (ცდუნების გადაჩვევა), „თასფია ყალბი“ (გულის გასუფთავება), თასავვუფის მეთოდები და სხვა. პირველ

298. იხ. სურა სადი, აიათი 30.

რიგში, მაგალითები თვით შუამავლის ცხოვრებიდან მოგვაქვს, შემდეგ კი ისლამის დიდ მიმდევართაგან. ზოგჯერ, თასავვუფისათვის დამახასიათებელი ჭეშმარიტი მდგომარეობების ასახსნელად ზოგიერთი მცდარი მსჯელობა მოგვაქვს, რომელიც მასზე მიდგომის სიღრმესა და სიმსუბუქეს შეეხება, მაგრამ არა იმისთვის, რომ მივუთითოთ იმათზე, ვისაც ეს თვალსაზრისი ეკუთვნის, არამედ მათი არსი მკითხველის ცნობიერებამდე რომ მივიტანოთ.

ჩვენს ნაწარმოებში ვსაუბრობთ იმაზეც, რომ თასავვუფი შორსაა მათგან, ვინც თუნდაც კარგი განზრახვით შეუდგება ამ საკითხში, თასავვუფის მიღწევის თვალსაზრისით, სულიერ დამრიგებლობას ცდუნებისა და ქარაფშუტობის გამოვლენით. ეს მაშინ ხდება, როცა ადამიანი ამ დალოცვილ გზას საკმარისად არ იცნობს. თასავვუფი ხომ მიზნად ადამიანის სულის განწმენდას და მის მიერ სასულიერო სრულყოფის მიღწევას ისახავს, რასაც ის მარადიული ბედნიერებისკენ მიჰყავს და რის შესახებაც მუდმივადაა ლაპარაკი წმინდა ყურანში ამაზე რამდენჯერმე ზედიზედ იფიცებენ:

„ვფიცავ, მზეს და მის ნათებას! და მთვარეს, როცა მას მიჰყვება! და მზეს, როცა გამობრწყინდება! ღამეს, როცა მას (მზეს) ფარავს! ზეცას და ამგებსა მისას! მიწას და გამშლელსა მისას! სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას! და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა! უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), ვინც

განწმინდა იგი! უეჭველად, წარწყმედილ იქმნა (სული), ვინც შეეცადა მისი(ნაკლოვანებების) დაფარვას!“[299]

მაშინ, როცა ჭეშმარიტი გამჩენი იფიცებს, ის არა მხოლოდ ყოველივე იმის ფასეულობასა და ღირსებაზე მიუთითებს, რაზეც ის იფიცებს, ასევე ჩვენს ყურადღებას იმაზე ამახვილებს, თუ რა ითქმება მის შემდეგ, ე.ი. იმ სიტყვების მნიშვნელობასა და სიდიადეზე, რაც ფიცს მოსდევს.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ აიათებში ჭეშმარიტი გამჩენი ზედიზედ შვიდჯერ იფიცებს იმით, რაც თავისი ძლევამოსილებით შექმნა, ის თავისი ფიცის მნიშვნელობისა და ძალის განსამტკიცებლად მიმართავს არაბულს; (ჭეშმარიტად) რაც ნიშნავს, რომ ყველაფერი ზუსტად ისე მოხდება, რის შემდეგაც ყველა ნათქვამი ზოგადად ასე ჟღერს:

„არ შეიძლება იყოს ეჭვი იმაში, რომ სულის ცოდვებისაგან განმწმენდი გადარჩება, ხოლო ის, ვინც წაიბილწა ცოდვებით, უეჭველად აღმოჩნდება დაზარალებული...“

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ არსად ისე უზენაესი გამჩენი არ იფიცებს შვიდჯერ ზედიზედ, როგორც წმინდა ყურანში, სადაც ლაპარაკია სულიერ სიწმინდესა და სისუფთავეზე. და ეს საკმარისია, რათა მივუთითოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის საკუთარი სულის განწმენდით იყოს დაკავებული და ამ გზით მოიპოვოს ხსნა.

---

299. შემსი, 91/1-10.

ამ ნაწარმოებში, რომელსაც ჰქვია „რწმენიდან-ჭვრეტისაკენ, თასავვუფისკენ,“ მოთხრობილია, თუ როგორ ისუფთავებდნენ ცნობილი წმინდანები და ალლაჰთან დაახლოებული მონა-მსახურები თავიანთ გულებს, საკუთარ ქცევებზე, საქმეებზე, გამონათქვამებსა და სულიერ მდგომარეობებზე დაყრდნობით.

ალთინოლუქი: ყველაფერი ეს, უეჭველია, იძლევა პასუხს კითხვაზე: „როგორია თასავვუფი?“ მაგრამ, როგორ გავიგოთ ის ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, რომლებიც თასავვუფის შესახებ ზოგ გამოჩენილ მოღვაწეს გააჩნია? ამასთან დაკავშირებით, ხომ არ შეგეძლოთ მოგეცათ თასავვუფის საკუთარი განსაზღვრება ან ამ გზის თქვენეული შეფასება?

ო. ნ. თ.: თასავვუფის, რომელიც არის ცოდნა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიიღწევა, სხვადასხვაგვარი ახსნა იმაზე დამოკიდებულებითაა მოცემული, თუ ვინ იძლევა მას. ამიტომ თასავვუფის მრავალგვარი განსაზღვრება არსებობს. ეს კი იმის შესაბამისად, თუ როგორ აღიქვამს ესა-თუ ის ადამიანი სხივის კაშკაშს, კრისტალის რომელიმე წახნაგის ანარეკლს, რომელიც გზის დასაწყისში მდებარეობს, (თუმცა ამ კრისტალიდან იფრქვევა მრავალი სხივი.)

ტერმინი „თასავვუფის“ განმარტება მრავალგვარია. ალლაჰთან დაახლოებულმა ზოგიერთმა პირმა, (იმ წყალობებიდან გამომდინარე, რომელიც მათ წილად ერგოთ,) შემდეგი განმარტება მოგვცა:

— თასავვუფი — ესაა მშვენიერი ზნეობა და ადბია (ზნეობრივი ნორმების ჩამონათვალი);

— თასავვუფი — ესაა ცდუნებისგან თავშეკავებით, სულის აღზრდა და გულის განწმენდა;

— თასავვუფი — ესაა შეურიგებელი შინაგანი ბრძოლა;

— თასავვუფი — ესაა გულწრფელობა (იხლასი);

— თასავვუფი — ესაა ჭეშმარიტი გზის მიმდევრობა;

— თასავვუფი — ეს იმით დაკმაყოფილებაა, რაც გვაბადია და ალლაჰისადმი მინდობა მასზე დაყრდნობა.

— თასავვუფი – ესაა სხვას დახმარება გაუწიო და არ იყო ტვირთი; ე. ი. სხვებს შვება მოუტანო და არა სიმძიმე.

ამ დებულებების განზოგადებისას, შეიძლება ითქვას, რომ თასავვუფი — ესაა ცოდნა, რომელიც მართლმორწმუნეების შინაგან სამყაროს გამოასწორებს, სულიერად სრულყოფს მათ, მონა-მსახურებს კეთილზნეობას უბოძებს და ჭეშმარიტ გამჩენთან დააახლოებს, რითაც ალლაჰის შეცნობამდე მიიყვანს.

სახელგანთქმული „სიტყვები თასავვუფზე“, რომელიც ეკუთვნის ასევე სავსეა თასავვუფის მრავალი ლამაზი განმარტებით. აი, ზოგიერთი მათგანი:

„თასავვუფის საწყისი იმაშია, რომ სული თავისუფლდება მატერიალური ყოფიერებისგან და ვეღარ ამჩნევს სხვა რაიმე ღირებულების არსებობას, ე. ი. საკუთარ თავს უზენაესი გამჩენის ნებას მიანდობს. მისი დასასრული კი

იმაშია, რომ ყველა ღვთაებრივი სილამაზის მიღწევისას საკუთარი სულის ძალაუფლება მოიპოვოს.“

„თასავვუფი – ესაა სულიერ-გონებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც გამჩენის მიერ ადამიანზეა დაკისრებული. წმინდა ყურანში თასავვუფი – ესაა ღვთაებრივი პატიების გზით გახდე სიკეთის ჭვრეტის ღირსი.“

„თასავვუფი – ესაა მთელი სამყაროსა და ხმელეთის აღქმა მისი ძლევამოსილი მფლობელის სახელის აღიარებით. თასავვუფი – ესაა შენს სულში, ტაძრის აგება ყურანის მცნებების მიხედვით; ე. ი. ყურანის ცოცხალ განსახიერებად გარდასახვა.“

ამ განსაზღვრებებიდან გამომდინარე თასავვუფი ესაა, მატერიალური და სულიერი ცოდვებისაგან განწმენდის შემდეგ, შეიძინო მშვენიერი ზნეობა და გულწრფელობითა და სულიერი ცოდნით, რელიგიური გზით, მისი დებულებების შესაბამისად იცხოვრო. ამიტომ თასავვუფი თანაბრად იძლევა ცხადი და ფარული შინაგანი სამყაროს ამბებისა და მოვლენების უფრო ფართო და მრავალზომიერი ხედვის შესაძლებლობას, მათ საიდუმლოებებსა და სიბრძნეში ჩაწვდომის საშუალებას (რომლებიც ხშირად ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელი და ფარულია). ესაა იმ ბორკილებისგან განთავისუფლება, რომელიც აბრკოლებს სულის მოძრაობას იმ ჭეშმარიტებებისა და უსაზღვრო ნეტარების მიმართ, რომლებიც მის წინ, ჭეშმარიტების გზაზე იხსნება. ე. ი. თასავვუფი, აგრეთვე მატერიალური მოთხოვნილების ცდუნებისაგან განთავისუფლებაა, რომელშიც სული იმყოფება და სურვილების გადალახვა, სიამეებისადმი

მისწრაფებისა და სხეულის მიჯაჭვულობის აღკვეთა. ყოველივე ამის შემდეგ იბადება – შემეცნების ნიჭი, სულიერი აღქმის უნარი და ნათელი განცდები, რომლებიც მოსახდენის არსის ჭეშმარიტებაში შეღწევის შესაძლებლობას იძლევა გამჭრიახობის შეძენისა და გულის სიფაქიზის წყალობით.

ამ თვალსაზრისით, თასავვუფი — ალლაჰის შუამავლის დალოცვილი ცხოვრების მაგალითით, ესაა შინაგანი და გარეგანი სრულყოფა. მასთან უსაზღვრო სიყვარულით შეერთება. თასავვუფი ხომ ალლაჰის შუამავლის ცხადი და დამალული, შინაგანი და გარეგანი გამოვლენის განსახიერებაა. ამიტომ თასავვუფის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეძლო სულიერების ნაწილაკი ალლაჰის შუამავლისგან აიღო და სულიერად შეუერთდე მას.

სხვა სიტყვებით, თასავვუფი – ესაა სიყვარულთან შერწყმული რწმენა, თაყვანისცემა შესრულებული სულიერი დაიმედებით, ქცევების სილამაზე. თასავვუფი – ეს ფეიზის (სულიერი სიბრძნის) ცვარია, რომელიც სათავეს ადამის სულის შთაგონებით იღებს და შუამავლობის გვირგვინი უკანასკნელი შუამავლით მთავრდება.

ალთინოლუქი: — შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დროთა განმავლობაში თასავვუფისადმი გულწრფელი ინტერესი არ დაკარგულა, რწმენის ცოცხალი ატმოსფეროსა და ცოდვის (ირფანის) მორიდების წყალობით? (რასაც თქვენი ნაამბობი ეძღვნებოდა), სიმართლეა ისიც, რომ ზოგჯერ შეიძლება თასავვუფის მისამართით, ნეგატიური თავდასხმები შეინიშნოს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ცხადი ხდება მისი აუცილებლობის შესახებ; რაც

გრძნობების მოცულობას და ისლამის შინაგან აღქმას შეეხება. სახელდობრ,„ისლამის სულიერი კუთხით“ შემეცნების საშუალებით ხომ ხალხი მისკენ მიისწრაფვის, თვით იმ თავიდანაც კი, სადაც მის შესახებ არავითარ ცოდნას არ ფლობდნენ. რით ახსნით თქვენ ამ ინტერესს?

ო. ნ. თ.: თასავვუფი ადამიანს მისი სულისკენ მიმართავს. ის სულიერების იმ გზას აფართოვებს, რომელსაც მიმდევარი სრულყოფისკენ მიჰყავს, ამიტომ ის ცდუნებასა და ადამიანის სულთან თანაბრადაა დაკავშირებული ის დონეები, რომლებსაც მონა-მსახური თავის სულიერ გზაზე აღწევს, ის შინაგანი სამყაროები, რომლებიც მას ათასს სხვადასხვა სულიერ მდგომარეობასთან აკავშირებენ და ბოლოს ძიება და სამყაროს მფლობელის, ალლაჰის გულით შემეცნება, მის მონა-მორჩილად ყოფნის შესაძლებლობა და კიდევ მრავალი სხვა საკითხი თასავვუფის არსის ამხსნელია.

სწორედ ამიტომ, თასავვუფი, რომელიც თავის ქადაგებას საზოგადოების ყველა წევრისკენ მიმართავდა, კეთილდღეობისა და ბარაქის დროს, უნარიანი იყო შეწინააღმდეგებოდა სიმდიდრის სიყვარულს, ცხოვრების მატერიალურ სახეს, ხოლო რთულ პერიოდებში ალლაჰის ძლევამოსილების ის სარკმელი იყო, რომლის გავლითაც უპატიოსნობით, ჩაგვრითა და უსამართლობით დაღლილი გულები ახალი ჰაერის ნაკადსა და მოსვენებას ღებულობდნენ, ის სნეულთა გადაქანცულ გულებს მაცოცხლებელი წყლის სახით ეპკურებოდა. ერთი მხრივ, მშვენიერი ზნეობის აღზრდითა და თასავვუფის თაყვანისცემით მათ, ვინც ხელისუფლებაში იყო: სიამაყის, პატივმოყვარეობისა და სხვა მახინჯი თვისებებისგან იფა-

რავდა; ახსენებდა რა მათ მოთმინებას და გაჭირვებას; მეორე მხრივ, პატიების, თანაგრძნობის, სათნოებისა და გულმოწყალების უსაზღვრო სივრცეებს ავლენდა მათთვის, ვინც ცოდვების ტყვეობაში იმყოფებოდა და დაღუპვის პირას მისულ სულებს გადასარჩენ რგოლებს ესროდა.

როცა მონღოლების შემოსევების შემდეგ, ანატოლიაში ქაოსი გამეფდა; უბედურების, ტანჯვისა და ხალხის წუხილის აღმოფხვრა იმ დროს მხოლოდ თასავვუფის მადლით იყო შესაძლებელი. მართლაც მსოფლიოსთვის მაშინ გახდა ცნობილი თასავვუფის დიდი პიროვნებების უმრავლესობა და ეს ისტორიული ფაქტია.

იმ დროს, როცა გონება უძლურია რომელიმე პრობლემის წინაშე, თასავვუფი ადამიანს მოუწოდებს საკუთარი თავი ღვთაებრივ ნებას დაუმორჩილოს. ის გულსაც სწვდება და მრავალი სულიერი საკითხის სიღრმისეულ გაგებამდე ყურანისა და სუნნეთის შუქის გზით მიჰყავს; ასახავს რა მათ გულებში ინტუიციურ – მგრძნობელობით აღქმასა (ქაშფი) და შთაგონებას (ილხამი). რამდენად დამრიგებლურია გასული საუკუნის ისლამის გამოჩენილი მეცნიერის მუჰამმედ ჰამიდულის ეს წინადადებები:

„აზროვნების თვალსაზრისით მე რაციონალისტი ვარ, რადგან იურიდიული განათლება არ მაძლევს უფლებას ვაღიარო სიმართლედ ის, რისი ლოგიკური ახსნა, ან მისადმი მეთოდური მიდგომა არ შეიძლება. მე ჩემზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ისეთებს, როგორიცაა: ნამაზი, მარხვა და სხვა ვასრულებ ისლამით, მათი არა თასავვუფის თვალსაზრისით განხილვისას, არამედ რა-

ციონალური და მისაღები თვალსაზრისით. და ვეუბნები ჩემს თავს:

„ალლაჰი – ჩემი ღმერთი, ჩემი პატრონია. მან მე მიბრძანა ყოველივე ეს გამეკეთებინა. ამიტომ უნდა შევასრულო კიდეც. მაგრამ უფლება და მოვალეობა – სხვადასხვა საგნებია. ალლაჰმა მიბრძანა ყოველივე ამის გაკეთება, ისევ ჩემდა სასარგებლოდ, ამიტომ მე მისი მადლიერი უნდა ვიყო.“

მას შემდეგ, რაც მე ცხოვრება პარიზში დავიწყე, დასავლურ საზოგადოებაში ყოველთვის მაკვირვებდა ის, რომ ქრისტიანებს ისლამში იტაცებს არა ალიმების (ღვთიმეტყველი მეცნიერი) შრომები ფიქჰსა და ქალამზე (მუსლიმანური სამართლის თეორია და მუსლიმანური თეორიული ღვთისმეტყველება), არამედ იბნ არაბისა და მევლანას მსგავსი სუფიების ნაწარმოებები. მე თვითონაც მრავალჯერ შევხვედრივარ მსგავს პიროვნებას. მუდამ, როცა მთხოვდნენ, ამეხსნა და განმემარტა რაიმე ისლამიდან, მე ყოველთვის ვუწევდი ანგარიშს და გამოვდიოდი გონებრივი თვალსაზრისით, რომელიც მსმენელს არასოდეს არ აკმაყოფილებდა; მაშინ, როცა თასავვუფისმაგვარ განმარტებებს ყოველთვის მოჰქონდა თავისი ნაყოფი. და ჩემი საბუთები თანდათან კარგავდა ძალას. დღეს, როგორც არასდროს, საჭირო არიან ისეთები, ვინც მოვლენ ევროპასა და აფრიკაში არა მახვილითა და სისხლისღვრით, არამედ გულითა და თასავვუფით.

ამ დაკვირვებების შემდეგ მე დავიწყე თასავვუფის (მისტიციზმი) თემაზე ნაწარმოებების შესწავლა. მან ჩემი გული გამჭვირვალე გახადა. მე მივხვდი, რომ ისლამისა

და თასავვუფის ყველა დიდი პიროვნება, ალლაჰის შუამავლის დროიდან დაწყებული, მისდევდნენ არა სიზმრების ახსნასა და სხვა არაფრისმთქმელ საქმეებს, არამედ სრულყოფდნენ თავიანთ პიროვნებას, მუდმივი ძიებითა და იმ უმოკლესი გზის ნახვის სურვილით იყვნენ დაკავებული, რომელსაც ადამიანი ალლაჰთან მიჰყავდა.

ადამიანს ყოველთვის გააჩნია იმის ახსნის უნარი, რაც მას რაღაც ვალდებულებების წინაშე აყენებს. სულიერების სფეროში არსებულის ლოგიკური და რაციონალური ახსნა, კი რომელიც გონებას ეყრდნობა, ჩვენ მთავარი მიზნისაგან გვაშორებს. ამიტომ, მხოლოდ სულიერ მიდგომასა და ახსნას შეუძლია ჩვენი დაკმაყოფილება.“

ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ დღეს, მეცნიერებისა და მაღალი ტექნოლოგიის განვითარების მიუხედავად, მუდმივად ხდება ეკონომიკური კრიზისები, ადამიანი კი სულ უფრო და უფრო ემსგავსება უსულო მანქანას. ამ ფონზე თასავვუფი მოწოდებულია კაცობრიობის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს.

შესაძლებელია თუ არა ვიარსებოთ სუფიზმის გარეშე?

სუფიზმის (თასავვუფი) უგულებელყოფა ნიშნავს გულწრფელობის, ღვთისმოშიშობის, ღვთიური ცოდნის, ცდუნებისაგან თავშეკავების და გულის განწმენდის უგულებელყოფას

შეიძლება თუ არა ვიარსებოთ სუფიზმის გარეშე?

ალთინოლუქი: — ყოველივე ზემოთ თქმულიდან გასაგები ხდება, რომ მისტიციზმის მეთოდს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისლამისკენ მოწოდებაში. ისლამისკენ მოწოდებისას თქვენ სახელდობრ, რაში ხედავთ მისტიციზმის მეთოდით ასეთი შედეგების მიზეზს: ხალხის მიერ ჭეშმარიტი გზის პოვნასა და ზნეობრივ სრულყოფილებაში?

ო. ნ. თ. — დღეს მისტიციზმის (თასავვუფის) მეორე მნიშვნელოვანი მხარე იმ მეთოდებსა და ფორმებშია, რომლებსაც ის ეყრდნობა. შარიათის აშკარა დოგმები და წესები, რომელთა მიმდევრობისთვის ამქვეყნად ან მარადიულ სამყაროში მივიღებთ სასჯელსა და ჯილდოს, ხალხს ნათელი მიზნისკენ მიმართავს. მისტიციზმი, რომელიც ამ მიწერილობების ფარული მხარეა, მათ სიყვარულით, სათნოებითა და კეთილმოსურნეობითაც ავსებს. ჩვენს დროში ხალხის უმეტესობა თავის მაცდუნებელ სურვილებს ექვემდებარება, შორს არიან რელიგიისგან და მძიმე ცოდვებში ცხოვრობენ. ვერავინ უარყოფს, რომ ასეთი ხალხისადმი დახმარების წინადადებით და მისტიციზმის გზით გადარჩენისკენ მოწოდებით, შეგნებითა, და მოთმინებით უკეთეს შედეგს ვიღებთ და ეს ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ, დღეს არა მარტო მისტიციზმის, არამედ მისი მეთოდებისა და მიდგომის საჭიროებაც წარმოიქმნება. ჩვენ ხომ ყველანი მოწმე ვართ, რომ არა მარტო ჩვენთან, არამედ დასავლეთშიც მოპოვებული და გახსნილი იქნა მრავალი გული, ზუსტად იმიტომ, რომ ამ რელიგიის არსს ისეთი თვისებე-

ბი წარმოადგენს, როგორიცაა მოთმინება, პატიება და გულმოწყალეობა. ადამიანისადმი ხომ (ასეთი მეთოდით) გულმოწყალეობისა და თანაგრძნობის გამოვლენით მიმართვა, დატვირთული, გადაღლილი სულისთვის შვების მინიჭება; წინააღმდეგობის გამოუხატველობა და დასჯის განსაზღვრა ყოველთვის კარგ შედეგს იძლეოდა და ადამიანის მეხსიერებაში მხოლოდ პოზიტიურ აზრებს ტოვებდა.

როგორც არ უნდა დაშორდეს ადამიანი საკუთარი შექმნის ჭეშმარიტ მიზანს, მანამდე, სანამ ის „ადამიანია“, იქნება პატივის, თვითდაფასების მფლობელი. მის მიერ საკუთარი თავის ფასის უცოდინრობა და ცოდვის ჭაობში ჩავარდნა მსგავსია იმისა, რომ ქააბას კედლებს, მოწყვეტილი ჰაჯარ-ულ-ასვადი (შავი ქვა), დაეცეს მიწაზე და მტვრითა და ჭუჭყით დაისვაროს. ამის მხილველი არც ერთი მორწმუნე გულგრილი არ დარჩება. და ამის მიუხედავად ის შავი ქვის პატივისცემას არ შეწყვეტს. პირიქით, მორწმუნეები მისკენ ერთმანეთზე გასწრების სურვილით გაექანებიან, რათა ქვა აიღონ, გადარეცხონ მტვერი თავიანთი ცრემლებით და ისევ ღირსეულ ადგილას დადგან. მათ იციან, რომ ის სამოთხიდანაა გამოგზავნილი და მისი ფასი გაცნობიერებული აქვთ. ადამიანი, რომელსაც უზენაესმა გამჩენმა „შთაბერა თავისი სულისგან“ და მრავალი საიდუმლოსა და სიბრძნის დამცველი და შემნახველია, არის ყველა შექმნილის გული. ამიტომ, რაც არ უნდა შორს წავიდეს თავისი ცოდვებით, მისი ფასი უცვლელია.

ფრიად პატივცემულ მევლანას სიტყვებით, ადამიანის სული სუფთა, გამჭვირვალე წყლის მსგავსია. მაგრამ სულელური ქმედებები და ცოდვები მას მუქ, ჭუჭყიან

წყლად გარდასახავენ. მათში არსებული სულიერების მარგალიტები და ჭეშმარიტების შუქი, რომ ვიხილოთ უნდა მოვიცადოთ, სანამ წყალი დაიწმინდება. ამასთან დაკავშირებით, მისტიციზმის მიზანია გადაგვაჩვიოს ეგოიზმსა და თვითნებობას, ადამიანი და საზოგადოება კი მშვიდობამდე, ბედნიერებასა და წონასწორობამდე მიიყვანოს. ამიტომ არავის არა აქვს უფლება ადამიანი ჭეშმარიტების გზისაკენ მოწოდების გარეშე დატოვოს, რარიგ შორსაც არ უნდა შევიდეს ქუფრში (ურწმუნოება), შირქსა (მრავალღმერთიანობა) და ცოდვებში. ასეთი მაგალითი ასრ-საადათის (ნეტარების ეპოქის) დროიდან მრავალია აი, ერთ-ერთი მათგანი:

ვაჰშის, რომელმაც შუამავლის საყვარელი ბიძა, კეთილშობილი ჰამზა მოკლა და შუამავალი ღრმა მწუხარებაში ჩააგდო, ისლამის მიღებაზე მოწოდების პატივი ერგო. მასთან მისულ მიმდევრებს ვაჰშიმ უთხრა;

„ო, მუჰამმედ, შენ მე როგორ მეპატიჟები ისლამზე, როცა ალლაჰმა თავისი ნება გამოხატა და თქვა: „(მწყალობლის მონა-მსახურებო) -

„ისინი არ მოუწოდებენ სხვა ღვთაებებს, გარდა ალლაჰისა, და არ კლავენ სულს, რომელიც აკრძალა ალლაჰმა, გარდა სამართლის აღდგენისა. და არ მრუშობენ. ვინც იქმს ამას, სასჯელს გადაეყრება!

მისი სასჯელი აღდგომის დღეს გაორმაგდება და დარჩება მარად დამცირებული! “

მაშინ ალლაჰის უდიდებულესობამ გარდმოავლინა აიათები:

[illegible]

„თქვი: ჰეი, მსახურნი ჩემო, რომელთაც ზღვარს გახვედით საკუთარი თავის საზიანოდ! არ მოიწყვიტოთ იმედი ალლაჰის წყალობისგან. უეჭველად, ალლაჰი მიუტევებს ცოდვებს სრულად, რამეთუ იგია შემნდობი, მწყალობელი.“[300]

ამ სასიხარულო ამბით გახარებულმა ვაჰშიმ წამოიყვირა:

„რა უზარმაზარია შენი წყალობა, ო, ღმერთო!“ — და გულწრფელი სინანულით, საკუთარ ამხანაგებთან ერთად ისლამი მიიღო.

და ამ რეალიებშიც მისტიციზმის ანუ შთაგონების მეთოდისაკენ ადამიანის მოსაწოდებელი მთავარი საშუალება არის მასთან, როგორც ადამიანთან ურთიერთობა. მაშასადამე, რა ღრმადაც არ უნდა ჩაეფლოს ადამიანი ცოდვებში, მისი ფასი ალლაჰის წინაშე უცვლელია. ამის დამტკიცებაში, მისტიციზმი უპრინციპოა. მისი გზა მოკლედ ასე შეიძლება განისაზღვროს:

„არ შეიწყნაროთ ცოდვილი თავისი ცოდვის გამო და არც შურით აივსო მისი ცოდვების გამო!“

ამ მხრივ, მისტიციზმი დღეს ყველაზე მოქმედ საშუალებას წარმოადგენს ისლამის მოწოდებაში. ადამიანი ხომ ამ შემთხვევაში ჭეშმარიტების სულიერი მეგობარი

300. ზუმარი 39/53.

ხდება, მსგავსად აბდულყადირ გეილანის, აზიზ მაჰმუდ ჰუდაის, იუნუს ემრეს, ბაჰაუთდინ ნახშიბენდისა და მევლანასი.

ალთინოლუქი: — თქვენ უკვე გვიამბეთ იმის შესახებ, თუ როგორ სრულყოფს მისტიციზმი ადამიანის პიროვნებას, რომელიც უმეცრებაში იმყოფება. მაშინ, თქვენი შეხედულებით, როგორი უნდა იყოს მისტიციზმის როლი მუსლიმანის ცხოვრებაში? სხვანაირად რომ ვთქვათ, შეიძლება თუ არა მის გარეშე?

ო. ნ. თ. — დიახ, თქვენ მეტად მნიშვნელოვანი შეკითხვა დამისვით.

მისტიციზმი, როგორც ისლამის ერთ-ერთი გამოვლინება, მთელი თავისი შინაარსის სიგრძითა და სიგანით არის უზარმაზარი წყალობა რწმენის მქონეთათვის, ურომლისოდაც სულიერი ცოდნის მიღება და მისი სრულყოფა უაზრობაა. მისი როლი იმიტომაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ერთი მხრივ, ის აძლევს შესაძლებლობას მუსლიმანის სულიერ ზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, არამუსლიმანებს სწორ გზაზე დაყენებაში ეხმარება და უწყობს ხელს, რათა მათ ისლამი ჭეშმარიტი შუქით განჭვრიტონ.

ყველა ის ცოდნა და სიბრძნე, რომელიც წიგნითაა გადმოცემული, ჭეშმარიტების მარცვლების მსგავსია. როგორც დაუთესავი და ბეღელში დატოვებული მარცვალი წლების განმავლობაში უცვლელი სახით რჩება, ასევე იმ წიგნებში დაცული ცოდნა, რომელიც მრავალი ხნის განმავლობაში თაროებზე აწყვია, იგივეა. მიწაში დათესილი მარცვალი კი გაიზრდება და გაიკეთებს თავთავს, რომელიც დროთა განმავლობაში ჯეჯილად იქცევა.

ასევე, სულში ამოზრდილი ცოდნის მარცვალიც, ჩვენივე გულებში სულიერების ბაღებად გარდაისახება და ცოდნის ისეთ ნაყოფსა და შთაგონებას მოიტანს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, გავიგოთ და გავსინჯოთ საიდუმლოთა სიტკბო და მრავალი ჭეშმარიტების სიბრძნე.

ამ თვალსაზრისით, რელიგია თავისი დასკვნებით მსგავსია ფუნდამენტისა, საძირკველისა; ხოლო ღვთისმოშიშობა – თვით ნაგებობისა. მისტიციზმი, რომელიც საკუთარ თავში ამ ორივე შემადგენელ ნაწილს აერთიანებს, კეთილ ქმედებებთან ერთად სრულყოფილი ზნეობით ავითარებს მათ და უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება, ყველა სხვა საქმესა და მოვალეობასთან შედარებით. რადგან ადამიანის არსის ახსნა და განმარტება წმინდა ყურანის აზრების გავლით შეიძლება. ამრიგად, მისტიციზმი მსგავსია იმ სულიერების ფანჯრისა, რომელიც იხსნება მათთვის ვინც ასრულებენ მირაჯს (ცად ამაღლება) ალლაჰთან მუჰაბათულლაჰის (ალლაჰის სიყვარული) ძიებასა და მარიფათულლაჰში (ალლაჰის შემეცნება).

ე. ი. მისტიციზმი — ესაა სულისა და გულის მოთხოვნილება. ეს ნიშნავს, რომ ის აუცილებლად უნდა არსებობდეს ყოველი მუსლიმანის ცხოვრებაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იქ, სადაც არის ადამიანი უნდა იყოს მისტიციზმიც.

მაგრამ თვით ამ უდავო საბუთების გვერდზე გადადებით, კითხვა „შეიძლება თუ არა ვიარსებოთ მისტიციზმის გარეშე?“ იქნება იმის თანაბარი, რომ გკითხონ: „შეიძლება თუ არა საფუძვლის, თეფსირის, ჰადისის, ქალამის, ფიქჰისა და სხვა მეცნიერებების გარეშე არსებობა?“ მისტიციზმის უარყოფა კი ნიშნავს გულწრფელობის

(იჰლასი) უარყოფას, აგრეთვე ღვთისმოშიშობის (თაყვა), ცოდნის (ირფანი), ცდუნებისაგან თავშეკავებისა და გულის განწმენდის არასაჭიროდ მიჩნევას. მისტიციზმი ხომ ყოველივე ამას გულისხმობს. ეს კი ნიშნავს, რომ მისტიციზმის უარმყოფელი ადამიანი ან მის შესახებ ინფორმაციის არმქონე, მაგრამ მისი ცნებების მიხედვით მცხოვრებია, ზუჰდი (ასკეტიზმი), იხსანი და მისტიციზმი ჭეშმარიტების თვალსაზრისითა და შინაარსით, რომელსაც ისინი შეიცავენ, ასევე სულიერების გაგებით ახლო არიან. სახელწოდებები — ეს მხოლოდ ტერმინოლოგიური სხვადასხვაობაა. ყველა ამ მცნების ცენტრში უქრობ შუქურად დგას კაცობრიობის დამრიგებელი და საუკეთესო მაგალითი — ალლაჰის შუამავალი და აგრეთვე მისი კეთილშობილი მიმდევრები, რომლებიც სწორედ უზენაესის სულიერების ხელმძღვანელობით აღიზარდნენ და იქცნენ ისტორიის გამოჩენილ პიროვნებებად, სულიერების ცის კამარაზე მოკიაფე ვარსკვლავებად.

მეორე მხრივ, გულში სიმშვიდის დამკვიდრება, დაწყნარება და ამ გზით ბედნიერების მოპოვება იმ სულიერების დონეზეა დამოკიდებული, რასაც ადამიანი თანმიმდევრულად აღწევს. ამიტომ, ყველა მონა-მსახურისთვის აუცილებელია, გაიაროს სავალდებულო სულიერი აღზრდა. გულის ცოდნითა და სიბრძნით აღსაჭურვად რელიგიის მაღალი ჭეშმარიტებების მიღწევაა საჭირო და მონა-მსახურის სულიერი სრულყოფა კი მხოლოდ პრაქტიკული გზითაა შესაძლებელი.

თვით შუამავლები, რომლებიც კაცობრიობას ნიმუშის სახით ევლინებოდნენ, ვიდრე ღვთაებრივ შთაგონებას მიიღებდნენ, შესაბამის მომზადებას გადიოდნენ. გული ფაქიზი, სულიერი ჭეშმარიტებების აღსაქმელად

რომ გადავშალოთ, ის ობისგან უნდა განთავისუფლდეს, შეიძინოს სიფაქიზე და მიაღწიოს სათანადო დონეს. ალლაჰის შუამავალმაც ხომ შუამავლობის დაწყებამდე ჰირას გამოქვაბულში ითიქაფი[301] (განდეგილობა) შეასრულა. შუამავალ მუსას კი იმის წინ, სანამ ალლაჰთან სასაუბროდ წარსდგებოდა, ორმოც დღეს მარხვა ეჭირა და სინას მთაზე იმყოფებოდა. იუსუფმა, სანამ ეგვიპტის მმართველი გახდებოდა, თორმეტი წელი ციხეში პატიმრად გაატარა. იქ, იზოლაციაში მან თავშეკავების ყველა საფეხური: რწმენისთვის ბრძოლა და სიძნელეები გაიარა. ამრიგად, მისმა გულმა მიაღწია სრულყოფილებას და განთავისუფლდა ყველაფრისგან, გარდა ალლაჰისა.

ალლაჰის შუამავალს მანამ, ვიდრე ის ცად ამაღლდებოდა ე.ი. მირაჯს მიაღწევდა, თავდაპირველად ამ მოვლენის ფარული აზრი- სურა **ინშირაჰში** განემარტა. მისი მკერდი სიმძიმისგან განთავისუფლდა; გული განეწმინდა და სულიერი ცოდნითა და სიბრძნით აივსო. რაკი მას მირაჯში ღვთაებრივი ემანაციის ამაღლებული მოვლენებისა და საგნების სახეთა ჭვრეტა მოუწევდა, რომელთა აღქმაც ჩვეულებრივი ხედვისა და უხეში გულისთვის მიუდგომელია.

თუკი ალლაჰის ასეთი რჩეული მონა-მსახურები, შუამავლების მსგავსად თავიანთი გულების განწმენდასა და გამაგრებას საჭიროებდნენ, მაშინ რა საკამათოა ის, ესაჭიროება თუ არა სხვა ხალხს განწმენდა. ჩაბნელებული გულით, ცოდვებით დაფარული სულითა და სხვა უარყოფითი თვისებით ხომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ალ-ლატიფთან მიახლოება (ალლაჰი). ის, ვინც მოკლებულია ყნოსვის უნარს, არ შეუძლია იგრძნოს გან-

301.

სხვავება მიხაკისა და ვარდის სურნელებას შორის. ასე-ვე, ვისაც ფხიზელი ხედვა არა აქვს, არ შეუძლია დაორ-თქლილ ჭიქაზე ნათელი სურათის შემჩნევა; ასევე, თუკი ჰალალი ანუ ნებადართული გზით მოპოვებულ შენაძენში სულ მცირე ოდენობის საეჭვო ნაწილაკი შეერევა, მაშინ ეს იმის თანაბარი იქნება, როცა წყლიან კასრში ჩავარ-დება ერთი ჭუჭყიანი წვეთი, რომელიც მთელი ამ წყლის სისუფთავეს, სარგებლიანობასა და სიკეთეს ბოლოს მოუღებს.

ამიტომ, გული ფაქიზი, ღვთაებრივი ჭეშმარიტებისა და სიბრძნის აღმქმელი რომ გახდეს, მისთვის აუცილე-ბელია განთავისუფლდეს სულიერი ჭუჭყისგან, შეიმო-სოს სიკეთითა და სიფაქიზით. ალლაჰის უდიდებულეს-ობა ხომ ბრძანებს:

[illegible]

„იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე, არც ძენი არავის წაადგება, გარდა იმისა, ვინც წარსდგება ალლაჰის წი-ნაშე უბიწო გულით!“[302]

„ყალბი სელიმის“ (უმანკო გულის) ხარისხს რომ მიაღწიო, გული სულიერი განვითარების გზით უნდა აღ-ზარდო და განწმინდო.

სულიერი აღზრდის განუცდელად ხომ გული ცივი ლითონისა მსგავსია და იმისათვის, რომ ლითონს საჭი-რო ფორმა მივცეთ, აუცილებელია ის გავარვარდეს, განთავისუფლდეს ხენჯისა და მინარევებისაგან, გად-

302. შუარა, 26/88-89.

ნეს და გამოიჭედოს. მხოლოდ ყველა ამ ეტაპის გავლის შემდეგ, ლითონი შეიძენს ნებისმიერი ფორმის მიღების უნარს. ასევე გულსაც, რომელიც არ გაივლის შესაბამის აღზრდას, არ შეუძლია მიაღწიოს სრულყოფილებას. მაშინ როცა, მხოლოდ სრულყოფილი გული შეიგრძნობს და იღებს სიამოვნებას. ჭეშმარიტების ჭვრეტისა და აღქმისათვის, რომლებიც თვალებისათვის შეუმჩნეველია და გონებისათვის მიუწვდომელი. საჭიროა შინაგანი ძალისა და საკუთარი გულის გამჭრიახობის განვითარება.

მევლანა ჯალალედინ რუმმიმ ასე ახსნა ამ განვითარების მნიშვნელობა. მიიღო რა მან უმაღლესი განათლება საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროში, ის ამბობდა: „მე ნედლი ვარ“. როცა მას მარიფათულაჰის (ალლაჰის) გზაზე სამყაროს წიგნი გადაეშალა, მისთვის ცნობილი გახდა მასში დამალული საგანძურების შესახებ. ის ამჯერად ამბობდა: „მე გამოვცხვი“; ხოლო როცა მან დაიპყრო ის წყარო, რომლიდანაც ამ სამყაროს მთელი სიყვარული გადმოედინება, თქვა: „მე დავიწვი.“

ეს იმაზე მეტყველებს, რომ მონა-მსახური ღვთისაგან რომ იქნას მიღებული მას გულის სრულყოფილების მისაღწევად დიდი შინაგანი მუშაობა მართებს; ამას გარდა, ის სულიერ განათლებასა და აღზრდასაც საჭიროებს. შუამავლის უახლოესი მიმდევრების ცხოვრებიდან შეიძლება ამის დამადასტურებული მრავალი მაგალითი მოვიყვანოთ. მათ ხომ წინაპართაგან გადმოცემული (წარმართული) ტრადიციების მიმდევრობით შეეძლოთ თავიანთი შობილი ქალიშვილები მიწაში ჩაეფლოთ; მაგრამ ალლაჰის შუამავლის სულიერი აღზრდის გავლით მათი მკაცრი, უგრძნობელი, ქვის მსგავსი გულები და-

მწიფდა და სათნოებისა და თანაგრძნობის ბაღებად გაიშალა. თავიანთი სული და ქონება მათ დაუნანებლად მიიტანეს ალლაჰისა და მისი შუამავლის სამსხვერპლოზე.

დასკვნისას, მინდოდა შემდეგი მეთქვა: ისლამთან მისვლა მისტიციზმის გარეშეც შეიძლება, მაგრამ ეს იქნება ისლამთან მისვლა ჭვრეტის აუცილებელი ხარისხის გარეშე. ე. ი. ისლამში ისეთი სახის ცხოვრება, სადაც არ არის მისტიციზმის შესაბამისი, სულიერი აღზრდა, არ განაპირობებს მონა-მსახურის ალლაჰისადმი ისეთ მორჩილებას: „თითქოს ის ხედავს მას.“

ალთინოლუქი: — ჟურნალ „ალთინოლუქის“ მკითხველები თქვენი გულწრფელი თაყვანისმცემლები არიან. ისინი ბედნიერებად თვლიან იყვნენ თქვენი თანამოაზრეები, იყვნენ თქვენთან ერთად ერთ საერთო, სასულიერო მინდორზე. ხომ არ იტყოდით რაიმეს მისტიციზმის ამჟამინდელ მდგომარეობაზე?

ო. ნ. თ. — იმასთან ერთად, რაც უკვე ითქვა მინდა იმის შესახებაც მოგითხროთ, რასაც მუდმივად მირჩევს და მახსენებს ალლაჰთან დაახლოებული ხალხი:

მისტიციზმი — ეს სულიერი აღზრდაა, რომელიც ალლაჰის შუამავლის ზნეობის მისაღწევად გულმოდგინებას საჭიროებს. ეს სულიერი აღტაცება (ვაჯი) თაყვანისცემის ყველა სახესა და ქცევაში კეთილისმყოფელი და სათნოა. ეს მთელი სამყაროს გამჩენისა და მისი შუამავლისადმი სიყვარულით მისწრაფებაა. ზუსტად ამიტომ ისინი, ვინც ყველაფრის ცენტრად ალლაჰისა და მისი შუამავლისადმი სიყვარული და მისწრაფება აქცია,

ჭეშმარიტებისა და მთელი კაცობრიობის მეგობრებად იქცნენ.

უმწიკვლო ადამიანებთან მიჯაჭვულობა და ურთიერთობა მორწმუნეებს წმინდანებად გარდასახავს. ძლიერი ხასიათის მქონე (ცოდნით) პიროვნებებს ხომ ძალუძთ ხალხზე ზემოქმედება მოახდინონ. იმ უმწიკვლო ადამიანებმა, რომელთა სულების წესრიგში მოყვანა და მათ მიერ ამაღლებული სიყვარულის დაუფლება წინასწარგანსაზღვრული იყო, საკუთარი თავი ცდუნების ძალაუფლებისაგან გაინთავისუფლეს და ამქვეყნიური ცხოვრების ფუჭ გატაცებებზე უარი თქვეს. მათი სულიერების ტაძარი მხოლოდ ღვთაებრივი სიბრძნითაა სავსე. მათთან სიახლოვე ყველასთვის სასარგებლოა: როგორც საქმით, ასევე თავიანთი სიტყვით, განურჩევლად ალლაჰის ყველა ქმნილებისთვის.

სიყვარული ელექტროგადამცემი ხაზების მსგავსია, რომელიც ორ გულს აკავშირებს. ადამიანი ყოველთვის განიცდის აღტაცებასა და ღრმა გრძნობებს იმის მიმართ, ვინც მას უყვარს და ცდილობს მიბაძოს მას. ამასთან დაკავშირებით, მორწმუნემ მთელი საკუთარი შესაძლებლობა და მოქმედების ასპარეზი უნდა გამოიყენოს, რათა მიიღოს ე.წ. „სიყვარულის ელექსირი“

პიროვნების ფორმირებისას ცოდნას გამჭრიახობა ენაცვლება და ის უზენაესი გამჩენის სულიერი შემეცნების მიზეზი ხდება. სამყარო წარმოადგენს უამრავი საიდუმლოსა და სიბრძნის შემცველ გამოცანას. ამიტომ, მას შორიდან კი არ უნდა უთვალთვალო, არამედ მთელი

გულისყურით უნდა მოეკიდო და ჩაწვდე მის სიბრძნესა და საიდუმლოს.

ღმერთთან ფაქიზი და ნატიფი ურთიერთობის დახმარებით გული იჟღინთება მოკრძალებულობით და თავისუფლდება სიუხეშისაგან. აღორძინებული გული კი მორწმუნეს უკვდავებას ანიჭებს და პირიქით, ის ვინც საკუთარი მაცდუნებელი სურვილების დაკმაყოფილებითაა გართული, თავის ადამიანურ სახეს ამ ტვირთის წონის მიხედვით კარგავს.

ისლამური ზნეობის საფუძველს სიყვარულითა და გულწრფელობით ღვთისაკენ მისწრაფება შეადგენს, ხოლო ამ მისწრაფების ერთადერთი მაჩვენებელი, უეჭველად არის მსახურება (ხიზმეთი).

სიყვარული — ეს ჯადოქრობაა, რომელიც ყოველგვარ სირთულეს სიკეთედ გარდაქმნის. ამიტომ, რამდენადაც მძიმე უნდა იყოს მსახურება, თუკი ადამიანი მასთან სიყვარულით მიდის, მაშინ მას იოლად და უმტკივნეულოდ ასრულებს. ამავე დროს ნებისმიერი მსახურების ფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ამ მსახურების შესრულება, დაწყებული თვითაღკვეთის დიდებულებიდან და დასრულებული თაყვანისცემისთვის დამახასიათებელი სულიერი თრთოლვით. გულწრფელი და ნამდვილი მსახურება — მწიფე გულის ნაყოფია. გულის ამგვარ სრულყოფილებას მიღწეული ადამიანები ალლაჰის ზედამხედველობის ქვეშ („ნაზარგაჰ ილიაჰი“) იმყოფებიან.

სამყაროს გამჩენის სახელები „არ-რაჰმანი“ (გულმოწყალე) და „არ-რაჰიმი“ (კეთილშობილი), რომლებსაც

ის ხშირად ახსენებს წმინდა ყურანში, ანალოგიურ სიფათებს (თვისებებს) აღნიშნავს. ამიტომ თანაგრძნობა და გულმოწყალეობა ყოველი მორწმუნის ძირითად და ბუნებრივ თვისებებად უნდა იქცეს.

ის, ვინც მოკლებულია თანაგრძნობას და არ იცის სიბრალული, ყველაზე დიდ სიმდიდრეს მოაკლდა, დაკარგა ბედნიერების ყველა გასაღები. ამიტომ უფრო მეტ თანაგრძნობას სწორედ ისინი იმსახურებენ, ვისაც სიბრალულისა და გულმოწყალების გამომჟღავნება არ შეუძლიათ.

ნებისმიერი უსამართლობისა და ბოროტების მიზეზი სიყვარულის ნაკლებობაა. სიყვარულის გრძნობით შეპყრობილ ადამიანს ნებისმიერ მომენტში შეუძლია საკუთარ თავში მძვინვარე მჩაგვრელის გაღვიძება და გახელება. ჭეშმარიტი სიყვარულის ნაყოფი ყოველთვის გულწრფელობა და თანაგრძნობა იყო. დედამიწაზე არ არსებობს არანაირი სული და ქვეყანა, რომელთა დაპყრობაც გულმოწყალეობითა და თანაგრძნობით არ შეიძლებოდეს. როგორც მზისთვისაა შეუძლებელი არ გამოსცეს სითბო, არ ათბობდეს, ასევე შეუძლებელია სულით ძლიერებისთვის სხვა ქმნილებებისადმი თანაგრძნობა არ განიცადონ.

ქვებით განდევნილი ჰალლაჯი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, სიყვარულით ნასაზრდოებ გულებში, შეეხვეწა უზენაესს:

„ო, ღმერთო! შეუნდე მათ ვინც ქვები დამიშინა იმაზე უწინ, ვიდრე შემინდობ მე.“ რითაც გარშემომყოფთ თვითაღკვეთის უდიდესი მაგალითი აჩვენა.

თუკი ჩვენ მოვინდომებთ რეალურად განვსაზღვროთ საკუთარი სულიერების დონე, ლმობიერებითა და თავაზიანობით უნდა ვიხელმძღვანელოდ.

ეგოიზმი და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ქონა ყოველთვის იყო სულიერების გზაზე დამაბრკოლებელი ლოდი.

მევლანამ იმის შესახებ თქვა:

„ძალიან მნიშნელოვანია საკუთარი არსით ვარდს მიემსგავსო. ე. ი. ამ ცხოვრების ბაღში ეკლებს შორის ყოფნისას, არ გეწყინოს მათი და არ დაემსგავსო მათ მაშინაც კი, როცა დიდი ყინვების გადატანა, გაზაფხულის სითბოთი გალღობა, მთელი სამყაროს სამოთხის ბაღად გადაქცევა მოუხდებათ.“

ფრიად პატივცემული აბდულჰალიქ გუჯდუვანის დარიგება, სულიერების ხარისხებსა და მშვენიერ ზნეობაზე არის წესდება ყველასთვის, ვინც მის გზაზე იმყოფება.

„ო, შვილო! გიანდერძებ შენ, რომ ნებისმიერ სიტუაციაში თან იახლო ცოდნა, კეთილშობილება და ღვთისმოშიშობა! გაითვალისწინე წარსულის გაკვეთილები და გაჰყევი „აჰლი-ბეითს, აჰლი-სუნა, ვალ-ჯამაათს“! შეისწავლე ფიქჰი (მუსლიმური სამართლის თეორია), ჰადისები და განეშორე მათ, ვინც უმეცარ განსჯებს ეძლევა! ლოცვა აუცილებლად ჯამაათით შეასრულე! თუკი შენს გულში არის პატივისადმი მიდრეკილება იყავი იმამი, მაგრამ არა მუაზინი! თუკი შენ გიტაცებს დიდება და სახელი, მთელი ძალით შეეცადე განეშორო მათ! დიდებაში არის უბედურება. ნუ ეცდები იყო გამორჩეული;

ესწრაფე სიმდაბლეს! არასდროს შეეჭიდო იმას, რაც შენ არ ხელგეწიფება! ნუ ჩაერევი იმაში, რაც შენ არ გეხება! ნუ მიემხრობი ცოდვილ მმართველებს! დაიცავი ყველაფერში ზომიერება! არასდროს ენდო ლამაზ, ტკბილ სიტყვებს, თუკი იცი, რომ არ შეგიძლია მათი ჭეშმარიტების განსაზღვრა; რადგან ის ვნებს სულს და ბადებს ფარისევლობას. მაგრამ არ უგულებელყო კეთილხმოვანი სიტყვა, რადგან ლამაზად წაკითხული ეზანი და ყურანი სულებს აფხიზლებენ. ჭამე ცოტა, ილაპარაკე ცოტა და იძინე ცოტა. რაც ძალი და ღონე გაქვს გაექეცი სულელებსა და უმეცრებს; აღელვების ჟამს უპირატესობა მიანიჭე განმარტოებას. დადექი შორს იმათგან, ვინც ქარაფშუტულად ეპყრობა რელიგიის მითითებებს; ნუ მიიღებ გადაწყვეტილებებს ვიღაცის სასარგებლოდ; განეშორე თვითკმაყოფილ მდიდრებსა და უმეცრებს! ეცადე მტკიცედ განერიდო საეჭვოს და დაქორწინებისას იყო ყურადღებიანი და ღვთისმოშიში. სხვაგვარად შენ ამქვეყნიური ცხოვრების ჭუჭყში დაისვრები და დაკარგავ შენს რელიგიას... არ იცინო ბევრი, განსაკუთრებით მოერიდე ხმამაღალ ხარხარს! უზომო სიცილი გრძნობებს ახშობს, მაგრამ არ დაგავიწყდეს გაღიმება. ღიმილი ხომ სათნოებაა, ე.წ. სადაყა. უყურე ყველას წყალობის თვალით და ნუ შეხედავ ეჭვით! ნუ მოირთვები ზედმეტად, იყავი უბრალო და მოკრძალებული! გარეგნობაზე გადაჭარბებული ყურადღება შინაგან სამყაროს ანგრევს. არაფერი განსაჯო სხვასთან ერთად, არავის არაფერი მოსთხოვო, იყავი თვითკმაყოფილი და კმაყოფილებით მდიდარი, გაუფრთხილდი საკუთარ ღირსებას! იყავი თავდადებული მათთვის, ვინც შენთვის შრომობს და გზრდის შენ, ემსახურე მათ საკუთარი ქონებითა და სულით და

იყავი მათთან ერთად ნებისმიერ სიტუაციაში! არც ერთი მათგანი, ვინც უდარდელობაში იმყოფება, ამის გამო არ გადარჩება. ნუ დაუხრი თავს წუთისოფლის ცდუნებებს და ნუ ცდილობ ამაღლდე ამქვეყნის სიყვარულით! დაე, შენი სული ყოველთვის მწუხარე იყოს, სხეული კი თაყვანისცემისთვის მზადმყოფი; თვალები — ცრემლებისგან დასველებული, ხოლო გული — სიფაქიზით სავსე. დაე, შენი საქმე იყოს გულწრფელი, ვედრება — შესმენილი, ტანსაცმელი — შესაფერისი; დაე, შენი მეგზურები იყვნენ ალლაჰის აიათებით მცხოვრებნი, შენი სიმდიდრე — რელიგიაში განთავსებული ცხადი და ფარული ცოდნა, შენი სახლი — მეჩეთი და ალლაჰთან დაახლოებული ადამიანები!...“

ამინ!...

სარჩევი

ცოტა რამ ავტორზე 5
წინასიტყვაობა 7
უკანასკნელი ამოსუნთქვა — 1 21
უკანასკნელი ამოსუნთქვა — 2 39
უკანასკნელი ამოსუნთქვა — 3 57
სამყაროსეული ალლაჰის ხსენება და განთიადისწინა დრო.. 75
ყურანი და თაფაქქური — 1 91
ყურანი და თაფაქქური – 2 107
ყურანი და თაფაქქური — 3 125
მონანიება და ცრემლები 147
ვედრება 165
მოწოდება ჭეშმარიტებისა და სიკეთისაკენ — 1 179
მოწოდება ჭეშმარიტებისა და სიკეთისკენ — 2 195
ალტრუიზმი — საკუთარ გასაჭირზე წინ
სხვისი გასაჭირის დაყენების ნიჭი 213
ჭეშმარიტება — კმაყოფილება იმით, რაც გაბადია 231
ვაჭრობის ზნეობრივი საფუძვლები 249
ალლაჰისათვის გაღებული უმშვენიერესი სესხი 269
როგორ გავცეთ და ავიღოთ სესხი 289
მეგობრობა 317
მიცემული სიტყვის ერთგულება 337
ვიყოთ რწმენით სანიმუშონი 363
ბედისწერის საიდუმლო..... 375
გზა რწმენიდან ჭვრეტისაკენ მუსა ეფენდი (1917-1999) 391
წვეთი სულიერებიდან 405
შეიძლება თუ არა ვიარსებოთ სუფიზმის გარეშე? 423